საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.net
№4 (142)
1 - 7 თებერვალი, 2012
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

მთავრობის მაღალჩინოსანთა მენიუ და ამომრჩევლის სამომხმარებლო კალათა 14

# ქიმიოთერაპია



«დემოკრატიის» მეოთხე სტადია 7

# ერთგული პროკონსული

## გადამწყვეტი ბრძოლა,



10

ანუ «წინ, უნიტაზისკენ!»

2 საქართველოს პრეზიდენტმა «ლაზიკა» ამერიკულ კომპანიას მოჰპარა!

9 შალვა ხაჭაპურიძე:

ამერიკას პლაცდარმი სჭირდება და ამისთვის საქართველოს გამოიყენებს

«ხელისუფლებას 7 მილიარდი აქვს არჩევნებისთვის. ანუ რა თანხაც არ უნდა ჰქონდეს ივანიშვილს, ის ამ თანხას ვერ ხარჯავს და არჩევნებში დამარცხებისთვისაა განწირული»



ლალი აფციაური: «1937 წელს გამამართლებელი განაჩენის მაჩვენებელი 9 პროცენტი იყო, დღეს 0,2 პროცენტია» 8

## ბილაურის 20 ვერცხლი 6

პატრულის, სასწრაფოს და სახანძროს გამოძახება ფასიანი გახდა!



სოსო ჯაჭვლიანი:

## ან უნდა გავცეთ მიშას საკადრისი პასუხი, ან ვიაროთ ასე დაჩინჩლულებმა! 19

კახა კუკავა: 12

## «ნაციონალური მოძრაობის» დამნაშავე ლიდერებმა ციხეებიც უნდა ხეხონ და მოპარული ქონებაც უნდა დააბრუნონ

დედალ-მამალი, ანუ 11 ხლისტები და გრუზინები

საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სკანდალი

**ამერიკული პროექტის მიხედვით, გარემოსაც და ადამიანებსაც პირდაპირი სარგებელი უნდა ენახათ. პროექტი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, მის მსოფლიო ბაზარზე გატანასა და, რაც მთავარია, დევნილი მოსახლეობის დასაქმებას ითვალისწინებდა... ამერიკული მხარის მიერ მომზადებული პროექტი გვერდზე გადაიდო, ხოლო მასზე ხელის მოთბობის მსურველებმა თავად გადაწყვიტეს „ლაზიკის" საკუთარ ჭკუაზე მშენებლობა.**

# საქართველოს პრეზიდენტმა «ლაზიკა» ამერიკულ კომპანიას მოჰპარა!

დავით ტყეშელაშვილი



**მიხეილ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოსთან დაახლოებული კარგად ინფორმირებული წყაროსგან „საქართველო და მსოფლიომ" სენსაციური ამბავი შეიტყო: მიხეილ სააკაშვილის მიერ გაპიარებული ქალაქ ლაზიკის პროექტი მოპარულია, თან მოპარულია ამერიკული კომპანიისგან, რომელსაც ლაზიკა სულ სხვა სახითა და დანიშნულებით ჰქონდა წარმოდგენილი!**



**სააკაშვილის ობამასთან შეხვედრამდე აშშ-ში, საქართველოს საელჩოში, ერთი ფაციფუცი იყო ამტყდარი. პროექტის ავტორებს ხვდებიან, აწყნარებენ, ხოლო ორიოდე დღის წინ მათთან შესახვედრად საგანგებოდ ჩაფრინდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით ტყეშელაშვილი და ამ გაუგებრობის გარკვევას დაჰპირდა**

მართალია, პროექტის ამერიკელი ავტორები ამ ეტაპზე რაიმე კომენტარისგან თავს იკავებენ, მაგრამ ჩვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს საელჩოში შეტანილი პროექტი სააკაშვილს გაეგზავნა, ხოლო დაფინანსებისთვის ქართულ მხარეს მსოფლიო ბანკისთვის უნდა მიემართა. მსოფლიო ბანკს არც პროექტი მიუღია და არც რაიმე ინფორმაცია, თუმცა მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა.

**სკანდალი კი იმის გამო დაიწყო, რომ პროექტ „ლაზიკას" თავდაპირველი მიზნებისგან განსხვავებით, საქართველოს ხელისუფლებამ კოლხეთის ჭაობს მძიმე ტექნიკა მიაყენა და მისი ამოშრობისთვის მზადება დაიწყო. მსოფლიოს გარემოს დამცველებმა განგაშის ზარს შემოჰკრეს, რადგან ჭაობებს სპეციალური, ე. წ. რამსაარის კონვენცია იცავს, ხოლო მათი ამოშრობა იმას ნიშნავს, რომ შავი ზღვა თითქმის მთელ კოლხეთის დაბლობს მიიტაცებს!**

თუმცა სააკაშვილი არც გარემოს დაგიდევთ და არც ცოცხალ ადამიანებს. მისთვის მთავარია პიარი და არა ეს აბსტრაქციები. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, მიშას „ლაზიკასგან" განსხვავებით, **ამერიკული პროექტის მიხედვით, გარემოსაც და ადამიანებსაც პირდაპირი სარგებელი უნდა ენახათ. პროექტი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, მის მსოფლიო ბაზარზე გატანასა და, რაც მთავარია, დევნილი მოსახლეობის დასაქმებას ითვალისწინებდა.** თითოეული დევნილისთვის უფასო ბინა და კულტურული გარემო იყო გათვალისწინებული, რომელიც მზის ენერგიის ბატარეებით იქნებოდა აღჭურვილი. დევნილები არამარტო დასაქმდებოდნენ, არამედ ამ ახალი წამოწყებების მეწილეებიც გახდებოდნენ. საშუალო ხელფასი კი ამ ადამიანებს, რომლებმაც ყველაფერი დაკარგეს და საკუთარი მთავრობა მერამდენედ ყრის ღია ცის ქვეშ, 500-600 დოლარი უნდა ჰქონოდათ!

წელიწადზე მეტი გავიდა და პროექტის ავტორებს ოფიციალურ დონეზე არავითარი პასუხი არ მიუღიათ, პროექტის შესახებ კი, მიხეილ სააკაშვილის საჩვენებელი პიარ-აქციების მიუხედავად, არც საქართველოს მთავრობაში, არც პრეზიდენტის კანცელარიაში ფარატინა დოკუმენტიც კი არ შექმნილა. უნდა ვივარაუდოთ, რომ **ამერიკული მხარის მიერ მომზადებული პროექტი გვერდზე გადაიდო, ხოლო მასზე ხელის მოთბობის მსურველებმა თავად გადაწყვიტეს „ლაზიკის" საკუთარ ჭკუაზე მშენებლობა.**

როგორც გავარკვიეთ, ლანდშაფტის შესწავლაში, ლაბორატორიულ ანალიზებსა და საექსპერტო კვლევებში პროექტის ავტორებმა რამდენიმე მილიონი დოლარი ჩადეს. ეს სკანდალი რომ უმტკივნეულოდ არ ჩაივლის, ცხადია. ამას თუნდაც ის მოწმობს, რომ სააკაშვილის ობამასთან შეხვედრამდე აშშ-ში, საქართველოს საელჩოში, ერთი ფაციფუცი იყო ამტყდარი. პროექტის ავტორებს ხვდებიან, აწყნარებენ, ხოლო ორიოდე დღის წინ მათთან შესახვედრად საგანგებოდ ჩაფრინდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი დავით ტყეშელაშვილი და ამ გაუგებრობის გარკვევას დაჰპირდა.

**სააკაშვილს სამი წლის განმავლობაში ნანატრი შეხვედრა პრეზიდენტ ობამასთან, შესაძლოა, ჩაშხამებოდა და სწორედ ამან გამოიწვია ეს ფაციფუცი. როგორც ჩვენი წყარო გვატყობინებს, ყველა მექანიზმი ამოქმედდა, რათა პროექტის ავტორები ვიზიტამდე გააჩერონ, მერე კი „ან ასე იქნება, ან ისე". მათ უმაღლეს დონეზე შეხვედრებსაც ჰპირდებიან და პროექტის განხორციელებასაც, თუმცა სააკაშვილი, „ისტორიულ ვიზიტს" თუ გადააგორებს, მერე რას მოიმოქმედებს, თავადაც არ იცის.**

რაც შეეხება საქართველოში პროექტის ავტორების მოწვევას, მათ „საქართველო და მსოფლიო" შეახსენებს, რომ რონი ფუქსი და ზეევ ფრენკელიც საქართველოში პრემიერ-მინისტრის პირადი მოწვევით ჩამოიყვანეს, შემდეგ კი ციხე ისე ახეხინეს, რომ წამალი და ნორმალური საკვები მონანატრეს, ბოლოს შეწყალებისთვის მადლობაც გადაახდევინეს, საქართველოს მოსახლეობის წინაშე კი იტრაბახეს, 70 მილიონი დავზოგეთო!

6 დეკემბერს, ფუქსისა და ფრენკელის შეწყალების შემდეგ, პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ მწყაზარი სახით განაცხადა, რომ ებრაულ მხარესთან გარიგებით საქართველოს ხელისუფლებამ 70 მილიონი დოლარი დაზოგა: **„ჯამური სახით, სახელმწიფოს 110 მილიონი დოლარი ჰქონდა გადასახდელი საურავების ჩათვლით. 70 მილიონი დოლარის დაზოგვა ადასტურებს, რომ საქართველოს ხელისუფლების ქმედებები და გადადგმული ნაბიჯი იყო სწორი". სხვათა შორის, დამთხვევაა თუ მისტიკა, ამერიკული „ლაზიკის" პროექტიც სწორედ 70 მილიონი დოლარის ღირებულებისაა და მისი „დაზოგვა" თუ არა, მის მომპარავებს საკუთარი სარგებლის ნახვა უფრო აინტერესებთ, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება და ადამიანების დასაქმება.**

ამის შემდეგ როგორ ენდობიან პროექტ „ლაზიკას" ამერიკელი ავტორები საქართველოს ხელისუფლებას, რთული სათქმელია, თუმცა, საქართველოს მოსახლეობისგან განსხვავებით, ახლა უკვე ოკეანის გაღმაც გაიგეს, რომ ამ ქვეყანას მატყუარა და ქურდი ხელისუფლება ჰყავს.

მართალია, სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჯერჯერობით სკანდალის მიჩუმათება მოახერხეს, მაგრამ „საქართველო და მსოფლიო" განაგრძობს ამ სკანდალური თემის გამოძიებას და უახლოეს მომავალში მის დეტალებს გაგაცნობთ.

**თამარ დავითულიანი**

## ალექსანდრე ანქვაბი: დროა, ჩვენთან თბილისის ინსტრუქციის გარეშე ჩამოხვიდეთ



**მიმდინარე წლის აპრილში აფხაზეთში ჩამოვლენ ევროკავშირის წარმომადგენლები. ამ მიზნით სოხუმში ჩავიდა და აფხაზეთის პრეზიდენტ ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა გერმანიში მოქმედი ამერიკური ფონდის „ბუშის" პრეზიდენტი დიტერ ბოდენი. სწორედ მას აქვს დავალებული ამ ვიზიტის მომზადება.**

ალექსანდრე ანქვაბმა დიტერ ბოდენთან შეხვედრისას განაცხადა, რომ აფხაზეთი მზად არის ევროკავშირთან მოსალაპარაკებლად. **„თუმცა ამის რეალური შედეგი ამჟამად არ არსებობს. ჩვენ გვინდა, რომ აფხაზეთს მოეპყრან პატივისცემით. არანაირი ურთიერთობა არ გვექნება ევროკავშირთან, თუ ისინი არ შეცვლიან თავიანთ ხედვას საქართველოსთან დაკავშირებით.**

დროა ჩვენთან ჩამოხვიდეთ თბილისის ინსტრუქციის გარეშე," — აღნიშნა ალექსანდრე ანქვაბმა.

აფხაზეთის პრეზიდენტმა დიტერ ბოდენს ასევე უსაყვედურა, რომ აფხაზეთის მოსახლეობას მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით უშვებენ საზღვარგარეთ. **„აფხაზეთის მოქალაქეებს რუსეთის საზღვარგარეთის პასპორტით ევროპაში არ უშვებენ, თუნდაც სამკურნალოდ. რატომ შეიძლება ამავე პასპორტით აფხაზეთის მოქალაქე წავიდეს ევროპაში თუ ეს მგზავრობა ორგანიზებულია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომლებიც ლობირებენ საქართველოს ინტერესებს და არ შეიძლება, როცა სამკურნალოდ მიდიან.**

**რაც შეეხება ე.წ ნეიტრალურ პასპორტებს, ეს არის უპერსპექტივო. ჩვენ არ შემოვუშვებთ იმ დიპლომატებს აფხაზეთში, რომლებიც ასეთი პასპორტების გაცემას უჭერენ მხარს. ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით ჩვენ მხოლოდ რუსეთი გვეხმარება, რათა აღდგეს ქართულ-აფხაზური ომის შედეგად დანგრეული ეკონომიკა,"** — განუცხადა ალექსანდრე ანქვაბმა დიტერ ბოდენს, რომელმაც მადლობა გადაუხადა ანქვაბს გულღია საუბრისათვის.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

მმართველი გუნდის შეცდომების გამო მრავალმხრივი გამოწვევების წინაშე მდგარი ჩემი ქვეყანა არ უნდა დაისაჯოს. ამიტომ სწორედ ახლა, შემოდგომაზე გასამართი საპარლამენტო არჩევნების წინ, არის აუცილებელი საქართველოს ყველა ჭეშმარიტი მეგობრის მხრიდან პრეზიდენტ სააკაშვილთან ინტენსიური დიალოგი, რათა მან ნებისმიერი მეთოდებით არ სცადოს ძალაუფლების შენარჩუნება, რაც საბედისწერო იქნება საქართველოსთვის.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველო გზაჯვარედინზე

## ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბარაკ ობამას

ძვირფასო პრეზიდენტო ობამა,

2011 წლის მიწურულს საბჭოთა კავშირის დაშლის 20 წლისთავი აღინიშნა. ეს მოვლენა ჩემი ქვეყნისთვის გახდა სახელმწიფოებრიობის ლიბერალურ-დემოკრატიულ პრინციპებზე აღორძინებისა და თავისუფალ სამყაროსთან შერწყმის შანსი.

ცხადია, ილუზია იმისა, რომ ეს პროცესი უმტკივნეულოდ ჩაივლიდა, არავის ჰქონია, მაგრამ 2003 წლის „ვარდების რევოლუციამ" ბევრი, მათ შორის მეც, იმ იმედით აღავსო, რომ ქვეყანა საბოლოოდ დაადგა პლურალისტული დემოკრატიის, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებების პატივისცემის, ღია და თავისუფალი საზოგადოების მშენებლობის გზას.

მაგრამ ამ იმედების მსხვრევა ჯერ კიდევ 2007 წლის ნოემბერში დაიწყო. ჩვენ გავხდით ისეთი ფაქტების მოწმე, როგორიც იყო მშვიდობიანი დემონსტრანტების სასტიკი დარბევა, დამოუკიდებელი ტელევიზიის დარბევა-მითვისება, საგანგებო მდგომარეობის შემოღება, ყველა პოლიტიკური ოპონენტის ხელაღებით რუსეთის აგენტებად გამოცხადება და საპრეზიდენტო არჩევნების პირველივე ტურში სააკაშვილის მიერ გამარჯვების მითვისება.

**ამ პროცესის ფინალური აკორდი იყო 2008 წლის აგვისტოში რუსეთთან ავანტიურისტულ ომში ჩაბმა, რაც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციით დასრულდა.**

შედეგად, „ვარდების რევოლუციიდან" 8 წლის თავზე ჩემი ქვეყანა, მიუხედავად ცალკეული წარმატებებისა, ჯერ კიდევ ერთპარტიული ავტორიტარიზმისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის გზის გასაყართან დგას. პროგრესი, რომელიც „ვარდების რევოლუციის" შემდგომ პირველ წლებში ჰქონდა საქართველოს ეკონომიკური ლიბერალიზაციის, ადმინისტრაციული რეფორმის, ეფექტიანი სახელმწიფო სტრუქტურების შექმნის, ყოფით დონეზე კორუფციასთან ბრძოლის, ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროებში, არ იქნა გამყარებული პლურალისტური პოლიტიკური სისტემისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებით.

ამის ნაცვლად გვაქვს მართვის სუპერცენტრალიზებული, ხშირად ნეობოლშევიკური სტილი, რომელმაც თავისი თავი, დიდი ხანია, ამოწურა, და ამ გზით ქვეყანა არა თუ წინ ველარ მიდის, არამედ მიღწეულსაც განადგურებით ემუქრება.

მიუხედავად მმართველი გუნდის პოლიტიკის მიმართ ჩემი დამოკიდებულებისა, ოპტიმიზმით შევხვდი ცნობას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვაშინგტონში ოფიციალური ვიზიტით მიწვევის თაობაზე.

ვიცით, რატომ დასჭირდა ამ ოფიციალურ ვიზიტს სამი წელი. საყოველთაოდ აღიარებული პრობლემები დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების, ადამიანის უფლებებისა და კერძო საკუთრების დაცვის, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის სფეროებში, პოლიტიკური ოპოზიციის დევნა და შევიწროება, მედიისა და ბიზნესის პოლიტიკურ კონტროლს დამორჩილება, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღების არაფორმალური პროცესი, ელიტარული კორუფცია ხელს არ უწყობდა ამგვარ ვიზიტს.

მაგრამ გვესმის ისიც, რომ ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობა სწორედ იმას ნიშნავს, რომ **მმართველი გუნდის შეცდომების გამო მრავალმხრივი გამოწვევების წინაშე მდგარი ჩემი ქვეყანა არ უნდა დაისაჯოს. ამიტომ სწორედ ახლა, შემოდგომაზე გასამართი საპარლამენტო არჩევნების წინ, არის აუცილებელი საქართველოს ყველა ჭეშმარიტი მეგობრის მხრიდან პრეზიდენტ სააკაშვილთან ინტენსიური დიალოგი, რათა მან ნებისმიერი მეთოდებით არ სცადოს ძალაუფლების შენარჩუნება, რაც საბედისწერო იქნება საქართველოსთვის.**

ჩვენ ვიცით, რომ ამერიკელები მხარს უჭერენ ქართულ სახელმწიფოს, ქართველ ხალხს და არა — რომელიმე პოლიტიკოსს ან პოლიტიკურ პარტიას. ამ ერთადერთი სწორი კონცეფციის რელიზებისთვის კი საჭიროა, რომ ქართველ ხალხსაც მიეცეს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით საკუთარი ლეგიტიმური წარმომადგენლების არჩევის საშუალება, რაც დემოკრატიული სამყაროს უფრო აქტიური და ქმედითი მხარდაჭერის გარეშე მიუღწეველ ოცნებად რჩება. ამაზე მეტყველებს თუნდაც თბილისში აშშ-ის საელჩოს გასული წლის დეკემბრის განცხადებები საარჩევნო სისტემის, პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონმდებლობისა და კონკურენტული საარჩევნო გარემოს სერიოზული ნაკლოვანებების თაობაზე.



მომავალი საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის შემობრუნების წერტილი უნდა გახდეს. ჩვენ გვჭირდება როგორც მაღალი საგარეო, ასევე შიდა ლეგიტიმაციის მქონე ანგარიშვალდებული ხელისუფლება, რომელიც პროგნოზირებადი და საიმედო პარტნიორი იქნება ჩვენი დასავლელი მოკავშირეებისათვის. გვჭირდება უცხოური ინვესტიციების დაბრუნება, სამუშაო ადგილების შექმნა, სიღარიბის დაძლევა, კონფლიქტების მოგვარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და უსაფრთხოების დონის ამაღლება მთელ სამხრეთ კავკასიაში.

სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რომელიც საფუძვლად უდევს აშშ-სა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობას და რომელიც საქართველოს დღევანდელი უსაფრთხოებისა და მომავალი გამთლიანების უმნიშვნელოვანესი გარანტიაა, პოლიტიკურად და მორალურად ავალდებულებს ჩემს ქვეყანას, მართლაც ღირსი და შემძლე იყოს ამგვარი პარტნიორობისა. ღირსეული პარტნიორობა კი უნდა გულისხმობდეს, მაგალითად, ავღანეთში ქართული შენაერთების ყოფნას, რაც ჩემი ხალხის მიერ გაღებული აუცილებელი მსხვერპლია გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მაგრამ, მეორე მხრივ, ასეთი ღირსეული პარტნიორობა უნდა გამორიცხავდეს, მაგალითად, საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ისეთი პოლიტიკური თუ სამხედრო შეცდომების დაშვებას, რომლებიც შეაფერხებს საქართველოს ნატოში სრულფასოვანი ინტეგრირების პროცესს.

**მე და ჩემი პოლიტიკური პარტნიორები ვიღებთ პასუხისმგებლობას საპარლამენტო არჩევნებში წარმატების შემდეგ ქვეყნის დეკლარირებული საგარეოპოლიტიკური კურსის სრულფასოვან რეალიზებასა და ქვეყანაში მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის დამკვიდრებაზე.** ამიტომ მივმართავთ აშშ-ისა და დემოკრატიული სამყაროს ლიდერებს, მხარი დაუჭირონ ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას და, ამავე დროს, აამოქმედონ მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეთა თავისუფალი ნების გამოვლენის უზრუნველსაყოფად.

ველით და ვიმედოვნებთ, რომ საქართველოსთვის ეს ვიზიტი დემოკრატიული გარდაქმნის გზაზე კონკრეტული წარმატების მომტანი იქნება.

და რომ ჩვენი ოცნება ახდება.

**ბიძინა ივანიშვილი**

**საქართველო**

**წერილი გამოქვეყნდა გაზეთებში: The Washington Post-სა და The New York Times-ში**

**ჩვენ გვჭირდება როგორც მაღალი საგარეო, ასევე შიდა ლეგიტიმაციის მქონე ანგარიშვალდებული ხელისუფლება, რომელიც პროგნოზირებადი და საიმედო პარტნიორი იქნება ჩვენი დასავლელი მოკავშირეებისათვის**

მოკლედ

### ყაზახი მაღლჩინოსანი ტაძრის ფრესკაზე გამოსახეს

**ყაზახეთის იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარში ფრესკაზე კოსტანაის ოლქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი კულაგინი გამოსახეს.** მაღალჩინოსანი იერუსალიმში იესო ქრისტეს შემხვედრთა შორის დგას. კოსტანაისა და რუდნენის ეპარქიის ეპისკოპოსმა ანატოლიმ ეს ფაქტი დასაშვებად მიიჩნია. მისი თქმით, ხატების წერის დროს მხატვრებს „ცხოვრებისეული მაგალითების" გამოყენება შეუძლიათ. „ფრესკებზე ხშირად ნახავთ ეშმაკებს, რომლებიც წმინდანებს თავს ესხმიან, მაგრამ ჩვენ თაყვანს ვცემთ წამებულებს და არა მწამებლებს", — განმარტა ეპისკოპოსმა.

### აღმოსავლეთ ევროპაში 36 ადამიანი გაიყინა

**Daily Mail-ის ინფორმაციით, სულ ცოტა 36 ადამიანი გაიყინა აღმოსავლეთ ევროპაში ყინვისა და დიდთოვლობის გამო.** პოლონეთში, რუმინეთში, სერბიაში, უკრაინაში, ბულგარეთსა და ჩეხეთში ტემპერატურამ მინუს 26 °C-ს მიაღწია, რამაც გზების ჩაკეტვა და ელექტროენერგიის გამორთვა გამოიწვია. სკოლები არ მუშაობს. მოსახლეობას შინ დარჩენისკენ მოუწოდებენ, ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ ასობით თავშესაფარი გახსნა, რათა ადამიანების დაღუპვა აიცილოს თავიდან. გაყინულთა შორის უმეტესობა მოხუცი ან უსახლკაროა.

საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბრიფინგის დასაწყისში ობამამ შეცდომით საქართველოს ნაცვლად რუსეთი ახსენა, რაც შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ მოლაპარაკებების დროს სერიოზული საუბარი მასზე ნამდვილად იყო. დიდი ალბათობით, ,,კადრს მიღმა“ ობამამ სააკაშვილს მოუწოდა, რუსეთთან ურთიერთობებში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოავლინოს.**

# განაჩენი გასაჩივრების უფლებით და სააკაშვილის რუსული «რულეტკა»

**საქართველოში კიდევ დიდხანს გაგრძელდება მსჯელობა ობამა-სააკაშვილის 30 იანვრის შეხვედრაზე, რომლის მუდმივი თანამგზავრი იქნება კონსპიროლოგიური მკითხაობა იმაზე, თუ ,,რა ითქვა სინამდვილეში“ ოვალურ კაბინეტში და კადრს მიღმა დარჩა. ეს, ალბათ, ბუნებრივია იმ ვითარებაში, როდესაც საზოგადოების დიდმა ნაწილმა ჯერაც ვერ დაადგინა, თუ რა ხდება საქართველოს თავს, ხოლო დასავლეთიდან წინააღმდეგობრივი სიგნალები მოდის. ერთის მხრივ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის და HUMAN RIGHTS WATCH-ის ბოლო ანგარიშები, დასავლური მედიის მთელ რიგ პუბლიკაციებთან ერთად, ძმნიან მყარ შთაბეჭდილებას, რომ სააკაშვილის რეჟიმის გასვენების წინა პანაშვიდი უკვე დაიწყო.**



**«ველით, რომ საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდება და ხელისუფლების კანონიერი გადაცემა მოხდება»**

ხელისუფლების ოპონენტები დღეს ამაყად აფრიალებენ ფრაზას, რომელიც ობამამ ბრიფინგზე თქვა: **„ველით, რომ საქართველოში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები ჩატარდება და ხელისუფლების კანონიერი გადაცემა მოხდება“.**

თუმცა იმავე ბრიფინგზე იყო ისეთი ფრაზებიც, რომლებიც სააკაშვილის მომხრეებმა გაშიფრეს როგორც რეჟიმის თითქმის უპირობო მხარდაჭერა. 30 იანვრის შეხვედრის მრავალფეროვანმა ინტერპრეტაციებმა საზოგადოება ერთობ დააბნია; მკაფიო პასუხები თავის კითხვებზე მან ჯერჯერობით ვერ მიიღო.

## ბებერი ხარის რქები

**არჩევნების თაობაზე ობამას განცხადება შეგვიძლია შევადაროთ განაჩენს, რომლის გასაჩივრების უფლება სააკაშვილს რამდენიმე თვის განმავლობაში ექნება; საბოლოო განაჩენის გამოტანამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო რჩება. ძალიან ბევრი რამ ცხადი მაშინ გახდება, როდესაც სააკაშვილი ამერიკიდან დაბრუნდება და შიდაპოლიტიკურ არენაზე ამა თუ იმ ნაბიჯს გადადგამს. მანამდე კი შეგვიძლია იმის დადგენა ვცადოთ, რა თემა დარჩა „კადრს მიღმა“, რადგან მასზე საუბარი ბრიფინგზე მიზანშეწონილი არ იყო.**

ასეთ ბუნდოვან სიტუაციაში ერთი კარგად აპრობირებული მეთოდის გამოყენება შეიძლება; კერძოდ კი, იმის დაკვირვება, თუ რას ამბობენ „ძველი გვარდიის“ წარმომადგენლები, ვეტერანი დიპლომატები, რომლებიც ვითარებას მეორე ეშელონიდან საკუთარ გამოცდილებასა და ალღოზე დაყრდნობით აფასებენ. ისინი, როგორც წესი, კარგად ხედავენ იმას, რაც კვამლში გახვეულ წინა ხაზზე არ ჩანს. ჯერ კიდევ 30 იანვრის შეხვედრამდე, მათი და სხვა კომენტატორების პროგნოზებს შორის ერთი ძნელად შესამჩნევი სხვაობა დაფიქსირდა: **„ვეტერანებს“ წინა პლანზე გამოჰქონდათ თემა, რომელსაც სხვები ან გაკვრით ეხებოდნენ, ან საერთოდ არ ახსენებდნენ, რადგან ობამა-სააკაშვილის შეხვედრას მომავალი არჩევნების და, ძირითადად, აშშ-საქართველოს ორმხრივი ურთიერთობების ჭრილში განიხილავდნენ.** საბოლოოდ, ჩვენ მივედით პარადოქსულ სიტუაციამდე, როდესაც ქართველი კომენტატორების დიდი ნაწილი თითქოსდა ვერ ამჩნევდა იმას, რომ ამ პლანეტაზე, სხვა ყველაფერთან ერთად, რუსეთიც არსებობს, რაც „ვეტერანებს“ ნამდვილად არ დავიწყებიათ. არადა, თუ ამ ფაქტორს არ გავითვალისწინებთ, უკან შეიძლება არა მხოლოდ არჩევნები, არამედ სახელმწიფოებრიობაც დაგვრჩეს.

ორიოდე ციტატა:

**სტივენ სესტანოვიჩი, საგარეო ურთიერთობების საბჭოს წევრი, თავის დროზე სახელმწიფო მდივნის, მადლენ ოლბრაიტის თანაშემწე პოსტსაბჭოთა ქვეყნების საკითხებში:**

**„როგორ შეიცვლება სიტუაცია რუსეთში პუტინის დაბრუნების შემდეგ — ეს ის საკითხია, რომლის გვერდის ავლასაც აშშ-ის და საქართველოს პრეზიდენტები ვერ შეძლებენ. უფრო მნიშვნელოვანი თემა უსაფრთხოების საკითხია და ამ ჭრილში მიხეილ სააკაშვილი და ბარაკ ობამა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს განიხილავენ“** (სააგენტო „პირველი“).

**კენეტ იალოვიცი, აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში:**

**„საერთაშორისო საქმეები და უსაფრთხოების საკითხები საუბარში ცენტრალურ ადგილს დაიკავებენ. სიის ზედა ნაწილში იქნება საქართველოს რთული ურთიერთობები რუსეთთან“** („DF Watch“). იქვე იალოვიცი, ხელისუფლებაში ვლადიმერ პუტინის დაბრუნების კონტექსტში, საუბრობს რთულ სიტუაციაზე კონფლიქტურ რეგიონებში, იმაზე, რომ ობამას, სავარაუდოდ, გაუჩნდება სურვილი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზები განიხილოს და რომ მხარეები ჩრდილოეთ კავკასიაზეც იმსჯელებენ, **„სადაც საქართველოს მნიშვნელოვანი ინტერესები გააჩნია. ეს კიდევ ერთი თემაა, სადაც სიტუაციის გაურესების პრევენციისთვის წინდახედულობა და ნათელი ანალიზია საჭირო“.**

**ბრიფინგის დასაწყისში ობამამ შეცდომით საქართველოს ნაცვლად რუსეთი ახსენა, რაც შეიძლება მიანიშნებდეს იმაზე, რომ მოლაპარაკებების დროს სერიოზული საუბარი მასზე ნამდვილად იყო** (ცხადია, ამ მცირე დეტალზე რამდენადმე ღირებულ დასკვნას ვერ დავაფუძნებთ). **დიდი ალბათობით, „კადრს მიღმა“ ობამამ სააკაშვილს მოუწოდა, რუსეთთან ურთიერთობებში განსაკუთრებული სიფრთხილე გამოავლინოს.**

ეს, სავარაუდოდ, გულისხმობს დისტანცირებას „ჯვაროსნული ლაშქრობისგან“, რომელიც მიზნად ხელისუფლებიდან პუტინის ჩამოცილებას ისახავს, თავის შეკავებას მკვეთრი ნაბიჯებისგან საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებსა და რუსეთის ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში და ზოგადად, უარის თქმას „გადატვირთვის“ ჩაძირვის მცდელობებზე, რაზეც სააკაშვილი (რა დასამალია) ოცნებობს: ხანდახან — მარტო, ხანდახან — ჯონ მაკკეინთან ერთად.

როგორ შევიტყობთ, შეისმინა თუ არა სააკაშვილმა ეს გაფრთხილება (რომელსაც ადგილი, სავარაუდოდ ჰქონდა)? ტესტი, რომელიც ამას ერთმნიშვნელოვნად დაადასტურებს, არ არსებობს. მართალია, ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით, არის ერთი საკითხი, რომელმაც შეიძლება ტესტის როლი შეასრულოს, თუმცა ყოვლისმომცველ პასუხს ის ვერ მოგვცემს. „მედიანიუსის“ ცნობით, **„ევროპაში მცხოვრები ინგუშები საქართველოს 1944 წლის ინგუშთა დეპორტაციის გენოციდად აღიარებას სთხოვენ“.**

შესაბამისი მიმართვა დავით ბაქრაძის სახელზე თბილისში უკვე გავრცელდა. მისი ავტორები ქართულ მხარეს მოუწოდებენ, ეს საკითხი ევროპარლამენტშიც დააყენოს. **ამ ისტორიის გაგრძელება შესაძლებლობას მოგვცემს გარკვეულ ტენდენციებზე ვისაუბროთ, თუმცა გლობალურ დასკვნამდე ნამდვილად ვერ მიგვიყვანს. იმისათვის, რომ გავიგოთ, გვიახლოვდება თუ არა რუსეთ-საქართველოს კონფრონტაციის ახალი ტალღა, რომელიც შეიძლება ახალი ომით დაგვირგვინდეს, სხვა ინდიკატორია საჭირო.**

საერთოდ, ნებისმიერ ომს, თუნდაც ის იდეალურად დაგეგმილი იყოს, ხოლო მისი დაწყება კარგად გააზრებულ ნაბიჯს წარმოადგენდეს, წინ მცდარი წარმოდგენების მთელი სპექტრის გავრცელება უძღვის; ან ხელისუფლებაში (მაშინ როდესაც ის კეთილგონიერებაში მოიკოჭლებს, როგორც სააკაშვილის მთავრობა 2008-ში), ან საზოგადოებაში (მაშინ როდესაც, ის პროპაგანდის მიერ გავრცელებული შტამპების ტყვეობაში ექცევა), ან ორივეში ერთად (მაშინ როდესაც საქმე ძალზე ცუდადაა). როგორია ეს მცდარი წარმოდგენები, რომელთა ფართო გავრცელება შეიძლება ომის საფრთხეზე მიანიშნებდეს?

## ზეგ იყო ომი

**პროფესორმა გრეგ კეშმანმა, არ დაიზარა და თავის საკმაოდ საინტერესო წიგნში „რა იწვევს ომს?“ რეალობას დაშორებული, არაკორექტული წინასაომარი წარმოდგენები აღწერა.** მათ შორის: ▶

---

მოკლედ

## რუსეთში რევოლუციის წინაპირობა არ არსებობს

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი აცხადებს, რომ რუსეთში რევოლუციების ლიმიტი ჯერ კიდევ XX საუკუნეში ამოიწურა.** ამას გარდა, რუსეთის პრეზიდენტის აზრით, ფედერაციის ტერიტორიაზე რევოლუციის მოსახდენად არავითარი წინაპირობა არ არსებობს. ეს განცხადება მედვედევმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას გააკეთა. „ძალიანაც არ მინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოვლენები რომელიმე რევოლუციური ან ექსტრემალური სცენარით განვითარდეს. გულწრფელად გეტყვით, რომ მე ამისათვის ვერავითარ წინაპირობას ვერ ვხედავ“, — ბრძანა პრეზიდენტმა.

## ევროპული „პროს“ შექმნისთვის 8-10 წელია საჭირო

**ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის ფარის შექმნისთვის ევროპაში 8-10 წელია საჭირო.** ეს განცხადება ნატოს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა გააკეთა. „ეს სისტემა რვიდან ათ წლამდე პარიოდში განვითარდება“, — განუცხადა მან ჟურნალისტებს ბრიუსელში და აღნიშნა, რომ, თუ მაისში ნატოს ჩიკაგოს სამიტზე გამოაცხადებენ ნატოს ევრპული „პროს“ შესახებ, ეს „მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება“. შეგახსენებთ, რომ ნატოს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემის ფარის შექმნა ევროპაში 2010 წლის ნოემბერში ლისაბონში გადაწყდა.

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გადაუჭრელი კონფლიქტები, სრული გაურკვევლობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში და ხელისუფლების სათავეში მენტალურად ერთობ არასტაბილური ლიდერის ყოფნა მისი დაწყების ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.**
**ვიდრე ყველა მხარისთვის კონფლიქტის მოგვარების მეტ-ნაკლებად მისაღები სტრატეგიის ფორმულირება არ მოხდება, სავარაუდოდ, მუდმივად ომის ზღვარზე ბალანსირება მოგვიწევს.**

◀ 1) ოპონენტი აღიქმება როგორც უფრო მტრულად განწყობილი, ვიდრე სინამდვილეში არის. შედარებით იშვიათია შემთხვევები, როდესაც მას „უფრო მეგობრულად" თვლიან, თუმცა ადგილი ასეთ ვარიანტსაც აქვს;

2) ხდება ძალთა ბალანსის არასწორი შეფასება და ამ დროს ოპონენტს უფრო სუსტად წარმოვიდგენთ, ვიდრე სინამდვილეში არის;

3) მკვიდრდება წარმოდგენა, რომ ომი გარდაუვალია;

4) ვრცელდება აზრი იმის შესახებ, რომ ომი ხანმოკლე და ნაკლებად ხარჯიანი იქნება;

5) არასწორად ფასდება მესამე ქვეყნების შესაძლებლობები და მოტივები;

6) მკვიდრდება არასწორი წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რას ფიქრობს ჩვენზე ოპონენტი; ამ დროს, როგორც წესი, გვგონია, რომ ის ისევე აღგვიქვამს, როგორც ჩვენ — საკუთარ თავს.

ყოველივე ამის საილუსტრაციოდ, როგორც წესი, გამოიყენება პერიოდი I (უფრო იშვიათად — II) მსოფლიო ომის წინ, თუმცა ამ პუნქტებისთვის თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ მათზე დაყდნობით „აგვისტოს ომის" ფრიად შინაარსიანი ისტორიის დაწერა შეიძლება.

**2008 წლის მოვლენებს თითქოსდა რეალობაში უნდა დავებრუნებინეთ, თუმცა ჩამოთვლილი სიმპტომები არ გამქრალა. მეტიც, ბოლო დროს მათ სულ უფრო ხშირად ვხედავთ. ეს კი ირიბად ახალი ომის საფრთხეზე მიგვანიშნებს, მითუმეტეს, რომ გადაუჭრელი კონფლიქტები, სრული გაურკვევლობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში და ხელისუფლების სათავეში მენტალურად ერთობ არასტაბილური ლიდერის ყოფნა მისი დაწყების ალბათობას მნიშვნელოვნად ზრდის.**

**ვიდრე ყველა მხარისთვის კონფლიქტის მოგვარების მეტ-ნაკლებად მისაღები სტრატეგიის ფორმულირება არ მოხდება, სავარაუდოდ, მუდმივად ომის ზღვარზე ბალანსირება მოგვიწევს.**

საინტერესოა, რომ „ცივი ომის" დასრულების შემდეგ, გონივრული კომპრომისის საფუძველზე არც ერთი „ცხელი კონფლიქტი" არ მოგვარებულა; ბიპოლარული მოდელის მსხვრევამ ეს შედეგიც მოიტანა. თანამედროვე სამშვიდობო დარეგულირება სინამდვილეში ერთი მხარის მიერ მეორის „დაჩაგვრის" გაფორმებას წარმოადგენს (ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამ მხრივ ყოფილი იუგოსლავიაა), ხოლო იმ სიტუაციაში, როდესაც ვაშინგტონი ვერ ახერხებს (ან არ უღირს), რომ ამა თუ იმ ქვეყანას თავს საკუთარი ნება მოახვიოს, კონფლიქტი „იყინება" და არასტაბილურობის მუდმივი გენერატორის ფუნქციას იძენს. საქართველოს შემთხვევაში, ახალი ომის დაწყების საფრთხის მინიმიზება, პრინციპში, დღემდე ვერ მოხერხდა და, ზოგიერთი შეფასებით, ის იზრდება კიდეც. იმისთვის, რომ ახლო მომავალში ეს არ მოხდეს, საჭიროა კონფლიქტის მოგვარების ყველა მხარისთვის ასე თუ ისე მისაღები, სიცოცხლისუნარიანი სტრატეგია, რომელიც გარკვეულწილად რევოლუციური იქნება, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ბოლო ათწლეულების ისტორიაში ამ მხრივ მისაბაძი მაგალითი არ არსებობს.

**მოსკოვი უკან არ იხევს, ვაშინგტონს „სახის დაკარგვა" არ სურს, თუმცა თეთრ სახლში, სავარაუდოდ, იმასაც აცნობიერებენ, რომ იმის პასიური ლოდინი, თუ როდის გაჭრიან რუსული ტანკები ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანს ირანის საზღვრამდე სააკაშვილის მორიგი არაგონივრული ნაბიჯის შემდეგ, კონტრაპროდუქტიულია, განსაკუთრებით დღეს, როდესაც თბილისელი პარტნიორი ძლიერ ნერვული და თითქმის უმართავი გახდა.**

ეს ჩიხური, ჰაერში გამოკიდებული სიტუაცია ევროპულ, უფრო კონკრეტულად კი გერმანულ დიპლომატიას მანევრისთვის გარკვეულ სივრცეს უხსნის. სათანადო სურვილი, რესურსი და გამოცდილება მას ნამდვილად აქვს და ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ალბათ, ურიგო არ იქნება დაფიქრება იმაზე, თუ რისთვის ჩამოვიდა საქართველოში გასულ კვირას, კიდევ ერთი „ვეტერანი" მეორე ეშელონში დაბანაკებული „ძველი გვარდიიდან", კერძოდ კი ჩვენი ძველი ნაცნობი ბატონი დიტერ ბოდენი.



**ხელისუფლებამ იგრძნო, რომ თამაშგარე მდგომარეობაში რჩება და ერთ-ერთი მთავარი კოზირი, კონფლიქტის მოგვარების სიცოცხლისუნარიანი სტრატეგია, რომელზეც ბოდენი და მისი გერმანელი კოლეგები დღესაც მუშაობენ, ახლო მომავალში შეიძლება ამ ხელისუფლების მთავარი ოპონენტის სახელს დაუკავშირდეს**

### რისთვის ჩამოვიდა ბოდენი?

**„ბოდენის გეგმა", „შტაინმაიერის გეგმა"... დღევანდელი გადასახედიდან ისინი სამაშველო რგოლებს ჰგავს, თუმცა იმ დროს, როდესაც ეს რგოლები თბომავალ „ბერლინის" ბორტიდან გადმოგვიგდეს, ჩვენ რატომღაც არ ვთვლიდით, რომ ვიხრჩობოდით და სასწრაფოდ შველა გვჭირდებოდა.**

თავიდან ბოდენი, რომელიც ამჟამად „ბოშის ფონდში" მოღვაწეობს და, ფორმალური თვალსაზრისით, დამოუკიდებელი კონსულტანტია, სოხუმს ესტუმრა, ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა და (ანქვაბის ადმინისტრაციისა და „აფსნიპრესის" ცნობით) განაცხადა, რომ აფხაზეთში ევროპარლამენტისა და ბუნდესტაგის დეპუტატების ჯგუფის ვიზიტის ორგანიზებას აპირებს. შემდეგ ის თბილისში გამოჩნდა, სადაც ბიძინა ივანიშვილსა და თედო ჯაფარიძეს შეხვდა (სხვათა შორის, თუ საქმე ივანიშვილის მთავრობის ფორმირებამდე მივა, ჯაფარიძემ მასში შეიძლება საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავოს. შეხვედრა ბოდენთან აქ არაფერ შუაშია; ვარაუდი სხვა ფაქტებს ეფუძნება). ხელისუფლება კი ამ დროს მეტად უცნაურად იქცეოდა.

**ნუგზარ წიკლაურმა, პავლე კუბლაშვილმა და შოთა მალაშხიამ სააგენტო „პირველს" განუცხადეს, რომ საქართველოში ბოდენის ვიზიტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობენ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ჯალაღანიამ კი ორშაბათის ბრიფინგზე თქვა, რომ სოხუმში ვიზიტის შესახებ იცის და დეტალურ ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი ფლობს.** ივანიშვილი-ბოდენის შეხვედრასთან დაკავშირებით, ჯალაღანიამ, ერთობ ფილოსოფიურად განაცხადა, რომ „არ ესმის, რატომ უნდა იცოდეს მან საერთოდ ამ შეხვედრის შესახებ". **ყოველივე ამან შექმნა შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ამ თემაზე საუბარს გაურბის. როდესაც სოხუმში დომინოს ჩემპიონატის ჩატარება იგეგმებოდა, ის განგაშის ზარებს რეკავდა. დღეს კი, როდესაც იქ ევროპელი პარლამენტარების ჩასვლა იგეგმება, ხელისუფლება უცნაურად დუმს.** შესაძლოა იმიტომ, რომ მთავარი მისთვის არა აფხაზური ამბები, არამედ ბოდენისა და ივანიშვილის შეხვედრაა, რომელიც (მედიაში მოკრძალებული გაშუქების მიუხედავად), შესაძლოა, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, რომელშიც ივანიშვილი ბოლო თვეებში მონაწილეობდა. გამორიცხული არაა, რომ **რაღაც მომენტში ხელისუფლებამ იგრძნო, რომ თამაშგარე მდგომარეობაში რჩება და ერთ-ერთი მთავარი კოზირი, კონფლიქტის მოგვარების სიცოცხლისუნარიანი სტრატეგია, რომელზეც ბოდენი და მისი გერმანელი კოლეგები დღესაც მუშაობენ, ახლო მომავალში შეიძლება ამ ხელისუფლების მთავარი ოპონენტის სახელს დაუკავშირდეს.**

ეს შეხვედრა, სავარაუდოდ, გაცნობით ხასიათს ატარებდა. კონკრეტიკაზე საუბარი ამ შემთხვევაში ძალზე ნაადრევია, თუმცა საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა შთაბეჭდილებებით დაბრუნდება ბოდენი გერმანიაში და ვის გაუზიარებს მათ; **ძველი ჩინელების თქმისა არ იყოს, „დიდი გზის გავლა პირველი ნაბიჯით იწყება". გამორიცხული არაა, სააკაშვილის ხელისუფლება ამ გზის პირას პირდაღებული და განაწყენებული დარჩეს იმიტომ, რომ პირველი ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა.**

ნებისმიერ შემთხვევაში, თვალი მივადევნოთ ამ ისტორიის შემდგომ განვითარებას, ეს, ალბათ, გაცილებით პროდუქტიული იქნება, ვიდრე დაუსრულებელი მკითხაობა იმაზე, თუ რა უთხრა ობამამ სააკაშვილს სინამდვილეში; ქვეყნის გამთლიანების პერსპექტივა უფრო მნიშვნელოვანი თემაა, ვიდრე სააკაშვილის, მალაშხიას და წიკლაურის დღევანდელი ვნებები და საბოლოო ხვედრი.

**დიმიტრი მონიავა**

**მოსკოვი უკან არ იხევს, ვაშინგტონს «სახის დაკარგვა» არ სურს, თუმცა თეთრ სახლში, სავარაუდოდ, იმასაც აცნობიერებენ, რომ იმის პასიური ლოდინი, თუ როდის გაჭრიან რუსული ტანკები ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანს ირანის საზღვრამდე სააკაშვილის მორიგი არაგონივრული ნაბიჯის შემდეგ, კონტრაპროდუქტიულია**

## მით რომნიმ ვლადიმერ პუტინს ტირანი უწოდა

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა მით რომნიმ რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინს ტირანი უწოდა. „მოსკოვსკი კომსომოლეცის" ინფორმაციით, „რომნიმ ობამას ადმინისტრაციის მოსკოვთან დაახლოების პოლიტიკას შეცდომა უწოდა, ვლადიმერ პუტინი ფიდელ კასტროს შეადარა და ორივე მათგანს ტირანი უწოდა".** „ობამას შეცდომა მსოფლიოს ყველაზე უარეს პოლიტიკურ მოღვაწეებთან დაახლოებაა, იქნება ეს პუტინი რუსეთში, რომელსაც ობამამ ყველაფერი დაუთმო, რისკენაც კი ეს უკანასკნელი ილვწოდა, თუ კასტრო, შეამსუბუქა რა ობამამ სანქციები კუბის მიმართ. მთელ მსოფლიოში ტირანები ობამას მიერ გამოვლენილ სისუსტეს იყენებენ, რათა ის თავის სასარგებლოდ შემოაბრუნონ", — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა.



## მედვედევი ქართველ ხალხთან გაუცხოების დასრულებას იმედოვნებს

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი იმედოვნებს, რომ „გაუცხოების ხაზი" ქართველ ხალხთან ურთიერთობებში მალე დასრულდება, მაგრამ ამისათვის საქართველოს ხელისუფლების მიერ შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა იქნება საჭირო.** ამასთან ერთად, რუსეთის პრეზიდენტს საქართველოს პრეზიდენტის მიმართ აზრი არ შეუცვლია. „ჩვენ მზად ვართ, საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები აღვადგინოთ. ჩვენ ხომ არ გაგვიწყვეტია ისინი. ჩემთვის არსებობს მხოლოდ ერთი ადამიანი, ვისთანაც მე საქმის დაჭერა არ მინდა. მე მას არც შევხვდები და არც ხელს ჩამოვართმევ. რაც შეეხება ქართველ ხალხს მთლიანობაში, მე ძალიან მინდა, რომ ეს გაუცხოების ხაზი რაც შეიძლება მალე დასრულდეს", — განაცხადა მედვედევმა.

## აშშ «თალიბებთან» მოლაპარაკებებს მართავს

**ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები ყატარში მოძრაობა „თალიბანთან" მოლაპარაკებებს მართავენ.** მოლაპარაკებების მთავარ მიზანს ავღანეთში ომის დასამთავრებლად ზომების გატარება და ნდობის აღდგენა წარმოადგენს. „ნიუ-ორკ თაიმსის" ინფორმაციით, შეხვედრებზე მოლაპარაკებების ერთ-ერთი მთავარი თემა ტყვეების გაცვლის საკითხიც იქნება, თუმცა გამოცემა აქვე აღნიშნავს, რომ ოფიციალური ვაშინგტონი მოლაპარაკებების არსებობის შესახებ ინფორმაციას არ ადასტურებს.



## ირანს სანქციები არ აშინებს

**ირანი მზადაა, დასავლეთთან მოლაპარაკებები განაახლოს, თუმცა ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმას არ აპირებს. ამის შესახებ ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა ქალაქ კერმანში სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.** „დასავლეთი ვითარების განზრახ დაძაბვას ცდილობს. სანქციების დაწესება ვერ გვაიძულებს, ბირთვულ პროგრამაზე უარი ვთქვათ. ბირთვული პროგრამა მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ემსახურება", — განაცხადა აჰმადინეჯადმა.

ნაც-ძარცვა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამათი ნება რომ იყოს, იუდას მაცხოვრის გაცემისთვის 30 ვერცხლს იქით გადაახდევინებდნენ. გილაურის 20 ვერცხლიც საკუთარი ხალხის გაყიდვის საფასურია. საფასურის გადახდას კი არავინ გეკითხება, — თვითონ ჩამოგაჭრიან. ვილაცამ არ დაიზარა და დაიანგარიშა, რამდენი იქნებოდა დღეს იუდას მიერ აღებული 30 ვერცხლი და 240 ათასი დოლარი გამოუვიდა.**

# გილაურის 20 ვერცხლი

**ჭკვიანი ხალხი საკუთარი მთავრობის უჭკუობაზე მის მიერ დაწესებული გადასახადების მიხედვით მსჯელობს. „რკინის ლედიდ“ აღიარებულმა მარგარეტ ტეტჩერმა 30 წლის წინ არჩევნებზე ხმის მიცემისთვის გადასახადის დაწესება მოინდომა. კონსერვატიზმით განთქმული ბრიტანელები ტრაფალგარის მოედანზე გამოვიდნენ და ყოველგვარი არჩევნებისა და გადასახადის გარეშე მიაბრძანეს პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი თანამდებობიდან.**



ჩვენს წელთაღრიცხვამდე პირველ საუკუნეში რომის იმპერატორმა ვესპასიანემ აღმოაჩინა, რომ „ფულს სუნი არა აქვს“ და ტუალეტებზე გადასახადი დააწესა. ბიზანტიაში „ჰაერის გადასახადი“ არსებობდა: რაც უფრო მაღალი იყო სახლი, მით უფრო მეტს იხდიდა მისი პატრონი გადასახადის სახით. თანამედროვე ვენეციაში კი „ჩრდილის გადასახადი“ სულ ახლახან, 1993 წელს, შემოიღეს. კაფეების პატრონები, რომელთაც ქოლგები და მაგიდები ტროტუარზე გამოაქვთ, სწორედ ამგვარი გადასახადით იბეგრებიან.

ავადსახსენებელი საბჭოთა კავშირი უშვილობის გადასახადით ბეგრავდა 20-დან 50 წლამდე მოქალაქეებს. ამ გადასახადით მიღებული შემოსავალი სსრკ ბიუჯეტის 6%-ს შეადგენდა. ჩვენს ხელისუფლებას რომ ქართველების გამრავლების საკითხი აინტერესებდეს, სწორედ ამ გადასახადს შემოიღებდა, მაგრამ ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ გადასახადზე უფრო უაზრო და უკანონო გადასახადი შემოიღეს.

ამ დღეებში მობილური ტელეფონის ყველა მომხმარებელმა მიიღო მოკლე ტექსტური შეტყობინება: **„მთავრობის 489-ე დადგენილებით, 01.01-დან 112-ის საფასური – 20 თეთრი (იურიდიულ პირებს – 50 თეთრი) დაგექვითებათ ანგარიშიდან, თუ ნომრიდან თვეში 5 ლარზე მეტია დახარჯული“. ამ „ვესპასიანურ სიბრძნესთან“ შედავება მხოლოდ კიდევ უფრო უაზრო და უკანონო გადასახადს – ელექტროენერგიაზე მიბმულ ნაგვის გადასახადს შეუძლია!**

რაიმე ხერხის გამოყენებით ამ 20-თეთრიან გადასახადს რომ თავი ვერ აარიდო, მთავრობამ დადგენილებაში საგანგებოდ მიუთითა, რომ მომსახურების საფასური ჩამოგეჭრებათ „მიუხედავად აბონენტად გახდომის რიცხვისა (ანუ ახალი ნომერი რომ არ აიღო და ასე არ გაექცე 20-თეთრიან ბეგარას)“ და თუ თქვენი ტელეფონი „კალენდარული თვის განმავლობაში ერთხელ მაინც იყო ორმხრივად ჩართული“ (ანუ ერთხელ მაინც თუ დარეკე შენი ტელეფონიდან).

ახლა ვნახოთ, ვის ევალება ამ გადასახადის ამოღება: „საფასურის ამოღებას, ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით, უზრუნველყოფს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი პირი... საფასურის გადახდა-ამოღება ხდება სააბონენტო გადასახდელთან ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ღირებულებასთან ერთად. აბონენტის მიერ მომსახურების მიმწოდებლისთვის გადახდილი თანხიდან, პირველ რიგში, უნდა დაიფაროს საფასური“.

**ერთი სიტყვით, საქართველოს მთავრობამ საკომუნიკაციო კომპანიებს არამარტო გადასახადის ამოღება „შეაწერა“, არამედ ისიც დაავალა, რომ ჯერ 112-ის საფასური ამოიღოს და მერე მიხედოს საკუთარ შემოსავალს ტელეფონზე მოსაუბრე ჩვენი ლაღი მოსახლეობისგან!**

თუმცა ჩვენი ნაციონალური მთავრობა არც სოციალურად დაუცველებს ივიწყებს და დადგენილებაში ცალკე მიუთითებს: „საფასურის გადახდისგან თავისუფლდებიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრები, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 ათასს“. ოღონდ მთელი ცინიზმი იმაშია, რომ ტელევიზორისა და მობილურის მქონეს არავინ შეიყვანს „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“!

მიხეილ სააკაშვილმა, რომელსაც უფასო სასადილოში უკბილო მოხუცების დანახვაზე გული აუჩუყდა, იქვე გადაწყვიტა, რომ მოხუცებისთვის კბილები ჩაესვა და „ბედნიერი ღიმილი“ ეჩუქებინა: **„ის ადამიანები, რომლებიც სათნოების სახლის მომსახურებით სარგებლობენ და ყველაზე მეტად სჭირდებათ დაცვა, მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა აღვრიცხოთ. მათთვის გამოვყოფთ თანხას, რათა სტომატოლოგიური პრობლემები მოვუგვაროთ. მინდა, ყველა ასაკოვანი ადამიანი იღიმებოდეს“.**

მთავრობის 489-ე დადგენილების წაკითხვის შემდეგ მართლაც ყველა იღიმება (ასაკოვანიც და უასაკოც) – ოღონდ სიმწრით. მიშა, ნუ გვაძრობ ტყავს გადასახადებით და ჩვენ თვითონ ჩავუსვამთ ჩვენს ბებიებს კბილებს! **ჯერჯერობით ხალხის ჯიბიდან ამოღებული გადასახადებით ერთადერთმა ადამიანმა მოიგვარა ტუჩ-თეძოს პრობლემები და ეს ერთი ადამიანი სათნოების სახლში კი არ სადილობს, შვეიცარიაში, ხუთვარსკვლავიან კლინიკაში მშობიარობს! ეს ერთი ადამიანი თბილისის მერის ცოლია და სულ მოკლე ხანში უბრალო ვიზაჟისტიდან მსხვილ ბიზნეს-ლედიდ გადაიქცა!**

## პატრულის, სასწრაფოს და სახანძროს გამოძახება ფასიანი გახდა!

სხვათა შორის, ამგვარი ქალბატონებისთვის ბრიტანეთის მთავრობამ სპეციალური გადასახადის შემოღება გადაწყვიტა, რომელსაც ენამწარე ჟურნალისტებმა „ძუძუს გადასახადი“ შეარქვეს. სხვადასხვა სახის პლასტიკური ოპერაცია დამატებით 20%-ით დაიბეგრება, რადგან იგი ჯანმრთელობისთვის კი არა, სილამაზისთვის კეთდება, ანუ ფუფუნებაა. ამგვარი ფუფუნების საშუალებას ჩვენი დიდმოხელეების (და არამარტო თბილისის მერის) ცოლები (და არამარტო ცოლები) სწორედ ჩვენი ჯიბეებიდან ამოღებული უკანასკნელი თეთრებით აძლევენ საკუთარ თავს. ბრიტანეთის მთავრობამ კი იანგარიშა, რომ „ძუძუს გადასახადიდან“ ბიუჯეტში დამატებით 500 მილიონი ფუნტი სტერლინგი შევა.

სოციალურ ქსელებში მთავრობის 489-ე დადგენილებით დაკანონებულ ამ საგადასახადო ყაჩაღობას უკვე შეარქვეს „შაჰ-აბაზი“, რადგან ძველად 20 თეთრს აბაზი ერქვა. ერთ-ერთ კომენტარში ვკითხულობთ: **„მართლაც, რა მნიშვნელობა აქვს, ხარკს შენიანი დაგაკისრებს თუ დამპყრობელი?! უბრალოდ, ჩვენს შემთხვევაში თვალს ვხუჭავთ, რადგან გვეშინია, არ დაგვიპყროს მტერმა, რეალურად კი მთავარ მტერს გზა გავუხსენით და ხელისუფლებას ვამართვინებთ. მტერია იმიტომ, რომ საკუთარი ხალხის მოკეთე ხარკს არ დააკისრებს თავის ხალხს“.**

სხვა კომენტარი აზუსტებს: „სასწრაფო დახმარებას კი არ უნდა გადავუხადოთ აღნიშნული დადგენილებით 20 თეთრი, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმისთვის, რომ ამდენს გვისმენენ ტელეფონებზე. ხომ იღლება ეს ხალხი, არა“?

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ **ამ ხარკს თუ ბეგარას იმის მიუხედავად, ვიხდით, დავრეკავთ თუ არა 112-ზე!**

2011 წლის 24 ნოემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის — „112“-ის შექმნის შესახებ, რომლითაც დაფუძნდა საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა. აღნიშნული სამსახური შედის შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში. სსიპ „112“-ის მიზანია საგანგებო სიტუაციებში გადაუდებელი დახმარების ოპერატიული და ეფექტიანი მართვა. 112-ზე დარეკვით შესაძლებელი იქნება გადაუდებელი დახმარების გამოძახება შემდეგი სახის სიტუაციების არსებობისას:

სახანძრო სიტუაციები;

სამაშველო სიტუაციები;

გადაუდებელი სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების აუცილებლობა;

სამართალდარღვევისას შესაბამისი სამსახურის გამოძახების აუცილებლობა;

ბუნებრივი გაზით მომარაგების შეწყვეტის, შეზღუდვის და (ან) წნევის დასაშვები ნორმებიდან გადახრის შემთხვევაში რეაგირების საჭიროება;

სასმელი წყლით მომარაგების შეწყვეტის და (ან) წნევის ცვალებადობის შემთხვევაში რეაგირების საჭიროება.

2012 წლის 1 იანვრამდე ყველა ეს სატელეფონო მომსახურება უფასო იყო. ახლა წარმოიდგინეთ, რომ კბილებჩასმულ ამერიკელ ბებოს, რომელიც კვირაში ერთხელ 911-ზე რეკავს, რათა საკუთარი კატა ხიდან მაშველებს ჩამოაყვანინოს, ვინმემ თუნდაც 5 ცენტი რომ ჩამოაჭრას მობილურის ანგარიშიდან(!), ალბათ, ისევე მოიქცევა, როგორც ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივი:

**„ნაცვალი თუ იასაული, რაგინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიჭაჭანებდნენ, და თუ რამეს გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხდა, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა. ნამეტნავად გზირს კარგად ახსოვდა ეს ამბავი, და მერე ხომ მთელმა სოფელმაც შეიტყო. გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაერთმია, — დიამბეგი მობრძანდა, სოფლად ქათმებს ვაგროვებთო, და ასეთი ვაი-ვაგლახი დააწია, რომ ამბობენ, გუბერნატორამდე თავის ფეხით იარაო და ერთი ქათამი შვიდეულად დაუსვა მოურიდებელ გზირსაო. თუმცა თითონ ქვრივსაც ერთი ათიოდ მანეთი შემოჰხარჯოდა მისვლა-მოსვლაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე: — ფული რა არის?! ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, ეს რადა ჰღირს! ტყუილუბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა?!“.**

სოციალური ქსელის ერთ-ერთი კომენტატორი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ოთარაანთ ქვრივის ნათქვამს: **„მე 20 თეთრი არ მიჭირს, ძალადობის ატანა მიჭირს“!** სხვადასხვა გამოთვლებით, **სახელმწიფოსგან უხვად დაფინანსებული შსს-ს სსიპ „112“ თვეში დამატებით 200 ათასიდან 400 ათას ლარამდე შემოსავალს მიიღებს, ისიც, თუ მხოლოდ 1 მილიონ მობილურ აბონენტზე ვიანგარიშებთ.** განსაკუთრებით მომხიბლავი კი ის არის, რომ ჩვენსავე მოყურადებას ვაფინანსებთ და ეს „საჯანაბო ქისა“ (ესეც ოთარაანთ ქვრივის ტერმინია და ფოსტის ფულსა და ბეგარას ნიშნავს!) ყველას — უმწეოსა და შეძლებულს, ერთნაირად სცინცლავს ფულს.

აინშტაინობა არ სჭირდება იმას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და მისი „112“-ის ბიუჯეტების ფარდობითობა დავინახოთ. 584 მილიონის პატრონს (2012 წელს სწორედ ასეთი ბიუჯეტი ექნება შსს-ს) თუნდაც 400 ათასი ლარი რომ არ ენაღვლება, ცხადია. მთავარი აქ ის არის, რომ მორჩილების კიდევ ერთი ზღუდე აღებულია. **ყველამ უნდა იცოდეს, რომ, რაც მისია, ისიც მთავრობის იქნება, როცა გაეხარდებათ და რამდენჯერაც!**

ჩვენს მთავრობას მხოლოდ საკუთარი სქელი ქისა ადარდებს, იმავე ოთარაანთ ქვრივის ქისები — „მიეცი და მოგეცეს“ ან „საჭირნახულო“ მისთვის უცხოა. ქვრივსაც კი ჰქონდა მოჯამაგირის საჯამაგირო და სახარჯო პურის ფული გადანახული. **ესენი მხოლოდ თავისთვის ინახავენ და თავისთვის ხარჯავენ. ამათი ნება რომ იყოს, იუდას მაცხოვრის გაცემისთვის 30 ვერცხლს იქით გადაახდევინებდნენ.**

გილაურის 20 ვერცხლიც საკუთარი ხალხის გაყიდვის საფასურია. საფასურის გადახდას კი არავინ გეკითხება, — თვითონ ჩამოგაჭრიან. ვილაცამ არ დაიზარა და დაიანგარიშა, რამდენი იქნებოდა დღეს იუდას მიერ აღებული 30 ვერცხლი და 240 ათასი დოლარი გამოუვიდა. დღევანდელი კურსით კი, ეს თანხა ლარებში 398 ათასი გამოდის, ანუ ის თანხა, რაც მიახლოებითი გათვლით „112“-მა უნდა მიიღოს 20-20 თეთრის ჩამოჭრით!

მაცხოვარმა, როცა იუდას ვერცხლისმოყვარეობის ვნება შეამჩნია, მას მოციქულების საერთო ყულაბა ჩააბარა და ნება მისცა, საკუთარი შეხედულებისამებრ ეხარჯა ფული, თავის თავს ხომ ველარ მოჰპარავდა! იუდას სულში მაინც არაფერი შეიცვალა. **„ხოლო იუდამ წაიყვანა რომაელთა რაზმი და მღვდელმთავართა და ფარისეველთა მიერ გამოგზავნილი მსახურნი. და მივიდნენ იქ ლამპრებით, ჩირაღდნებითა და იარაღით. იესო, რომელმაც იცოდა, რაც მოელოდა, გამოვიდა და უთხრა: ვის ეძებთ? მიუგეს მას: იესო ნაზარეველს. უთხრა მათ: მე ვარ. როდესაც უთხრა, მე ვარო, დაიხიეს უკან და მიწაზე დამხნენ“.**

იესოს შეეძლო, თავი დაეხსნა, რადგან მის წინაშე ჯალათებიც კი მიწაზე ემხობოდნენ, მაგრამ მაინც ჩაბარდა. ამგვარად, მისი ჯვარცმის ტვირთი ნებაყოფლობითი აქტი იყო, კაცობრიობის გამოსახსნელად გაწეული.

ეს ხელისუფლებაც ლამპრებით, ჩირაღდნებითა და იარაღით არის მოსული, ქართველები კი ნებაყოფლობით ჩაბარდნენ, ოღონდ კაცობრიობის მხსნელის საქციელის გამეორების მცდელობაც ამპარტავნობაა, ანუ მძიმე ცოდვა. უფალს ჩვენთვის კაცობრიობის ხსნა არ დაუვალებია, გვითხრა, ხელი გაანძრიეთ და გეშველებათო!

**თამარ დავითულიანი**

**ამერიკა, ბუნებრივია, კვლავ გამოიყენებს საქართველოს რუსეთზე ზეწოლის იარაღად, რათა არ დაუშვას მისი გლობალური კონკურენტის გაძლიერება. ეს დამოკიდებულება არ შეიცვლება მაშინაც კი, ამერიკა-რუსეთს შორის ინტერესთა თანხვედრა და ურთიერთობის ინტენსიფიკაცია რომც მოხდეს... რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკის წარმმართველად კი ანტირუსული რიტორიკის უბადლო მცოდნე მიხეილ სააკაშვილი იდეალური ვარიანტია, რომელიც ამ პოლიტიკას ატარებდა და გაატარებს მომავალშიც.**

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქიმიოთერაპია

### «დემოკრატიის» მეოთხე სტადია



# ერთგული პროკონსული

**პროკონსული იმპერიის ცენტრში ანგარიშის ჩასაბარებლად და ახალი დავალების მისაღებად დაიბარეს. სწორედ ასე შეიძლება შეფასდეს სააკაშვილის „თეთრ სახლში“ მიწვევისა და ობამასთან შეხვედრის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების არც თუ ისე უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც ამერიკას „დემოკრატიის მესიად“ აღიქვამს, ამ შეხვედრაზე განსაკუთრებულ იმედებს ამყარებდა. საზოგადოების ამ ნაწილში იმთავითვე გაჩნდა მოლოდინი, რომ ობამა სააკაშვილს საქართველოში დემოკრატიის დასამარების გამო „ყურს აუწევდა“ და ძალაუფლების დათმობას აიძულებდა.**

მაგრამ მივიღეთ ის, რაც მივიღეთ, ანუ არაფერი ისეთი მნიშვნელოვანი, რაც საქართველოს და ქართველ ხალხს დაეხმარებოდა დემოკრატიისა და სუვერენიტეტის განმტკიცებაში. „მიშაკრატიული“ ავტორიტარიზმი კი ისევ ხელშეუხებელი დარჩა, რადგან ობამაც ისევე აღფრთოვანდა „დემოკრატიის შუქურით“, როგორც მისი წინამორბედი. **„საქართველო მართლაც ამაყი უნდა იყოს იმ პროგრესით, რომელსაც მიაღწია როგორც დემოკრატიულმა და სუვერენულმა ქვეყანამ. ერთ-ერთი პირველი, რაც მე გავაკეთე, გამოვხატე ჩემი პოზიცია, რომ ვაფასებ იმ ინსტიტუციების აშენებას, საქართველოში რომ განხორციელდა. მნიშვნელოვანია, რომ უმცირესობების პატივისცემა ხდება, პოლიციის სისტემა და კანონის უზენაესობა დაცულია. ვაფასებ, რაც წარსულში მოხდა და მოველით, რომ ჩატარდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები,“** — განაცხადა ბარაკ ობამამ შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საქართველო ამერიკას არ სჭირდება როგორც ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც შეძლებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას და არ იქნება მუხლებზე დაჩოქილი „თეთრი სახლის“ შესასვლელთან დახმარების მოლოდინში, რომელსაც ექნება დამოუკიდებელი სასამართლო, თავისუფალი მედია, სამართლიანი არჩევნები და სხვ., ის მნიშვნელოვანი ატრიბუტი, რაც თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოსთვის ღირებული და ფუნდამენტურია.

ასევე **საზოგადოება მოელოდა, რომ სააკაშვილი ობამასთან შეხვედრისას ავღანეთში ქართველი სამხედროების მონაწილეობის თემით ისპეკულირებდა და ამას პიროვნული მხარდაჭერისთვის გამოიყენებდა, რაც გამართლდა კიდეც, მაგრამ მოულოდნელი იყო თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების საკითხის წინა პლანზე წამოწევა.** როგორც სააკაშვილმა განაცხადა: **„ჩვენ ვისაუბრეთ იმაზე, რომ ახალ დონეზე ავწიოთ ჩვენი თანამშრომლობა თავდაცვის სფეროში და, თუ წინა წლებში საუბარი იყო მხოლოდ ანტიტერორისტულ ოპერაციებზე ან ჩვენს მონაწილეობაზე ავღანეთში ან ერაყში, ახლა საუბარია იმაზე, რომ ამერიკასთან ერთად ვითანამშრომლოთ საქართველოს საკუთარი თავდაცვის განვითარების საკითხებზე. ძალიან კონკრეტულად ჩვენ გავაგრძელებთ ამ თემებზე მუშაობას. ძალიან კონკრეტული შეხვედრები დაიგეგმა. ეს არის ძალიან მაღალი დონის თანამშრომლბა“.** საქართველოს ამერიკული იარაღით აღჭურვა რუსეთთან კონფრონტაციის საფრთხეს ზრდის, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა ქვეყნის „მთავარსარდალი“ მიხეილ სააკაშვილია, რომელსაც თავისი პიარისთვის ან ფინანსური დახმარების მისაღებად ნებისმიერ დროს შეუძლია დაიწყოს სამხედრო ესკალაცია კონფლიქტური ზონების მიმართულებით, როგორც ეს მოხდა 2008 წლის აგვისტოში.

**ამერიკა, ბუნებრივია, კვლავ გამოიყენებს საქართველოს რუსეთზე ზეწოლის იარაღად, რათა არ დაუშვას მისი გლობალური კონკურენტის გაძლიერება. ეს დამოკიდებულება არ შეიცვლება მაშინაც კი, ამერიკა-რუსეთს შორის ინტერესთა თანხვედრა და ურთიერთობის ინტენსიფიკაცია რომც მოხდეს. მითუმეტეს პრიორიტეტულია ამერიკისთვის რუსეთზე ზეწოლის განხორციელება იმ ვითარებაში, როცა მიმდინარე წელს რუსეთის პრეზიდენტად პუტინის „მეორედ მოსვლაა“ მოსალოდნელი, რომელიც მინიმუმ ექვსი, ხოლო მაქსიმუმ თორმეტი წლით მოექცევა ხელისუფლების სათავეში. რუსეთის საწინააღმდეგო პოლიტიკის წარმმართველად კი ანტირუსული რიტორიკის უბადლო მცოდნე მიხეილ სააკაშვილი იდეალური ვარიანტია, რომელიც ამ პოლიტიკას ატარებდა და გაატარებს მომავალშიც.**

გარდა ამისა, ირანის წინააღმდეგ მოვლენების ესკალაციის შემთხვევაში ამერიკა თუ საქართველოს სამხედრო პლაცდარმად გამოყენებას გადაწყვეტს, სააკაშვილი სწორედ ის მორჩილი პროკონსულია, რომელიც უყოყმანოდ დართავს ნებას აშშ-ს, განათავსოს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები, რაც, ერთის მხრივ, ირანის, მეორე მხრივ, რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული.

ამასთან დაკავშირებით სწორი შეფასება გააკეთა ცნობილმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ: **„ნატო საქართველოს განიხილავს მხოლოდ როგორც რუსეთზე ზეწოლისთვის ხელსაყრელ პლაცდარმს, ხოლო ამიერკავკასიიდან რუსეთის წასვლისა და საქართველოში ნატოს ეგიდით თურქული ჯარის შემოყვანის შემდეგ არც ერთი ჩვენი პრობლემა მსოფლიოში არავის შეაწუხებს, გლობალური კონფლიქტის შემთხვევაში კი ნატოს ჯარი საკუთარ ქვეყნებში დაბრუნდება, ხოლო საქართველოს რუსეთთან პირისპირ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. ასე იყო 1918-1921 წლებში, როდესაც ჩვენი „გულითადი მწყალობელი“ ინგლისელები და გერმანელები გვპირდებოდნენ „ევროპაში შეყვანას“, დაცვასა და მხარდაჭერას, მაგრამ კრიტიკულ მომენტში ელვისებური სისწრაფით გაიქცნენ, ქართველი ცოლებიც კი მიატოვეს, სამაგიეროდ, სოლიდური მატერიალური ფასეულობები „გააყოლეს ხელს“.**

ასეთია ჩვენი მწარე რეალობა, თუმცა ამ რეალობას არ ითვალისწინებს პროკონსულ მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმი, რომლისთვისაც უმთავრესია არა საქართველოს, არამედ ამერიკის სახელმწიფო ინტერესების ერთგულება, პიროვნული ძალაუფლების სანაცვლოდ.

აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მართული საკანონმდებლო ორგანო, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ პრაქტიკულად კანონის ჭრა-კერვით არის დაკავებული. ქვეყანაში ელვის სისწრაფით იცვლება და იწერება კანონები, რომელთაც დემოკრატიასთან, სამართლიანობასთან და, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია, დასავლურ ფასეულობებთან საერთო არაფერი აქვს, თუმცა დასავლეთი სააკაშვილის ხელისუფლებას არადემოკრატიული ნაბიჯების გამო არ აკრიტიკებს, რაც მზარდ ავტორიტარიზმს ხელს უწყობს — გააძლიეროს პოლიტიკური ოპონენტების ტერორი და იყოლიოს მორჩილი საზოგადოება.

კავკასიის საკითხებში კარნეგის ცენტრის ექსპერტის, თომას დე ვაალის შეფასებით, **„დღევანდელი საქართველო, ისევე, როგორც რუსეთი, არსებითად ერთპარტიული ქვეყანაა, სადაც მცირერიცხოვანი ელიტა აკონტროლებს აღმასრულებელ ხელისუფლებას, პარლამენტს, რეგიონულ მთავრობებსა და სამ ნაციონალურ ტელეარხს. სასამართლო სისტემა თავისუფალი არ არის. ანტიკორუფციული და ანტიკრიმინალური კამპანიის ბნელი მხარე საქართველოში ის არის, რომ მან დიდი ძალაუფლება გადასცა მრავალრიცხოვან პოლიციურ ძალებს, რომლებიც ანგარიშვალდებულნი არ არიან.**

ქვეყნის ციხეები სავსეა ბევრი ისეთი პატიმრით, რომელიც იქ არ უნდა იყოს; 2011 წელს საქართველო, ერთ სულ მოსახლეზე გათვლით, პატიმრების რაოდენობით მსოფლიოში მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა“.

მმართველი რეჟიმი მასშტაბური გაყალბებისთვის ემზადება და სხვადასხვა საშუალებით ქართულ საზოგადოებას ნელ-ნელა აგუებს იმ ფაქტს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დიდი უპირატესობით „გაიმარჯვებს“. ამაზე მეტყველებს თუნდაც წინა კვირას ხელისუფლების დაკვეთით ამერიკული კომპანია „გრინბერგ ქუინლერ როზნერ რესერჩ“-ის (Greenberg Quinlan Rosner Research) მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომელიც გვამცნობს, თუ როგორი მხარდაჭერა აქვთ პოლიტიკურ პარტიებს საქართველოში: **„ნაციონალური მოძრაობა“ – 65%, „ქართული ოცნება“ – 25%, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ – 4%, ლეიბორისტები – 1%, „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატებიალასანია“ – 1%, რესპუბლიკელები – 1%, „ეროვნული ფორუმი“, კონსერვატორები, სახალხო პარტია, „მრეწველები“ და „დემოკრატიული მოძრაობა“ – 0%.** დიდი ალბათობით სააკაშვილი საპარლამენტო არჩევნებზე ასეთივე შედეგს დადებს და თავის დასავლელი მფარველების მეშვეობით მის „გაპრავებასაც“ მოახერხებს, **ის ხომ ერთგული პროკონსულია, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ასრულებს და ავღანეთში ყოველგვარი ყოყმანის გარეში საჭიროზე მეტ ჯარისკაცს აგზავნის.**

თუკი „ძია სემი“ კმაყოფილია პროკონსულის საქმიანობით, მაშინ ბუნებრივად ჩნდება კითხვა: აქვს თუ არა შანსი ახალ პოლიტიკურ ძალას — ივანიშვილის კოალიციას, შეცვალოს სააკაშვილის რეჟიმი და მოვიდეს ხელისუფლებაში? ან არჩევნების გაყალბების შემთხვევაში (რისი ალბათობაც ძალიან მაღალია) აშშ-ის ხელისუფლება ობიექტურად შეაფასებს არასამართლიან არჩევნებს, თუ ავღანეთში ქართული ჯარის მონაწილეობა ისევ სააკაშვილის უსაფრთხოების გარანტი იქნება? — ეს არის კითხვები, რომლებიც ყველას აწუხებს, მაგრამ ამ მიმართულებით, სავარაუდოდ, არაფერი შეიცვლება, ვინაიდან ამერიკის ხელისუფლება არ ითვალისწინებს ქართულ საზოგადოებაში მის შელახულ იმიჯს „ნაციონალური“ რეჟიმის მიერ გატარებული ანტიეროვნული პოლიტიკის მხარდაჭერის გამო, რადგან **პროკონსული სააკაშვილი თავის ძირითად მოვალეობას — „ძია სემის“ ინტერესების სასარგებლოდ იყოს ანტირუსული პოლიტიკის გამტარებელი კავკასიის რეგიონში, ზედმიწევნით ზუსტად ასრულებს. ხოლო ქართული საზოგადოების აზრი, როგორც ჩანს, ამერიკისთვის არ არის ისეთი მნიშვნელოვანი, რომ ერთგული პროკონსულის გაწირვად ღირდეს.**

ამრიგად, ამერიკიდან დაბრუნებული სააკაშვილი და მისი გარემოცვა ძალაუფლების შენარჩუნებას ყველანაირად რომ ეცდება, ეს მოულოდნელი არავისთვის არ უნდა იყოს. ძალაუფლება მათთვის უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ხელისუფლებაში ყოფნას, რასაც არასოდეს შეელევიან. რადგან **„ნაციონალური“ ხელისუფლება კლანურ-მაფიოზური ფინანსური კორპორაცია უფროა, ვიდრე, უბრალოდ, იარაღის მოყღარუნე ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც მხოლოდ უსაზღვრო ძალაუფლებას არის ჩაბღაუჭებული. ისინი ხელისუფლების დაკარგვით ძალაუფლებასთან ერთად უკანონო ბიზნესსა და ფინანსურ შემოსავლებს კარგავენ, ამიტომაც არ დათმობენ ასე მარტივად ხელისუფლებას.** ხოლო „ნეტარ მორწმუნეთათვის“ შემუშავებული მითი, რომ სააკაშვილი დასავლეთის ზეწოლით „სამართლიანი და ობიექტური არჩევნების“ გზით ძალაუფლების დათმობს, არა თუ გულუბრყვილობა, არამედ უვიცობაა. ამას პროკონსული სააკაშვილი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს, დასავლეთის „შეშფოთება“ და „აღშფოთება“ რომც გამოიწვიოს.

ასეთ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება საზოგადოების მწვავე რეაქციას და ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრის — ივანიშვილის გარშემო შექმნილი კოალიციის მოქმედებას თუ უმოქმედობას. **ქუჩის აქციების აუცილებლობა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უსათუოდ დადგება, ხოლო ივანიშვილის მიერ დეკლარირებული ქუჩის აქციებზე უარის თქმის პოლიტიკა იმ დროისთვისაც თუ კვლავ ძალაში დარჩა, მაშინ საქართველოს ხელისუფლების სათავეში „მისი აღმატებულება“ პრემიერ-მინისტრი მიხეილ სააკაშვილი განუსაზღვრელი ვადით და შეუზღუდავი ძალაუფლებით მოგვევლინება. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ობამასთან მისი შეხვედრა ძალიან ჰგავდა სიმსივნით მძიმედ დაავადებული პაციენტისათვის ქიმიოთერაპიის ჩატარებას... მერე რა, რომ ამ თერაპიის შედეგად პაციენტი შესაძლოა გამელოტდეს, ღვიძლის ცეროზი დაემართოს — მთავარია, მას სიცოცხლე გაუხანგრძლივდება, ანუ მეტროპოლიას ერთგული და მითითებათა უსიტყვო შემსრულებელი კონსული ეყოლება, რომლისთვის სიცოცხლის გახანგრძლივება გაცილებით იოლი და ურისკო საქმეა, ვიდრე მის ჩანაცვლებაზე აუტკივარი თავის ატკიება.**

**გიორგი მექმარიაშვილი**

საქართველო და მსოფლიო
სამართალი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ევროპაში რომ ჩავდივარ, ტაქსის მძღოლიც კი, როცა ვეუბნები, რომ ქართველი ვარ, პირში ჰალსტუხს იდებს და მეჭყანება. აი, ასე გვაქვს დღეს ჩვენ მსოფლიოში სახელი გატეხილი. ასე რომ, ერთი 50 წელი მაინც ნორმალური თვალით არავინ შემოგვხედავს და ასეთ ქვეყანაში, მგონი, ყველაზე მეტად სწორედ უფლებადამცველს არ აქვს იმის უფლება, რომ ჩუმად იყოს...“**

**ლალი აფციაური:**

# «1937 წელს გამამართლებელი განაჩენის მაჩვენებელი 9 პროცენტი იყო, დღეს 0,2 პროცენტია»



**ციხეებში არსებულ მდგომარეობასა და ზოგადად, ადამიანის უფლების დაცულობის კუთხით ბოლო დროს შექმნილ ვითარებაზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ადვოკატი და უფლებადამცველი ლალი აფციაური.**

**— ქალბატონო ლალი, Human Rights Watch-ის მიერ მომზადებულ 2012 წლის ანგარიშში, რომელიც მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანას მოიცავს, საქართველოს ერთი თავი ეთმობა და მასში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ გასული წლის განმავლობაში აქ ადამიანის უფლებების მდგომარეობა უკეთესობისკენ არ შეცვლილა. თქვენი აზრით, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ეს დოკუმენტი?**

— დავიწყოთ იმით, რომ Human Rights Watch-ი არის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი უფლებადამცველი ორგანიზაცია მსოფლიოში და მის მიერ მომზადებულ ნებისმიერ დოკუმენტს ყოველთვის დიდი რეზონანსი აქვს ხოლმე საერთაშორისო მასშტაბით, მაგრამ მნიშვნელობაზე როცა ვსაუბრობთ, უწინარესად, უნდა გამოვიდეთ შედეგიდან – ჩვენს შემთხვევაში, მე მოვისმინე ხელისუფლების წარმომადგენლების კომენტარები და მათ იმდენად სასაცილო შეფასებები გააკეთეს, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ აქ რამე შედეგზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ, ცხადია, თავისთავად მისასალმებელია, როცა ასეთი დოკუმენტი იდება, მაგრამ, მეორეს მხრივ, იმის მოლოდინი ნურავის ექნება, რომ ამ ანგარიშის გამო ხელისუფლება დაფიქრდება და რაიმეს უკეთესობისკენ შეცვლის. ეს ტენდენცია ნამდვილად არ შეიმჩნევა. პირიქით, **რაც დრო გადის, ჩვენი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა სულ უფრო ემსგავსება ტიპური რეჟიმისთვის დამახასიათებელ სისტემას და, თუ ადრე ამას მოსახლეობის რაღაც ნაწილი გრძნობდა, დღეს ეს უკვე ყველა სფეროში იგრძნობა, რასთანაც საზოგადოებას, რიგით ადამიანებს შეხება აქვთ...**

**— გამოდის, რომ საბოლოო ჯამში, ეს ანგარიში ჩვენთვის არაფერს ნიშავს?**

— ვიმეორებ, გააჩნია, რა თვალსაზრისით ვიტყვით: შედეგის მხრივ, ეს დოკუმენტი არის მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდი, ვინაიდან მსგავსი დოკუმენტები აქამდეც არაერთი გვინახავს და რეალურად შედეგი გვაქვს ნული.

**— ორი კვირის წინ ციხეების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებიც ჩვენთვის ძალიან მძიმე იყო — პატიმართა რაოდენობით ევროპაში პირველ ადგილზე ვართ. არ გეჩვენებათ, რომ ადრინდელთან შედარებით, ბოლო დროს ხშირად გვიხსენიებენ უარყოფით კონტექსტში საერთაშორისო ასპარეზზე?**

— სამწუხაროდ, ესაა ჩვენი რეალობა და ამიტომ დღეს საერთაშორისო დონეზე ისე შეგველახა იმიჯი, რომ, რაც უნდა ვიძახოთ, მშენებარე დემოკრატიის ქვეყანა ვართო, როგორც ცივილიზებულ ერს, კარგა ხანს, ალბათ, აღარ შემოგვხედავს დანარჩენი მსოფლიო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წარმოიდგინეთ იმ ავადსახსენებელი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ქვეყანაში გამამართლებელი განაჩენის რაოდენობა ისე შემცირდა, რომ 0,2%-მდე ჩამოვიდა, თანაც **ესენი გამამართლებელ განაჩენს ეძახიან იმას, თუ მსჯავრდებულს რამდენიმე ბრალდებიდან ერთ-ერთს მოუხსნიან და სასჯელს შეუმსუბუქებენ, ანუ ამათი ლოგიკითა და კანონმდებლობით, სრული გამამართლებელი განაჩენი ბუნებაში არ არსებობს.**

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მდგომარეობა საქართველოს ისტორიის არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა. თვით 1937 წელსაც კი, როცა საბჭოთა კავშირში გამალებული რეპრესიები



მძვინვარებდა, მსგავსი რამ არ ხდებოდა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ მაშინ გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა 9%-ს შეადგენდა.

რაც შეეხება პატიმართა რაოდენობას, ოფიციალური მონაცემებით, მოგეხსენებათ, 25 ათასამდე მსჯავრდებულია დღე საქართველოში და სწორედ ეს ციფრია დასახელებული იმავე ციხეების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტშიც, მაგრამ მოდით, მარტივი ლოგიკით ვიმსჯელოთ: **18 მოქმედი ციხეა ამჟამად მთელი ქვეყნის მასშტაბით და 18-ვე იმდენად გადატვირთულია, პატიმრებს მონაცვლეობით ძინავთ. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მინიმუმ 2500 მსჯავრდებული მაინცაა თითოეულ ციხეში. ახლა გადაამრავლეთ ეს ციფრი 18-ზე და ნახავთ, რომ, სულ ცოტა, 40-45 ათასი პატიმარი ჰყავს დღეს საქართველოს.** ეს, იცით, რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ პირველ ადგილზე კი არ უნდა ვიყოთ პატიმართა რაოდენობის მიხედვით, არამედ უკვე გინესის წიგნში ვართ შესაყვანი. **ეს უნდა იქნეს აღიარებული, როგორც უნიკალური შემთხვევა, პრეცედენტი, რომლის მსგავსიც ჯერ არ იცის ცივილიზებულმა სამყარომ.** აი, ასეთი რეალობის წინაშე ვდგავართ და რატომ უკვირს ვინმეს, თუ საერთაშორისო ორგანიზაციები მუდმივად გვაკრიტიკებენ, მათ კიდევ არ აქვთ სრულყოფილი სურათი — აქ რა ხდება რეალურად, თორემ კრიტიკასა და შეფასებებს მერე ნახავდით.

**— უფლებადამცველები მუდმივად საუბრობენ იმაზე, რომ პატიმარებს სისტემატურად ეპყრობიან არაადამიანურად, თუმცა მათი უმეტესობა ერიდება ამ პატიმრების ვინაობის დასახელებას. თქვენ თუ იცით კონკრეტული შემთხვევა, როცა მსჯავრდებული აწამეს ან მასზე რაიმე სხვა სახის ზემოქმედება მოახდინეს?**

— პატიმართა სულ ცოტა 80-90 პროცენტი ციხეში შესვლის პირველივე წუთიდან ხვდება გაუსაძლის პირობებში და იმდენად დამამცირებელ, არაადამიანურ გარემოში იმყოფება, რომ ხშირ შემთხვევაში ძნელია ამის სიტყვებით გადმოცემა. წარმოიდგინეთ ათი დღის განმავლობაში ჰყავთ მარტო კარანტინში, სადაც არც საწოლია, არც პირსაბანი, არც ჯაგრისი და სხვა საჭირო ნივთები. გარდა ამისა, იმის გამო, რომ, **ვთქვათ, ვიღაცამ ხმამაღლა გაიცინა ან რადიო ჩართო ცოტა ხმამაღლა. უცებ შეიძლება ბადრაგი შემოვარდეს და თავზე გადაგამტვრიოს ყველაფერი. ასეთი ფაქტები უამრავია და იყო შემთხვევა, როცა პატიმარი სასტიკად ცემეს იმის გამოც, რომ მეორე პატიმარს ჩურჩულით ელაპარაკებოდა, რაც კართან მდგომ ასინეთა-ბადრაგს კარგად არ ესმოდა.**

რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, შემიძლია გავიხსენო ერთი განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა, როცა მსჯავრდებული უჩა გოდელაძე გლდანის მეშვიდე საპყრობილეში ცემისა და წამების შედეგად იმ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ეს ადამიანი 2010 წლის სექტემბერში დააკავეს ბათუმში, 18 სექტემბერს ჩატარდა სასამართლო პროცესი და იმავე დღეს წამოიყვანეს თბილისში. მეორე დღეს, ანუ 19-ში იგი უკვე მოხვდა ღუდუშაურის სახელობის კლინიკაში და საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათის შემდეგ გონსმოუსვლელად გარდაიცვალა.

არსებობს დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა და ფოტომასალა, რომლიდანაც ნათლად ჩანს, რომ მას, ფაქტობრივად, მთელ სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები, წამების ნიშნები და ე. წ. ელექტროშოკის კვალი (ნაჩხვლეტები); მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ საქმით დღემდე არავინ დაინტერესებულა. მეტიც, საუბარიც კი არ ყოფილა იმაზე, რომ ვინმეს პასუხისმგებლობის საკითხი დამდგარიყო. არადა, ძალიან მარტივად შეიძლებოდა იმ ადამიანების ვინაობის დადგენა, ვინც უშუალოდ მონაწილეობდნენ მსჯავრდებულის წამებაში.

**— პირადად თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი მსჯავრდებულის მიმართ თუ ყოფილა მსგავსი ფაქტები?**

— უამრავი მსგავსი შემთხვევა მქონია და, ფაქტობრივად, არც ერთი მათგანი არ დამიტოვებია ისე, რომ არ გამეხმაურებინა. ამასწინათ ჩემი ერთ-ერთი პატიმარი, გაიოზ ზვიადაძე დამხვდა ნაცემი გლდანის მეშვიდე საპყრობილეში და წარმოიდგინეთ, ადამიანი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მელაპარაკებოდა, გვერდზე ვარდებოდა. აი ასეთ პირობებში უწევს ყოფნა თითოეულ მსჯავრდებულს და არაერთხელ მითქვამს, რომ ამ ხალხს დღეს ყველაზე მეტი ყურადღება სჭირდება; **საზოგადოების დიდმა ნაწილმა კიდევ არ იცის, რა ხდება რეალურად ციხეებში. ამიტომ, პირველ რიგში, თვითონ მსჯავრდებულებმაც უნდა იაქტიურონ. მინდა, მათი ოჯახების გასაგონად ვთქვა, რომ სიჩუმითა და პირში წყლის ჩაგუბებით კარგს ვერაფერს მიიღებენ. პირიქით, დუმილი ამ ხელისუფლებისთვის არის წაქეზება და ამის შედეგს, სამწუხაროდ, უკვე ვიმკით კიდეც იმ ათასობით მსჯავრდებულის სახით, რომლებიც, კაცმა არ იცის, იქიდან ცოცხლები გამოვლენ თუ არა.**

**— ადვოკატების უმეტესობა ერიდება ხოლმე იმ პატიმრების ვინაობის დასახელებას, რომელთაც აწამებენ და არაადამიანურად ეპყრობიან. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ ამით მსჯავრდებულს უფრო მეტი პრობლემები შეიძლება შეექმნას.**

— პირველი, რასაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფ მსჯავრდებულებს ვეუბნები ხოლმე, ისაა, რომ, თუ ისინი უარს იტყვიან მათ მიმართ განხორციელებული რაიმე წამების ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტის გახმაურებაზე, მე მათ აღარ დავიცავ. ეს არის ჩემი პრინციპი, ვინაიდან მიმაჩნია, რომ ყველა ის ადვოკატი თუ უფლებადამცველი, რომლებიც, მსჯავრდებულის უსაფრთხოების მიზნით, მსგავს ფაქტს არ ახმაურებს, ნებით თუ უნებლიეთ, უკვე თანამონაწილეა ამ ყველაფრისა.

დასაწყისშიც გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ საზოგადოების მხრიდან სწორედ ასეთი შემგუებლური დამოკიდებულების გამო დღეს საქართველოს იმიჯი საერთაშორისო დონეზე ისეა შელახული, როგორც არასდროს; **გაგეცინებათ, მაგრამ, ევროპაში რომ ჩავდივარ, ტაქსის მძღოლიც კი, როცა ვეუბნები, რომ ქართველი ვარ, პირში ჰალსტუხს იდებს და მეჭყანება. აი, ასე გვაქვს დღეს ჩვენ მსოფლიოში სახელი გატეხილი.** ასე რომ, ერთი 50 წელი მაინც ნორმალური თვალით არავინ შემოგვხედავს და ასეთ ქვეყანაში, მგონი, ყველაზე მეტად სწორედ უფლებადამცველს არ აქვს იმის უფლება, რომ ჩუმად იყოს...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

## მედვედევი მომავალში პრეზიდენტობას არ გამორიცხავს



**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი დარწმუნებულია, რომ მისი ასაკი არც ისე სერიოზულია, რომ მან მომავალში პოლიტიკურ ბატალიებში მონაწილეობაზე უარი განაცხადოს.** „მე არასოდეს მითქვამს, რომ კენჭისყრაში არასოდეს მივიღებ მონაწილეობას და ჩემს კანდიდატურას არ დავაყენებ. შეგახსენებთ, მე მხოლოდ 46 წლის ვარ. ეს არცთუ ისე სერიოზული ასაკია იმისათვის, რომ უარი ვთქვა მომავალში პოლიტიკურ ბატალიებში მონაწილეობის მიღებაზე“, — განაცხადა მედვედევმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე. მისი თქმით, ამჯერად მან მართლაც გადაწყვიტა, რომ საკუთარი კანდიდატურა არ დაეყენებინა, რადგან მიიჩნევს, რომ ორი ადამიანი, რომლებიც ერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ, ერთმანეთს ხელს არ უნდა უშლიდნენ და წინ უნდა წავიდეს ის, ვისაც მოცემულ მომენტში გამარჯვების უფრო მეტი შანსი აქვს.

„არიან ადამიანები, რომლებიც უკვე ოპოზიციაშივე ტირანულ ნიშან-თვისებებს ავლენენ. მაგალითად, ზოგიერთი რესპუბლიკელი ზემოდან გადმოჰყურებს ხალხს და დამრიგებლური ტონით საუბრობს. ნაციონალურ არხებზე გადართავ — სააკაშვილია, გადმორთავ „მაესტროზე“ — თინა ხიდაშელი. ამ მხრივ ალასანიას ფრთა გაწონასწორებულია.“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შალვა ხაჭაპურიძე: ამერიკას პლაცდარმი სჭირდება და ამისთვის საქართველოს გამოიყენებს

**„კავკასიის ჰელსინკის ჯგუფი“ კვლავ დაფუძნდა საქართველოში. ნიშნავს თუ არა ახალი ორგანიზაციის დაარსება ქვეყანაში ე.წ. ოპოზიციური მესამე ძალის ამოქმედებას და ასევე ორგანიზაციის მიზნებსა და მიმართულებებზე, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებსა თუ სასჯელაღსრულების სისტემაში არსებულ ვითარებაზე „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფის“ ერთ-ერთი ლიდერი, ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე გვესაუბრება.**



**— ბატონო შალვა, ქვეყანაში უამრავი არასამთავრობო თუ პოლიტიკური ორგანიზაცია მოქმედებს, თუმცა ისინი ქვეყანაში არსებული ვითარების შეცვლას ვერ ახერხებენ. როგორ და რას შეცვლის „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფი“?**

— „კავკასიის ჰელსინკის ჯგუფი“ საქართველოს ეროვნულმა გმირებმა — მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ 1976 წელს დააფუძნეს. მთელ მსოფლიოში ჰელსინკის ჯგუფები ყველაზე ძველ და ძლიერ უფლებადამცველ ორგანიზაციებად ითვლებიან და სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ ამა თუ იმ ხელისუფლების საქმიანობაზე. ჩვენი ორგანიზაცია ორი მთავარი მიმართულებით — ადამიანის უფლებებისა და ეროვნული ინტერესების დაცვის კუთხით იმუშავებს. ვიღაცები, მაგალითად, დღევანდელი **ხელისუფლების წარმომადგენლები, საკუთარ თავს, მართალია, უწოდებენ ლიბერალ-დემოკრატებს, მაგრამ ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეალებს არ ასრულებენ. გიგა ბოკერიასაც რომ ჰკითხო, ლიბერალ-დემოკრატია. ლიბერალური დემოკრატიაა თავისუფალი არჩევნები, პატივს უნდა სცემდე სხვის მოსაზრებას, უნდა გქონდეს დემოკრატიული საარჩევნო კანონმდებლობა და ა.შ. გადახედეთ ტელევიზიას, ყველა გადაცემის ტელეწამყვანი ან ვიღაცის ცოლია, ან რძალი. ბიზნესშიც იგივე ვითარებაა, იქაც ხელისუფალთა დები, ძმები და ნათესავები არიან.** ჩვენ გვითხრეს: აი, არსებობს ელიტა, დანარჩენებები არაფრად ვარგიხართო. პირდაპირ გვეუბნებიან, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრების უფლება არ გაგაჩნიათო. ეს არის ლიბერალ-დემოკრატია? ეროვნულობა კი უკვე საგინებელ-სალანძღავ სიტყვად იქცა. არადა, ჩვენისთანა მცირე ერებისთვის ეროვნული ინტერესების დაცვა აუცილებელია.

**— იდეა თავისთავად კარგია, მაგრამ როგორ აპირებთ მიზნის მიღწევას? იქნებით თუ არა უფრო რადიკალურები?**

— არანაირ რადიკალიზმზე საუბარი არ არის. პირიქით, ეს არის მიმდინარეობა, რომლის მსოფლმხედველობაც ძალიან მშვიდობიანია. თუ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებს მხოლოდ ერთი ან ორი ოფისი აქვთ რეგიონებში და მათი მიზანია მოიპოვონ ინფორმაცია, გააკეთონ გარკვეული დასკვნები და შემდეგ გაავრცელონ, ჩვენი მუშაობა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. საქართველოს ყველა ქალაქში გვექნება ჩვენი წარმომადგენლობები. ასევე ამოქმედდა საზღვარგარეთთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ დააკავეს სანდრო გირგვლიანის ხსოვნის აქციის მონაწილეები და მსოფლიოში მოქმედ ჰელსინკის ჯგუფებს ჩვენ უკვე ვაცნობეთ ამ ფაქტის შესახებ. **მთელ მსოფლიოს მივაწვდით ინფორმაციას, რა ხდება ქვეყანაში. უახლოეს მომავალში, ასევე ვგეგმავთ გაეროში, ევროკავშირში შეხვედრებს საარჩევნო თემატიკასა თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით, თუმცა საპროტესტო აქციების ჩატარებასაც არ გამოვრიცხავთ. ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლის ნებისმიერი მეთოდი, რასაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს, ჩვენთვის მისაღები იქნება.**

**— როგორც იურისტი, ფიქრობთ, რომ არსებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ოპოზიციას აქვს არჩევნების მოგების შანსი?**

— ხელისუფლებამ საქართველოს მოსახლეობას პირდაპირ უთხრა, რომ თქვენი არჩევანი არ მაინტერესებსო, ვინაიდან, აღნიშნული საარჩევნო კანონმდებლობა ფაქტობრივად გამორიცხავს ადამიანების აქტიურ მონაწილეობას არჩევნებში. წარმოიდგინეთ, არჩევნების დროს, რომელიმე პარტიის წარმომადგენელს, გაჭირვებულ ქვეყანაში ადამიანურად რომ შეეცოდოს ვინმე და დაეხმაროს, თუნდაც ერთი ყუთი მანდარინი აჩუქოს, ამას შეიძლება 7 წლით მისი თავისუფლების აღკვეთა მოჰყვეს. ხოლო ვისაც აჩუქა, ის სამი წლით დააპატიმრონ.

მართალია, ოპოზიცია და არასამთავრობო ორგანიზაციები გამოთქვამენ საკუთარ კრიტიკულ მოსაზრებებს საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, ხვდებიან პავლე კუბლაშვილს, იგზავნება დოკუმენტები საზღვარგარეთ, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით ამ ხელისუფლების დანაშაულებრივი ბუნება? უფრო ქმედითი ნაბიჯები უნდა გადაიდგას. სამართლიანი არჩევნების პირობებში სააკაშვილი წააგებს ივანიშვილთან, მაგრამ საკითხავია: რამდენად ობიექტურად დაითვლება ხმები? **თუ დიდი ეროვნული თანხმობა არ შედგა, არსებული კანონმდებლობის პირობებში ოპოზიციის გამარჯვება წარმოუდგენელია. ოპოზიცია დამარცხებისთვისაა განწირული.**

**— „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონმდებლობაში განხორციელებული ახალი ცვლილების თანახმად, პოლიტიკურ გაერთიანებებს რეკლამისთვის დამატებითი თანხები გამოუყვეს. რას შეცვლის ეს?**

— არაფერს. არ ვიცი, სიმართლეა თუ არა, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლებას 7 მილიარდი აქვს არჩევნებისთვის. ანუ, რა თანხაც არ უნდა ჰქონდეს ოპოზიციურ ძალას, ის მას მაინც ვერ დახარჯავს და, ფაქტობრივად, დამარცხებისთვისაა განწირული.

**— საიდან აქვს ეს თანხა ხელისუფლებას?**

— ეს არის ელიტარული კორუფციის შედეგად, უკანონოდ მოპოვებული თანხა, მაგალითად, იმ ფონდებიდან, რომლებიც იქმნება ახლა, ვითომ ოპერის გასარემონტებლად და ა. შ.

როცა ადამიანს კრიტიკა არ ესმის, არსებობს ტირანიასთან ბრძოლის უამრავი მეთოდი, თუნდაც საპროტესტო აქციები, რომელთა მეშვეობითაც უნდა აიძულო ხელისუფლება, გადადგას ხალხისთვის სასარგებლო ნაბიჯები. შეიძლება ეს სულაც იმპროვიზებული აქციები იყოს, მე არ ვამბობ, რომ 26 მაისი უნდა განმეორდეს. ხელისუფლებას საშუალება არ უნდა მივცეთ, ასე მოიქცეს. ხელისუფლებაზე პოლიტიკური პრესინგი უნდა გაძლიერდეს.

**კატასტროფული მდგომარეობაა ქვეყანაში და მარტო მოთხოვნების გზავნით, რომ ევროპამ გვიშველოს, არაფერი შეიცვლება. ევროპამ იმდენი ომი გამოიარა, ცდილობს, რაიმე კონფლიქტი მის ტერიტორიაზე არ გადავიდეს და, მის გარეთ რაც მოხდება, კი ბატონო, აღშფოთდება, შეშფოთდება და ყველაფერი ამით დასრულდება.**

**— შემოთავაზების შემთხვევაში თუ აპირებს თქვენი ორგანიზაცია ბიძინა ივანიშვილთან თანამშრომლობას და რამდენად ემთხვევა თქვენი და მის გარშემო კოალიციაში გაერთიანებული რესპუბლიკელებისა და „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკური იდეოლოგია?**

— რომ გითხრათ, რესპუბლიკელების პოლიტიკური იდეოლოგიით აღფრთოვანებული ვარ-თქო, ტყუილი იქნება. ამ ხალხს ნაკლებად აღელვებს ეროვნული საკითხები. აცხადებენ კიდეც, რომ ისინი არიან ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების მიმდევრები, ანუ გამოდის, დღეს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების იდეოლოგიის მიმდევრები არიან.

ალასანიას რაც შეეხება, ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას აქვს თავისი ისტორია. როცა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ტარდებოდა, გახსოვთ, მიმდინარეობდა დებატები — უნდა მიგველო თუ არა მასში მონაწილეობა არსებული კოდექსით. ადვოკატებმა ათი პუნქტი შევიმუშავეთ, მოვიწვიეთ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და შევთავაზეთ ეს ათი პუნქტი, ყველა დაგვეთანხმა, ამ კოდექსით არჩევნებში მონაწილეობის მიღება ჩვენს წაგებას ნიშნავსო. ჩვენ, ადვოკატებმა, ამის გამო შიმშილობაც კი დავიწყეთ. ზუსტად ორ კვირაში გაიმართა არჩევნები, ოპოზიციამ წააგო და მეტიც, ხელისუფლებას, რომელმაც გააყალბა არჩევნები და დაგვცინა, ირაკლი ალასანიამ გამარჯვება მიულოცა. ასეთი ფაქტების მიუხედავად, მზად ვართ, მათთან ვითანამშრომლოთ.

არ ვგულისხმობ ივანიშვილს, მაგრამ **არიან ადამიანები, რომლებიც უკვე ოპოზიციაშივე ტირანულ ნიშან-თვისებებს ავლენენ. მაგალითად, ზოგიერთი რესპუბლიკელი ზემოდან გადმოჰყურებს ხალხს და დამრიგებლური ტონით საუბრობს.**

ნაციონალურ არხებზე გადართავ — სააკაშვილია, გადმორთავ „მაესტროზე“ – თინა ხიდაშელი. ამ მხრივ ალასანიას ფრთა გაწონასწორებულია.

**— სააკაშვილისა და ობამას შეხვედრას როგორ შეაფასებთ?**

**— თუ ვინმეს ჰგონია, რომ სააკაშვილს ობამა არჩევნებზე სასაუბროდ ხვდება, პოლიტიკისგან შორს არის. ეს შეხვედრა ირან-ამერიკისა და ნატოს ომს უკავშირდება. ბუნებრივია, ამერიკას პლაცდარმი სჭირდება და ამისთვის საქართველოს გამოიყენებს. რეგიონებში ამდენი საავადმყოფო რატომ შენდება რა გგონიათ? ეს გათვლილია ამერიკელი ჯარისკაცების პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად. შეიძლება ისეთ საფრთხეში აღმოვჩნდეთ, რომ მსოფლიო რუკიდან წაიშალოს საქართველო. ამერიკამ შეიძლება მოუგოს ირანს ომი, მაგრამ ამას საქართველო შეეწირება, იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება ამერიკელების ნების წინააღმდეგ არაფერს მოიმოქმედებს, სულაც რომ მთელი საქართველოს დანგრევა მოჰყვეს შედეგად, რადგან ამერიკელებისგან პოლიტიკური ზურგი სჭირდება. ასეთი ხელისუფლება კი ამერიკელებსაც აწყობთ; იმიტომ კი არა, რომ სააკაშვილი მოსწონთ, უბრალოდ, საქართველო სჭირდებათ.**

**— მობილური ტელეფონის აბონენტებისთვის 20-თეთრიანი ტარიფის დაწესება რამდენად კანონიერი ქმედება იყო ხელისუფლების მხრიდან?**

— საინტერესო საკითხია. სხვათა შორის, 26 მაისის წინ გადასახადები იზრდებოდა. ბუნებრივად გაჩნდა კითხვა: რა სურს ხელისუფლებას? ხელისუფლება შეგნებულად აღიზიანებს ხალხს, რათა ქუჩაში გამოვიდეს, რომ დაარბიოს, დააშინოს და ისე მოიქცეს, რომ არჩევნების თავიც აღარ ჰქონდეს. ახლაც ასე იქცევა.

თუ ვისაუბრებთ, რამდენად კანონიერი იყო ეს ქმედება, ხელისუფლება, კარგა ხანია, გასულია სამართლებრივი სივრციდან.

**— ციხეებში არსებულ ვითარებას გამუდმებით აპროტესტებენ უფლებადამცველები, თუმცა მინისტრი და ხელისუფლება კატეგორიულად უარყოფს ბრალდებებს. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?**

— ციხეებში აბსოლუტური განუკითხაობაა. არის ცემისა და წამების ფაქტები. აპრობირებული მეთოდები შემოიღეს: პატიმრებს აწამებენ დენით, მათ აშიშვლებენ, ზამთარში ცივ ოთახში აგდებენ და ცივ წყალს ასხამენ. პატიმრებს უხარისხო საკვებს აძლევენ და ეუბნებიან: თუ არ მოგწონთ, აი მაღაზია და იყიდეთო. წარმოიდგინეთ, პატიმარმა, რომელსაც არავინ ჰყავს, რა უნდა ქნას? **პატიმრების მკურნალობის საკითხი აბსოლუტურად იგნორირებულია. სასწაული უნდა გააკეთოს ადვოკატმა, რომ მის პატიმარს უმკურნალონ.**

**ხათუნა კალმახელიძე თავის კარიერას საბრალდებო სკამზე დაასრულებს. ახალაია მასთან შედარებით ანგელოზი იყო.** თან, როგორც ჩანს, ის თავად ვერ აკონტროლებს სიტუაციას და არც სურს, გააკონტროლოს.

მერაბ ჯღამაძე, ირაკლი გულდედავა, ზურაბ ხარშილაძე, უამრავი პატიმარი შემიძლია ჩამოგითვალოთ, რომლებიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში არიან. აღარაფერს ვამბობ უკანონო განაჩენებზე, აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანები სხედან ციხეებში.

ლოგიკურად ჩნდება კითხვა: რად უნდა ხელისუფლებას ამდენი პატიმარი, რომელთა შენახვაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული? მაგრამ თუ საქმეს კარგად გავეცნობით, მივხვდებით, რომ, რაც მეტი პატიმარია, მეტი შემოსავალი აქვს ხელისუფლებას, ყველაფერი ფასიანია ციხეში — პაემნები, ტელეფონი. ამას გარდა, ხალხის ტერორი ტირანიის რეჟიმის კლასიკური მაგალითია.

**«პატიმრებს აწამებენ დენით, აშიშვლებენ, ზამთარში ცივ ოთახში აგდებენ და ცივ წყალს ასხამენ... ახალაია კალმახელიძესთან შედარებით ანგელოზი იყო»**

**«ხელისუფლებას 7 მილიარდი აქვს არჩევნებისთვის. ანუ რა თანხაც არ უნდა ჰქონდეს ივანიშვილს, ის ამ თანხას ვერ ხარჯავს და არჩევნებში დამარცხებისთვისაა განწირული»**

ესაუბრა **შორენა ცივქარაშვილი**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

იქნებ გამოსავალი „50 ტუალეტის პროგრამაშია“? იქნებ დროული გამოჩენა თეთრი კაფელის (ის შეიძლება წითელი ხუთიანებით მოიხატოს) და ქათქათა უნიტაზების ფონზე სიახლის, ორიგინალურობის განცდას გააჩენს და ფიგურანტს, შესაბამისი გზავნილების გაჟღერების შემთხვევაში, საზოგადოების ყურადღების ცენტრში დაბრუნების თუნდაც მცირე შანსს მისცემს; სხვა ხელშესახები და რეალისტური ვარიანტი ამ დროისთვის, უბრალოდ, არ ჩანს. ამ თემაზე დაფიქრება ნამდვილად ულირს, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, ახლო პერსპექტივაში, რაიმე უფრო ღირსშესანიშნავი შედეგის მიღწევა შეძლოს.



# გადამწყვეტი ბრძოლა, ანუ «წინ, უნიტაზისკენ!»

**სააკაშვილის ლატენტური მხარდამჭერების თქმისა არ იყოს, „რაღაც ნამდვილად კეთდება და ამის არდანახვა არ შეიძლება“. GHN-ის ცნობით, საქართველოში 50-მდე ახალი საზოგადოებრივი ტუალეტი ამოქმედდება, რაც დაახლოებით 2 მილიონი ლარი დაჯდება. ამის თაობაზე ჟურნალისტებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა ირაკლი კვაშილავამ ამცნო.**





**წარმოუდგენლად მწარეა, — საქართველოს ისტორიაში შეხვიდე როგორც მმართველი, რომელმაც ტერიტორიები დათმო, ბრძოლის ველიდან გაიქცა (თუ გახოხდა), უმწეოებს ჩაგრავდა, ბიუჯეტს ფლანგავდა და ა.შ. და უცებ, ჩნდება შესაძლებლობა 50 ტუალეტის მშენებლის სახელი დაიმკვიდრო**

იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო დროს, პრაქტიკულად, მიხეილ სააკაშვილი ხსნის ყველა ობიექტს, რომელსაც სახურავი აქვს, მათი ზომისა და დანიშნულების მიუხედავად, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ თამაშგარე მდგომარეობაში ის არც ამჯერად დარჩება.

რატომაც არა? წითელი ლენტი თეთრი კაფელის ფონზე საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება, მყუდრო სივრცე კი ფილოსოფიური წიაღსვლებისკენ განაწყობს. ასეთ გარემოში ძალიან ბევრი რეზონანსული განცხადების გაკეთება შეიძლება. მაგალითად, იმის თაობაზე, რომ **მსგავსი რამ ნიცასა და ბადენ-ბადენში არ აშენებულა, რომ კრემლის ბინადრებს ქართული ვატერკლოზეტების შური გადაიყოლებს, რომ 2025 წლისთვის შესაბამისი ქსელი სრულიად საქართველოს დაფარავს, რის შედეგადაც 50 ათასი ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. იმის თქმაც შეიძლება, რომ ასეთი აღმშენებლობის ანალოგი დავითისა და თამარის ეპოქაშიც კი არ მოიძებნება.**

ორივე ხელით მხარს ვუჭერ ამ პროექტის განხორციელებას, თუნდაც იმიტომ, რომ ის რეალისტურად გამოიყურება. ეს არ არის მასშტაბური „50-დღიანი“ ან „50-თვიანი“ პროგრამა და ხელისუფლებამ, სავარაუდოდ (ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ, თუმცა მაინც), დააგროვა საკმარისი გამოცდილება იმისთვის, რომ 50 ტუალეტის აგების ამოცანას შეეჭიდოს და დასახული გეგმა 100%-ით შეასრულოს. მეორე: **მმართველ ძალას შესაძლებლობა მიეცემა, ამორფული ფრაზა „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“ კონკრეტული ლოზუნგით „წინ, პისუარისკენ!“ შეცვალოს, რაც წინასაარჩევნო ბრძოლას ჯერაც არნახულ დრამატიზმს შესძენს. მესამე (და მთავარი): სავარაუდოდ, სამუდამოდ მოიხსნება პრობლემა იმ ადგილთან დაკავშირებით, რომელსაც სააკაშვილი საქართველოს ისტორიაში დაიკავებს.**

„Excudent alii spirantia mollius aera...“, — ვერგილიუსის თქმის არ იყოს... იმ მონაკვეთის მოკლე შინაარსი დაახლოებით ასეთია: სხვა შეიძლება ფრიად გაწაფული მოქანდაკე, იურისტი და ასტრონომი იყოს, შენ კი, „რომაელო, დაისწავლე გაძღოლა ხალხის, ეს არის შენი ხელოვნება, ქვეყნის მოწყობა“ და ა. შ. ეს ციტატა და რუსთაველის — „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს“ საკმაოდ ვიწრო დერეფანს ქმნის, რომელსაც ისტორიის კარიბჭესთან მივყავართ. ვერაფერს ვიზამთ, ყველა ვერ გააფართოებს საზღვრებს ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, სტარტს ვერ მისცემს აღორძინების ხანას ან თუნდაც მოკრძალებული ეკონომიკური ზრდის ხუთწლედს. ყოველივე ამას შესაბამისი ნიჭი და წინაპირობები სჭირდება, მაგრამ ტუალეტებზეც ხომ უნდა იზრუნოს ვინმემ? თუ გინახავთ სადმე თავმოყვარე ცივილიზაცია რამდენიმე ათეული მონუმენტური საზოგადოებრივი ტუალეტის გარეშე?

რას ვირჩევთ: მასშტაბურ ნეგატივს თუ მოკრძალებულ პოზიტივს? **წარმოუდგენლად მწარეა, — საქართველოს ისტორიაში შეხვიდე როგორც მმართველი, რომელმაც ტერიტორიები დათმო, ბრძოლის ველიდან გაიქცა (თუ გახოხდა), უმწეოებს ჩაგრავდა, ბიუჯეტს ფლანგავდა და ა. შ. და უცებ, ჩნდება შესაძლებლობა 50 ტუალეტის მშენებლის სახელი დაიმკვიდრო. ეს, ერთი შეხედვით, ძალიან მცირე, ღიმილისმომგვრელი საქმეა, თუმცა ის უდავოდ დადებითია. ადრე თუ გვიან ყველაფერი ჩაივლის, წყენა და ტკივილი წარსულს ჩაბარდება, ხოლო ეს პატარა, თუმცა ამავე დროს საოცრად ამაყი ნაგებობები დარჩება.** ვისლა ახსოვს დღეს მარკუს ვიფსანიუს აგრიპას მოღვაწეობა სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე? თუმცა, ვინაიდან მან აკვედუკები ააგო და რომის „დიდი კლოაკა“ კანალიზაციის თითქმის თანამედროვე სისტემად გადააქცია, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს, მისი სახელი მადლიერ რომაელებს ორი ათასწლეულის შემდეგაც არ დავიწყებიათ. კანალიზაციის მილით ისტორიაში წარმატებული შეღწევის ამ მაგალითმა, ალბათ, უნდა უბიძგოს სააკაშვილს „50 ტუალეტის პროგრამას“ ყურადღება მიაქციოს. სავარაუდო ალტერნატივა („მიხეილ დამაქცევარი“, „მიხეილ გაქცეული“, „უსამართლო“, „ცრუ“ და ა. შ.) მისთვის მეტად არასახარბიელო ჩანს.

თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს არა ჩვენი, არამედ სააკაშვილის პრობლემაა და, ალბათ, უფრო საინტერესო იქნება ყურადღება ამ ისტორიის სხვა ასპექტს მივაქციოთ. ათეულობით ირონიულ კომენტარში, რომლებიც წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის სავსებით ნეიტრალურ განცხადებას მოჰყვა სოციალურ ქსელებში, სააკაშვილის მიერ ტუალეტის საზეიმო გახსნის აბსურდული სცენა ფიგურირებდა. თუ ამდენ ადამიანს, ერთდროულად, უმეტესად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, წარმოსახვით თვალწინ ერთი და იგივე სურათი ეშლება, ეს, უხეშად რომ ვთქვათ, „რაღაცას ნიშნავს“. ვინ იცის, იქნებ ეს ლოგიკური შედეგია იმ ტელემარათონისა, რომელიც სააკაშვილმა ვაშინგტონში გამგზავრებამდე შემოგვთავაზა? დეკემბერ-იანვარში მან ხომ ეთერში ყოფნის ყველა რეკორდი მოხსნა.

**სააკაშვილს ხანდახან უგო ჩავესს ადარებენ, რომელიც ტელეეთერში ასევე უამრავ დროს ატარებს, თუმცა მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობაც არის — ორივე მიმავალი „ტელევიზიის ეპოქის“ პოლიტიკოსია და ორივეს ინტერნეტის მნიშვნელობა და ძალა ცუდად ესმის, რაც სხვა თუ არაფერი, ადრე თუ გვიან, ორივეს გადაიყოლებს. თუმცა ჩავესს, სააკაშვილისგან განსხვავებით, ტელესივრცის ტოტალური გაკონტროლება არასოდეს უცდია, ვენესუელაში ასე თუ ისე თავისუფლად მაუწყებლობენ არა მხოლოდ ნეიტრალური, არამედ აშკარად ოპოზიციური არხები, რომლებმაც 2002 წლის გადატრიალების მცდელობის, 2003 წლის მასშტაბური გაფიცვებისა და სხვა, ჩავესისთვის მეტად საშიში აქციების ორგანიზებაში ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულეს.** ზოგიერთი ასეთი ტელევიზიის ეთერში (წამყვანები და არა რესპონდენტები!) ჩავესს გიჟს უწოდებენ, ლამის ფიდელ კასტროსთან ინტიმურ კავშირს აბრალებენ და მის ფიზიკურ ლიკვიდაციაზე მსჯელობენ (რამდენიმე ასეთი ეპიზოდი ასახულია ცნობილ დოკუმენტურ ფილმში „რევოლუციას ტელევიზიით არ აჩვენებენ“). მიუხედავად ამისა, ჩავესი მათზე პირდაპირი იერიშის მიტანას ერიდება. ის სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში ზის და, მარტივად რომ ვთქვათ, საათობით თავისას უბერავს, მისი ოპონენტები კი, სხვა არხებზე — თავისას; **ის, რა თქმა უნდა, ძნელად ასატანი მმართველია და გამოკვეთილი ლტოლვა დიქტატურისკენ მას ნამდვილად ახასიათებს, თუმცა, ტელევიზიებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ჩავესი, სააკაშვილთან შედარებით, მამა აბრამის ბატკანია.**

იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ, თუ რას აკეთებს სააკაშვილი, ურიგო არ იქნება, ცნობილი უკრაინელი მკვლევარის, გიორგი პოჩეპცოვის ერთი ციტატა მოვიშველიოთ: **„საინფორმაციო სივრცის დახურვა სუსტი მოთამაშის პრეროგატივაა, რომელიც საკუთარი თავისთვის განსაკუთრებულ შეღავათებს ქმნის. სხვა ვარიანტი რეზონანსული საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას გულისხმობს. ამ შემთხვევაში არა მთელი სისტემის მართვა, არამედ ამა თუ იმ თემებისა და შეტყობინებების მრავალსვლიანი ჩანერგვა ხდება, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს იზიდავს. ეს უფრო ძლიერი მოთამაშის სტრატეგიაა, რომელიც შედარებით იშვიათად, თუმცა ფრიად შედეგიანად საუბრობს. მრავალსიტყვაობა, როგორც მართვის ერთ-ერთი ვარიანტი, მხოლოდ სუსტისთვისაა დამახასიათებელი, რომელსაც სურს სხვა საკუთარი აზრით დააინტერესოს და ამიტომ მიდრეკილია ზედმეტი ინფორმაციის გაცემისკენ. მრავალსიტყვაობა ამ ასპექტში საბჭოთა დროის პროპაგანდას ახასიათებდა, თუმცა მოსახლეობამ ზურგი შეაქცია ამ ვერბალურ ნიაღვარს, რომელსაც თავს ახვევდნენ“.**

გამორიცხული არაა, რომ ფართოდ გავრცელებული კომენტარები „ტუალეტის გახსნაზე“ და სხვა მსგავსი წიაღსვლები, სწორედ „ზურგის შექცევაზე“ მიანიშნებს. ეს, ალბათ, ბუნებრივი, ალერგიული რეაქციაა იმ ვერბალურ და ვიზუალურ „ნიაღვარზე“, რომელიც დეკემბერ-იანვარში ტელეკრანებიდან მოედინებოდა. **სააკაშვილი იდეალური მმართველი რომც ყოფილიყო, მის მიერ სატელევიზიო ეთერის საკუთარი თავით შევსების მცდელობა, ნებისმიერ შემთხვევაში გაღიზიანებას გამოიწვევდა. ვერაფერს ვიზამთ, „სუსტ მოთამაშეს“ სხვაგვარი მოქმედება, ალბათ, არც ეხერხება.**

სააკაშვილმა ორჯერ უარყო ის, რომ საგანგებოდ მომზადებული სტატისტები მასთან შესახვედრად იძულებით მოჰყავთ და დეკორაციები (სამედიცინო აპარატურა და ა. შ.) მის მიერ გახსნილი ერთი კლინიკიდან, სასწრაფო წესით, მეორეში გადააქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტი აჭრელებულია მამხილებელი ვიდეორგოლებითა და წერილებით, რომლებიც ერთსაც და მეორესაც საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებს; უარყოფა და თავის მართლება ასეთ სიტუაციაში არ შეიძლება. ეს საინფორმაციო თვითმკვლელობის ტოლფასია. **სააკაშვილის ეს განცხადებები, შესაძლოა, ირიბად მიანიშნებს იმაზე, რომ ის უკმაყოფილოა მიღწეული შედეგით და წარუმატებლობის ახსნას ოპონენტების მიერ ჭორების გავრცელებით ცდილობს ან, როგორც მინიმუმი, იმას გრძნობს, რომ საზოგადოების კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაწილი მას და მის ტელემარათონს სერიოზულად არ აღიქვამს.** იქნებ მთავარი პრობლემა იმ უფერულ „ნიაღვარშია“, რომელზეც პოჩეპცოვი საუბრობს? რა თქვა ან გააკეთა სააკაშვილმა ბოლო თვეებში ისეთი, რაც „დაილექა“ და საზოგადოებრივ აზრზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა?

სინამდვილეში, ეს პიროვნული თუ არა, პოლიტიკური ტრაგედიაა; **კაცმა ტელესივრცის თითქმის სრულ „ოკუპაციას“ ამდენი წელი მოანდომა, აუდიტორიის დიდმა ნაწილმა კი მას, როგორც უნიჭო მსახიობს, ზურგი შეაქცია და ინფორმაციის ალტერნატიულ წყაროებს მიეძალა.** წარმოიდგინეთ, რომ მაყურებლები მასობრივად ტოვებენ თეატრის პომპეზურ, კეთილმოწყობილ შენობას და მოედნის მეორე მხარეს, ქუჩის მსახიობებთან მიდიან. რა შეიძლება იგრძნოს ამ დროს სცენაზე მარტოდ-მარტო დარჩენილმა მსახიობმა, გაოგნებულმა რეჟისორმა და გაგიჟებულმა დირექტორმა? რა უნდა გააკეთონ მათ? ყველაზე სულელური გამოსავალი, ალბათ, დარბაზის სტატისტებით შევსება იქნებოდა, თუმცა ხელისუფლება, როგორც ჩანს, სწორედ ამ გზით წავიდა. არადა, სიტუაცია აშკარად სხვა სტრატეგიის გამოყენებას მოითხოვს. **თუ სააკაშვილს აღარ ყოფნის ნიჭი იმისთვის, რომ რეზონანსული ახალი ამბები შექმნას, შეუძლია არასტანდარტულ გარემოში მოქმედება დაიწყოს და, გამორიცხული არაა, ამან მასში მიძინებული კრეატიულობა გააღვიძოს.**

იქნებ გამოსავალი „50 ტუალეტის პროგრამაშია“? იქნებ დროული გამოჩენა თეთრი კაფელის (ის შეიძლება წითელი ხუთიანებით მოიხატოს) და ქათქათა უნიტაზების ფონზე სიახლის, ორიგინალურობის განცდას გააჩენს და ფიგურანტს, შესაბამისი გზავნილების გაჟღერების შემთხვევაში, საზოგადოების ყურადღების ცენტრში დაბრუნების თუნდაც მცირე შანსს მისცემს; სხვა ხელშესახები და რეალისტური ვარიანტი ამ დროისთვის, უბრალოდ, არ ჩანს. ამ თემაზე დაფიქრება ნამდვილად ულირს, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, ახლო პერსპექტივაში, რაიმე უფრო ღირსშესანიშნავი შედეგის მიღწევა შეძლოს. ასე რომ, „წინ, უნიტაზისკენ!“, გასაკეთებელი ხომ ჯერ კიდევ ბევრია.

**გიგი თევზაძემ 2003 წლამდე, ანუ „ვარდების რევოლუციამდე“ არსებულ საქართველოს ერთი დიდი რესტორანი და მაშინდელ ქართველებს იმ რესტორანში არხეინად მოქეიფე, წარსულის მავნე გადმონაშთი, „გრუზინები“ გვიწოდა, რომლებიც, მისდა სამწუხაროდ, დღესაც ბევრნი ვართ და სწორედ „გრუზინები“ ვუშლით ხელს „დასავლური ღირებულებების“ დამკვიდრებას, გნებავთ, საქართველოს ამერიკანიზაციას.**

შენ დაჰკარ...
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დედალ-მამალი, ანუ ხლისტები და გრუზინები

**„იცოდე საკუთარი ფესვები და ის, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა; არ გაგიტაცოს უცხო ქვეყნის ფსევდოკულტურამ; ნუ იქნები ზედმეტად ლიბერალი“.**

***ნაწყვეტები ილია მეორეს მიმართვიდან ნათლულებისადმი***

**ქათამი, ჩემი ჯეელობის თბილისის ქუჩის ჟარგონით, პედერასტის სინონიმია. ამ ბერძნულ სიტყვას კი ასე განმარტავს უცხო სიტყვათა ლექსიკონი:**

**პედერასტია (ბიჭების მოყვარული) — სქესობრივი გარყვნილება — სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცებს შორის; მამათმავლობა.**

**ამ, „აკადემიურ“ განმარტებას კი ის „ნაკლი“ აქვს, რომ მხოლოდ ერთი მიმართულების სოდომ-გომორის ცოდვის შვილებს, მამათმავლებს გულისხმობს და არაფერს ამბობს „განათლებულ დასავლეთში“ შობილი აბრევიატურის — „ლგბტ“-ს (ლესბოსელ-გეი-ბისექსუალ-ტრანსსექსუალი) სხვა, პედერასტებზე არანაკლებად „დამსახურებულ, ხელიხელ საგოგმანებელ, პატივსაცემ“ ხალხზე.**

სამაგიეროდ, თბილისურ ყოფით დონეზე ჟარგონული „ქათამიც“ და „აკადემიური“ პედერასტიც ზემოხსენებული ვიწრო გაგების სულაც არაა და ერთ ქვაბში ხარშავს მთელ „ლგბტ“-ს „პროფესიულ ამქარს“, რადგან, როცა ჩვენში მავანზე იტყვიან პედერასტიაო, ეს, პირველ რიგში, უზნეობას, ყველაფრის მკადრებლობას გულისხმობს და არა მხოლოდ ვინმეს, ე.წ. არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის კონკრეტული მიმართულების გარკვევას! ანუ ვინ ვისი არატრადიციული ქმარია, ცოლი ან საყვარელი. გნებავთ, ვინ ვარიაა, ვინ — კრუხი, ვინ — „პეტუხი“ და ვინ მამალი —ანუ ყველანი ერთად და თითოეული ცალ-ცალკე პედერასტები არიან...

ასევეა „ხლისტების საქმეც“. ხლისტები — ეს სიტყვა პირველად დიდი ჭაბუას რომანში შემხვდა და, როგორც ვიცით, ერთ-ერთ სატანისტურ სექტას გულისხმობს. მაგრამ, ერთმანეთში აზელილი „ლგბტ“-ს არ იყოს, გაიგე ახლა შენ, ვინ ხლისტია და ვინ იელოველი — ხლისტები, ანუ ბუდარა-ბუდარიხები, დიდი ხანია, ზოგადად ღვთისგარეგან სატანისტურ სექტანტებს ნიშნავს, საქართველოს უმეტეს-უკეთესი, გნებავთ, არალიბერასტული „გრუზინული“ ნაწილისათვის.

რაც შეეხება „გრუზინებს“, ეს თემა ჯერ კიდევ მაშინ გავშალე ამავე გაზეთში, როდესაც „საქართველო და მსოფლიო“ (დღეს ერთ-ერთი პოპულარული და წამყვანი გამოცემა) პირველ, გაბედულ ნაბიჯებს დგამდა მკითხველთა გულებისაკენ.

ანუ ამ 3-4 წლის წინ, როდესაც ქართველი ხლისტების ერთ-ერთი მამამთავრის და ილიას უნივერსიტეტის რექტორის, გიგი თევზაძის და ამავე უნივერსიტეტის „ფალოსოფოსი პროფესორის“, ნოდარ ლადარიას ერთობლივ პასკვილს ვუპასუხე, რომელიც მაშინ ლიბერასტების მთავარ ბეჭდვით რუპორ (მაშინ ჯერ კიდევ არ იყო „ლიბერალი“ და „ტაბულა“) გაზეთ „24 საათში“ გამოქვეყნდა.

ნოდარ ლადარიამ, როგორ თუ რეზო ჩხეიძემ მოსკოვში წასვლა გაბედაო, ამ დიდი ქართველი რეჟისორის შემოქმედების, რომ იტყვიან, მიწაში ჩადება სცადა, უწოდა რა უკვდავ „ჯარისკაცის მამას“ ალექსანდროვის „მხიარული ახალგაზრდობის“ პათოსის ფილმი, ხოლო გოდერძი მახარაშვილს — მაგდანას ვირი, ამ მართლა სახედარმა, ამან!

ხოლო **გიგი თევზაძემ 2003 წლამდე, ანუ „ვარდების რევოლუციამდე“ არსებულ საქართველოს ერთი დიდი რესტორანი და მაშინდელ ქართველებს იმ რესტორანში არხეინად მოქეიფე, წარსულის მავნე გადმონაშთი, „გრუზინები“ გვიწოდა, რომლებიც, მისდა სამწუხაროდ, დღესაც ბევრნი ვართ და სწორედ „გრუზინები“ ვუშლით ხელს „დასავლური ღირებულებების“ დამკვიდრებას, გნებავთ, საქართველოს ამერიკანიზაციას.**

მას შემდეგ, „გრუზინი“ ჩემთვის ყოველივე ზემოთ ნახსენები მანკიერებების წინააღმდეგ მებრძოლი, ტრადიციული, ეროვნულ-მართლმადიდებლური ღირებულებების მატარებელი ქართველის სინონიმია, რის დამკვიდრებასაც მეტ-ნაკლები წარმატებით ვცდილობ ქართულ მედიასივრცეში.

თუმცა წინამდებარე წერილის ამ არც თუ მცირე შესავალს ის დატვირთვაც აქვს, რომ ქვემოთ ამა თუ იმ ტერმინის ხმარებისას, მკითხველი ყოველგვარი სქოლიოების, წინწკლების, ანუ დამატებითი განმარტება-მინიშნებების გარეშეც მიხვდეს, თუ რაზე, ვისზე ან რატომ არის საუბარი.

მაშ ასე:

**ეს ბოლო ხანია, ე. წ. მიშავიზიებში ქათამ-ხლისტები განსაკუთრებულად აქტიურობენ: გადართავ, რომელიღაც ქათამი კრიახებს, გადმორთავ, რომელიღაც ხლისტი „დასავლურ ღირებულებებზე“ კაკანებს.**

მაგალითად, ჩვენ რომ პოლიტიკურ თავშესაფარმიღებული და დასავლეთში გადაკარგული გვეგონა (ადრე ასე გამოაცხადეს, რომ მის მიმართ მუქარების გამო, შვეიცარიაში ითხოვა თავშესაფარიო), „საიდუმლო სირობის“ ავტორი ერეკლე დეისაძე, თურმე არც არსად წასულა და არც არავისი ეშინია, აგერ არ გამოგვეცხადა — საზოგადოებრივი მაუწყებლის „შუა დღეში“?

თანაც რა „სასტავში“ — აქეთ „ტაბულას“ მთავარი რედაქტორი პარჭყავდა ხელებს ეკო დეისაძის ნიჭიერებით აღფრთოვანებული და იქით მას კვერს უკრავდა მეორე „დიდი მწერალი“ ზაზა ბურჭულაძე.

ამ ყველაფრის ანტურაჟად კი ცნობილი საფეხბურთო კომენტატორი დიმა ობოლაძე მოგვევლინა — შენ რაღა გინდა, შვილო, არც ხლისტის რეპუტაცია გაქვს ჯერჯერობით და არც ქათამის, წადი რა, „იფუტბოლე“, რა გინდა ამ „გაუგებრობაში“? მაგრამ ეგ (დიმა) იქით იყოს...

რომ იტყვიან, ფერი ფერსო, ისეა ეკო დეისაძისა და ზაზა ბურჭულაძის საქმე — პირველ ქათამს საკუთარი დედის ნახმარ საპონზე ემართება ერექცია და მეორეს ასევე საკუთარი დედის ბაყვებით გამთბარ უნიტაზზე (მკითხველს ვთხოვ მომიტევოს ამ უხამსი ნატურალიზმის გამეორების გამო) ემართება იგივე.

**უფრო მეტიც, ახლახან ცნობილი გახდა, რომ ზაზა ბურჭულაძე ილიას სახელობის გიგი თევზაძის უნივერსიტეტს (!!!), როგორც წლის საუკეთესო რომანის „გასაბერი ანგელოზის“ ავტორი, 10-ათასიანი პრემიით დაუჯილდოებია.**

ერეკლე დეისაძის „საიდუმლო სირობის“ არ იყოს, ხომ არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ზაზა ბურჭულაძის „წლის რომანიც“, თუნდაც მისი მკრეხელური სათაურიდან გამომდინარე, ყველა გრუზინისთვის, ერთი მორიგი სულისწამბილწველი პასკვილი იქნება?

**მერე იყო და, „რუსთავი 2“-ის „პროფილში“ ანფასით გვიჩვენეს ვინმე ფსიქოლოგი გია ჯაჯანიძე, რომელიც ისეთი ნარნარით „შემოცურდა“ სტუდიაში, რომ ქათმებს კი არა, „გედების ტბის“ ბალერინებს შეშურდებოდათ. მერე წამოიპლაკა ეს უკაცრავად და პასპორტის გრაფით მამრი და მთელი „დინგიდუნიის დასანახად“ დაიწყო ეთერში ტუჩების დაბერვის ქირურგიული ოპერაცია.**

ახლა ვითომ რაო, შემომედავება რომელიმე ლიბერასტი ხლისტ-ქათამი, ტუჩები მისია — უნდა დაიბერავს და უნდა დაიჩუტავს, რა შენი და შენნაირი გრუზინების საქმეაო?!

და არც არაფერი, როგორც ჩვენში იტყვიან, ასემც უქნიათ, სარი უკრიათ, მაგრამ რატომ გვიჩვენებენ ამ ყველაფერს ტელევიზიით?! თანაც იმ ქვეყანაში, სადაც აზროვნებისა და ცხოვრების წესი, საბედნიეროდ, მეტწილად ჯერ კიდევ პატრიარქალურ-ტრადიციულია, სადაც ქალისთვისაც კი მსგავსი დასაბერ-გასილიკონებული ოპერაციების გაკეთება მიუღებლად თუ არა, არც მისასალმებლად ითვლება.



ესეც არ გვაკმარეს და მეორე დღეს ბიზნეს-კურიერის ცნობილმა წამყვანმა გვახარა, რომ კუზანოვის კლინიკა (აქამდე ხომ „სტროჩკეს“ და კერეს ისეთი „ავერლოკით“ საქალწულე აპკები, რომ 60-იანი წლების თბილისში ცნობილ საშკა პარტნოისაც კი შეშურდებოდა) ტუჩების დაბერვასთან ერთად ახალ სერვისს სთავაზობს ქართველ მამაკაცებს:

სახის კანის გადაჭიმვა ოზონის ჭავლის შეყვანით უკანა ტანიდან!!! — ზუსტად ასე ჟღერდა ახალი სერვისის რაობა.

თანაც დაამატეს, რომ ამ სერვისით სიამოვნებით სარგებლობენ ქართველი მამაკაცები, რადგან, ტუჩების დაბერვისგან განსხვავებით, რაც ნემსის ჩხვლეტით კეთდება და შესაბამისად მტკივნეულიც არის, სახის კანის გადაჭიმვა ოზონის ჭავლის უკანალში „ნაპორით“ შეშხაპუნებით, პირიქით, სასიამოვნოც არისო. იქვე, „მეჟდუპროჩიმ“, მომავალი კლიენტები დაამშვიდეს — ეს სიამოვნება შეჩვევას (ანუ, „ლომკას“. — ავტ.) არ იწვევსო.

ისე ჭავლი აქამდე წყლისა გამეგონა და ისიც ვიცოდი, რომ სახანძრო მანქანიდან ჭავლის გამშვებ აგრეგატს ე.წ. ბრანსბოიტი ჰქვია, ამიტომაც მაინტერესებდა, უკანა ტანიდან ოზონის ჭავლის შეყვანას როგორი აგრეგატით აპირებდნენ და „რუსთავი 2“-მა ჩემი ეს ცნობისწადილიც დააკმაყოფილა.

მეორე თუ მესამე დღეს „ვანოს შოუში“ ჯერ ვანომ ილადავა — არა, ნუ გეშინიათ, შეჩვევას ნაღდად არ იწვევს, მაგრამ ოზონის ჭავლმა შეიძლება ხმა დაგიწვრილოთ და მიხვრა-მოხვრა (ანუ, „პახოდკა“. — ავტ.) უფრო მიმზიდველი და ნაზი გაგიხადოთო და შემდეგ ის „ბრანსბოიტიც“ გვაჩვენეს, რომლის დანახვაზეც პირკატა მეცა, რადგან ზომით ძალიან ჰგავდა იმ ფალოს-იმიტატორს, რომელსაც ასე ვნებით ივლებდა პირში „ზუგდიდელი“ თომას ფლეთჩერი.

ღმერთმანი, არ ვაჭარბებ, ზუსტად ასე იყო...

ტელეფონს ვეცი და გამოჩენილ გრუზინ პოეტს, ბატონ **რეზო ამაშუკელს** დავურეკე. ვიფიქრე, არ დამიჯერებს-მეთქი, მაგრამ, საბედნიეროდ, შემთხვევით თავადაც უყურებია იმ „ბიზნეს-კურიერისთვის“ და კაცი გაგიჟებული იყო: **„ჩემს დროს უბანში ერთიორი ცნობილი ქათამი იყო და ისინიც მხოლოდ კაი შეღამებულზე გამოდიოდნენ გარეთ ჰაერის ჩასაყლაპად და კედელ-კედელ დადიოდნენ, ემანდ არავინ დაგვინახოსო. იმიტომ კი არა, რომ ერჩოდნენ, არამედ იმიტომ, რომ იმ პედერასტებსაც კი რცხვენოდათ აშკარად გამოჩენისა, თავისი ადგილი იცოდნენ“.**

ახლა კი რა ხდება, რა ამბავია?! სად იყო ამდენი ურცხვი პედერასტი პრესაში, ტელევიზიაში, შოუბიზნესში, არც მთავრობაში უჩივიან მათ ნაკლებობას. ამიტომაც გაიტანეს ბათუმიდან ილიას ძეგლი და ქათმებმა კვერცხების ძეგლი დადგესო.

თუმცა შემდეგ ბევრი ვიხალისეთ, კერძოდ, იმაზე, რომ ვაი და ოზონის ჭავლის შეყვანა უკანა ტანიდან ისევე გახდეს საპრეზიდენტო პროგრამა, როგორც „გაღიმებული საქართველო“ გახდა სავალდებულო, რას შობი მერე? — მკითხა.

აბა, მე და თქვენ ან, ზოგადად, გრუზინებს რა შეგვიძლია, ბატონო რეზო? ვიქნებით და იქნება საქართველო ასე გაღიმებულ-გადაჭიმული, ეგ არის და ეგა...

**დავით მხეიძე**

**P. S. ერთ-ერთი პირველი, რაც ბარაკ ობამამ გააკეთა თეთრ სახლში მოსვლის შემდეგ, ის იყო, რომ გააუქმა რესპუბლიკელების მიერ მიღებული კანონი, რომელიც გეების სამსახურს კრძალავდა აშშ-ის არმიაში. ამიერიდან კი ყველა „ლგბტ“-ს გზა ხსნილი აქვს სამხედრო კარიერისკენ. შარშან კი ამერიკის პრეზიდენტმა ვრცლად ისაუბრა ცნობილი გეების ისტორიული დამსახურებების შესახებ ამერიკის წინაშე. უფრო მეტიც, ყოველი წლის ივნისში მსოფლიოს გეებს შესაძლებლობა მიეცემათ, გამართონ გეიაღლუმები და სხვა სახის ღონისძიებები.**

**ეს ისე, ცნობისთვის, „ინფორმაცია კ რაზმიშლენიუ“, ამერიკული ფასეულობების მებაირახტრეთა საყურადღებოდ საქართველოში...**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს ჩვენ კი ვართ ევროპაზე ორიენტირებულნი, მაგრამ ევროპა არ არის ჩვენზე ორიენტირებული. დღეს ჩვენი ქვეყანა არის მათხოვარი, მეოცე საუკუნეში იყო ლიდერი. ევრაზიული სივრცე ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტირი იქნება და არა მგონია, საუბარი იმაზე მიმდინარეობდეს, რომ საქართველოში ვინმე საბჭოთა დროშას ჩამოკიდებს და ქვეყანა დამოუკიდებლობას დაკარგავს.“

კახა კუკავა:



# «ნაციონალური მოძრაობის» დამნაშავე ლიდერებმა ციხეებიც უნდა ხეხონ და მოპარული ქონებაც უნდა დააბრუნონ

**როგორ ემზადება ოპოზიცია არჩევნებისთვის, რატომ უნდა გაერთიანდნენ ოპოზიციური ძალები ერთ კოალიციაში და როგორი უნდა იყოს ჩვენი ქვეყნის საგარეო ორიენტაცია, „საქართველო და მსოფლიოს“ პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ესაუბრება.**

**— ბატონო კახა, რამდენად შესაძლებელია არსებული კანონმდებლობის პირობებში არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება?**

— თეორიულად ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ გეთანხმებით, რომ გამარჯვება ძალიან რთული იქნება, თუნდაც დაფინანსების წესებზე რომ ვისაუბროთ. ჩვენ ვნახეთ, რომ, მაგალითად, თანხა, რომელიც გადაერიცხა „ქართულ ოცნებას“ (ვთქვათ, დღეს ფული მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ აქვს), ის უკან აბრუნებს ამ თანხას, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლება ხელსაც არ გაგანძრევინებს. უფულოდ კი, ჩათვალეთ, რომ ვერაფერს გააკეთებ. „შავ ფულს“, როგორც წინა არჩევნებზე ხდებოდა, არავინ დაგახარჯვინებს. როგორც კი დახარჯავ, საერთოდ რეგისტრაციას გაგიუქმებენ. თეთრი ფულის ლეგალიზაციის შესაძლებლობას კი არ მოგცემენ.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ რომელიმე ოპოზიციური პარტია, ამ შემთხვევაში „ქართული ოცნება“ (ვინაიდან მათ წინააღმდეგ მიმდინარეობს სახელისუფლო კამპანია) გაურიგდება ხელისუფლებას და დათანხმებდა მის წინადადებას?**

— გარიგება ცუდი სიტყვაა, თუმცა, ფაქტებით თუ ვიმსჯელებთ, „ქართულ ოცნებაში“ უკვე განაცხადეს, რომ თანხას უკან დააბრუნებენ. არ ვიცი, რა გადაწყვეტილებებს მიიღებს ესა თუ ის პოლიტიკური ძალა. შესაძლოა, მათ ჩემზე მეტი გამოცდილება აქვთ და რაიმე შემოვლითი გზები იციან, მაგრამ მე ვმსჯელობ იმაზე, რაც ხდება.

მარტო ფინანსებსაც არ ეხება საქმე, საკანონმდებლო ცვლილებები ბევრ სხვა საკითხზეც უარყოფითად აისახება. მაგალითად, **ცნობილია, რომ არჩევნების გაყალბებას ოპოზიცია ყოველთვის იმით ადასტურებდა, რომ ჯერ აღირიცხებოდა, სულ რამდენი ამომრჩეველი მოვიდა არჩევნებზე და მერე ხმები დაითვლებოდა. კანონიდან ამოიღეს აღნიშნული ნორმა და საერთოდ აღარ იწერება, რამდენი ამომრჩეველი მოვიდა არჩევნებზე. აქაც იგივე ხდება: დაკანონებული ბიულეტენების ჩაყრა მიმდინარეობს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ არის პროტესტის საგანი ეს ნორმა და რატომ აწუხებს ეს საკითხი მარტო „თავისუფალ საქართველოს“?**

ჩვენ არავის ვაკრიტიკებთ, მაგრამ ვხედავთ, რომ დღეს ცალკეული ოპოზიციური პარტიები მეორე ადგილისთვის იბრძვიან. თქვენ გარიგება უწოდეთ, მაგრამ ისინი უფრო დელიკატურ ტერმინებს არჩევენ, როგორიცაა, მაგალითად, დაბალანსება, რაც გულისხმობს, რომ, ხელისუფლების მოგების შემთხვევაში, ისინიც იქნებიან საკანონმდებლო ორგანოში წარმოდგენილნი, ზოგი მათგანი კომიტეტის თავმჯდომარეც გახდება და ასე შემდეგ. ვფიქრობ, ეს არის მათი დუმილის მიზეზი.

**— თქვენ განაცხადეთ, რომ შემოთავაზების შემთხვევაში მზად ხართ, ბიძინა ივანიშვილის გუნდში გაერთიანდეთ, მიუხედავად იმისა, რომ კოალიციაში გაერთიანებული „რესპუბლიკელებისა“ თუ „თავისუფალი დემოკრატებისგან“ პრინციპულ საკითხებში განსხვავებული შეხედულებები გაქვთ. როგორ წარმოგიდგენიათ გაერთიანება კოალიციაში პარტიებთან, რომელთა შეხედულებებსაც საერთოდ არ იზიარებთ?**

— მთავარია, კოალიციამ არჩევნებზე ხმების 51% მიიღოს. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ, თუ ოპოზიციიდან სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტი გავა, ხმები დანაწილდება და ოპოზიციასთან შედარებით ხელისუფლებას უპირატესობა ექნება. აქ იდეოლოგიური ერთიანობა არაფერ შუაშია. მე არ ვფიქრობ, რომ ჩვენ პარტიები უნდა გავაერთიანოთ და ერთიანი პროგრამა გვქონდეს. აუცილებელი არ არის, არჩევების შემდეგაც შევინარჩუნოთ ეს ერთიანობა. აქ მხოლოდ ტაქტიკურ ერთობაზეა საუბარი ერთ საკითხში — სააკაშვილის დამხობასა და გასამართლებაში.

დიახ, ჩვენ არ ვიზიარებთ ქვეყნის განვითარების იმ კურსს და ხედვას, რომელიც ამ პარტიებს აქვთ. **მე ვფიქრობ, ნატოში გაწევრიანება საქართველოს დაღუპვას ნიშნავს, მე ვფიქრობ, რომ ავღანეთში ჩვენი ჯარი არ უნდა იბრძოდეს. არ ვფიქრობ, რომ საპრეზიდენტო რესპუბლიკა უნდა დარჩეს საქართველოში. ასევე არ მიმაჩნია, რომ ამნისტია უნდა გამოვაცხადოთ „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერების მიმართ. პირიქით, მიმაჩნია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე ლიდერებმა უნდა ხეხონ ციხეები, რომლებიც თავად ააშენეს, და მოპარული ქონებაც უნდა დააბრუნონ სახელმწიფო ხაზინაში.**

**— მაგრამ ოპოზიციური პარტიების ასეთი ხანმოკლე გაერთიანებები ხალხში ნიჰილიზმს იწვევს და არც პოლიტიკოსების იმიჯზე აისახება დადებითად.**

— იმიჯზე უარყოფით გავლენას პარტიის არჩევნებში დამარცხება ახდენს. ნიჰილიზმი დღეს არის და ღვივდება. თუ ატყობთ, ის ეიფორია, რომელიც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ გამოიწვია, თანდათან ისევ ნიჰილიზმში გადადის...

ოპოზიცია რაც უფრო დაქსაქსული იქნება, გამარჯვების შანსიც ნაკლები ექნება. თუნდაც დროებით, მაგრამ გაერთიანება აუცილებელია, თორემ ვინ დაიჯერებს, რომ მე და თინა ხიდაშელს ოდესმე ერთი პროგრამა გვექნება?

**— ამ ცოტა ხნის წინ ლევან გაჩეჩილაძის შესახებ გააკეთეთ განცხადება, რა ინფორმაცია გაქვთ: აპირებს ის აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას და რამდენად არის დღეს მისი ადგილი პოლიტიკაში?**

— არ ვიცი, ჯერ არ აქვს გადაწყვეტილი ლევანს, რას იზამს, თუმცა ვფიქრობ, რომ მისი ადგილი არის ქართულ პოლიტიკაში და ვურჩევ იმ ხალხს, რომელიც ახლა გამოძვრა სააკაშვილის კაბინეტებიდან, ჩვენზე კორექტულად ისაუბროს. ჩვენ ვართ ნამდვილი ოპოზიცია, რადგან მაშინვე დავუპირისპირდით ხელისუფლებას, როგორც კი არასწორი კურსის გატარება დაიწყო, ისინი კი კარიერისტები არიან და არა ოპოზიციონერები, რადგან, როცა თანამდებობებიდან მოხსნეს, მერე ალაპარაკდნენ.

მაგალითად, „ქართული აკადემიის“ განცხადება მოვისმინე, რომ თურმე ყველამ — ქუჩის ოპოზიციამაც და „მესამე ცენტრმაც“ — საკუთარი თავი ამოწურა და მათი პოლიტიკაში გამოჩენა აღარ შეიძლება. **ნანეიშვილიც და ქანთარიაც ხელისუფლების დავალებებს ასრულებენ, რომ როგორმე ოპოზიცია გაიხლიჩოს. ჩვენ არავის ვასამართლებთ, მაგრამ ქილიკს მათგან, ვინც წლების განმავლობაში სააკაშვილის კმაყოფაზე იყო, ვერ მოვითმენთ. ვერავინ დამაჯერებს, რომ თინა ხიდაშელი უფრო გამოადგება ოპოზიციას, ვიდრე ლევან გაჩეჩილაძე.**

**— თქვენ ნატო ახსენეთ, ბიძინა ივანიშვილისა და მისი გუნდის განცხადებით, მათი მიზანია ნატოში გაწევრიანება და რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება. რამდენად შესაძლებელია ამ იდეის განხორციელება?**

— აბსოლუტურად არარეალური და ცოტა უპასუხისმგებლო განცხადებაა. ეს ყველამ იცის და ამაზე დავაც არ არის საჭირო. თავადვე ამბობენ არამარტო ხელისუფლების, არამედ ზოგიერთი ოპოზიციის ექსპერტიც, რომ მედვედევმა ომი იმიტომ დაიწყო 2008 წლის აგვისტოში, რომ საქართველო ნატოში უნდა გაწევრიანებულიყოო და ამას თუ აცნობიერებენ, ნატო თუ არის ომის მთავარი მიზეზი, როგორ დაარეგულირებ ურთიერთობას რუსეთთან და იმავე დროს ნატოში ინტეგრაციასაც მოახერხებ?

სხვათა შორის, რუსეთის თემატიკა ჩვენი ოპონენტების რიტორიკაში ბოლო თვეების მანძილზე გაჩნდა, ვინაიდან მე როცა მოსკოვში გავმართე მოლაპარაკებები ონიშჩენკოსთან, რუსეთის დუმის დეპუტატებთან, მარტო ხელისუფლება კი არ მებრძოდა, არამედ თინა ხიდაშელი საერთოდ „პუტინის ყმებს“ გვეძახდა და ისინიც ხელისუფლების პოზიციას იზიარებდნენ. მაგრამ **ბოლო დროს ქვეყანაში ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევებმა აჩვენა, რომ თურმე საზოგადოება ამ საკითხში ჩვენ გვიჭერს მხარს და რუსეთთან დიალოგის მომხრეა, ამიტომაც მათ შეიცვალეს აზრი. არაგულწრფელი პოზიციაა ეს და რეალურად „ორი კურდღლის მადევარი“ საბოლოოდ ვერც ნატოში გაწევრიანდება და ვერც რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებს.**

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს ურთიერთგამომრიცხავია და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე იმ გზას ვირჩევთ, რომელიც ჩვენი საზოგადოებისთვის, ჩვენი ქვეყნისთვის უკეთესია. რუსეთთან დიალოგის დაწყება საქართველოსთვის ნიშნავს, რომ აღდგება საქართველოს იურისდიქცია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და ჩვენი გლეხები და ბიზნესის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდ ბაზარს იშოვის. ნატოში ინტეგრაციის შემთხვევაში კი ვერ ვხედავ, რა შედეგი გვექნება.

## «გურჯაანში გლეხს რუსეთის ბაზარი უფრო აინტერესებს, ვიდრე საქართველოში ნატოს ბაზების განლაგება»

**— ნატოში გაწევრიანება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიად აღიქმება...**

— ჩვენ არ გვემუქრება არანაირი საფრთხე, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვის გარდა. თბილისისა და ქუთაისის ოკუპაციას არავინ აპირებს და აფხაზეთის და სამაჩაბლოს უსაფრთხოებას ნატო არ უზრუნველყოფს. პირიქით, ნატოს მაღალჩინოსნებს არაერთხელ უთქვამთ, რომ ნატო არ არის კონფლიქტების გადაწყვეტის საშუალება. შეიძლება ნიდერლანდებისთვის, ბელგიისთვის, ლიტვისთვის უსაფრთხოების სისტემაა, მაგრამ ჩვენთვის ნატო მთავარი საფრთხეა. ის, რომ გორი და თბილისი დაიბომბა, ფოთში ჩვენი გემები ჩაძირეს, ნატოს გამო მოხდა.

**— თქვენ ფიქრობთ, ეს იმიტომ მოხდა, რომ საქართველოს ნატოსთან დაახლოების სურვილი აქვს?**

— არამარტო დაახლოების სურვილის გამო. ვიყოთ გულწრფელები. საუბარი მიმდინარეობდა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული უნდა ყოფილიყო ნატოს სარაკეტო ბაზები. მე რუსების ადვოკატი არ ვარ, მაგრამ საკითხს რეალურად უნდა შევხედოთ. **არც ერთი ქვეყანა არ მოითმენს ამას. ნებისმიერი ზესახელმწიფო, რომელიც მსოფლიოში ბირთვულ ბალანსს უზრუნველყოფს, თავის საზღვრებთან უცხო სახელმწიფოს ფორპოსტების განლაგებას არ მიესალმება და, ბუნებრივია, რუსეთსაც აქვს ეს პრეტენზიები. რაც მთავარია, ჩვენ არაფერში გვჭირდება, საქართველო ავღანეთის მსგავს ქვეყნად იქცეს — ენგურს გაღმა რუსეთის ბაზები იყოს განლაგებული, გამოღმა კი — ამერიკის. ჩვენ ნეიტრალური ქვეყანა უნდა ვიყოთ.**

**— თუმცა ბევრი ქართველი პოლიტიკოსი ფიქრობს, რომ ნეიტრალიტეტი საქართველოს შემთხვევაში შეუძლებელია.**

— ჩვენი პოლიტიკოსები „გუგლში“ ამოიკითხავენ ერთ-ორ სიტყვას და შემდეგ რაღაცას იტყვიან ხოლმე. რატომ არის შეუძლებელი, თუ ფინეთმა, შვეიცარიამ მოახერხეს? გარდა ამისა, ნეიტრალიტეტის სხვადასხვა ფორმაც არსებობს... ვინც ამბობს, რომ საქართველოსთვის ნე- ▶

## «ყველა სამხედრო მეთაური, სანამ დაინიშნება თანამდებობაზე, ამერიკაში გადის ინსტრუქტაჟს»

„ნებისმიერი თავმოყვარე ერი ძალიან დიდ შეურაცხყოფად მიიღებდა, რომ ობამას მათი პრეზიდენტი გამოეძახებინა და იქ გადაეწყვიტათ ქვეყანაში არჩევნების ბედი. შეუძლებელია, პატრიოტ ქართველს ეს უხაროდეს, ამიტომ ამ ვიზიტსაც ვერ შევაფასებ დადებითად. თუ რუსეთი ორ რეგიონში ახორციელებს დიქტატს, ამერიკა მთელ საქართველოში აკეთებს ამას.“

## ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## «საქართველოში უხვად არიან ამერიკის ჯაშუშები. ადამიანი, რომელიც ამერიკიდან იღებს დაფინანსებას, ბუნებრივია, განცხადებას რუსეთის წინააღმდეგ გააკეთებს, მაგრამ არა საქართველოს, არამედ ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარე»

იტრალიტეტი გამორიცხულია, გამოდის, რომ ის პირდაპირ ამბობს: საქართველოში უცხო ქვეყნის სამხედრო ჯარები განლაგდესო.

**— თქვენ აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებდით რუსეთთან ქართული პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების თაობაზე, რამდენად რეალურად გესახებათ ამის განხორციელება იმ პირობებში, როცა საქართველოსა და რუსეთის ხელისუფალნი ერთმანეთთან ყველანაირ დიალოგს გამორიცხავენ?**

— ეს არ არის მთავრობებს შორის ურთიერთობა, ეს არის კომპანიებს შორის ურთიერთობა. ამიტომ მიმაჩნია რეალურად ამის განხორციელება.

**— ხელისუფლების ნების წინააღმდეგ წასვლას გაბედავს რომელიმე კომპანია?**

— რამდენიმე კომპანია თანახმაა და ონიშჩენკოს უწყებაში უკვე გაიგზავნა შესაბამისი დოკუმენტაცია და ველოდებით საბოლოო სერტიფიკატებს. სააკაშვილი ეუბნება ქართველ ხალხს, რომ ჩვენ ამერიკულ რაკეტებს მოგიტანთო, ჩვენ კი ვეუბნებით — ჩვენ მოგიტანთ რუსეთის ბაზარს. დანარჩენი ხალხმა გადაწყვიტოს. მე ხშირად ჩავდივარ რეგიონებში და ვიცი, რომ, მაგალითად, გურჯაანში გლეხს რუსეთის ბაზარი უფრო აინტერესებს, ვიდრე საქართველოში ნატოს ბაზების განლაგება.

**— რას ფიქრობთ ვლადიმერ პუტინის ინიციატივაზე ევრაზიული კავშირის აღდგენასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოში ექსპერტების მიერ უკვე შეფასდა როგორც საბჭოთა კავშირის აღდგენის მცდელობა. რას მოუტანს ასეთი კავშირი საქართველოს?**

— ექსპერტები კი არა, ესენი რუპორები არიან. ექსპერტი, რომელიც ასეთ განცხადებას აკეთებს, იღებს დაფინანსებას ან გრანტს ვაშინგტონიდან. ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ კრემლის ჯაშუშებზე, მაგრამ **საქართველოში უხვად არიან ამერიკის ჯაშუშები. ადამიანი, რომელიც ამერიკიდან იღებს დაფინანსებას, ბუნებრივია, განცხადებას რუსეთის წინააღმდეგ გააკეთებს, მაგრამ არა საქართველოს, არამედ ამერიკის ინტერესებიდან გამომდინარე.**

რაც შეეხება ევრაზიულ კავშირს, ვფიქრობ, რომ ძალიან პოზიტიური ინიციატივაა. რა თქმა უნდა, დეტალები შესასწავლია, მაგრამ თავისთავად იდეა, რომ ერთიანი ეკონომიკური სივრცე შეიქმნას, საქართველოსთვის არის ხსნა. საქართველო ან იქნება რაიმე სივრცის ნაწილი, ან იქნება პერიფერია. კი გვეუბნებიან, რომ ევროპული ოჯახის წევრი ხართო, მაგრამ დღეს ჩვენ ვართ პერიფერია.

საბჭოთა კავშირი, რა თქმა უნდა, იყო იმპერია, მაგრამ თავისი განვითარების არც ერთ ეტაპზე საქართველოს არ ჰქონია პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული, სამეცნიერო პროგრესის ისეთი დონე, როგორიც მეოცე საუკუნეში იყო. დღეს ჩვენ კი ვართ ევროპაზე ორიენტირებულნი, მაგრამ ევროპა არ არის ჩვენზე ორიენტირებული. დღეს ჩვენი ქვეყანა არის მათხოვარი, მეოცე საუკუნეში იყო ლიდერი. ევრაზიული სივრცე ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტირი იქნება და არა მგონია, საუბარი იმაზე მიმდინარეობდეს, რომ საქართველოში ვინმე საბჭოთა დროშას ჩამოკიდებს და ქვეყანა დამოუკიდებლობას დაკარგავს.

**— თქვენ ამერიკის ჯაშუშები ახსენეთ, თუმცა, პირდაპირ თუ ირიბად, თქვენი შეხედულებებისა თუ რუსეთში ხშირი ვიზიტების გამო, ხშირად გადანაშაულებენ რუსეთის ჯაშუშობასა თუ რუსოფობიაში...**

— ჯერ ერთი, მე არ ვიღებ რუსეთისგან არანაირ დახმარებას და ის, რომ ამერიკიდან ქვეყანაში მილიონები შემოდის, საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს. მეორეც: ჩვენ არ ვაკეთებთ რუსეთის მხარდამჭერ განცხადებებს. ის ხალხი კი ყოველთვის ხაზს უსვამს, რომ ვაშინგტონის რეკომენდაციები უნდა გავითვალისწინოთ და დირექტივები მივიღოთ. ჩვენ რუსეთი რაში გადაგვიხდის ფულს? მე, მაგალითად, ვამბობ, რომ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განლაგებული რუსეთის ძალები არიან ოკუპანტები, რომ აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობის ცნობა იყო საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევა. ჩვენ საქართველოს ხელისუფლების ოპონენტებიც ვართ და რუსეთისაც და არალოგიკურია, ვინმე საკუთარ ოპონენტებს აფინანსებდეს.

ამერიკასთან დაკავშირებით რას ვხედავთ? **ის ხალხი, რომელიც ამერიკიდან დაფინანსებას იღებს, ლამის უკანა თათებზეა დამდგარი და საკმარისია, ჰილარი კლინტონმა თვალი ჩააპაჭუნოს, მერე კეთდება ინტერპრეტაციები, ნეტა, რა მიგვანიშნა ამითო.**

**— Human Rights Watch-ის დასკვნას როგორ შეაფასებდით, რომელიც საკმაოდ აკრიტიკებს ხელისუფლების ქმედებებს?**

— ძალიან საინტერესო და ობიექტური დასკვნაა, მაგრამ ხელისუფლება არაფერს გაითვალისწინებს, თუმცა ფაქტი თავისთავად მისასალმებელია.

**— სააკაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრას როგორ შეაფასებთ?**

— სააკაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრა თავისთავად მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ საერთო ჯამში ტრაგედიაა. ჩვენ ნორმად მივიღეთ ის ვითარება, რომ საქართველოში როგორი საარჩევნო კოდექსი იქნება მიღებული და როგორი არჩევნები ჩატარდება, ეს ამერიკის პრეზიდენტის კაბინეტში წყდება. **ნებისმიერი თავმოყვარე ერი ძალიან დიდ შეურაცხყოფად მიიღებდა, რომ ობამას მათი პრეზიდენტი გამოეძახებინა და იქ გადაეწყვიტათ ქვეყანაში არჩევნების ბედი. შეუძლებელია, პატრიოტ ქართველს ეს უხაროდეს, ამიტომ ამ ვიზიტსაც ვერ შევაფასებ დადებითად. თუ რუსეთი ორ რეგიონში ახორციელებს დიქტატს, ამერიკა მთელ საქართველოში აკეთებს ამას.**

**— რას გულისხმობთ, როგორ ახორციელებს დიქტატს ამერიკა საქართველოში?**

— ეს ნებისმიერ საკითხში ჩანს. მაგალითად, ჯერ ამერიკაში იგზავნება და იქ დასტურის შემდეგ ამტკიცებენ კანონს. სამხედრო საკითხებშიც ასეა: ყველა სამხედრო მეთაური, სანამ დაინიშნება თანამდებობაზე, ამერიკაში გადის ინსტრუქტაჟს. ხედავთ, ალბათ, რომ მალე ყველა გაზეთი ინგლისურ ენაზე გამოვა. ეკონომიკაშიც ვხედავთ, რომ ქვეყანაში ყველაფერი იმპორტული იყიდება. სახელმწიფოს არც ერთი ატრიბუტიკა აღარ შეგვრჩა. **ამერიკის რომელიმე შტატი შესაძლოა უფრო დამოუკიდებლად ატარებდეს თავის პოლიტიკას, ვიდრე საქართველო.**

ესაუბრა **შორენა ციჯქარაშვილი**

## «ამერიკის რომელიმე შტატი შეიძლება უფრო დამოუკიდებლად ატარებდეს თავის პოლიტიკას, ვიდრე საქართველო»

ეკა სეხნიაშვილი:

# რეკლამა სარედაქციო პოლიტიკაზე არ უნდა აისახებოდეს

**„საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ გაზეთ „ალიას“ პასუხისმგებელ რედაქტორ დიმიტრი ტიკარაძესთან. ინტერვიუს გამოქვეყნების შემდეგ ჟურნალისტი ეკა სეხნიაშვილი ჩვენს რედაქციას დაუკავშირდა და რამდენიმე საკითხის კომენტირება ისურვა.**



**ეკა სეხნიაშვილი:**

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო და ეს პირად განცხადებაშიც დავბეჭდე, რომ ჩემი სამსახურიდან წამოსვლის მიზეზი იყო იდეური შეუთავსებლობა და ის ზეწოლა, წნეხი, რომელიც ჩემ მიმართ ხორციელდებოდა სარედაქციო კოლეგიის მხრიდან. მოგეხსენებათ, რომ ნებისმიერმა ჟურნალისტმა ორივე მხარის კრიტიკა უნდა დაბეჭდოს, ისევე, როგორც ეს ბევრ სხვა გაზეთშია... ბოლო პერიოდის განმავლობაში, გარდა იმისა, რომ მე მუდმივად ვაკრიტიკებდი ხელისუფლების წარმომადგენლებს და ვერავინ დამადანაშაულებს იმაში, რომ არ გამომიქვეყნებია ხელისუფლების საწინააღმდეგო სტატიები, რატომღაც სარედაქციო ცენზურა იმ წერილებს მოჰყვა, რომლებიც ოპოზიციის კრიტიკას შეიცავდა. მაინცდამაინც რატომღაც აპელირება კეთდება ბიძინა ივანიშვილის მიმართ, მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მისამართით. თუმცა ბოლო წვეთი ჟურნალისტიკის პრინციპების დარღვევისა გახდა მასალა, რომელიც 24 დეკემბერს უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ არ დაიბეჭდა, არც მასალის შესახებ უთქვამს რაიმე რედაქტორს, არც შენიშვნები მოუცია.

**— როგორც გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი აცხადებს, ეს მასალა უკვე დაბეჭდილი იყო სხვადასხვა გამომცემლობაში?**

— თავდაპირველად „ალია ჰოლდინგმა“ უარყო, რომ ჩემი მასალები არ იბლოკებოდა, ხოლო შემდეგ თქვეს, რომ არაკვალიფიციური სტატია იყო, გამოვაქვეყნებთ და მკითხველმა თავად შეაფასოსო. მასალის დაბლოკვის მიზეზად ის მოიყვანეს, რომ სტატია გამოქვეყნებული იყო presage.tv -ზე. აღნიშნული პიროვნება რვა წელი ედავებოდა ბიძინა ივანიშვილს და, რა თქმა უნდა, ინტერვიუებსაც აძლევდა, მაგრამ ამის გამო რატომ იყო მოძველებული თემა? ბეჭდურ მედიაში არ იყო დაბეჭდილი და მხოლოდ 19 ოქტომბერს გამოქვეყნდა presa.tivi.ge-ზე. ორი დღის შემდეგ ეს მასალა „ქრონიკამ“ გადაამღერა, რატომ მაშინ არ შეიქმნა პრობლემა ამ სტატიის დაბეჭდვასთან დაკავშირებით? ქარდავას თავდაცვის სამინისტროში გადაყვანასთან დაკავშირებით ხომ იბეჭდებოდა ერთი და იგივე სტატიები? რადგანაც ეს ხელისუფლების წარმომადგენელი იყო, ამიტომ არ იყო პრობლემა გადამღერებული მასალის დაბეჭდვა და ახლა გახდა? მაშინ, როდესაც კაცი შვიდი წლის განმავლობაში დავობდა პრესაში, ეს გახდა ჩემთვის ხელის შეშლის მიზეზი, რომ ჩემი ინტერვიუ არ გამოქვეყნებულიყო?.. მაგრამ ეს მასალა იყო ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართული სტატია და ამიტომაც არ დამიბეჭდეს.

არის მეორე ნიუანსი: გარდა იმისა, რომ ტიკარაძე აცხადებს, ეს სტატია არაკვალიფიციური იყოო, არის ერთი ლაფსუსი, რაც უნდა გასწორდეს. აქ საუბარია არა ჩემზე, არამედ რესპონდენტზე, რომელიც ედავებოდა ივანიშვილს. ჩემი რესპონდენტი რეზო გაფრინდაშვილი საუბრობს იმაზე, რომ მას და ბიძინა ივანიშვილის ძმას ჰქონდათ ბიზნესი, გარდა ამისა, გაფრინდაშვილს ბანკ „ქართუდან“ ჰქონდა აღებული კრედიტი, ივანიშვილის ძმასთან კონფლიქტისა და შელაპარაკების შემდეგ მას მოულოდნელად უჩნდება საბანკო დავალიანება. **მოვითხოვ, რომ უარყოთ ის ფაქტი, რომ თითქოსდა მე მქონდა დავალიანება ბანკ „ქართუში“. სინამდვილეში საუბარია ჩემს რესპონდენტზე.** რადგან დაბეჭდეთ ტიკარაძის ინტერვიუ, უფლება არ გაქვთ, არ მოისმინოთ ჩემი არგუმენტირებული პასუხებიც. მხოლოდ ივანიშვილის საწინააღმდეგო სტატიაზე არ არის საუბარი, ბოლო დროს ჩემზე ხორციელდებოდა მიზანმიმართული ზეწოლა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში რედაქციას არ აქვს არგუმენტი, თუ რატომ არ დაიბეჭდა ჩემი სტატია. დაზარალებული ჩემი რესპონდენტი დავობდა და, ბუნებრივია, სხვა გამოცემებსაც მისცემდა ინტერვიუს. არის მესამე ფაქტორიც, რომ ჩემი ინტერვიუ აბსოლუტურად კომპეტენტური იყო და რესპონდენტიც ობიექტურად დავობდა, დანარჩენი კი მკითხველისათვის მიენდოთ.

ამასთან, ბოლო პერიოდში ჩემი ინტერვიუები ხშირად იბლოკებოდა, განსაკუთრებით 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით, ამოიღეს ჩემი შეფასებები, ჩემი წერილები ოპოზიციური ფულისა და ტელევიზიების შესახებაც დაიბლოკა. ის, რაც არ გადიოდა, მათი აუდიოჩანაწერი შენახული მაქვს.

**— გულწრფელად გვითხარით: იყო თუ არა „ალიასთან“ თქვენი დაპირისპირება ხელისუფლების შეკვეთა?**

— რის საფუძველზე უნდა იფიქროს ეს გაზეთმა, როდესაც რვა წლის განმავლობაში ხელისუფლების მამხილებელ მასალებს ვწერდი. ყველა სტატია, რომელშიც ხელისუფლებას გააკრიტიკებთ, ოპოზიციის შეკვეთილია?

**— „ალიას“ პასუხისმგებელი რედაქტორი აცხადებს, რომ თქვენ ხშირად მიგქონდათ რედაქციაში სახელისუფლო რეკლამები.**

— ბოლო სარეკლამო მასალა 2008 წელს მივიტანე, იმ დროს, როცა საარჩევნო კამპანია იყო. ეს იყო კონკრეტული კანდიდატების საარჩევნო პროგრამები, თუმცა იმ პიროვნებების მიმართ კრიტიკული სტატიები კვლავაც იბეჭდებოდა. თუ ოპოზიციური რეკლამა შედიოდა „ალიაში“, მაშინ თუნდაც „სახალხო კრების“ ლიდერებზე წერა რატომ აღარ შეგვეძლო? ამ შემთხვევაში მე რეკლამის წინააღმდეგი არა ვარ, რეკლამა არის მედიის არსებობის მთავარი წყარო, მაგრამ რეკლამა სარედაქციო პოლიტიკაზე არ უნდა აისახებოდეს.

ესაუბრა **ეთერ ბალაძე**

ნაც-რეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხალხი შიმშილით იხოცება, ნაგვის ურნებთან რიგია, წყნეთშიც მრავლადაა ისეთი ოჯახი, იმ მორჩენილ სანოვაგეს მთელ დღეს რომ გამოიზოგებდა, მაგრამ ეს გაქსუებული დიდჩინოსანნი და მათი ცოლ-ქალიშვილები, რაც მორჩებათ, ყრიან, ასე ურჩევნიათ, ვიდრე გაჭირვებულებს დაურიგონ. მხოლოდ რამდენიმე დიდმოხელის ოჯახსა და დიასახლისს ემადლიერებიან იქ მომუშავე ადამიანები.**

## მოსკოვში ქართველი კანონიერი ქურდი დააკავეს

**მოსკოვში რუსმა სამართალდამცავებმა კანონიერი ქურდი, სახელად კოკა დააკავეს. რუსი სამართალდამცავების ცნობით, ის საქართველოს მოქალაქეა და რამდენიმე წლის განმავლობაში გარდაცვლილად ითვლებოდა.** სამართალდამცავებმა ის ავტომანქანით გადაადგილებისას დააკავეს. მას ჩხრეკისას ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი აღმოუჩინეს. არსებული ინფორმაციით, დაკავებული ხელმძღვანელობდა დანაშაულებრივ დაჯგუფებას, რომელიც საცხოვრებელი სახლების ქურდობით და სხვა დანაშაულების ჩადენით იყო დაკავებული.

## სარკოზი – სატანა!

**თურქულმა მედიამ ძალიან მძაფრად მოახდინა რეაგირება საფრანგეთის სენატის მიერ სომხების გენოციდის კრიმინალიზაციის კანონპროექტის მხარდაჭერის გამო.** თურქული მედია ამტკიცებს, რომ სომხური მსხვერპლის რაოდენობა გაზვიადებულია და რომ დაიღუპა მხოლოდ 400-500 ათასი ადამიანი და არა 1,5 მილიონი. ამას გარდა, წამყვანმა თურქულმა გაზეთებმა თავიანთი რისხვა საფრანგეთის პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის მისამართით წარმართეს, რომლის პარტიამაც ამ კანონპროექტს მხარი დაუჭირა. წამყვანი თურქული გაზეთი „Hurriyet“ წერს სტატიმ სახელწოდებით „სარკოზიმ დემოკრატია გამოშიგნა“, მეორე გაზეთი „Sozcu“-ი კი საფრანგეთის პრეზიდენტს, არც მეტი არც ნაკლები, თავად სატანას უწოდებს.

## იტალიის ექს-პრეზიდენტი გარდაიცვალა

**იტალიის რესპუბლიკის ყოფილი ლიდერი ოსკარ ლუიჯი სკალფარო რომში 94 წლის ასაკში ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა.** იგი 1918 წელს იტალიის ქალაქ ნოვარაში დაიბადა. 1992-1999 წლებში იტალიის პრეზიდენტი, 1992 წელს — დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, 1972-1973 წლებში — განათლების მინისტრი, ხოლო 1999 წლიდან რესპუბლიკის სამუდამო სენატორი იყო. იტალიის პრეზიდენტად იგი მას შემდეგ დაინიშნა, რაც ქვეყანაში ხმაურიანი კორუფციული სკანდალი აგორდა.

# რით განსხვავდება მთავრობის მაღალჩინოსნების მენიუ რიგითი ამომრჩევლების სამომხმარებლო კალათისგან?

**ქართული საზოგადოების ერთ ნაწილს, ალბათ, ჰგონია, პრესაში ჩვენი მაღალჩინოსნების დეკლარაციები რომ ქვეყნდებოდა და იქ მათი მაღალ-მაღალი ხელფას-პრემიებიც რომ იყო მითითებული, ისინი, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავნი, ოჯახსაც ამ ფულით არჩენენ: ყიდულობენ საკვებს, ბენზინს, შვილებს დაბადების დღეებს უხდიან და ხელფასიდან ხელფასამდე მომჭირნედ ცხოვრობენ. არადა, ასე არ არის. ხელისუფლებაში არის კასტა, რომელსაც დედაწულიანად, წვრილმან-მსხვილმანიანად სახელმწიფო ინახავს. ამგვარი კასტა, სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფი, კომუნისტების დროსაც გვყავდა, დამოუკიდებელი საქართველოს ორივე მმართველის — გამსახურდიასა და შევარდნაძის პერიოდშიც, მაგრამ მათ დროს რაღაც ზნეობრივი ზღვარი — ცნება „სახელმწიფო ქონების“ მიმართ ოდნავი რიდი და პატივისცემა მაინც იგრძნობოდა, იმდენი მაინც იცოდნენ, რომ, რაც სახელმწიფოს ეკუთვნოდა, მათი არ იყო და, რასაც ვერ შეჭამდნენ, იმდენი სახელმწიფო ფულით არ უნდა ეყიდათ. მაშინაც იყვნენ მფლანგველ-მამაძაღლები, მაგრამ ამათთან ისინი რა სახსენებელია.**



**ამ აგარაკზე ე. წ. კოტეჯებში ცხოვრების უფლება მარტო პრემიერ-მინისტრს, ვიცე-პრემიერს, უშიშროების საბჭოს წევრებს, პარლამენტის სპიკერატს აქვთ**

„ნაცმოძრაობის“ ყველაზე ელიტარულმა კასტამ ზომიერების ყველა გრძნობა დაკარგა. ამათ ისე მოსდით: „უნახავმა რა ნახაო და...“ და დაეწაფნენ სახელმწიფო ქონებას. ქალბატონი, რომელიც, ცხადია, ინკოგნიტოდ მოგვატარებს ნაც-ბოსების დიდ ლიდერთა ოჯახებს და იქაურ კულუარებშიც ჩაგვახედებს, წლების მანძილზე სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურში მუშაობდა, კერძოდ, წყნეთში, სამთავრობო აგარაკზე. ამ აგარაკზე ე. წ. კოტეჯებში ცხოვრების უფლება მარტო პრემიერ-მინისტრს, ვიცე-პრემიერს, უშიშროების საბჭოს წევრებს, პარლამენტის სპიკერატს აქვთ და, ცხადია, პრეზიდენტს — №1 კოტეჯი მისია, თუმცა **სააკაშვილს ამ აგარაკზე ერთი დღეც არ უცხოვრია. აქაიქ კი ისეთი თანამდებობის პირები დაპატრონებიან აგარაკებს, თანამდებობრივად რომ არ ეკუთვნით. მოკლედ, კანონი აქაც ფეხზე ჰკიდიათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა და ყველაფერს გავლენა წყვეტს.**

ჩვენი დიდჩინოსნების ყოფა-ცხოვრება სპეციალური დაცვის სამსახურს ექვემდებარება, კადრების შერჩევაც მათი პრეროგატივაა — მზარეული, დიასახლისი, ბავშვების მასწავლებელი, მებაღე, ბავშვის მომვლელი და ა. შ. სამთავრობო ზონის უზრუნველყოფას, თავისთავად, სამთავრობო დაცვის სპეცსამსახური ახორციელებს, რომელსაც ექვემდებარება უზრუნველყოფის სამსახური. ზონაში შესვლა, ვთქვათ, სტუმრად, სპეცსაშვების მეშვეობით ხდება, რაც ზონის ყველა ბინადარს აქვს. თუ სტუმარი ეწვევათ, მაშინ საშვს დაუშვებენ და სპეცშემოწმებისა და პიროვნების იდენტიფიკაციის მერე უშვებენ. თუმცა ხშირ სტუმრებს — ზონის არაბინადარ მინისტრებს, პარლამენტარებს, უმაღლესი კასტის წევრთა ნათესავებსა და მეგობრებს აღარც ამოწმებენ, ისე, პირადობის მოწმობის წარმოდგენის შემდეგ უშვებენ, თუმცა მათი ვიზიტის ზუსტი დრო და მანქანის ნომრები კომპიუტერში ფიქსირდება.

**«ნაცმოძრაობის» ყველაზე ელიტარულმა კასტამ ზომიერების ყველა გრძნობა დაკარგა. ამათ ისე მოსდით: «უნახავმა რა ნახაო და...» და დაეწაფნენ სახელმწიფო ქონებას**

წყაროს ინფორმაციით, **ამ სამთავრობო კოტეჯების ბინადარნი სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე არიან. კვირაში ერთხელ მოდის სპეცსამსახურის წარმომადგენელი, რომელსაც მოაქვს საკვები, თითქმის ყველა ოჯახისთვის ერთნაირი პროდუქტი.** ამ პროდუქტს „გუდვილში“ ყიდულობს შესაბამისი სამსახური, მაგრამ ზოგჯერ გამონაკლისიც ხდება — ვთქვათ, ვიღაცას „იოლის“ კარაქი უყვარს და არა „ეკო-ფუდის“ ან „კოდას“ კვერცხს არ ჭამს და „სამგორისა“ ურჩევნია, ესეც გათვალისწინებულია. რა და რა სახის პროდუქტები უნდა მოუტანონ ვიაიპი-ოჯახებს, ამას სპეციალურ ბლანკებზე ავსებენ ოჯახებზე სამთავრობო ზონაზე მიმაგრებული ე. წ. მამასახლისები და ხელსაც აწერენ; ვის რა რაოდენობის, რომელი კომპანიის ნაწარმი სურს, იმასაც აფიქსირებენ. ინფორმაციას ისინი ოჯახის დიასახლისებისგანაც იღებენ, — იშვიათად, თუ ვინმეს რაიმე ნუგბარი მოუნდა (სტანდარტული მენიუ მათთვის ცნობილია ისედაც, რადგან ზოგს, წლებია, ემსახურებიან, ნიკა გილაურს, მაგალითად).

**უფრო მალფუჭებად პროდუქტებს, მაგალითად, ხილსა და რძის პროდუქტებს კვირაში ორჯერ ეზიდებიან. თუმცა არის შემთხვევები, როცა, ვთქვათ, მზარეულს რომელიმე მინისტრის მეუღლე ისეთ კერძს შეუკვეთავს, რომლის ინგრედიენტებიც არა აქვს ან გამოელია. მაშინ, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი მის შესაძენად აუცილებლად „გუდვილში“ მიდის. სხვა, ნებისმიერ სუპერმარკეტში მისი ყიდვის უფლება არა აქვს, თუმცა მაინც ვერც იყიდის, რადგან „გუდვილის“ ჩეკი დიასახლისს უნდა ჩააბაროს, რომელსაც ის მამასახლისს, ანუ სახლის უფროსს გადასცემს.**

აბაზანისა და ჯაკუზისთვის საჭირო ყველა ▶

მოკლედ

## ნატო-რუსეთის სამიტი, შესაძლოა, ჩაიშალოს

**ჩიკაგოში, ნატო-რუსეთის სამიტი, შესაძლოა, ჩაიშალოს. ამის შესახებ ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.** მისი თქმით, თუ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა, ჩიკაგოში სამიტი აღარ შედგება. „ვიმედოვნებ, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებთან დაკავშირებით შეთანხმებას მივაღწევთ, თუმცა ამ მიმართულებით პროგრესი ჯერ არ შეიმჩნევა“, — აღნიშნა რასმუსენმა.

## ირანში ინსპექტორები ჩავიდნენ

**საერთაშორისო ატომური სააგენტოს ინსპექტორები სამდღიანი ვიზიტით ირანს ეწვივნენ. ისინი ირანის ბირთვული პროგრამის მიმართულებას შეისწავლიან. როგორც სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა იუკია ამანომ განაცხადა, ირანს მოუწევს მათ მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა.** გენერალური დირექტორი იმედოვნებს, რომ ყველა საკითხთან დაკავშირებით, სადაც კითხვები არსებობს, პროგრესი იქნება. შეგახსენებთ, რომ ირანის ბირთვული პროგრამის განვითარების გამო აშშ-სა და ირანს შორის დაძაბულობა მატულობს. ირანი ირწმუნება, რომ ის ბირთვული იარაღის განვითარებას არ ცდილობს.

ნაც-ჩეალობა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბიუჯეტი იხდის „ნაციონალთა“ კლანის ელიტის ავტომანქანების შეკეთება-შენახვის ფულს. ოჯახის ყველა წევრს, ვისაც მართვის მოწმობა და სურვილი აქვს, ცხადია, სახელმწიფო მანქანა ემსახურება. არის შემთხვევები, ოჯახში 5-6 წევრია და ყველას სამთავრობო მანქანა ემსახურება. მოკლედ, ჩაასხი და იგრიალე, ხალხი იხდის!**

◀ კომპონენტი — ქაფი, სითხე, საპონი, აეროზოლი და სხვა წვრილმანიც, ასეთი წესით მარაგდება. კონკრეტულ ოჯახს გამოეყოფა იმდენი და იმ რაოდენობის, რამდენსაც მოიხმარს. ზოგი ოჯახი 3-სულიანია, ზოგი — 5-6. ცხადია, გათვალისწინებულია, რომელი ფირმის აეროზოლი ან შამპუნი უნდა მოუტანონ. **ბოლო 4 წელია, „გუდვილი“ და სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური პარტნიორები არიან, მხოლოდ ეს ჰიპერმარკეტი ამარაგებს უმაღლესი კლანის ოჯახებს, მაგრამ ჩვენთვის უცნობია, „გუდვილი“ რაიმე ტენდერის წესით იგებს ამ უფლებას თუ ექსკლუზიური უფლება აქვს.** არის შემთხვევები, როცა რომელიმე გაზულუქებული ოჯახის ბავშვი აიხირებს და ისეთ ნუგბარს მოინდომებს, ვთქვათ, ისეთ ნაყინს, რომელიც „გუდვილში“, ანუ სახელმწიფო მომსახურების ნუსხაში არ არის. ასეთ შემთხვევაში ეს სამსახური პასუხისმგებლობას იხსნის და მშობლები იძულებულნი არიან, ჯიბეზე გაიკრან ხელი და სხვაგან უყიდონ თავიანთ პატარას ნაყინი.

სამთავრობო ზონის ყოფილი თანამშრომელი, ლენინისა არ იყოს, სახელმწიფო დოვლათის არასწორად გადანაწილებაზე ამახვილებს ყურადღებას. მისი ინფორმაციით, **იმის გამო, რომ ამ სახლის მობინადრეთა უმეტესობას საკუთარი ფულით ოჯახები არ ურჩენიათ და არც ოჯახის ბიუჯეტისა გაეგებათ რამე, ხშირია შემთხვევები, როცა ერთ ოჯახს იმდენ პროდუქტს მიუტანენ, რომ მეორე-მესამე დღეს გადასაყრელი ხდება ხოლმე. იქ მომსახურე პერსონალთა ნაწილიც ნაკლებკვალიფიციურია, ამიტომაცაა, რომ ხშირად ძვირადღირებული პროდუქტი ფუჭდება და იყრება.** ზაფხულობით კი ამ ჩვენს მინისტრებსა და პარლამენტარებს იმდენი ხილი ულპებათ, ათობით ოჯახს რომ ეყოფოდა. თან დიასახლისს ან მებაღეს არა აქვს უფლება, მათ უკითხავად ზედმეტი პროდუქტი სახლში წაიღოს და შვილებს აჭამოს.

ერთ ზაფხულს გელა ბეჟუაშვილის შვილებმა აიტეხეს: — მამა, ლეღვი გვინდაო. სასწრაფოდ დარეკეს სპეცნომერზე, ბავშვებს ლეღვი უნდათო. 10-12 კილოგრამი ლეღვი მოიტანეს. ბავშვებმა მხოლოდ რამდენიმე ცალი შეჭამეს, დიდი კალათით იდგა სამზარეულოში, ერთი ცალიც არ აულია აღარავის. მერე აივანზე გაიტანეს. ამჟავებული ლეღვის სუნმა შეაწუხა ბეჟუაშვილი და ბრძანა: — მოაშორეთ აქედანო. წაიღეს და გადაყარეს, არც სხვას აჭამეს და არც თვითონ ჭამეს. არადა, იმ ზაფხულს რამდენმა ბავშვმა ვერ დააგემოვნა ლეღვი! თანაც ბეჟუაშვილი სოფელში გაზრდილი ბიჭია, მანგლისელია. იცის მიწისა და გაჭირვების ფასიც და ეგ რომ მაგას იზამს, რუსთაველზე გაზრდილ მიშა მაჭავარიანს რაღა უნდა მოსთხოვო?!

**ნიკა გილაური რატომღაც ყველას მოსწონს — სამთავრობო დაცვის ბიჭებსაც და იქაური ოჯახების მომსახურე პერსონალსაც. ეს ბიჭი სულ იცინის, მაგრამ რა აცინებს ამ დაქცეული ქვეყნის პრემიერ-მინისტრს, მართლაც გასაკვირია.** გილაური ფინანსთა მინისტრი რომ გახდა, წყნეთის ზონაში აგარაკი გამოუყვეს (ენერგეტიკის მინისტრიც იყო, მაგრამ მაშინ არ დააფასეს). მივიდა, აგარაკი დაათვალიერა და სამთავრობო სამსახურის „მთავარი მომმარაგებელი“ ეახლა: აი, ბატონო ნიკა, ყოველთვიურად ესა და ეს გერგებათ სახელმწიფო ხარჯზე და თუ რაიმეს დამატებით მოისურვეთ, რამდენიმე საათით ადრე გვითხარითო. თან გრძელი, რამდენიმე ფურცლიანი სია მიუწოდებია მინისტრისთვის. გილაურს სია წაუკითხავს, შუბლში ხელი შემოურტყავს; ეს რა ამბავია, ამდენს მთელი წელი არ ვჭამ, ერთ თვეში ამდენ რამეს რა მაჭმევსო?! ხალხო, ძლივს ისეთ ასაკს მივაღწიე, დედაჩემი კოვზით აღარ დამდევს და ახლა, კვება თქვენ უნდა მიკონტროლოთო?

**გილაურს „მთავარი მომმარაგებლისთვის“ უთხოვია, რაც აქ არის ჩამოწერილი, საპაბაზანო სერვისის გარდა, ყველაფერი ოთხად გაყავით, ეს მეოთხედი კი მთელ თვეზე გამინაწილეთ, პურპროდუქტები კი საერთოდ ამოიღეთ სიიდან. შეჭკადრეს გილაურს, ეგრე არ გამოვა — „გუდვილთან“ ექსკლუზიური კონტრაქტები კი არა გვაქვს გაფორმებული, მთელ სამთავრობო ზონას აქვს გაფორმებული და წესს ვერ დავარღვევთ, რაოდენობას ვერ შევამცირებთო. გილაური გადარეულა — ფინანსთა მინისტრი მე ვარ და რას მასწავლისო!**

ბოლოს უთქვამს, კი, ბატონო, მთელი ზონისთვის იყიდეთ ისევ ისე, როგორც ყიდულობთ; მე დამაწერეთ, რასაც აქამდე ჩემს წინამორბედს აწერდით, ხელსაც მოგიწერთ, მაგრამ, რაც გითხარით, იმაზე მეტი სახლში არაფერი მომიტანოთო. რაც დარჩება, ის სამი მეოთხედი სხვებზე გადაანაწილეთო. ასეც მოქცეულან. იქაური მომსახურე პერსონალი დღემდე ეჭვობს — იმ დროს იქ კახა ბენდუქიძე ცხოვრობდა და, რაც გილაურს დააკლეს, ის პირდაპირ ბენდუქიძეს დააწერეს, რადგან მუდამ დამატებით საკვებს მოითხოვდა და ეს გაძლიერებული ვიაიპი მენიუც არ ჰყოფნიდაო.

გარდა საჭმელ-სასმელისა და ყოველდღიურად მოსახმარი საშუალებებისა, **სამთავრობო ზონაში უფასოა ქვეყნის მესაჭეთა ბავშვებისთვის დაბადების დღეებისა და სხვა, რელიგიური თუ საერო დღესასწაულების გამართვა. მთავარია, მოინდომონ და მთავრობა მზადაა, ნებისმიერი ხარჯი გაისტუმროს.** მაგალითად, **შარშან გიგა ბოკერიას ცოლმა თავის დაქალ-ძმაკაცებთან ერთად „ჰელოუნი-ფართი“ მოაწყო და გვარიანად მოულხინეს. ფრანგული შამპანურისა და კონიაკის ხარჯები („ჩერეზ“ „გუდვილით“) სახელმწიფომ გადაიხადა. უცნობია, სად და ვინ შეუკვეთა „ზეიმის“ მონაწილეებს სამოსი და ნიღბები და ვინ გადაიხადა მათი საფასური. შარშანვე ორი დიდი დღეობა გამართულა წყნეთის სამთავრობო აგარაკზე გიგა ბოკერიას ვაჟისა და გიორგი ბარამიძის ქალიშვილის, მაგრამ ვანო მერაბიშვილის შვილის დაბადების დღე განსაკუთრებულად გამორჩეული ყოფილა.** ყოველი მეორე სტუმარი იარაღით იყო მისული და აკაკანეს და აკაკანეს თურმე პისტოლეტები. მერე, დიდი ფოიერვერკიც მიაყოლეს ამას. ტყვიების არა, მაგრამ 100-კაციანი პურმარილისა და ფოიერვერკის ხარჯი სახელმწიფომ გაიღო.

**საწყალი ბიუჯეტი უძლებს ამ ყველაფერს. სხვა რა გზაა, მილიონჯერ გვითქვამს და დაგვიწერია, ეს ბიუჯეტი მათ ხასიათსა და გუნებაგანწყობაზეა „შეკერილი“.**

ხალხი შიმშილით იხოცება, ნაგვის ურნებთან რიგია, წყნეთშიც მრავლადაა ისეთი ოჯახი, იმ მორჩენილ სანოვაგეს მთელ დღეს რომ გამოიზოგებდა, მაგრამ ეს გაქსუებული დიდჩინოსანნი და მათი ცოლ-ქალიშვილები, რაც მორჩებათ, ყრიან, ასე ურჩევნიათ, ვიდრე გაჭირვებულებს დაურიგონ. **მხოლოდ რამდენიმე დიდმოხელის ოჯახსა და დიასახლისს ემადლიერებიან იქ მომუშავე ადამიანები. თბილად იხსენებენ ზურაბ ჟვანიას მეუღლეს, ნინო ჟვანიას, რომელიც მომსახურე პერსონალს უყურადღებოდ არასდროს ტოვებდა.**

სიმართლე უნდა ითქვას: **დღესასწაული არ ჩაივლის, სამთავრობო ოჯახის დაცვის ბიჭებს რაიმე ნუგბარი რომ არ უწილადოს პრეზიდენტის მეუღლემ სანდრა რულოვსმა.** შარშან, შობას დიდი ტორტი გამოუტანია და თვითონვე დაუჭრია დაცვის ბიჭებისთვის; წლეულს, ახალ წელს მათთვის ჩურჩხელები ჩამოურიგებია; ყოფილა შემთხვევა, პირველ ლედის შინაც შეუპატიჟებია თურმე გაყინული ბიჭები და ყავა და ჩაი შეუთავაზებია (თუმცა ამ დროს, ეკონის თანახმად, „შინშეპატიჟებულებს“ სხვები ცვლიან).

რაც მთავარია, ამ ოჯახებში საჭმელი არ ფუჭდება — რასაც ვერ ერევიან, იმას მომსახურე პერსონალს აძლევენ. ობიექტურობისთვის ამ კატეგორიაში ვანო მერაბიშვილის მეუღლე თაკო სალაყაიაც. არ ვიცი, იქნებ ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, **ეს ქალი ციხეში უნდა იჯდეს, მაგრამ სიხარბესა და „მეშჩანობას“ ვერ დავწამებთ.**

დიდი ხანი არ არის, რაც ერთ-ერთ კოტეჯში სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი თემურ ჯანაშია ჩასახლდა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ამ სამსახურის უფროსი სამთავრობო ზონაში ცხოვრობს. ამბობენ, ეს სიტუაციის უკეთ კონტროლის მიზნით გაკეთდა; მეორეც, ჯანაშია სააკაშვილს მოუვიდა თვალში, ბოლო ხანს დამეგობრდნენ კიდეც, რაც მის კლანში გავლენის გაზრდაზეც აისახაო.

**ქვეყნის ყველაზე გავლენიანი ადამიანების ოჯახის შვილები, ცხადია, საუკეთესო სკოლებში დადიან, თუმცა თითქმის ყველა ოჯახს, სადაც სასკოლო ასაკის ბავშვია, რეპეტიტორები დაუდით.** რეპეტიტორებიც, როგორც ყველა პერსონალი, საგანგებოდ არიან შერჩეულნი, განათლების სამინისტროს რეკომენდაციებითა და მერაბიშვილის უწყების მიერ, მათი და მათი ოჯახის წევრების ძირის-ძირობამდე შესწავლით. **მასწავლებლები საღამოობით ამოდიან თბილისიდან, მათ მანქანა არ ემსახურებათ. ხელფასს სახელმწიფო უხდის, 500-700 ლარის ფარგლებში, გააჩნია საგანს.** ცალკე თემაა უცხო ენების მასწავლებლები. ისინი ჩვეულებრივი სკოლებიდან არ მოჰყავთ (ანუ განათლების სამინისტროს ქვემდებარე უწყებიდან), მათ საგანგებოდ არჩევენ უცხო ენათა შემსწავლელი ცნობილ და პოპულარულ ცენტრებში, ძირითადად ახალგაზრდა გოგონები არიან (სხვა საგნების მასწავლებელთაგან განსხვავებით) და ისინიც, სპეცწესებით არიან შერჩეულნი. უცხო ენების მასწავლებლებს კონტრაქტს უფორმებენ, სადაც ერთ-ერთ პუნქტში წერია, რომ ისინი ოჯახის წევრებსაც კი არ გაუმხელენ, თუ დამატებით სად მუშაობენ.

**ბიუჯეტი იხდის „ნაციონალთა“ კლანის ელიტის ავტომანქანების შეკეთება-შენახვის ფულს. ოჯახის ყველა წევრს, ვისაც მართვის მოწმობა და სურვილი აქვს, ცხადია, სახელმწიფო მანქანა ემსახურება. არის შემთხვევები, ოჯახში 5-6 წევრია და ყველას სამთავრობო მანქანა ემსახურება. მოკლედ, ჩაასხი და იგრიალე, ხალხი იხდის!**

ეს არის მცირე ნაწილი იმ სიკეთისა, რომელსაც უმაღლესი ხელისუფლების ჩინოვნიკები ბიუჯეტიდან იღებენ. რაც შეეხება ძვირადღირებულ მასაჟებს, სამედიცინო მომსახურებას, სახელმწიფოს ხარჯზე სპა-ცენტრებში, აუზებზე, ჩოგბურთის კორტებზე ვიზიტებს, ცხადია, ხალხის ხარჯზე, ამაზე სხვა დროს მოგითხრობთ.

**ჯაბა ლეონიძე**






## ლიბიაში კადაფის მომხრეებს აწამებენ

**საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის „ექიმები საზღვრებს გარეშე“ ინფორმაციით, ლიბიის ქალაქ მისრატაში მყოფ პატიმრებს აწამებენ.** ორგანიზაციის ხელმძღვანელის, კრისტოფერ სტოიკის ინფორმაციით, ორგანიზაციის თანამშრომლებმა დახმარება გაუწიეს 115 პატიმარს, რომლებსაც სხეულზე წამების კვალი ეტყობოდათ. მათი ინფორმაციით, პატიმრების უმრავლესობა ლიბიის მოკლული ლიდერის მუამარ კადაფის მომხრეები იყვნენ. „ჩვენთან მოჰყავდათ პაციენტები დაკითხვების შემდეგ, რათა მათთვის სამედიცინო დახმარება გაგვეწია და შემდეგი დაკითხვისთვის გაეძლოთ. ამგვარი სიტუაცია დაუშვებელია. ჩვენი ამოცანაა, ომის მსხვერპლთ სამედიცინო დახმარება გავუწიოთ და არა — ვუმკურნალოთ ამა თუ იმ პაციენტებს დაკითხვებს შორის არსებულ შუალედში“, — აცხადებს სტოუკსი და აღნიშნავს, რომ „ექიმები საზღვრებს გარეშე“ მისრატაში პატიმრების მიმართ წამების გამოყენების გამო მუშაობას წყვეტენ.

## ტიმოშენკოს ქალიშვილი აშშ-ის სენატში სიტყვით გამოვა

უკრაინის ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს ქალიშვილი ევგენია 1 თებერვალს აშშ-ის სენატში უკრაინის საკითხებთან დაკავშირებით მოსმენაში მიიღებს მონაწილეობას. სენატის საგარეო ურთიერთობათა ქვეკომიტეტი, რომელიც ევროპის საკითხებზე მუშაობს, მოსმენას გამართავს თემაზე „უკრაინა გზაჯვარედინზე“. „დისკუსიას სენატორი ჯინ შაჰინი უხელმძღვანელებს. მოსმენაში მონაწილეობას მიიღებს უკრაინაში აშშ-ის ყოფილი ელჩი სტივენ პაიფერიც, რომელიც ამჟამად ვაშინგტონის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ პოლიტოლოგიის ცენტრში „Brookings Institution“-ის ანალიტიკოსად მუშაობს“, — ნათქვამია ტიმოშენკოს საიტზე გამოქვეყნებულ შეტყობინებაში.

მოკლედ

## უარი — სამეფოს ჯილდოებზე

**დიდი ბრიტანეთის მთავრობის ადმინისტრაციამ საკუთარ საიტზე იმ ადამიანთა სია გამოაქვეყნა, რომლებმაც ბრიტანეთის საპატიო სამეფო ჯილდოებსა და ტიტულებზე უარი თქვეს.** სიაში სულ 227 ადამიანი მოხვდა. მათ ბრიტანეთის იმპერიის ორდენზე უარი 1951-1999 წლებში თქვეს. ეს ადამიანები დღეს უკვე ცოცხლები აღარ არიან. ეს პუბლიკაცია პირველი ოფიციალური დადასტურებაა იმისა, რომ ბრიტანეთის სამეფო პრესტიჟულ ჯილდოებზე თავის დროზე ასეულობით ადამიანმა თქვა უარი. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 1962 წელს ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კომანდორობაზე უარი თქვა კინორეჟისორმა ალფრედ ჰიჩკოკმა, თუმცა მოგვიანებით, 1980 წელს, სიკვდილამდე ოთხი თვით ადრე, მან რაინდ-კომანდორის წოდება მიიღო.

## ჰოვარტს არგენტინის არ ეშინია

**არგენტინას არ გააჩნია შესაძლებლობა და არც განუზრახავს ძალით დაიპყროს ფოლკლენდის კუნძულები.** ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ჯერალდ ჰოვარტმა ქვეყნის პარლამენტში განაცხადა. მინისტრის თქმით, ბრიტანეთი მზადაა, დაიცვას თავისი სამხრეთ-ატლანტიკური ტერიტორიები. გასულ კვირას არგენტინის პარლამენტმა უარყო დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, დევიდ კამერონის განცხადება იმასთან დაკავშირებით, თითქოს ბუენოს-აირესი ცდილობს, კუნძულების მიმართ კოლონიალისტური პოლიტიკა გაატაროს. არგენტინელმა სენატორებმა აღნიშნეს, რომ ქვეყანა შეეცდება, კუნძულები პოლიტიკური ნაბიჯებით დაიბრუნოს.

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

უილიამ დანკერლი: „მედიის უმეტესი ნაწილი ლიტვინენკოს ჯეიმს ბონდს ადარებდა, მე კი მას ვუწოდებდი „ალექსს საოცრებათა ქვეყანაში“. ის, რაც დასავლურ პრესაში იბეჭდებოდა, ფაქტებს არ ეყრდნობოდა. ყველა საგაზეთო სათაური ამტკიცებდა, რომ ლიტვინენკო მოკლეს. ამ საკითხის შესწავლისას გავარკვიე, რომ მისი სიკვდილის მიზეზის შესახებ ოფიციალური დასკვნაც კი არ არსებობს!“

## აშშ საფრანგეთის დონემდე არ დავა

**ამერიკის შეერთებული შტატები საფრანგეთის მსგავსად I მსოფლიო ომის დროს ოსმალთა იმპერიის მიერ სომეხთა გენოციდის არ აღიარების კრიმინალიზაციას არ აპირებს.** შესაბამისი განცხადება აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გააკეთა. „ჩვენი ძალა იმაშია, რომ ჩვენ სიტყვას არ ავკრძალავთ. ხალხს შეუძლია თქვას ის, რასაც ფიქრობს. ჩვენ მოკავშირე საფრანგეთს სხვა სტანდარტები აქვს. ვიმედოვნებ, ჩვენ არასოდეს დავალთ იმ დონეზე, რომ სიტყვა ავკრძალოთ“, — აღნიშნა კლინტონმა.



## აშშ ყველაფერს გააკეთებს

**აშშ-ის პრეზიდენტის — ბარაკ ობამას განცხადებით, აშშ მიიღებს ყველა ზომას, რათა წინ აღუდგეს ირანის მიერ ბირთვული იარაღის შექმნას.** „არ არსებობს ეჭვი, რომ აშშ მზადაა, ირანში ბირთვული იარაღის შექმნა აღკვეთოს. მე ამ მიზნის მისაღწევად დღის წესრიგიდან არანაირ ზომას არ გამოვრიცხავ“, — აღნიშნა ობამამ. მისი თქმით, ახლა ირანის ხელისუფლება ისეთ იზოლაციაში იმყოფება, როგორშიც აქამდე არასდროს ყოფილა. „სანამ ისინი, პასუხისმგებლობის თავიდან აცილებას შეეცდებიან, მათზე ზეწოლა არ შეჩერდება“, — ბრძანა მან.

## თურქეთი ირანს ემბარგოს არ უწესებს

**თურქეთი ირანის წინააღმდეგ ევროკავშირის ახალი სანქციების გაზიარებას არ აპირებს.** ამის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმედ დავითოღლუმ განაცხადა. „თურქეთი არ ეთანხმება ირანის წინააღმდეგ ევროკავშირის ახალ სანქციებს, რომელიც ირანულ ნავთობზე ემბარგოს აწესებს. ჩვენი ქვეყანა სანქციების გატარებაში მონაწილეობას არ მიიღებს. აქედან გამომდინარე, თურქეთი ენერგეტიკის სფეროში თეირანთან თანამშრომლობას გააგრძელებს“, — აღნიშნა დავითოღლუმ.

# უილიამ დანკერლი: პოლონიუმის სკანდალი ბრიტანულმა მედიამ შექმნა

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ამერიკელმა მკვლევარმა უილიამ დანკერლიმ სულ ახლახან გამოსცა წიგნი „ლიტვინენკოს ცრუ მკვლელობა“, რომლიდანაც ირკვევა, რომ ხუთი წლის წინ ლონდონში მოწამლული რუსეთის ფსბ-ს ყოფილი თანამშრომელი, შესაძლოა, არც მოწამლულა, თანაც — არც პოლონიუმით, არც ანდრეი ლუგოვოის მიერ და, მით უფრო, მოსკოვის ბრძანებით. ლიტვინენკოს გარდაცვალების გამო ატეხილი ხმაური, რომლის გამოც რუსეთისა და ბრიტანეთის ურთიერთობა მკვეთრად გაცივდა, კლასიკური შავი პიარია.**

**გაირკვა თუ არა საბოლოოდ სიმართლე, თუ ეს მორიგი კონსპიროლოგიური თეორიაა?**

**„მე არ ჩამიტარებია გამოძიება, თუ ვინ და რატომ მოკლა ლიტვინენკო, მე, უბრალოდ, პრესას ვკითხულობდი და ვიკვლევდი, თუ როგორ აშუქებდა იგი ამ სკანდალს,“ — განაცხადა უილიამ დანკერლიმ. მან დასძინა, რომ ეს ისტორია თანამედროვე საერთაშორისო ჟურნალისტიკის სერიოზული მარცხია. გთავაზობთ დანკერლის წიგნის ამონარიდებს, რომლებიც პირველად ქვეყნდება.**





უილიამ დანკერლი

**კითხვაზე «ლიტვინენკო პლუს მკვლელობა» საძიებო სისტემა GOOGLE 585 ათას შედეგს იძლეოდა. პოლიტკოვსკაიაზე, რომელიც ერთი თვით ადრე მოკლეს მოსკოვში, შედეგი იყო 221 ათასი**

### ლიტვინენკომ ყველას აჯობა

**ინფორმაციამ, რომლის თანახმად, ლიტვინენკო რუსეთის მაშინდელი პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ბრძანებით მოკლეს, მსოფლიო ააფეთქა.**

2007 წლის მარტში, როცა ეს ისტორია პიკზე იყო, მე ჩავატარე რამდენიმე კვლევა, ერთმანეთს შევადარე რუსულ და ინგლისურენოვანი საძიებო სისტემები. შევისწავლე არა მარტო სტატიები, არამედ ბლოგები, ვებსაიტები, მედიაარქივები.

**კითხვაზე „ლიტვინენკო პლუს მკვლელობა“ საძიებო სისტემა google 585 ათას შედეგს იძლეოდა. პოლიტკოვსკაიაზე, რომელიც ერთი თვით ადრე მოკლეს მოსკოვში, შედეგი იყო 221 ათასი. მაშინ საძიებო სისტემაში ხლებნიკოვი შევიტანე (ჟურნალ „ფორბსის“ რუსული ვერსიის გამომცემელი, რომელიც მოსკოვში 2004 წლის ივლისში მოკლეს) და 53 ათას 600 შედეგი მივიღე.** ერთი სიტყვით, ლიტვინენკომ ყველას აჯობა! რთული სათქმელია, რამ იქონია ამაზე ზეგავლენა. დავუშვათ, ხლებნიკოვი ორი წლით ადრე მოკლეს და ბევრმა ინტერნეტგვერდმა არსებობა შეწყვიტა, მაგრამ პოლიტკოვსკაია ხომ სულ ცოტა ხნით ადრე მოკლეს! რატომ არის მასა და ლიტვინენკოს შორის ასეთი განსხვავება? იმიტომ, რომ ეს ისტორია ბრიტანულმა პრესამ გაბერა?

### წინასწარმეტყველი არსაიდან

2006 წლის 13 ნოემბერს გაზეთმა „კომერსანტმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით **„ლიტვინენკომ განაცხადა, რომ იგი ინფორმატორთან შეხვედრისას მოწამლეს, რომელმაც პოლიტკოვსკაიას მკვლელობის შესახებ დოკუმენტები ჩაუტანა“.** გაზეთმა „მოსკოუ ნიუსმაც“ იგივე დაბეჭდა.

ორივე სტატიაში ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: მტკიცება იმისა, რომ, ლიტვინენკოს რწმენით, იგი სწორედ იმ ადამიანმა მოწამლა. აღწერილობით იგი ძალიან ჰგავს იტალიელ მარიო სკარამელას. მოკლედ, თვითონ ლიტვინენკო პუტინს არაფერში სდებდა ბრალს.

იური ფელშტინსკიმ (რომელთანაც თანაავტორობით დაწერილ წიგნში ლიტვინენკომ ბრალი დასდო პუტინს მოსკოვში სახლების აფეთქებაში), ამერიკის საზოგადოებრივი რადიოს ეთერში დაადასტურა: **„8 ნოემბერს ჩვენ 15 თუ 20 წუთი ვისაუბრეთ ტელეფონით და ლიტვინენკო დარწმუნებული იყო, რომ იგი სკარამელამ მოწამლა“.**

**თუმცა სიკვდილამდე ლიტვინენკო სხვა დასკვნამდე მივიდა, – იგი პუტინის ბრძანებით მოწამლეს. რა შეიცვალა ამ ორ განცხადებას შორის გასულ პერიოდში? შესაძლოა, ბორის ბერეზოვსკიმ მას ფული გადაუხადა, როცა 2006 წლის 17 ნოემბერს საავადმყოფოში ინახულა. ამის შემდეგ ლიტვინენკოს ბერეზოვსკისთვის თითქოს უთქვამს: „ეჭვგარეშეა, რომ პუტინის ბრძანებით მომწამლეს“.**

ლოგიკურია, რომ ჟურნალისტები დაინტერესებულიყვნენ, თუ რატომ შეცვალა მან ვერსია, თავად მივიდა ამ დასკვნამდე, თუ ვინმემ მიიყვანა.

### რისთვის მოიშორეს იგი?

**ბევრი პუბლიკაცია ლიტვინენკოს მოწამლვას პოლიტკოვსკაიას მკვლელობის მიმართ მის ინტერესთან აკავშირებს.** კი მაგრამ, რატომ იძიებდა იგი პოლიტკოვსკაიას მკვლელობას? იგი პრესის მუშაკად არ ითვლებოდა, არ მუშაობდა კლიენტებთან როგორც კერძო დეტექტივი. მაინც რატომ იყო ამ საკითხით დაკავებული? არც ერთ ჟურნალისტს ეს შეკითხვა არ გასჩენია.

**მეორე პოპულარული მოტივია „ჯაშუში, რომელმაც მეტისმეტად ბევრი იცოდა“.** იგულისხმება, რომ იგი მოწამლეს, რათა აღარ ელაპარაკა. თუმცა სიკვდილამდე რამდენიმე კვირით ადრე ლიტვინენკომ უამრავი ინტერვიუ მისცა, მაგრამ არავითარი საიდუმლოებანი არ გამჟღავნებულა.

**კიდევ ერთი ვერსია: ლიტვინენკო პუტინისა და ფსბ-ს წინააღმდეგ განცხადებების გამო გააჩუმეს** (ეს ერთგვარი წინაპირობაა დასკვნისთვის: „ამ სცენარის ავტორი პუტინია“). ამ ხაზს მიჰყვებოდა ბრიტანული „გარდიანი“. როგორც წინა შემთხვევებში, არც ერთი ფაქტი მოტანილი არ ყოფილა.

### მსჯავრდებულია და მეტად სახიფათო

აი, რას წერდა 2006 წლის 23 ნოემბერს „ლონდონ ტაიმსი“: **„კრემლი იმის დემონსტრირებას ახდენს, რომ მზად არის, საზღვარგარეთ საკუთარი მტრების წინააღმდეგ ძალა გამოიყენოს“.** იმ წელს რუსეთის სახელმწიფო სათათბირო მსჯელობდა კანონზე, რომელიც სახელმწიფოს მეთაურს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის საშიში პირების ლიკვიდაციის უფლებას მისცემდა. მაგრამ არც „ტაიმსს“ არც სხვა გაზეთებს არ წარმოუდგენიათ თუნდაც ერთი ფაქტი, რომ ეს უფლება გამოიყენეს. გასაგებია, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს აწუხებს, თუ უცხოელი აგენტები მათ სუვერენულ ტერიტორიაზე მოქმედების უფლებას იღებენ, მაგრამ 2004 წლის თებერვალში კატარში ჩეჩნეთის ყოფილი ლიდერის, ზელიმხან იანდარბიევის ლიკვიდაცია მოხდა. დოჰას სასამართლომ დამნაშავედ ცნო ორი რუსი მოქალაქე, ხოლო მოსამართლემ განაცხადა: „ეს ადამიანები რუსეთის ლიდერის მითითებით მოქმედებდნენ,“ – ასეთი იყო BBC-ის ციტატა.

**არის თუ არა ეს ის თემა, რომლის გამოც ასეთი ხმაური უნდა ატეხილიყო? შეგახსენებთ, რომ საძიებო სისტემა GOOGLE ლიტვინენკოზე 585 ათას შედეგს იძლევა, ხოლო იანდარბიევზე – მხოლოდ 886-ს!**

### შეკვეთილი სტატია. როგორ კეთდება ეს

**როგორც ვრწმუნდებით, ლიტვინენკოს ირგვლივ დიდი ხმაური იყო, ხოლო რეპორტაჟები – აშკარად ცალმხრივი. რით აიხსნება ეს?**

აი, იმის ამოხსნა, როგორ აშუქებდა ამ ყოველივეს პრესა: „ფაინენშენლ ტაიმსმა“ დაწერა, რომ ლიტვინენკოს თვით ლორდი ბელი მფარველობდა, რომელიც 1979 ▶

მოკლედ

## ნორვეგიამ ბოდიში მოიხადა

**ნორვეგიამ პირველად მოიხადა ბოდიში იმისთვის, რომ ქვეყანა მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელების წინააღმდეგ დანაშაულის თანამონაწილე იყო.** ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი იენს სტოლტენბერგი ჰოლოკოსტის მსხვერპლთათვის მიძღვნილ საერთაშორისო დღეს სიტყვით გამოვიდა. „ვგრძნობ, რომ მოვიდა დრო, ბოდიში მოვიხადოთ იმისთვის, რაც ნორვეგიის მიწაზე ხდებოდა“, — განაცხადა სტოლტენბერგმა. პრემიერ-მინისტრმა განცხადება გააკეთა ოსლოს პორტში, საიდანაც 1942 წლის 26 იანვარს გემით Donau 532 ებრაელი გადაიყვანეს. ნორვეგიამ თავისი მონაწილეობა ჰოლოკოსტში 1998 წელს აღიარა.



## უკრაინაში 12 ადამიანი გაიყინა

**უკრაინაში ძლიერი ყინვების შედეგად ორი დღის განმავლობაში 12 ადამიანი დაიღუპა.** ამის შესახებ ქვეყნის საგანგებო სიტუაციათა სამინისტროზე დაყრდნობით ადგილობრივი მედია იუწყება. დაღუპულთაგან რვა ადამიანი ქუჩაში გაიყინა. სულ ძლიერი ყინვის გამო 285 ადამიანია ჰოსპიტალიზებული. მეტეოროლოგები პესიმისტურ პროგნოზს წინასწარმეტყველებენ. მათი ინფორმაციით, უახლოეს დღეებში -33 გრადუსი ყინვაა ნავარაუდევი. ხელისუფლება მოსახლეობას მოუწოდებს, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევების გარდა, ქუჩაში გასვლისგან თავი შეიკავონ.

**თავის წიგნში „დისიდენტის სიკვდილი“ გოლდფარბი ამტკიცებდა, რომ პოლონიუმის 97% რუსეთში იწარმოება. ეს ინფორმაცია ფართოდ იყო გავრცელებული. ეპშტეინი დაასკვნის, რომ ეს სრული სისულელეა, რადგან არავინ იცის ზუსტად, რამდენი პოლონიუმი იწარმოება რუსეთში ან მთელ მსოფლიოში. ეს სრულიად საიდუმლო ინფორმაციაა. მეტიც: ეპშტეინმა გაარკვია, რომ 2006 წელს პოლონიუმი არც რუსეთს, არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს საერთოდ არ უწარმოებია!**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ წელს მარგარეტ ტეტჩერს დაეხმარა არჩევნების მოგებაში. „ინდეპენდენტი“ იტყობინებოდა, რომ მისი პიარ-კამპანიის („ბელ პოტინგერ კომუნიკეიშნ“) წარმომადგენლები მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უკავშირდებოდნენ და ფოტოგრაფებს ეძებდნენ, რომლებიც ჰოსპიტალში მივიდოდნენ. ეს ძალიან ჰგავს იმ ფენომენს, რომელსაც შეკვეთილი სტატია ჰქვია რაიმეს გასაპიარებლად. იწერება პრესრელიზი, თან ერთვის ფოტო და ვიდეო. ხომ მიგიქცევიათ ყურადღება სტატიებისთვის, რომლებიც ერთდროულად რამდენიმე გაზეთში იბეჭდება?

პოლიტიკოსებიც ანალოგიურად იქცევიან. **თუ ხედავთ, რომ პოლიტიკოსი ერთდროულად სხვადასხვა სატელევიზიო არხეზე ჩნდება თავისი კომენტარებით, იცოდეთ: ეს შეკვეთაა! პუტინის „გაშავებაც“ სწორედ ამგვარი შეკვეთილი სტატიების დახმარებით ხდებოდა.**

## პოლონიუმი და რუსეთი

**როგორც კი გაირკვა, რომ ლიტვინენკო პოლონიუმით იყო მოწამლული, ჟურნალისტებმა მისი რუსეთთან კავშირის ძებნა დაიწყეს.** 2006 წლის 24 ნოემბერს „ტელეგრაფი“ ამტკიცებდა, რომ „პოლონიუმი-210“ მხოლოდ სამხედრო და სამეცნიერო სფეროებში მოიპოვება. რუსეთის ატომური ენერგიის ყოფილი მინისტრი ევგენი ადამოვი, პირიქით, ინტერვიუში ამბობდა, რომ პოლონიუმის მიღება დილეტანტსაც კი შეუძლია. ზოგიერთმა მკითხველმა, შესაძლოა, მიიჩნიოს, რომ ეს წმინდა რუსული ვერსიაა, მაგრამ 2006 წლის 3 დეკემბერს „ნიუ იორკ ტაიმსმა“ გამოაქვეყნა სტატია სათაურით: **„პოლონიუმი: 22,5 დოლარი + გადასახადები“.** სტატიაში მოტანილი იყო ატომური ექსპერტიზის დარგში აშშ-ის მთავრობის მრჩევლის, უილიამ ჰაპერის სიტყვები: **„ინტერნეტში პოლონიუმ-210-ის საფუძველზე შექმნილი უამრავი პროდუქტი იყიდება. ლეტალური დოზა ღირს 22,5 დოლარი + გადასახადები“.**

## პოლონიუმის რუსეთთან კავშირი აორთქლდა

**2008 წლის აპრილში ნიუ ორლეანის სენატორის, როზლეხტინენის ინიციატივით, აშშ-ის კონგრესმა მიიღო განცხადება იმის თაობაზე, რომ რუსეთის ხელისუფლება ლიტვინენკოს მკვლელობასთან არის დაკავშირებული და რომ პოლონიუმის 97% რუსეთში იწარმოება.** როზ-ლეხტინენმა ბირთვული თანამშრომლობის შესახებ ამერიკულ-რუსული ხელშეკრულების დარღვევისკენ მოუწოდა. მისი სახელით გავრცელებულ პრეს-რელიზში ნათქვამი იყო: **„ეს იშვიათი, უაღრესად რადიოაქტიური ნივთიერება, რომელიც მოწამვლისთვის იყო გამოყენებული, რუსეთის მთავრობის მკვლელობაში მონაწილეობაზე კითხვებს აღძრავს“.**

ეს ციტატა მხოლოდ უვიცობის დემონსტრირებისთვის როდი მოვიტანე, არამედ — უხარისხო ჟურნალისტიკის სახიფათო შედეგების საჩვენებლად.

## ალექსი საოცრებათა ქვეყანაში

**ასეთი დარტყმა ბრიტანულ მედიას არასოდეს მიუღია და თანაც — ამერიკელი კოლეგისგან!**

უილიამ დანკერლი ბიზნეს-ანალიტიკოსია, რომლის სპეციალიზაციის საგანი პოსტკომუნისტური ქვეყნებია. იგი კონექტიკუტის შტატში ცხოვრობს, ყურადღებით ეცნობა მედიას და დიაგნოზებს უსვამს. ლიტვინენკოს საქმის გაშუქებაზე მისი ვერდიქტი ასეთია: **„ფანტასტიკური ისტორია, რომელსაც რეალობასთან არაფერი აქვს საერთო“.**

კითხვაზე, რატომ გადაწყვიტა ამ საკითხზე წიგნის დაწერა, დანკერლიმ უპასუხა: **„მედიის უმეტესი ნაწილი ლიტვინენკოს ჯეიმს ბონდს ადარებდა, მე კი მას ვუწოდებდი „ალექსს საოცრებათა ქვეყანაში“. ის, რაც დასავლურ პრესაში იბეჭდებოდა, ფაქტებს არ ეყრდნობოდა. ყველა საგაზეთო სათაური ამტკიცებდა, რომ ლიტვინენკო მოკლეს. ამ საკითხის შესწავლისას გავარკვიე, რომ მისი სიკვდილის მიზეზის შესახებ ოფიციალური დასკვნაც კი არ არსებობს!**

მაშინ კორონერს (გამომძიებელი მოსამართლე) ლონდონში მივწერე: **„თუ სწორად მესმის, თქვენ ვერ ჩამოყალიბდით, იყო თუ არა ლიტვინენკოს სიკვდილის მიზეზი მკვლელობა. თუ ეს ჩემი მოსაზრება უზუსტობას შეიცავს, გთხოვთ, შემისწოროთ“.** აი, რა პასუხი მივიღე: **„ყველაფერი სწორია. დასკვნა მისი გარდაცვალების მიზეზების შესახებ არ არსებობს“.**

**მაშ, როგორღა დასდო ბრალი ბრიტანეთის პოლიციამ ანდრეი ლუგოვოის ლიტვინენკოს მკვლელობაში, თუკი ისიც არ იყო გარკვეული, მკვლელობა იყო ეს თუ არა?** კორონერს არავითარი კვალიფიკაცია არ მიუცია, გარდა იმისა, რომ ლიტვინენკო გარდაიცვალა, მედია კი ამტკიცებს, რომ ლიტვინენკოს სიკვდილის უკან პუტინი და რუსეთის სახელმწიფო დგას!

ერთი სიტყვით, **ბრიტანულმა და ამერიკულმა მედიამ ეს სკანდალი ისე ატეხა, რომ არაფერი გადაუმოწმებია.** ამ თავბრუდამხვევ დეტექტივში კიდევ ერთი საინტერესო დეტალია: ლონდონელი ტოქსიკოლოგი ჯონ ჰენრი ძალიან ხშირად იყო ციტირებული მედიაში. მე წავიკითხე გერმანელი მეცნიერის, ფელიცია მაკგილკრესტის გამოძიება. მან გააანალიზა BBC-ის ინფორმაცია: **„კლინიკურმა ტოქსიკოლოგმა ჯონ ჰენრიმ, რომელმაც ლიტვინენკო 18 ნოემბერს გასინჯა, განაცხადა, რომ მას ტალიუმის ლეტალური დოზა აქვს მიღებული“.** ჰენრი წარმოდგენილი იყო როგორც მთავარი ექიმი, რომელიც პრესის წინაშე მომაკვდავი ლიტვინენკოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე აკეთებდა კომენტარებს. მას **„მსოფლიო დონის ექსპერტს და მოწამვლის დარგში წამყვან ბრიტანელ სპეციალისტს“** უწოდებდნენ, მაგრამ მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ იგი არც ლიტვინენკოს მკურნალობდა და პრესასთან საკუთარი თეორიების გაზიარებისას ლაბორატორიული ანალიზების პასუხებიც კი არ ჰქონდა ნანახი! ჰოსპიტალმა ამასთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადებაც კი გაავრცელა. როგორც გაირკვა, **ჰენრის აქტიურობა თავად ლიტვინენკოს მეგობრების მიერ იყო ინსპირირებული.**

კითხვაზე, რატომღა აიტაცა ბრიტანულმა მედიამ ეს ანტირუსული ვერსია, უილიამ დანკერლიმ უპასუხა: **„კარგი კითხვაა... ვინმეს რომ ეთქვა, ლიტვინენკოს მკვლელობის უკან ჩვენი ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი დგას, ამას არავინ დაიჯერებდა. პუტინის შემთხვევაში დაიჯერეს, რადგან მას ასეთი იმიჯი აქვს. ელცინის მიმართ დასავლეთი სულ სხვაგვარად იყო განწყობილი. მას დემოკრატად აღიქვამდნენ, მიუხედავად იმისა, რომ „თეთრი სახლი“ დახვრიტა.**

**მე შევისწავლე ეს საკითხი, როცა კონგრესის ერთ ძველ რეზოლუციას გავეცანი. ეს იყო შეტევა ელცინის მედია-პოლიტიკაზე, თანაც სტალინის დროინდელი სტილით შესრულებული. მე ვესაუბრე დონ ბონკერს, რომელმაც ეს რეზოლუცია მოამზადა. იგი ვაშინგტონის შტატის ყოფილი კონგრესმენია, ამჟამად კი მსხვილ პიარკომპანიაში მუშაობს. როდესაც ვკითხე, ვინ იყო ამ რეზოლუციის მზადებისას მისი კლიენტი, მან მიპასუხა: — ვლადიმირ გუსინსკი. 1999-2001 წლებში რუსეთში მიმდინარე მედიამოვლენების ანალიზის შედეგად დავრწმუნდი, რომ პუტინის უარყოფითი იმიჯის შექმნაში ყველაზე აქტიურად გუსინსკის მედია იმპერია იყო ჩართული.**

შესაძლოა, ის ამგვარად უხდიდა სამაგიეროს ნტვ-ს დაკარგვის გამო“.

მაინც ვისი ნამუშევარია ის „მტკიცებულება“, რომ ლიტვინენკო სწორედ რუსეთში წარმოებული პოლონიუმით მოწამლეს?

**უილიამ დანკერლი: „ეს საკითხი 2009 წლის მარტში „ნიუ იორკ ტაიმსის“ ჟურნალისტმა ედვარდ ჯეი ეპშტეინმა გამოიძია. მან დაადგინა, რომ ამ ინფორმაციის წყარო ბორის ბერეზოვსკის თანამებრძოლი — ალექს გოლდფარბი იყო. თავის წიგნში „დისიდენტის სიკვდილი“ გოლდფარბი ამტკიცებდა, რომ პოლონიუმის 97% რუსეთში იწარმოება. ეს ინფორმაცია ფართოდ იყო გავრცელებული. ეპშტეინი დაასკვნის, რომ ეს სრული სისულელეა, რადგან არავინ იცის ზუსტად, რამდენი პოლონიუმი იწარმოება რუსეთში ან მთელ მსოფლიოში. ეს სრულიად საიდუმლო ინფორმაციაა. მეტიც: ეპშტეინმა გაარკვია, რომ 2006 წელს პოლონიუმი არც რუსეთს, არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს საერთოდ არ უწარმოებია!**

ალექსანდრე ლიტვინენკოს საქმის მთელი მედიაგაშუქება მხოლოდ ფანტაზიას ეყრდნობოდა. მოკლედ, ერთადერთი, რაც დანამდვილებით არის ცნობილი, ის არის, რომ ლიტვინენკო გარდაიცვალა“.

## ეპილოგის მაგიერ

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც საკუთარ ბლოგში ბერეზოვსკის მეგობარმა და სამოქალაქო თავისუფლებათა ფონდის ხელმძღვანელმა ალექს გოლდფარბმა გაავრცელა: **„კორონერმა ენდრიუ რიდმა გადაწყვეტილება მიიღო, 2012 წელს მასშტაბური მოსმენა ჩაატაროს, განასაიდუმლოოს საქმის მასალები. ბატონები ლუგოვოი და კოვტუნი მოსკოვიდან ვიდეოჩვენებებს მისცემენ. დაინტერესებულ პირებად ლიტვინენკოს ქვრივი, მისი ვაჟი ანატოლი და პირველი ქორწინებიდან შვილები არიან აღიარებული, აგრეთვე, სკოტლანდ-იარდის მიერ ეჭვმიტანილი ლუგოვოი და კოვტუნი (რუსეთში ისინი დაზარალებულებად არიან ცნობილი, რადგან რადიოაქტიური დასხივება მათაც მიიღეს), ლონდონის პოლიციის უფროსი და ბორის ბერეზოვსკი, რომელიც ლიტვინენკოს სიკვდილს მისი სიცოცხლის ხელყოფის მცდელობას უკავშირებს“.**

ამასობაში რუსეთში მიტინგები დაიწყო და გოლდფარბის რევოლუციური ყურები ყველა მისი კომენტარიდან გამოჩნდა: **„რუსეთში რევოლუცია მოდის ან, პირველი პირის ცვლილება მაინც. სწორედ იმის, ვის გარეშეც პოლონიუმ-210 ინგლისში ვერ მოხვდებოდა. როგორც ყოველთვის, რუსეთში ხელისუფლების ცვლილებისას, მომავალი პირველი პირი (გამარჯვებული რევოლუციის ლიდერებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) „ჩარეცხავს“ წინამორბედს. რადიოაქტიური ტერაქტი ლონდონში კი მისი ყველაზე მტკივნეული ადგილია! ისეც შეიძლება მოხდეს, რომ გამოძიება აღარ იქნეს საჭირო, რადგან ნამდვილი სისხლის სამართლის სასამართლო მოსკოვში შედგება“.**

როგორც ჩანს, პოლონიუმის სკანდალური სერიალი გაგრძელდება და ისიც ცნობილია, ვინ დაწერს მომავალი სერიების სცენარს.

http://chel.kp.ru/daily/25824.3/2800942/



**თუ ხედავთ, რომ პოლიტიკოსი ერთდროულად სხვადასხვა სატელევიზიო არხზე ჩნდება თავისი კომენტარებით, იცოდეთ: ეს შეკვეთაა! პუტინის «გაშავებაც» სწორედ ამგვარი შეკვეთილი სტატიების დახმარებით ხდებოდა**

## ბენ ლადენი ექიმმა «გაყიდა»

**აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ საჯაროდ აღიარა, რომ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მსოფლიოს ნომერ პირველი ტერორისტის — ბენ ლადენის ადგილსამყოფელის შესახებ პაკისტანელმა ექიმმა საკილ აფრიდმა აცნობა.** სატელევიზიო პროგრამაში „CBS - 60 wuTi“ საუბარში პანეტამ შეშფოთება გამოთქვა ექიმ საკილ აფრიდის ბედის გამო, რომელიც პაკისტანში ღალატისათვის დააპატიმრეს. მისივე თქმით, ექიმმა აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს მიაწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბინ ლადენი აბოტაბადში ცხოვრობდა.

## პოლონეთში სახელისუფლო საიტები გატეხეს

**პოლონეთში პრეზიდენტის, მთავრობის, და პარლამენტის ინტერნეტ-გვერდები გატეხეს.** ოფიციალურ გვერდებზე ჰაკერებმა გენერალ იარუზელსკის იმ ვიდეომიმართვის პაროდია განათავსეს, რომელზეც გენერალმა 1981 წელს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა. ამ სახით ჰაკერებმა გააპროტესტეს მეკობრეობის წინააღმდეგ მიღებული კანონი, რომელიც ინტერნეტსივრცეს ეხება. ინტერნეტ საზოგადოება შეშფოთებულია, რომ ვარშავა წინასწარი საზოგადოებრივი განხილვის გარეშე შეუერთდა საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც მეკობრულ ნაწარმთან ბრძოლას გულისხმობს.

## ახალშობილს სარკოზი დაარქვეს

**სომხეთის ქალაქ გიუმრიში ახალშობილს სარკოზი დაარქვეს. ამით სომეხმა ოჯახმა საფრანგეთის პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა იმ ახალი კანონის მიღებისთვის, რომელიც სომეხთა გენოციდის უარყოფას დანაშაულად მიიჩნევს.** ახალდაბადებული სარკოზ ავეტისიანი სამ კილოგრამს იწონის. სომხეთის რესპუბლიკურმა პარტიამ მის მშობლებს 200 დოლარი აჩუქა, სამშობიარო სახლის ხელმძღვანელობამ კი ბავშვის მოვლის საშუალებები გადასცა. საფრანგეთის სენატმა მის დაბადებამდე 2 დღით ადრე მიიღო კანონი, რომელიც სომეხთა გენოციდის არაღიარებას დანაშაულად აცხადებს. ამ დანაშაულისთვის სასჯელად ერთწლიანი პატიმრობა ან 45 000 ევროს ოდენობის ჯარიმა დაწესდა.

მოკლედ

## ბრეივიკს სპეციალურ კლინიკას უშენებენ

**ნორვეგიის ხელისუფლება ტერორისტ ადრეს ბრეივიკისთვის ახალი კლინიკის აშენებას აპირებს. ახალი სამკურნალო დაწესებულება იმ შემთხვევაში გახდება საჭირო, თუ ბრეივიკს იძულებით მკურნალობას მიუსჯიან.** ამ დროისთვის ტერორისტი ისევ ციხეშია და მისი იზოლირებისთვის განსაკუთრებული ზომებია მიღებული. იგივე რეჟიმის შენარჩუნება კლინიკაში შეუძლებელი იქნება, ამიტომაც დღის წესრიგში სპეციალური სამკურნალო ცენტრის აშენება დადგა. „ქვეყანაში არც ერთი სამკურნალო დაწესებულება იზოლაციისა და უსაფრთხოების იმ ნორმებს ვერ უზრუნველყოფს, რაც ბრეივიკისთვის არის საჭირო. ვარიანტების განხილვა უკვე დაწყებულია“, — აცხადებს სამედიცინო საბჭოს მდივანი, რობინ კოსი. გავრცელებული ინფორმაციით, ფსიქიატრებმა ბრეივიკი შეურაცხადად მიიჩნიეს და განაცხადეს, რომ ის ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს ვერ აგებს.

## სარკოზი წავა

**საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზის მტიცებით, იმ შემთხვევაში, თუ 22 აპრილისთვის დაგეგმილი საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ვერ გაიმარჯვებს, პოლიტიკიდან საერთოდ წავა.** უცხოური მედიის ცნობით, როგორც სარკოზიმ ჟურნალისტებს განუცხადა, იგი 56 წლისაა და უკვე 35 წელია, პოლიტიკაში მოღვაწეობს. „მე მაქვს პროფესია და სრულიად შევცვლი ჩემს ცხოვრებას. თუ არჩევნებში დავმარცხდები, ჩემ შესახებ ვეღარაფერს გაიგებთ“, — განუცხადა სარკოზიმ ჟურნალისტებს.

ექსკლუზივი
www.geworld.net

საპასუხო სიტყვაში იუშჩენკომ მთელი დარბაზის გასაგონად განაცხადა: რუსეთის საპირწონე აღმოსავლეთ ევროპაში მხოლოდ უკრაინაა და მეც ამიტომ ამირჩიეთ, თორემ მსოფლიოს ნომერ პირველი ბანკირი ნოდარ ჯავახიშვილია!

ნოდარ ჯავახიშვილი:



# «რუსთავი 2»-მა არ იცის, ვანო მერაბიშვილი სად არის თუ ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ?

**ხელისუფლება სულ უფრო აქტიურად უტევს ბიძინა ივანიშვილის „მაკენას ოქროს“.
ეს დღეებია, ნოდარ ჯავახიშვილი ამოიჩემეს — „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტი — ეროვნული ბანკის პრეზიდენტობისას ფულს ურიცხავდა რუსეთის არმიას ბიძინა ივანიშვილის ბანკ Российский кредит-ის მეშვეობითო, კონტროლის პალატა ამოწმებდაო, ოპოზიცია ებრძოდაო და ა.შ.
ბატონმა ნოდარმა ღირსეული პასუხი გასცა, მაგრამ თქვა კი ყველაფერი?
აი, ამ შეკითხვით მივადექი მას „ბანკ ქართუში“:**

**— ბატონო ნოდარ, „რუსთავი 2“-ის სიუჟეტი რომ ნახეთ, ხომ არ გაილვიძა ქიზიყელის სისხლმა და ხომ არ გადმოიფრქვა ტრადიციული ფოლკლორის უბოდიშობით?**

— უნდა გიპასუხოთ — არა. რადგან, როგორც ყველა წესიერი ადამიანი, „რუსთავი 2“-ს და მის მსგავს ტელევიზიებს არ ვუყურებ და არ ვუსმენ. მეორეც, როცა გადმომცეს ეთერში გადაცემული სიბინძურე, არანაირი ის აღშფოთება, როგორსაც ჩემგან ელით, არ მქონია. მე აღვშფოთდებოდი, ამ ტელეარხს ჩემზე დადებითი სიუჟეტი რომ გადმოეცა: ნოდარ ჯავახიშვილმა შექმნა პირველი საბანკო კანონმდებლობა, შემდეგ — მეორე, მისი მეთაურობით დამარცხდა მსოფლიოში არნახული ჰიპერინფლაცია, განხორციელდა მსოფლიოში ერთ-ერთი უწარმატებულესი ფულის რეფორმა და ა. შ., აი ასეთი გადაცემა რომ გაეკეთებინა, ნამდვილად შევშფოთდებოდი და აღვშფოთდებოდი.

**— „ვითომ რატომაო?”**

— იმიტომაო, რომ სიმართლეს კი იტყოდნენ, მაგრამ ამათი სახელიდან, ანუ იმიჯიდან გამომდინარე, ჩვენი საზოგადოება იფიქრებდა — გადასულია ნოდარ ჯავახიშვილი სახელისუფლო ბანაკში და ეგააო...

**(საუბარს რომ დავამთავრებთ, მაშინ მეტყვის, პაპაჩემი მსგავს სიტუაციაში რომ აღმოჩნდებოდა, კარგა მაგრა შეუკურთხებდა, ერთი მაგათი დედაცო, ხელს ჩაიქნევდა და თავის საქმეს განაგრძობდა).**

— მიაქციეთ ყურადღება, — **განაგრძობს ნოდარ ჯავახიშვილი**, — აკვიატებული რომ ექნება კაცს ავადმყოფური აზრი, ასეა დღეს ჩვენს სახელისუფლო სივრცეში, როცა ყველგან რუსეთი და რუსეთის აგენტობა ელანდებათ. მაგრამ იმას თუ მოიფიქრებდნენ, რომ მე რუსეთის ფინანსთა მინისტრიც ვყოფილვარ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებს ეროვნული ბანკის მეშვეობით ვაფინანსებდი, ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი. **(და ნოდარ ჯავახიშვილი კიდევ ერთხელ ახსნის სიტუაციას):**

— საქართველოში განლაგებული რუსული შეიარაღებული ძალების მოსამსახურეები ხელფასს რუსულ რუბლებში იღებდნენ. იმ პირობებში, როცა საქართველოში ერთადერთი საგადასახადო საშუალება ლარი უნდა ყოფილიყო, იმ ზონებში, სადაც რუსეთის ბაზები იყო, რუსული ფული ტრიალებდა და ლარი საერთოდ არსად ჩანდა. ეს განსაკუთრებით მტკივნეული იყო ახალქალაქში, სადაც პრაქტიკულად არაფერი მუშაობდა, და, თუ ვინმე სადმე ხელფასს იღებდა, სამხედრო ბაზასთან იყო დაკავშირებული. ე. ი. საქართველოს ეროვნული ბანკის იურისდიქცია, თავი დავანებოთ სხვა სახელისუფლო შტოებს, ახალქალაქში არ ვრცელდებოდა.

ის ფინანსური ოპერაცია კი იყო კონვერტაცია; სხვა — არაფერი.

**(ამ განმარტებას პროფესორმა დავით იაკობიძემ, რომელსაც კომენტარი ვთხოვე, ერთი წინადადება დაუმატა:**

**— ნოდარ ჯავახიშვილს, ანუ საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება არ ჰქონდა, ხელი შეეშალა კონვერტაციისთვის, რადგან მიერთებული ვიყავით საერთაშორისო მონეტარული ფონდის წესდებასთან, ამას მოითხოვდა საერთაშორისო მონეტარულ სისტემაში მოქმედების წესი).**

— რაც შეეხება ისეთ სისულელეს, რომ ბიძინა ივანიშვილის „როსიისკი კრედიტი“ აფინანსებდა რუსეთის ჯარს, ასეთი უაზრობა თავში შეიძლება მოუვიდეს მარტო „რუსთავი 2“-ს და გოგნიაშვილს, რომელიც ამჟამად ვინაა, არ ვიცი, მაშინ, მგონი, ეროვნულ-დემოკრატი იყო... ახლა ვერ გაერკვევი, ვინაა ედეპე, ვინაა სახალხო...

**— ლაპარაკია იმ კაცზე, რომელმაც „რუსთავი 2“-ის ეკრანზე გაიელვა?**

— დიახ... აღარც ვიცი, რამდენმა ტელევიზიამ და გაზეთმა დამირეკა: ბიძინა ივანიშვილის „ბანკი ქართუ“ აფინანსებდა პოლიციასო.

**— ეგ კი არა, ხმა გაავრცელეს, რომ 7 ნოემბრის აქციების დამრბევმა სპეცრაზმმა ივანიშვილისგან მიიღო პრემიები.**

— აი, ხომ ხედავთ? ბატონებო, კიდევ ერთხელ ხაზი მინდა გავუსვა, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციას რომელიმე ბანკში უნდა ჰქონდეს ანგარიში გახსნილი. ბიუჯეტიდან ფულის მიღების სხვა საშუალება არ არსებობს. აფინანსებს ბიუჯეტი, ბანკი გამტარია. ეს ელემენტარულია. ხოლო „რუსთავი-2“-ის დემარში ან უვიცობაა, ან დაგეგმილი დემაგოგიაა. წიგნი რომააფრიალეს სიუჟეტში, ხომ გახსოვთ? აქ არისო აღნუსხული ყველაფერი.

**— დიახ, მახსოვს.**

— ეს წიგნი არც მაშინ წამიკითხავს, არც ახლა ვაპირებ. პასუხი არ გამიცია იმიტომ, რომ ეს იყო ადამიანების ერთი ჯგუფის უსაზღვრო სულიერი დაცემის დემონსტრაცია. მხოლოდ იმიტომ, რომ კანონის არამარტო დაცვით, არამედ დარღვევითაც კი, **ერთი წელიწადი ვინახავდი ე. წ. ედეპეს ბანკს — საწესდებო კაპიტალის მინიმალური რაოდენობა არ ჰქონდათ შევსებული და ექვემდებარებოდა დახურვას. მაშინ ჩემთან მობრძანდა რომან გოცირიძე და მთხოვა, ერთი თვის ვადა კიდევ მომეციო, მიშა ჯიბუტიც იყო, ჩემი თანაკურსელი. ერთი თვე კი არა, სამი გავიდა და მაინც ვერ შეავსეს. იძულებული გავხდი, დამეხურა. აი, ამას მოჰყვა ეს წიგნი: როგორ გაუბედა ნოდარ ჯავახიშვილმა ვიღაცას (ვინც ჩამოვთვალე, ყველანი ვიღაცები არიან! გოგნიაშვილი მაშინ, მგონი, პარლამენტის წევრი იყო) ბანკის დახურვა!**

თუ ნოდარ ჯავახიშვილმა ასეთი დანაშაული ჩაიდინა, „რუსთავი 2“-მა არ იცის, ვანო მერაბიშვილი სად არის? თუ ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ? ხელი დამაფარეს, დანაშაულის გამჟღავნებას ხელი შეუშალეს?!

ისე გამოყავს ამ სიუჟეტის ავტორს, რომ თითქოს ედუარდ შევარდნაძე თავს იკლავდა ჩემს დასაცავად და ამიტომ არ გასულა მაშინ ეს მასალა ეთერში. რვა წელიწადია, შევარდნაძე აღარ არის პრეზიდენტი, ვინ შეუშალა ხელი?! ნულოვანი ტოლერანტობაც გამოაცხადეს, 6 თვე ციხეშიც ვიჯექი, აქედან 3 თვე ეროვნულ ბანკში ჩემს საქმიანობას იძიებდნენ. ეს წიგნი მაშინ რატომ არ მიაწოდეს? ახლა მაინც მიაწოდონ...

**— არსებობს ასეთი ვერსია, რომ თქვენი, ანუ ეროვნული ბანკისა და მაშინდელი ფინანსთა მინისტრის, დავით იაკობიძის წინააღმდეგ ხელისუფლებაში გარკვეული ძალების დემარში განხორციელებული იყო ორივე თქვენგანის მოსაცილებლად, თქვენს ადგილზე თავიანთი ხალხის დასასმელად, ანუ ფინანსური წყაროების ხელში ჩასაგდებად. ღმერთო შეგცოდე, მაგრამ ასახელებენ ცხონებულ ზურაბ ჟვანიას და მისი გუნდის წევრებს. ასე იყო?**

— რახან გამახსენეთ, ძალიან კარგ რამეს მოვყვები.

1995 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ეროვნული ბანკის შესახებ, პრეზიდენტი ვალდებული იყო, 1 ივლისამდე დასამტკიცებლად წარედგინა ეროვნული ბანკის საბჭოს კანდიდატურები, რადგან ახალი კანონით ეროვნული ბანკის მმართველობის სტრუქტურა მთლიანად იცვლებოდა და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ნაცვლად ხელმძღვანელობა გადადიოდა ამ საბჭოს ხელში. არ წარადგინა.

აგვისტოში პარლამენტმა დაამტკიცა ახალი კონსტიტუცია, სადაც იგივე ჩანაწერი იყო გაკეთებული, პარალელურად პარლამენტმა დაავალა ყველა დონის ხელისუფლებას, წლის ბოლომდე კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოეყვანა ყველა მოქმედი კანონმდებლობა და კანონქვემდებარე აქტი.

არც ამის შემდეგ წარუდგენია.

და გამოვიდა, რომ 1995 წლის აგვისტოდან ანტიკონსტიტუციური, პრეზიდენტი ვიყავი ეროვნული ბანკის. აი, ამ „არავინ“ გამოუშვა ფული, რომელიც მსოფლიომ აღიარა როგორც ლეგიტიმური ვალუტა.

არალეგიტიმური მე ვიყავი 1998 წლის 21 მარტამდე.

თუ ბატონი ედუარდ შევარდნაძე ჩემი მფარველი იყო, რატომ არ წარმადგინა ამ წლების განმავლობაში ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად?

**— არ ვიცი.**

— მაშინ მე გეტყვით. შევარდნაძე მე ვჭირდებოდი ფულადი რეფორმის განსახორციელებლად, ჰიპერინფლაციის დამარცხებამდე. 1995 წლის ბოლოდან დაიწყო აღვირახსნილი ბრძოლა ჩემს წინააღმდეგ, შვიდი მარტო სისხლის სამართლის საქმე აღმიძრეს.

მხოლოდ 1997 წლის აპრილში, თუ არ ეცდები, როგორც იქნა, წარმადგინეს სხვებთან ერთად ეროვნული ბანკის საბჭოს წევრად, თანაც საერთაშორისო ფონდის და მსოფლიო სავალუტო ფონდის დაჟინებული მოთხოვნით, რაც საქართველოს კანონმდებლობას ემყარებოდა.

წარგვადგინეს ცხრა კაცი — საბჭოს წევრები. პარლამენტის თავმჯდომარე მაშინ ზურაბ ჟვანია იყო. დღეს ძალიან ცდილობენ, დიდ ქართველად წარმოგვიდგინონ, გაანათლოს მისი სული, მაგრამ ამის გამო ობიექტურობას ხომ ვერ ვუღალატებ?

პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრაზე პირველად ჩემი საკითხი დააყენეს. დასამტკიცებლად საჭირო იყო 117 ხმა, მივიღე — 114. ჩავვარდი. დანარჩენი რვა კაცის არჩევა არ გაგრძელებულა.

შე მამაძაღლის ტიალო, აირჩიე ის რვა და რვაკაციანი საბჭო შეუდგება მუშაობას, რადგან უფლებამოსილი იქნება.

კანოდის დარღვევით ხელმეორედ ჩაატრეს კენჭისყრა და ისევ 114 ხმა მივიღე.

1998 წლის იანვარში მიმიწვია თავისთან ბატონმა ედუარდმა და მითხრა, რომ დადგა დრო, გამეაქტიურებინა მუშაობა დეპუტატებთან ჩემი არჩევის თაობაზე, რადგან პრეზიდენტს კვლავ შეჰქონდა საკითხი პარლამენტში.

გამეცინა და პირდაპირ ვუთხარი:

**— თქვენ თუ ჩემი არჩევა გნებავთ, უნდა დაიბაროთ ჟვანია და უთხრათ, დაანებოს თავი მანიპულაციებს კომპიუტერში და ჩაატაროს ნორმალური კენჭისყრა: კომპიუტერში ჩადებული ჰქონდა 114 ხმა და ცარიელ დარბაზშიც რომ ჩაეტარებინათ არჩევნები, მაინც ამდენი მომხრე დაფიქსირდებოდა. ესეც ვუთხარი შევარდნაძეს. წავედი შვებულებაში და აღარ დავბრუნებულვარ.**

კიდევ ერთს გეტყვით:

1996 წელს ჩემი კატეგორიული მოთხოვნით, რომელიც შემდეგ სავალუტო ფონდის მოთხოვნად ტრანსფორმირდა, საქართველოში განვახორციელეთ პურზე ფასების ლიბერალიზაცია ისე, რომ ფასებმა კი არ მოიმატა, არამედ გაიაფდა პური. დიდი მადლობაც გამომიცხადეს და... მეორე დღეს აღძრეს სისხლის სამართლის საქმე ეროვნული ბანკის მიერ გაცემული გარანტიების უკანონობაზე.

ასე რომ, ასეთ უკიდურესობებს მიჩვეული ვარ.

ამ ამბის მერე, **როცა უკვე დეპუტატი ვიყავი, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ბევრი ადამიანის თანდასწრებით მითხრა: — შენისთანა კაცი გამაშვებინეს ამათო.**

**— მოდით, ერთ შეკითხვას დაგისვამთ „რუსთავი 2“-ის სტილში. ბატონ ბიძინას მიერ თქვენი მიწვევა ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენ, ბატონო ნოდარ, მან გაგიცნოთ იმ დროს, როცა „როსიისკი კრედიტთან“ უკანონო გადარიცხვა ჩაატარეთ?**

— (*იცინის*). საკმაოდ კარგად გამოგივიდათ. მეც მათ სტილში გიპასუხებთ: თქვენ თუ გოგნიაშვილი არ ხართ, როგორ გგონიათ, ნოდარ ჯავახიშვილს არავინ იცნობდა ედეპეს გარდა? მას, ანუ მე აუცილებლად უკანონო საბანკო ოპერაციები უნდა ჩამეტარებინა, ბატონ ბიძინა ივანიშვილს ჩემი არსებობა რომ გაეგო?!

წავიტრაბახო კიდევ?

**— რახან დავიწყეთ, გავაგრძელოთ (მეც იმავ ტონალობაში „ნებას ვრთავ“).**

— 1997 წლის შემოდგომაზე ჰონკონგში გაიმართა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიური შეხვედრა. მაშინ პირველად დაასახელეს მსოფლიოში საუკეთესო ფინანსისტი და საუკეთესო ბანკირი. საუკეთესო ფინანსისტად აღიარეს რუსეთის ფინანსთა მინისტრი ფიოდოროვი, საუკეთესო ბანკირად — უკრაინის ბანკის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო.

საზეიმო შეკრებაზე განაცხადეს ამის შესახებ.

საპასუხო სიტყვაში იუშჩენკომ მთელი დარბაზის გასაგონად განაცხადა:

— კი ვეჭვობდი, რომ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები პოლიტიკურად არიან მოტივირებულები, მაგრამ ასე პირდაპირ და მოურიდებლად ამას თუ გამოხატავდნენ, არ მეგონა. ადვილი მისახვედრია, რატომ არის რუსეთის ფინანსთა მინისტრი ამ ეტაპზე საუკეთესო, ხოლო რუსეთის საპირწონე აღმოსავლეთ ევროპაში მხოლოდ უკრაინაა და მეც ამიტომ ამირჩიეთ, თორემ მსოფლიოს ნომერ პირველი ბანკირი ნოდარ ჯავახიშვილია!

**— Молодец, Ющенко!**

ბიძინა ივანიშვილს ვითომ აუცილებლად სჭირდებოდა გოგა გოგნიაშვილის შუამავლობა, ჩემი არსებობა რომ შეეტყო?! რატომ ჰგონიათ, რომ არც ერთმა ბანკირმა არ იცოდა ნოდარ ჯავახიშვილის შესახებ არაფერი?

ბატონმა ბიძინამ იცოდა. ეს ერთი. მეორე, როგორ ფიქრობთ, ბევრი დადგებოდა „ქართუ ჯგუფის“ ხელმძღვანელად? შესთავაზეთ, რამდენიც გინდათ, ხელფასი საქართველოს წამყვანი ბანკების პრეზიდენტებს და ნახავთ, თუ გადმოვა ვინმე აქ სამუშაოდ.

როცა მოვითხოვეთ საბანკო ასოციაციის შეკრება ამ, ბანკების დამაქცევარ საკანონმდებლო ცვლილებების განსახილველად, ყველამ უარი თქვა შეხვედრაზე. ეშინიათ, ბატონო! **აი, თუ არ არიან შეშინებულები, გამოეხმაურონ ამ ჩვენს საუბარს, როცა „საქართველო და მსოფლიოში“ დაიბეჭდება!**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

„ნებისმიერ საზოგადოებაში დიდი ძალა აქვს მაგალითს და ბიძგს, რადგან ეს ყველაფერი, როგორც ნაპერწკალი დენთში, ისე მოქმედებს ხოლმე ადამიანზე, ანუ იმის თქმა მინდა, რომ 7 ნოემბერსაც და 26 მაისსაც თუნდაც ხუთასი ან სამასი კაციც რომ ყოფილიყო ისეთი, რომელიც ბოლომდე დადგებოდა და უკან არ დაიხევდა, სხვებიც შეიძლება ანალოგიურად მოქცეულიყვნენ და ასე ამაოდ არ ჩაევლო ყველაფერს; მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ერთი მარტივი ჭეშმარიტება: სხვას რომ სტკივა, ის შენი ტკივილიცაა და სხვას რომ აწუხებს, ის შენც უნდა გაწუხებდეს, თორემ, როცა ის ტკივილი და საწუხარი უშუალოდ შენამდე მოაღწევს, მერე უკვე შველა ძალიან დაგვიანებული შეიძლება აღმოჩნდეს...“

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სოსო ჯაჭვლიანი:



# «ან უნდა გავცეთ მიშას საკადრისი პასუხი, ან ვიაროთ ასე დაჩინჩლულებმა!»

## «თუ ამერიკას სჭირდება ეს ხელისუფლება, სააკაშვილის არჩევნების გზით მოშორება შეუძლებელია»

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მსახიობი და რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი.**

**— ბატონო სოსო, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები სადაცაა, კარს მოგვადგება. ყველას აინტერესებს, მოიძებნება თუ არა ოპოზიციაში ვინმე ისეთი, ვინც ხელისუფლებას ღირსეულ კონკურენციას გაუწევს. თქვენი აზრით, თვითონ ხალხი რამდენადაა მზად რეჟიმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისთვის, რამდენად მოტივირებულია დღეს ჩვენი საზოგადოება?**

— იცით რა, საზოგადოების მოტივირებულობაზე როცა ვსაუბრობთ, მოდით, ვიყოთ ბოლომდე გულწრფელები და ვთქვათ სიმართლე: რამდენიც უნდა ვიძახოთ, მაგრები ვართო, ფაქტია, რომ ჩვენ რეალობის შეგრძნება დავკარგეთ და თავიდან ბოლომდე ფასადური ქვეყანა გავხდით. ნახეთ, რა ხდება თბილისში: ვისაც კარგად აცვია და კარგი მანქანა ჰყავს, ისე იქცევა, თითქოს მას ყველაფერი უნდა ეპატიოს, თითქოს ყველაზე მაგარია და ყველაფრის უფლება აქვს. ტუალეტის ქაღალდსაც კი ასე აწერია: „უმაღლესი ხარისხის ქაღალდი, ყველაზე პრეტენზიული მომხმარებლისთვის“. ჩვენი ყველაფერი ფასადურია, — უკანალში ამოსასმელი რაცაა, იმით ვატყუებთ ყოველდღე ერთმანეთს... ასე რომ, რომელ მოტივაციაზეა აქ საუბარი...

აქვე მინდა შემთხვევით ვისარგებლო და პირველად თქვენი გაზეთის საშუალებით ერთი განცხადება გავაკეთო. **ვისაც ჩემი საგაზეთო ინტერვიუები წაუკითხავს, ყველამ იცის, რომ ხშირად ვბილწსიტყვაობ ხოლმე, ამას პირველად ვამბობ: ყველა ქართველ მკითხველს, მთელს საქართველოს მუხლებზე ვუდგები და ბოდიშს ვუხდი ამის გამო.** საერთოდ, მე წინააღმდეგი ვარ უცენზურო სიტყვებისა და ერთმანეთის მიმართ რაღაც თავაშვებული ლანძღვა-გინებისა, მაგრამ, მეორეს მხრივ, ამ მთავრობამ და ამ ქვეყანამ სხვა შანსი არ დამიტოვა. რა პასუხი შეიძლება გასცე ცილისმწამებელ ნაძირალას? ან საერთოდ უნდა გაჩუმდე, ან, თუ რამეს იტყვი, წადი, შენი დედაც-თქო, უნდა მიაშავო და მორჩა. ზუსტად ასეთ მდგომარეობაში ვართ დღეს ჩვენ ამ ხელისუფლების წყალობით და ამიტომაა, რომ ხანდახან ვბილწსიტყვაობ; რისთვისაც, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ყველას ბოდიშს ვუხდი და ვთხოვ ჩემს ერთგულ მკითხველს, რომელიც ძალიან მიყვარს, მომიტევოს, ზოგჯერ რაღაც უცენზურო სიტყვები თუ წამომცდება...

**— ბოლო წლებში ოპოზიციის მიერ დაწყებული ყველა მოძრაობა, რომლის უმთავრესი მიზანიც ხელისუფლების შეცვლა იყო, სრული კრახით დასრულდა და, ბუნებრივია, ამას საზოგადოების იმედგაცრუებაც მოჰყვა. დღეს, როცა ოპოზიციური სპექტრში, ფაქტობრივად, არ მოიძებნება სუფთა წარსულის მქონე ავტორიტეტული ადამიანები, რამდენად ოპტიმისტურად ხართ ზოგადად განწყობილი და რას ელით?**

— არ მინდა ჩვენი საუბარი მკითხაობას დაემსგავსოს. ერთ რამეს კი, რაც ადრეც მითქვამს, კიდევ გავიმეორებ: **დღეს ვისაც ეჭვი ეპარება, რომ ეს ხელისუფლება საქართველოს მტერია და, დროზე თუ არ მოვიშორეთ, მალე ქვეყანას თავზე ჩამოგვამხობს, ის ან მოღალატეა, ან სრული იდიოტი და არაფერი ესმის, ანუ იმდენად ჰყავს ამ რეჟიმის ულელს პიროვნულად დაბეჩავებული, რომ შეუძლებელი ჰგონია ეს ყველაფერი.**

რაც შეეხება სუფთა წარსულის მქონე ადამიანებს, ჩვენი საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის ცნობიერებაში, დიდი ხანია, მყარად დამკვიდრდა შეხედულება, რომ პოლიტიკა თურმე ბინძური საქმეა და ის მხოლოდ პროფესიონალმა პოლიტიკოსებმა უნდა აკეთონ. ხელისუფლება კიდევ მუდმივად იმას გაიძახის, რა უნდათ პოლიტიკაში ამ მსახიობებს, სპორტსმენებსა და რეჟისორებსო. იცით რა, **ჩვენ კი არ გვინდა პოლიტიკაში, თვითონ პოლიტიკა მოდის ჩვენთან და გვიმახინჯებს სულებს. ამიტომ, სანამ მართლა ეს ბინძურები იქნებიან ქვეყნის სათავეში, რა თქმა უნდა, პოლიტიკაც ყოველთვის ბინძური იქნება და ასი წელი ამას ვერც ვერავინ შეცვლის.**

ნახეთ ახლა რა ხდება, ვიღაც სადალსკი ჩამოიყვანეს, მსახიობი, ფეხი არ ჰქონდა თვითმფრინავიდან წესიერად ჩამოდგმული, მოქალაქეობა მისცეს. **ამასწინათ კიდევ ბაზრობაზე ჩინელი გავიცანი, რომელსაც გივი ერქვა და გვარად იყო წერეთელი. ამაზე მეტი თახსირობა რაღა გინდა, — შენიანს, შენს თანამემამულეს მოქალაქეობას ართმევ და ვიღაც გადამთიელს, რომელიც, კაცმა არ იცის, ხვალ და ზეგ რას მოგთხოვს, გულში იხუტებ.**

აი, ესაა მასხარაობა და ჩვენ თუ ამათ ბრჭყალებს არ დავანახებთ, ეგენი აზრზე მომსვლელები არ არიან. პირიქით, რაც დრო გავა, ესენი კიდევ უფრო „გაუტევენ“ და დამერწმუნეთ, აქ ისეთი ამბავი ატყდება, ის, რაც დღეს ხდება, შეიძლება, მონაგონი იყოს...

**— „ბრჭყალების დანახვებაში“ რას გულისხმობთ?**

— რას ვგულისხმობ და ყველამ, **ამ ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ კბილებით უნდა დაიცვას საკუთარი ღირსება; კი, გასაგებია, რომ მოვლენებს არ უნდა გავუსწროთ, მაგრამ ადრე თუ გვიან დგება მომენტი, როცა გავუსწროთ კი არა, პირდაპირ თავზე უნდა დააკუროთ ხელისუფლებას. თუ მუდმივად ვიძახეთ — არ ავყვეთ ხელისუფლებას, არ მივცეთ პროვოკაციის საბაბი, წინ ვერ წავალთ, ასე რომ, ან უნდა გავცეთ მიშას საკადრისი პასუხი, ან ვიაროთ ასე დაჩინჩლულებმა!**

**— ანუ თქვენ იზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ დღეს ჩვენი საზოგადოება პასიურია?**

— საზოგადოება გახადეს პასიური და ეს იმ ე. წ. პოლიტიკოსების დამსახურებაა, რომლებსაც თავიანთი მოღვაწეობის მანძილზე იმედგაცრუების მეტი არაფერი მოუტანიათ თავიანთი ხალხისთვის. ახლა ნუ მკითხავთ, ვის გულისხმობო, ისედაც კარგად ვიცით, ვის ეხება ეს ყველაფერი. მათი სახელის ხსენებაც არ მინდა.

სხვათა შორის, მე არც ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება მომეწონა, როცა მან ოპოზიცია კატეგორიებად დაყო და ერთ ნაწილს ბოიკოტი გამოუცხადა. არ მომეწონა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის ხალხი, რომელიც მის გვერდით აღმოჩნდა, არაფრით ჯობია დანარჩენებს და მერე კიდევ: **მიმაჩნია, რომ ოპოზიციურ სპექტრში დღეს შიდა დაპირისპირების დრო ნამდვილად არ არის.** ისე, საზოგადოებას ძალიან დიდი იმედი აქვს, რომ 2012 წლის არჩევნები ყველაფერს შეცვლის, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, მე ეს მოლოდინი, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებული მგონია. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც არც ერთ პარტიას და, მათ შორის, არც ბიძინა ივანიშვილს ამის რეალური წინაპირობა არ შეუქმნია. ღმერთმა ქნას, მომავალში რაიმე შეიცვალოს...

**— ოპოზიციის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად მუდმივად ის სახელდება, რომ მას სატელევიზიო მხარდაჭერა არ აქვს. ხშირად მსმენია, რეგიონის მოსახლეობა ინფორმაციულ ვაკუუმშია და არ იცის, რეალურად რა ხდება ქვეყანაშიო. თქვენი აზრით, რამდენად ლოგიკურია ეს მოსაზრება იმის გათვალისწინებით, რომ დღეს რეგიონში ერთი-ორად მეტია ყველა იმ პრობლემის სიმძიმე, რომლებიც საქართველოში არსებობს? ამის მიუხედავად, მოსახლეობას კიდევ უნდა სჭირდებოდეს ინფორმირება?**

— მართალია, ის, რაც აქ ხდება, უკვე იმდენად თვალშისაცემია, რომ ამის დანახვას ტელევიზია ნამდვილად არ უნდა სჭირდებოდეს, მაგრამ სწორედ ესაა რეჟიმის თავისებურება: ხალხს იმას აჯერებს, რაც აბსურდია, აშტერებს და ადებილებს.

წარმოიდგინეთ, რა ზღვარგადასულ პროპაგანდასთან გვაქვს საქმე — ტელევიზორში ოცდაოთხი საათი გვესმის, რომ თურმე ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნა და ამ დროს ქვეყანაში ერთი დასაქმებული ადამიანიც არ არის, პირიქით, **სიღარიბე და სოციალური სიდუხჭირე უკვე იმხელა მასშტაბებს აღწევს, რომ ლამის მთელი ერი ნაგვის მქექავ მათხოვრად გადაიქცეს.**

დასამალი რა მაქვს! მე, მაგალითად, მეგობრები მეხმარებიან, თორემ ჩემს ოჯახთან, ჩემს ცოლ-შვილთან ერთად განწირული ვარ. რატომ — იცით? იმიტომ, რომ, როგორც მონღოლები ექცეოდნენ ქართველებს, ისე გვექცევა მე და ჩემს ოჯახს ეს ხელისუფლება. მე დღეს, ფაქტობრივად, ციხეში ვზივარ, ყველა გზა მომიჭრეს და დატყვევებული ვარ, ასე გამოდის, ანუ, მოკლედ რომ გითხრათ, ამ ხელისუფლებისგან სასიკვდილო განაჩენი მაქვს გამოტანილი.

**ყოველთვის მიკვირდა (დღეს — მითუმეტეს), როგორ უძლებს ხალხი ამ სიდუხჭირეს ან როგორ და რატომ ითმენს ამდენს, როცა დასაკარგი უკვე თითქმის არავის არაფერი დარჩა. კაცს შვილი მოუკლეს, დაუსახიჩრეს, ოჯახი დაუქციეს და ხმას არ იღებს. ჩემთვის ამას ახსნა არ აქვს.**

**— კი მაგრამ, 2007 წლის ნოემბერში ხომ გამოვიდა ხალხი ქუჩაში? 2009 წლის გაზაფხული კიდევ მთლიანად საპროტესტო გამოსვლებში გაატარა მთელმა თბილისმა. მაშინ არ ვიყავით ჩუმად, მაგრამ რა შედეგი მივიღეთ?**

— შედეგი არ მიგვიღია და ვერც მივიღებთ, სანამ თითოეული ჩვენგანის თავში არ შევა ის, რომ არ შეიძლება დათმობაზე წასვლა, როცა საკუთარი ღირსების დაცვაზეა საუბარი. დღეს ყველა რაღაცნაირად დაშინებული და დატერორებულია, სხვისი ჭირი ღობის ჩხირად მიგვაჩნია. ამიტომაა, რომ ხელისუფლებასაც ყველაფერი გასდის — ხალხის გატყავებაც, „დაჩმორებაც“ და დაპატიმრებებიც.

მე ჯერ კიდევ ბოლომდე არ ვამბობ, ამათ რა გააკეთეს ჩემ წინააღმდეგ, იმიტომ, რომ არ მინდა, ამათ დონემდე დავმდაბლდე. **მოვა დრო და აუცილებლად ვიტყვი ყველაფერს, თუ რა ბინძური და არაკაცური მეთოდებით გვებრძოდნენ მე და ჩემს ოჯახს ეს მართლა არაკაცები...**

რაც შეეხება 2007-2009 წლების საპროტესტო გამოსვლებს, არაერთხელ მითქვამს და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რამდენი ადამიანი გამოვა ქუჩაში, მთავარია, ვინ და რა კატეგორიის ხალხი გამოვა. საერთოდ, ნებისმიერ საზოგადოებაში დიდი ძალა აქვს მაგალითს და ბიძგს, რადგან ეს ყველაფერი, როგორც ნაპერწკალი დენთში, ისე მოქმედებს ხოლმე ადამიანზე, ანუ იმის თქმა მინდა, რომ 7 ნოემბერსაც და 26 მაისსაც თუნდაც ხუთასი ან სამასი კაციც რომ ყოფილიყო ისეთი, რომელიც ბოლომდე დადგებოდა და უკან არ დაიხევდა, სხვებიც შეიძლება ანალოგიურად მოქცეულიყვნენ და ასე ამაოდ არ ჩაევლო ყველაფერს; მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ერთი მარტივი ჭეშმარიტება: სხვას რომ სტკივა, ის შენი ტკივილიცაა და სხვას რომ აწუხებს, ის შენც უნდა გაწუხებდეს, თორემ, როცა ის ტკივილი და საწუხარი უშუალოდ შენამდე მოაღწევს, მერე უკვე შველა ძალიან დაგვიანებული შეიძლება აღმოჩნდეს...

**— სააკაშვილისა და ობამას შეხვედრის თაობაზე საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა არ წყდება. თქვენი აზრით, რას ნიშნავს ჩვენთვის ეს შეხვედრა?**

— რისთვის დაუძახა ობამამ სააკაშვილს, ამაზე დაუსრულებლად შეიძლება ვიმსჯელოთ და ვიმარჩიელოთ, მაგრამ მე ერთ რამეში ღრმად ვარ დარწმუნებული: **თუ ამერიკას სჭირდება ეს ხელისუფლება, სამასიათასი კი არა სამი მილიონი ქართველიც რომ დადგეს ფეხზე, ამათი მოშორება შეუძლებელია. ეს არის ჩვენი სამწუხარო რეალობა და უბედურება, რომელიც ისტორიულად მოგვდგამს, ჩვენი ბედი ყოველთვის წყდება სხვაგან და თანაც ისე, რომ ჩვენ ამ პროცესში საერთოდ არ ვმონაწილეობთ...**

**— ამ ლოგიკით გამოდის, რომ არჩევნებსაც აზრი არ აქვს.**

— სააკაშვილის ხელში არანაირ არჩევნებს აზრი არა აქვს. თქვენ რა, ახლა მიხვდით, რომ ასეა? არჩევნები სუფთა სინდისის მქონე ხალხის საქმეა, ამ თახსირებმა რა არჩევნები უნდა ჩაგიტარონ, როცა ამათთვის არ არსებობს არც სინდისი და არც ნამუსი! აი, ნახავთ თქვენ, აქ რა ამბავი იქნება, ამათი ცნობილი და სტაჟიანი გამყალბებლები რომ კარდაკარ დაიწყებენ წოწიალს, ყველაფერზე წავლენ და ყველაფერს იკადრებენ, ოღონდ თავიანთი მიიღონ. ეს გარდაუვალია, მაგრამ თავისთავად ამაში დიდ ტრაგედიას ვერ ვხედავ, ტრაგედია ის უფროა, რომ **ხალხია მეტისმეტად ინერტული, საზოგადოებაა რაღაც სულიერ ჭაობში მოქცეული და თავს ვერ იცავს. აი, სწორედ ეს ჭაობი უნდა გადალახოს დღეს, პირველ რიგში, ქართველმა კაცმა და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება არჩევნების გზით რამის მიღწევაზე საუბარი,** წინააღმდეგ შემთხვევაში, ხომ ვიცით, აქამდე რაც ხდებოდა?! ხელისუფლებას თუ სჭირდებოდა, შავს თეთრად „გვტენიდა“ და თეთრს — შავად. ასე იქნება მომავალშიც, ამათ ხელში კარგს და სასიკეთოს ნურაფერს მოელით!..

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„REX-84“ (READINESS EXERCISE 1984) არის საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების პროგრამა, რომელიც სამხედრო მდგომარეობის შემოღებას, მოსახლეობის გადაადგილებას, მისი გარკვეული ნაწილის დაპატიმრებას მოიცავს. 1984 წლის 5-დან 13 აპრილამდე პროგრამის რეპეტიცია ჩატარდა „ფემასა“ და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით, რაც 34 სხვადასხვა დეპარტამენტისა და სააგენტოს კოორდინირებას მოიცავდა. მას შემდეგ ასეთმა ფართომასშტაბიანმა წვრთნებმა რეგულარული ხასიათი მიიღო.

# ამერიკელები მუდმივი პატიმრობისთვის ემზადებიან

**ფინანსურ კლანებს მშვენივრად ესმით, რომ მათი არსებობისთვის ერთადერთ საფრთხეს ჩინეთი, რუსეთი, ნავთობზე ფასები ან ევრო კი არ წარმოადგენს, არამედ აშშ-ში გადატრიალება და სამხედრო დიქტატურის დაწესება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მათ კასტას არ განეკუთვნებიან. ამ ადამიანებს შეუძლიათ, უბრალოდ, გაამწესონ ისინი ალიასკის ასათვისებლად, წარმოების ყველა საშუალება და კაპიტალი კი ნაციონალიზაციას დაუქვემდებარონ — ოქტომბრის რევოლუცია ამერიკულად.**



2000 წლიდან ამ დრომდე მიმდინარეობს სახელმწიფოს ძალოვანი ფუნქციების პრივატიზება, ორიოდე წელში ამერიკაში იარსებებს ალტერნატიული ძალოვანი სისტემა, რომელიც მთლიანად დაქირავებულებისაგან შედგება და, სულ მცირე, შესაძლებლობებით არაფრით ჩამოუვარდება სახელმწიფო სისტემას. დაქირავებულები კი, როგორც ცნობილია, მათ ბრძანებებს ასრულებენ, ვინც ფულს იხდის. აშშ-ში მთელი ფული თავმოყრილია არა ხაზინაში, არამედ ნიუიორკელი ფინანსისტების კეისებში. ასე რომ, უოლსტრიტულ ბანდას ყველა საშუალება აქვს საიმისოდ, რომ საკუთარ ინტერესებთან დაპირისპირებული ნებისმიერი მექანიზმის ჩართვის მცდელობა აღკვეთოს.

**ნაციონალური ეკონომიკური კრიზისის მწვავე ფაზაში ქვეყანაზე კონტროლის შენარჩუნებისა და გაძლიერებისთვის ამერიკელი ფინანსური ოლიგარქები ახდენენ სახელმწიფოს ძალოვანი ფუნქციების პრივატიზებას.** ქვეყანაში არის კომერციული სამხედროების, სპეცნაზელების, მზვერავების, აგენტების, პოლიციელების კომერციული არმია, რომლის დაქირავებაც თავისუფლად შეუძლიათ ფინანსურ კარტელებს შიდაპოლიტიკური სიტუაციის კონტროლისათვის. მეორე საკითხია ახალი გლობალური კოლონიალური დაბეგვრის სისტემის შექმნა. ამისათვის აშშ-ის მთელი სამხედრო-პოლიტიკური მანქანაა საჭირო და არა 300 ათასი დაქირავებული. ეს მანქანა კარტელების პოლიტიკური მარიონეტების ხელში იქნება, როდესაც შიდა სიტუაცია ოდნავ მოგვარდება და ხალხი კარტელების მიერვე ჩიკაგოს რომელიღაც ნაგავსაყრელზე ნაპოვნი ახალი „მხსნელი“ პრეზიდენტის ირგვლივ გაერთიანდება.

ფინანსურ ოლიგარქიას გადატრიალება კი არა, კრიზისის პერიოდში სტაბილურობა სჭირდება. ისინი არაფერს მიიტაცებენ, ისედაც ყველაფერი მათია და მხოლოდ ის უნდათ, რომ არ წაართვან, რაც აქვთ. მათ არ სჭირდებათ ვაშინგტონის ქუჩებში დაახლოებით 3 მილიონი ადამიანის გამოსვლა. იმისათვის, რომ ამგვარი ბიომასა არ შეიკრიბოს, კარტელს თავისი კერძო სპეცჯარი სჭირდება. დაქირავებული ჯარისკაცები დადებულ ფიცს „არასწორად“ არასდროს გაიგებენ და არ გაუჩნდებათ კითხვა: ვის უნდა ემსახურონ ერთგულად — თავიანთ მეთაურს, პრეზიდენტს თუ ხალხს. ისინი ემორჩილებიან დამქირავებელს, ვინც არ უნდა იყოს იგი, და მათი ერთადერთი მორალური ორიენტირი საკუთარი ჰონორარია. მათ თუ უბრძანებენ, უყოყმანოდ დახვრეტენ ბრბოს ყოველგვარი კომუნისტური რევოლუციის, ანარქისტული გადატრიალებისა და სამხედრო ხუნტის გარეშე. ყველაფერი კანონის ფარგლებშია: პრეზიდენტი (სინამდვილეში კი მის ზურგს უკან მდგარი ოლიგარქები თავიანთი დაქირავებული ძალოვნებით) აღადგენს ქვეყანაში კონსტიტუციურ წესრიგს.

რაც შეეხება კერძო სამხედრო კომპანიებს, იქ არ არიან არავითარი გენერლები და პოლკოვნიკები. ეს არის კომერციული კორპორაცია, რომელსაც ჰყავს მფლობელი, დირექტორთა საბჭო, შემკვეთები, აქვს კონტრაქტები, ბიუჯეტი, მუშაობის გეგმა, ხელფასის გაცემის დღე...

**დროა, ამერიკელებმა ქვეყნიდან გაქცევის გეგმის მომზადება დაიწყონ, მათ ქვეყანაში უკვე მომზადებულია სადამსჯელო ბანაკები, პლასტიკატის კუბოები და ტყვეთა მატარებლები.**

**საგანგებო სიტუაციებში მართვის ფედერალურ სააგენტოს (შემდგომში «ფემა» — FEMA) აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე უამრავი საპატიმრო ბანაკი აქვს. მათგან ზოგიერთი ახლახან აშენდა ან გარემონტდა და სრულად დაკომპლექტდა. საჭიროების შემთხვევაში, ანუ «საგანგებო მდგომარეობისას» ბანაკები გამოყენებული იქნება არაკონსტიტუციური მიზნების მქონე ამერიკელების იძულებითი პატიმრობისთვის**

საგანგებო სიტუაციებში მართვის ფედერალურ სააგენტოს (შემდგომში „ფემა“ — FEMA) აშშ-ის მთელ ტერიტორიაზე უამრავი საპატიმრო ბანაკი აქვს. მათგან ზოგიერთი ახლახან აშენდა ან გარემონტდა და სრულად დაკომპლექტდა. საჭიროების შემთხვევაში, ანუ „საგანგებო მდგომარეობისას“ ბანაკები გამოყენებული იქნება არაკონსტიტუციური მიზნების მქონე ამერიკელების იძულებითი პატიმრობისთვის.

„ფემა“ 1979 წლის 1 აპრილს პრეზიდენტ ჯიმი კარტერის მთავრობის №12127 განკარგულების საფუძველზე შეიქმნა. მასში გაერთიანდა დაზღვევის ფედერალური სამმართველო, ხანძრების კონტროლის ნაციონალური სამმართველო, ამინდისათვის მზადყოფნის საზოგადოებრივი სამსახურის პროგრამა, სტიქიური უბედურების მსხვერპლთა დახმარების ფედერალური ადმინისტრაცია. მან ასევე შეითავსა სამოქალაქო თავდაცვა, რაც ადრე თავდაცვის სამინისტროს ეკუთვნოდა. 2003 წელს „ფემას“ დეკლარირებული მიზნები ადამიანური დანაკარგების შემცირება, ბუნებრივი კატასტროფებით, ტერორისტული შეტევებითა და ადამიანთა მიერ მოწყობილი სხვა კატასტროფებით გამოწვეული საფრთხისაგან მოსახლეობის დაცვაა.

„ფემას“ ყველაზე ფართომასშტაბიანი ოპერაცია 2005 წლის აგვისტოში ქარიშხალ კატრინას შემდეგ ჩატარებული სამუშაოები იყო. კატასტროფაზე ფემას პასუხი ფართოდ გააკრიტიკეს არაადეკვატური და შენელებული დახმარების გამო, გარეშე დახმარების, საზოგადოებრივი ჯგუფების დახმარების, გარდაცვლილთა ფოტოგრაფირების აკრძალვის გამო. 2006 წელს კონგრესის ანგარიშში ქარიშხალ კატრინას შემდეგ „ფემას“ მიერ განხორციელებულ სამუშაოს „ეროვნული მარცხი, საზეიმოდ დაპირებული საყოველთაო მხარდაჭერის უარყოფა“ ეწოდა.

ზოგიერთები „ფემას“ იმის გამო აკრიტიკებდნენ, რომ მისი ჩავარდნა ტერორიზმზე საპასუხო პროგრამა „სამოქალაქო თავდაცვაზე“ ორიენტირების შედეგი იყო — ბუნებრივ კატასტროფაზე საპასუხო რეაქცია დაზარალდა. იგულისხმება, რომ ქარიშხალი კატრინა გამოყენებულ იქნა ტესტის სახით სახელისუფლო პროგრამის უწყვეტობის შესამოწმებლად, რამაც „ფემას“ საშუალება მისცა, დიდი რაოდენობით ადამიანთა ბანაკებში გადაყვანის რეპეტიცია გაევლო, შეეწყვიტა მათთვის კონსტიტუციური უფლებები და მოეხდინა რეგიონის მილიტარიზაცია კერძო სამხედრო კონტრაქტორების დახმარებით. „ბლექ უოთერ იუესეი“ იყო კერძო დაცვის კომპანია, რომელიც ქარიშხალ კატრინას პერიოდში გამოიყენეს.

**„REX-84“ (Readiness Exercise 1984) არის საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების პროგრამა, რომელიც სამხედრო მდგომარეობის შემოღებას, მოსახლეობის გადაადგილებას, მისი გარკვეული ნაწილის დაპატიმრებას მოიცავს. 1984 წლის 5-დან 13 აპრილამდე პროგრამის რეპეტიცია ჩატარდა „ფემასა“ და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით, რაც 34 სხვადასხვა დეპარტამენტისა და სააგენტოს კოორდინირებას მოიცავდა. მას შემდეგ ასეთმა ფართომასშტაბიანმა წვრთნებმა რეგულარული ხასიათი მიიღო.**

1960-იანი წლების განმავლობაში გამოიცა მრავალი სამთავრებო განკარგულება, რომლებიც ფედერალურ სააგენტოს საგანგებო მდგომარეობისას ძირითადი ფუნქციების საკუთარ თავზე აღების უფლებას ანიჭებს. 2007 წლის 9 მაისს კი პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა დაამტკიცა ფედერალური მთავრობის როლი საგანგებო მდგომარეობისას და ყველა ძირითადი ნაციონალური ფუნქცია ამგვარ შემთხვევაში სახელისუფლო აღმასრულებელ მთავრობას და შიდა უშიშროების დეპარტამენტს (რომელიც „ფემას“ მოიცავს) გადაულოცა.

2002 წლის აგვისტოში მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა ჯონ ეშკროფტმა ბრძანა: ის ამერიკელები, რომლებიც „მტრის ბოევიკებად“ ჩაითვლებიან, დააპატიმრონ განუსაზღვრელი დროით ყოველგვარი ბრალდების წაყენების გარეშე. **2006 წელს კონგრესმა მიიღო სამხედრო ტრიბუნალების აქტი. კანონი ეხება არაამერიკელებს და უფლებას იძლევა, ყველა, ვისაც „მტრის ბოევიკებად“ მიიჩნევენ, განუსაზღვრელი დროით დააპატიმრონ ყოველგვარი ბრალდების წაყენების გარეშე. ის არასამხედრო სასამართლოებს უკრძალავს სასამართლო კონტროლს დაპატიმრებულებზე და ამით არღვევს ისეთ საერთაშორისო შეთანხმებებს, როგორიც ჟენევის კონვენციაა. დოკუმენტის მიხედვით, მხოლოდ პრეზიდენტი განსაზღვრავს, თუ რას გულისხმობს მცნება წამება.**

გარკვეული დროის განმავლობაში „ფემა“ აშენებდა და არემონტებდა საკარანტინო ბანაკებს მთელი ქვეყნის მასშტაბით. 2006 წლის იანვარში ერთ-ერთმა კომპანიამ სახელწოდებით „კელოგი, ბრაუნი და რუთი“ განაცხადა, რომ ჰქონდა კონტრაქტების შეუზღუდავი რაოდენობა შიდა უშიშროების სამინისტროსთან და რომ ამ კონტრაქტების ღირებულება 385 მილიონ დოლარს აღემატებოდა. გარდა ამისა, ხელისუფლებამ რამდენიმე სხვა კომპანიას შეუკვეთა ათასობით ვაგონის აგება. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ეს ვაგონები აღჭურვილა ბორკილებით, შესაბამისად, განკუთვნილია პატიმართა გადასაყვანად.

საკარანტინო ბანაკების დანიშნულების შესახებ ბევრი არაფერი თქმულა, მაგრამ, როდესაც ოფიციალური პირები მაინც ამბობდნენ რამეს, საუბარი არალეგალური მიგრანტების დროებით დაკავებას ეხებოდა.

**ახლა საკარანტინო ბანაკების რაოდენობა 800-ს აღემატება და ისინი აშშ-ის ყველა მხარეშია მიმოფანტული.** ▶



**მათ თუ უბრძანებენ, უყოყმანოდ დახვრეტენ ბრბოს ყოველგვარი კომუნისტური რევოლუციის, ანარქისტული გადატრიალებისა და სამხედრო ხუნტის გარეშე**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ამერიკის კონსტიტუციის კუბოში კიდევ ერთი ლურსმანი მაშინ ჩააჭედეს, როდესაც ეს კანონი მიიღეს. იმის იმედი, რომ პრეზიდენტი ობამა აღნიშნულ კანონს გააუქმებს, არასაფუძვლიანია. თავად თეთრი სახლი იყო იმ პარაგრაფების ავტორი, რომლის თანახმადაც ამერიკის მოქალაქეებს სამხედრო ტრიბუნალის მიერ მისჯილი განუსაზღვრელი დროით პატიმრობისას უარი უთხრეს დაცვის უფლებაზე. თეთრმა სახლმა უკვე განაცხადა, რომ ამ კანონს ვეტოს არ დაადებს. ამრიგად, 1787 წელს მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია გაუქმდა. ამერიკა XVII საუკუნეს უბრუნდება**

მას შემდეგ, რაც 9/11 მოხდა, ამერიკელთა უმეტესობის უცოდინრად ფედერალურმა მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო საგანგებო მდგომარეობის შემოღების, დისიდენტების ფართო სპექტრის დაპატიმრებისა და იურისდიქციისა და კონსტიტუციის გვერდის ავლით დაპატიმრების უფლება.

ჩნდება კითხვა, რომელი „ახალი პროგრამები“ ითხოვენ ამდენი საკარანტინო დაწესებულის აშენებასა და რემონტს?

2007 წელს მიღებული კანონი ნაციონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესახებ მოიცავს თავს „შეიარაღებული ძალების გამოყენება საზოგადოებაში საგანგებო მდგომარეობის დროს“ და ხელისუფლებას სამხედრო მდგომარეობის დაწესების უფლებას აძლევს. **საუკუნეზე მეტი პერიოდის მანძილზე პირველად პრეზიდენტს უფლება ეძლევა, გამოიყენოს სამხედრო ძალა ბუნებრივი კატასტროფების, დაავადებათა აფეთქებების, ტერორისტული შეტევების ან ნებისმიერი სხვა მდგომარეობისას, როდესაც პრეზიდენტი ჩათვლის, რომ ძალადობამ ქვეყანაში იმ ზომებს მიაღწია, რომლის დროსაც ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს.**

2006 წელს მიღებული „კანონო სამხედრო კომისიების შესახებ“ უფლებას იძლევა, ადამიანები დააპატიმრონ ბრალის წაყენების გარეშე, თუ ისინი ქველმოქმედების სახით ფულს რიცხავენ ორგანიზაციებში, რომლებიც „ტერორისტულადაა“ მიჩნეული, ასევე ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებლის კრიტიკით გამოდიან.

გარდა ამისა, 2007 წელს თეთრმა სახლმა ზედმეტი ხმაურის გარეშე გამოსცა „ეროვნული უსაფრთხოების საპრეზიდენტო დოქტრინა 51“, რომელიც „საგანგებო სიტუაციის“ შემთხვევებში „მმართველობის უწყვეტობას“ უზრუნველყოფს. ერთპიროვნულად გადაწყვეტს რა, რომ ამგვარი სიტუაცია დადგა, პრეზიდენტი უფლებამოსილია, მოიქცეს ისე, როგორც თავად ჩათვლის საჭიროდ „მმართველობის უწყვეტობისთვის“. ეს გადაწყვეტილებები შეიძლება მოიცავდეს ყველაფერს არჩევნების გადადებიდან დაწყებული, კონსტიტუციის მოქმედების შეჩერებამდე და ბირთვულ შეტევამდე. კონგრესმა დოქტრინა პირველი მოსმენით მიიღო.

ამერიკის წარმომადგენლობითი პალატის წევრმა ჯეინ ჰარმენმა ტერორთან შიდა ბრძოლის გასაძლიერებლად მოიფიქრა კანონპროექტი, რომელიც ფაქტებისა და მათი მიზეზების გამომძიებელი კომისიის შექმნას ითვალისწინებს. კანონპროექტი მიიღეს 404 ხმით 6-ის წინააღმდეგ. ჰერმანი და ორივე პარტიის წარმომადგენელი მისი კოლეგები მიიჩნევენ, რომ მათი ქვეყანა სამამულო ტერორიზმის საფრთხის წინაშე დგას და ესაჭიროება კომისია, რომელიც გამოძიებაზე მაღლა იდგება. მინიშნებას, თუ საით ნება მიმართული აღნიშნული კომისიის მუშაობა, შეიცავს „კანონი ტერორიზმის წინააღმდეგ ცხოველების უფლებების დასაცავად“. კანონის მიხედვით, ყველა, ვინც მონაწილეობს მჯდომარე აქციებში, სამოქალაქო დაუმორჩილებლობაში, საზღვრის დარღვევაში ან რაიმე მსგავს აქციაში ცხოველთა უფლებების დასაცავად, მოიაზრებიან ტერორისტებად. მიზანში შეიძლება აღმოჩნდნენ სხვა ჯგუფებიც, მაგალითად, აბორტის მოწინააღმდეგენი, იმიგრაციის საკითხთა აქტივისტები, გარემოს დამცველები და ასე შემდეგ. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ნაციონალურ კონტრტერორისტულ ცენტრს ტერორიზმში ეჭვმიტანილი 775 000 ადამიანი ჰყავს და ეს რიცხვი ყოველ თვეში დაახლოებით 20 ათასით იზრდება.

მაინც რას გეგმავს ამისთანას ხელისუფლება, რომ საგანგებო მდგომარეობის შემთხვევაში ყოველგვარი მიზეზების ახსნის გარეშე მილიონობით საკუთარი მოქალაქის დაპატიმრებას აპირებს?

**უპილოტო საფრენი აპარატები „Predator“ აღჭურვილია თვალთვალის თანამედროვე საშუალებებით და გამოიყენება აშშ-ის ტერიტორიაზე ამერიკელი მოქალაქეების თვალთვალისათვის.** ამერიკელები მიიჩნევენ, რომ არმიის ეს აღჭურვილობა „ტერორიზმთან ბრძოლისათვის“ გამოიყენება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. 2005 წელს მათი გამოყენება დაიწყეს საზღვრისა და არალეგალური იმიგრანტების კონტროლისათვის, ახლა კი — ქვეყნის შიგნით ამერიკელთა კონტროლისათვისაც.

ეროვნული უსაფრთხოების დეპარტამენტი აცხადებს, რომ სასტუმროს ნომრის ღირებულების ნაღდი ფულით გადახდა (და არა ბარათით, როგორც ამერიკელებისთვის არის მიღებული) პოტენციური ტერორიზმის ნიშანია.

**ტენესის შტატში ჯანდაცვის დეპარტამენტის საფარქვეშ და „ბუნებრივი კატაკლიზმებისადმი მოქალაქეთა მზაობის შემოწმების“ საბაბით, დაგეგმილია სახელმწიფო ჩინოვნიკების ტოტალური საინსპექციო შემოვლა მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებში.**

**დღეს ხელისუფლება უთვალთვალებს ყველა ქმედებას, რომელთაც რიგითი ამერიკელები ახორციელებენ და რომლებიც ოდნავაც კი არ ჰგავს ტერორიზმს ან წარმოადგენს დემოკრატიის საფრთხეს.**

უკანასკნელ პერიოდში ძალზე ბევრს ლაპარაკობენ იმ შოკისმომგვრელ ისტორიებზე, თუ როგორ უცერემონიოდ ჩხრეკენ ადგილობრივ მოხუც ქალებს სატრანსპორტო უსაფრთხოების სამსახურის აგენტები. ჩრდილოეთ კორეაში ამგვარი ამბების ხილვისას შოკში ჩავარდებოდნენ.

**ამერიკელებს ყოველდღიურად ათასგვარი მეთოდით უთვალთვალებენ სპეცსამსახურები, მაგრამ ამ თვალთვალის ობიექტების უმეტესობას ამის შესახებ წარმოდგენაც კი არ აქვთ.** მაგალითად, ქალაქ ვაშინგტონში ყველა ავტომანქანის გადაადგილებას სანომრე ნიშნების ავტომატური ამოკითხვის სისტემის საშუალებით ადევნებენ თვალს. თავდაპირველად დედაქალაქში 250 კამერა დამონტაჟდა იმ ავტომობილების აღმოსაჩენად, რომლებზეც ძებნა იყო გამოცხადებული, მაგრამ ამის შემდეგ, ყოველგვარი საზოგადოებრივი განხილვის გარეშე, პოლიციამ ყველ ავტომობილის შესახებ ინფორმაციის მოგროვება და მონაცემთა ბაზის შექმნა დაიწყო.

**აშშ-ის ხელისუფლებამ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაამონტაჟა მაღალტექნოლოგიური ჩირაღდნები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც სათვალთვალო კამერები და მოსმენის აპარატები.**

კანონი, რომელსაც ახლა ღებულობენ, ფაქტობრივად, აშშ-ის ტერიტორიას განიხილავს როგორც „ბრძოლის ველს“ ტერორიზმის წინაღმდეგ ომში, რომელზეც მშვიდობიანი მოსახლეობაც არის. ამ ფორმულირების წყალობით, **ნებადართულია ნებისმიერი ამერიკელის დაკავება ყოველგვარი ბრალის წაყენებისა და სხვა ფორმალობების გარეშე.** ამასთან, კანონის ერთ-ერთმა ავტორმა კარლ ლევინმა აღიარა, რომ თავდაპირველად ობამას შესთავაზა კანონიდან რეპრესიების შესახებ სტრიქონების ამოშლა, მაგრამ ობამამ ამის გაკეთების ნება არ დართო.

სულ რამდენიმე დღის წინ აშშ-ის კონგრესმა ხელი მოაწერა ნაციონალური თავდაცვის შესახებ კანონს, რომლის სასარგებლოდაც სენატმა ჯერ კიდევ 1 დეკემბერს მისცა ხმა. საუბარია თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტზე. **682-გვერდიანი კანონპროექტი შეიცავს რამდენიმე პასაჟს, რომლებიც ამერიკის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.**



**საუბარია 1031-ე და 1032-ე თავებზე. მათ მიხედვით, უცხოელები, ასევე აშშ-ის მოქალაქეები შეიძლება დაკავებულ იქნენ განუსაზღვრელი ვადით აშშ-ის არმიის მიერ საომარი პერიოდის კანონების შესაბამისად, სასამართლოს გარეშე და დაცვის უფლების გარეშე, თუ ისინი მოხვდებიან კატეგორიაში „covered person“, ანუ ჩაითვლებიან ტერორისტულ ორგანიზაციებთან კავშირში ეჭვმიტანილებად.**

ნებისმიერი, ვინც ამ კატეგორიაში მოხვდება, შესაძლოა, ციხეში გამწესდეს განუსაზღვრელი დროით, „დაპირისპირების დასრულებამდე“, სასამართლოსა და გამოძიების გარეშე. პატიმრებს არ ექნებათ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლება, ასევე ჩამოერთმევათ სააპელაციო სარჩელის შეტანის საშუალება. ამრიგად, **დაკავებულებს უარს ეუბნებიან ყველა იმ უფლებაზე, რომლებიც მათ აშშ-ის კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული.** პრინციპი „habeas corpus“, რომელიც სავალდებულოდ ხდის დაკავებისათვის კანონიერი საფუძვლის წარმოდგენას, ფაქტობრივად, გაუქმდა და ამით აშშ-ის მართლმსაჯულება შუა საუკუნეებს დაუბრუნდა.

**აშშ-ის ხელისუფლებამ მთელი ქვეყნის მასშტაბით დაამონტაჟა მაღალტექნოლოგიური ჩირაღდნები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც სათვალთვალო კამერები და მოსმენის აპარატები**

დოკუმენტის ზოგიერთი თეზისი იმდენად ჩახლართულია, რომ ამ ხლართებს შეგნებულად იყენებენ კანონის მომხრეები ღია დებატებში. მაგალითად, ისინი ამბობენ, რომ კანონში არაფერია ნათქვამი პატიმრობის ვადის განუსაზღვრელობაზე. ეს მართლაც ასეა, მაგრამ ფორმულირება „დაპატიმრება საომარი პერიოდის კანონებით საქმის სასამართლოში გადაცემის გარეშე მოწინააღმდეგესთან კონფლიქტის დასრულებამდე“ პრაქტიკულად ამას ნიშნავს. ტერორთან ომს ხომ არ გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული მიზნები და, შესაბამისად, არავითარი დროის ჩარჩო. ამ კანონის ავტორები — ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ-ბუშ უმცროსი და დიკ ჩეინი — პირიქით, იმაზე საუბრობდნენ, რომ ეს კონფლიქტი არ დასრულდება რამდენიმე თაობის ცხოვრების მანძილზე. ამასთან, ის, რასაც „ალ ქაიდასთან“ დაკავშირებული ძალები ეწოდება, შეიძლება იყოს ყველა დ ყველაფერი. იქიდან გამომდინარე, რომ ერთ-ერთმა ამერიკელმა მოსამართლემ 11 სექტემბრის ტერაქტის შედეგად დაზარალებულთა საქმესთან დაკავშირებით აიათოლა ალი ჰამენეი და მასთან ერთად უკლებლივ ყველ ირანელი ტერორისტების მხარდამჭერებად გამოაცხადა, ეს „უდავო“ კანონი განსაკუთრებულად სახალისოდ გამოიყურება. ახლა ყველა ირანელი უნდა შიშობდეს, რომ „covered persons“-ის კატეგორიას განაკუთვნებენ?!

ამასთან, „ალ ქაიდა“ თავისი ვაჰაბისტური იდეოლოგიით ირანის ღია მტრად მოიაზრება. „თალიბანი“ ასევე არ ირიცხება ამ ქვეყნის მეგობართა სიაში, ამიტომაც თანამშრომლობს თეირანი ნატოს ჯარებთან ავღანეთში.

„თალიბანი“ პაკისტანური სპეცსამსახურის — „ISI“-ს შვილობილია, რომელიც, თავის მხრივ, მუშაობს ცსს-სთან ერთად და თავისი უფროსი ამერიკელი ძმისაგან ფინანსურ დ პროფესიონალურ დახმარებას იღებს. თეორიულად კატეგორიაში „covered person“ ლენგლის უამრავი თანამშრომელიც ხვდება, მაგრამ პრაქტიკულად მათ, ცხადია, საფრთხე არ ელით.

ახლახან ხელმოწერილი კანონი აშშ-ის არმიასა და თეთრ სახლს უფლებას აძლევს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე სიცოცხლის ბოლომდე დააპატიმრონ ადამიანები. კანონპროექტს ასევე გააჩნია ეგრეთ წოდებული „waiver“-ი, რომელიც პრეზიდენტს უფლებას აძლევს გაათავისუფლოს „ეროვნული უსაფრთხოების ინტერესების შესაბამისად“ დაპატიმრებული ადამიანები. კანონის მომხრეები აცხადებენ, რომ ომის შემთხვევაში მოწინაღმდეგის ჯარისკაცი, შესაძლოა, დაპატიმრებული იქნეს ომის დასრულებამდე, რათა სამხედრო დანაშაულებები არ ჩაიდინოს. მათი არგუმენტაციის მთავარი თეზისი ისაა, რომ ომში ფორმიანი ჯარისკაცები უნდა მონაწილეობდნენ (ჟენევის კონვენციის მოქმედება ვრცელდება უნიფორმიან ჯარისკაცებზე). მაგრამ ტერორთან ომი ასიმეტრიული ომია ტერორისტებთან, ანუ სამოქალაქო პირებთან და არც არასდროს დასრულდება. ამ ყველაფრიდან კი გამოდის, რომ **სამხედრო ტყვეობა დროში არანაირად არაა შეზღუდული, რასაც კანონის მომხრენი საგულდაგულოდ მლავენ.**

ამერიკის კონსტიტუციის კუბოში კიდევ ერთი ლურსმანი მაშინ ჩააჭედეს, როდესაც ეს კანონი მიიღეს. იმის იმედი, რომ პრეზიდენტი ობამა აღნიშნულ კანონს გააუქმებს, არასაფუძვლიანია. თავად თეთრი სახლი იყო იმ პარაგრაფების ავტორი, რომლის თანახმადაც ამერიკის მოქალაქეებს სამხედრო ტრიბუნალის მიერ მისჯილი განუსაზღვრელი დროით პატიმრობისას უარი უთხრეს დაცვის უფლებაზე. თეთრმა სახლმა უკვე განაცხადა, რომ ამ კანონს ვეტოს არ დაადებს. ამრიგად, 1787 წელს მიღებული ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია გაუქმდა. ამერიკა XVII საუკუნეს უბრუნდება. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კანონზე ცოტა ხნით ადრე მიიღეს კიდევ ერთი კანონი, რომელიც ამერიკის არმიას აშშ-ის ტერიტორიაზე მოქმედების უფლებას აძლევს, დიქტატურამდე ერთადერთი ნაბიჯილა რჩება: საომარი მდგომარეობის შემოღება. ამისთვის რაღაც მასშტაბური ტერაქტია საჭირო, მაგალითად, პრეზიდენტის მკვლელობა...

voprosik.net



ასი ათასობით პლასტიკატის კუბო

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ობამას პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-მა უფრო მეტი ისესხა, ვიდრე ქვეყნის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, და მისი ადმინისტრაციის მუშაობის დაწყებიდან ქვეყნის ვალი ყოველდღიურად 4 მილიარდ დოლარზე მეტით იზრდება. ობამას მიერ ფიცის დადებიდან ამ დრომდე ყოველი ამერიკული ოჯახის ვალი 35 835 დოლარით გაიზარდა. პროგნოზების თანახმად, აშშ-ის სახელმწიფო ვალი 2050 წლისათვის საერთო შიდა პროდუქტის 344%-ს გაუტოლდება, 2080 წლისათვის კი — 716%-ს, თუ ქვეყანა ამჟამინდელი კურსით განაგრძობს ცხოვრებას. მხოლოდ 2010 წელს სახელმწიფო ვალის პროცენტის სახით აშშ-მა 413 მილიარდი დოლარი გადაიხადა.**

# გაქცევის დროა!

**ამერიკის ეკონომიკა რომ სულ უფრო და უფრო უკან მიდის, უცხო არავისთვისაა. საქონლის ექსპორტი ინფლაციის, არასტაბილურობისა და აბსოლუტურად უსარგებლო „დემოკრატიის" ექსპორტმა ჩაანაცვლა. ასანთი ბავშვის სათამაშო არაა, ჩრდილოეთ ამერიკული შეერთებული შტატები კი, როგორც სახელმწიფო, მართლაც ნორჩია. მისი სახელმწიფოებრიობა სულ რაღაც 200 წელს ითვლის და ახლა ეს ცელქი, მოხულიგნო ბავშვი ცდილობს, მსოფლიოს უკარნახოს, ვინ და როგორ უნდა განავითაროს ეკონომიკა და პოლიტიკა, რითაც უხეშად არღვევს სხვა ქვეყნების სუვერენიტეტს. თუ ვარსკვლავ-ზოლოვან ქიმერას ყველა ილუზიას მოვაშორებთ, აღმოჩნდება, რომ აშშ თიხის ფეხებზე შემდგარი გიგანტური კოლოსია, რომლის ცალკეულ შტატ-სახელმწიფოებად დაშლა მხოლოდ დროის საკითხია. ამერიკელებს კი უკვე ათასი მიზეზი აქვთ იმისა, რომ ქვეყნიდან გარბოდნენ.**



ამჟამად ამერიკელების მხოლოდ 48%-ის ოჯახები იღებს სახელმწიფო დახმარებას. ჯერ კიდევ 1983 წელს ეს მაჩვენებელი 30%-ს არ აღემატებოდა.

ობამას პრეზიდენტობის პერიოდში აშშ-მა უფრო მეტი ისესხა, ვიდრე ქვეყნის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე, და მისი ადმინისტრაციის მუშაობის დაწყებიდან ქვეყნის ვალი ყოველდღიურად 4 მილიარდ დოლარზე მეტით იზრდება. ობამას მიერ ფიცის დადებიდან ამ დრომდე ყოველი ამერიკული ოჯახის ვალი 35 835 დოლარით გაიზარდა. პროგნოზების თანახმად, აშშ-ის სახელმწიფო ვალი 2050 წლისათვის საერთო შიდა პროდუქტის 344%-ს გაუტოლდება, 2080 წლისათვის კი — 716%-ს, თუ ქვეყანა ამჟამინდელი კურსით განაგრძობს ცხოვრებას. მხოლოდ 2010 წელს სახელმწიფო ვალის პროცენტის სახით აშშ-მა 413 მილიარდი დოლარი გადაიხადა.

ყოველი მესამე ამერიკელი სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში შემდეგ თვეშივე ვერ გადაიხდის იპოთეკას ან ქირას საცხოვრებლისთვის.

1980 წელს სახელმწიფო ტრანსფერულ გადასახადებზე სულ 11,7% იხარჯებოდა, ახლა ის მთელი შემოსავლების 18,4%-ს შეადგენს.

დღეს ამერიკული ოჯახები უფრო მეტ შემოსავალს იღებენ ხელისუფლებისაგან, ვიდრე მას უხდიან გადასახადების სახით. ახლახან ჩატარებული კვლევის თანახმად, ამერიკული ოჯახების ვალები საშუალოდ მათი შემოსავლების 154%-ს აღწევს. ყოველ მეშვიდე ამერიკელს, სულ მცირე, ათი საკრედიტო ბარათი აქვს.

ეკონომიკური ანალიზის ბიუროს მონაცემებით, 1980 წელს ამერიკელები მთელი დანახარჯების მხოლოდ 9,5%-ს ხარჯავდნენ ჯანდაცვაზე, ახლა ეს მაჩვენებელი 16,3%-ია. სამედიცინო დაზღვევის გადასახადი კოლოსალური 9%-ით გაიზარდა გასულ წელს. დასაქმებულ ამერიკელთა 41%-ს სამედიცინო დაწესებულებებში დავალიანება აქვთ ან ვერ ანაზღაურებენ სამედიცინო მომსახურების საფასურს. 49,9 მილიონ ამერიკელს კი საერთოდ არ გააჩნია სამედიცინო დაზღვევა. სამედიცინო ჟურნალში გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, შემთხვევათა 60%-ში პირადი გაკოტრების მიზეზი სამედიცინო მომსახურებაა. სამედიცინო ხარჯებით გამოწვეული გაკოტრების 75%-ის შემთხვევაში ამ ადამიანებს სამედიცინო დაზღვევა ჰქონდათ.

**აშშ-ის კერძო უნივერსიტეტებში სწავლების წლიური ღირებულება საშუალოდ 27 293 დოლარამდე გაიზარდა. კოლეჯში სწავლების საფასურმა 1978 წლიდან ამ დრომდე 900%-ით მოიმატა. ყველა ამერიკელი სტუდენტის ორი მესამედი სტუდენტური კრედიტით ასრულებს სწავლას. 2010 წლისათვის მათი საშუალო ვალი 25 000 დოლარს შეადგენდა. სტუდენტური კრედიტების საერთო რაოდენობა აშშ-ში ახლა საკრედიტო ბარათებზე საერთო დავალიანებას აჭარბებს. უმაღლესდამთავრებულთა მესამედზე მეტი მუშაობს პოზიციებზე, რომელიც საერთოდ არ მოითხოვს უმაღლეს განათლებას.** დღეისათვის აშშ-ში 100 ათასზე მეტი უმაღლესდამთავრებული მეეზოვედ მუშაობს, 317 ათასი — ოფიციანტად, 365 ათასი — მოლარედ.

პროგნოზების თანახმად, ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნები წელს ნავთობის ექსპორტით მილიარდ დოლარზე მეტს გამოიმუშავებენ. მათი მთავარი კლიენტი ამერიკის შეერთებული შტატებია. წელს ამერიკული ნავთობკომპანიები გადასახადების გამოქვითვამდე 200 მილიარდს მოიგებენ და აშშ-ის ხელისუფლებისაგან სპეციალური საგადასახადო შეღავათების სახით კიდევ 4,4 მილიარდს მიიღებენ.

აშშ-ს სავაჭრო ბალანსის ნეგატიური სალდო აქვს 1976 წლიდან მოყოლებული ამ დრომდე და ახლა სავაჭრო ბალანსის დეფიციტი 7,5 ტრილიონით მეტია, ვიდრე მთელი დანარჩენი მსოფლიოსი.

აშშ ყოველთვიურად დაახლოებით 50 000 საწარმოო სამუშაო ადგილს კარგავს იმის გამო, რომ 2001 წელს ჩინეთი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შევიდა.

ამჟამად ჩინეთთან აშშ-ის სავაჭრო დეფიციტი 27-ჯერ მეტია, ვიდრე 1990 წელს იყო. **აშშ-ში ჩინური საქონელი ოთხჯერ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ამერიკული საქონელი ჩინეთში.**

ჩინეთმა გაუსწრო აშშ-ს და ამჟამად მთელ მსოფლიოში პერსონალური კომპიუტერების ბაზრებზე ლიდერობს. 2002 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებს მაღალტექნოლოგიურ პროდუქციაში სავაჭრო ბალანსის 16 მილიარდიანი დეფიციტი ჰქონდა მთელ დანარჩენ მსოფლიოსთან შედარებით. 2010 წელს კი ამ მაჩვენებელმა 82 მილიარდს მიაღწია.

2010 წელს ჩინეთში ექსპორტის მხრივ პირველ ადგილზე ჯართი და ნაგავი იყო. ერთ დროს ამერიკა ავტომანქანების წარმოების ლიდერი იყო, **2010 წელს კი აშშ-ში მსუბუქი მანქანების, სატვირთო მანქანებისა და სათადარიგო ნაწილების სავაჭრო დეფიციტმა 110 მილიარდი დოლარი შეადგინა.**

2000 წლიდან ამ დრომდე აშშ-მა თავისი სამრეწველო სამუშაო ადგილების 32% უკვე დაკარგა. 2001 წლიდან ამერიკაში 42 000 სამრეწველო ობიექტი დაიხურა.

1970 წელს აშშ-ში ყველა სამუშაო ადგილის 25% საწარმოებში იყო. ახლა სამუშაო ადგილების მხოლოდ 9% არის წარმოებასთან დაკავშირებული. პროგნოზების თანახმად, მომავალი ოცი წლის განმავლობაში აშშ-ში ამჟამად დარჩენილი სამუშაო ადგილების 40 პროცენტი ოფშორულ ზონებში გადავა. **თუ ამერიკის ყველა ოფიციალურ უმუშევარს შევკრებთ, მივიღებთ ქვეყანას, რომელიც მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში 68-ე ადგილს დაიკავებს.**

შარშან, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად, 18-დან 29 წლამდე ამერიკელების მხოლოდ 55,3%-ს ჰქონდა სამუშაო ადგილი. ამჟამად 25-დან 34-წლამდე ასაკის 5,9 მილიონი ამერიკელი მშობლებთან ერთად ცხოვრობს. უკანასკნელი აღწერის მონაცემებით, მშობლებთან ორჯერ უფრო მეტი მამაკაცი ცხოვრობს, ვიდრე ქალი.

ბოლო დროს ჩატარბული ერთ-ერთი გამოკითხვის თანახმად, 28-29 წლის ამერიკელების მხოლოდ 14% არის ოპტიმისტურად განწყობილი თავის ფინანსურ მომავალთან დაკავშირებით.

1969-დან 2009-წლამდე 30-დან 50-წლამდე ამერიკელი მამაკაცების ხელფასი ინფლაციის გათვალისწინებით 27%-ით შემცირდა. 2000 წლიდან ქვეყანამ საშუალო კლასის სამუშაო ადგილების 10% დაკარგა. 1980 წელს ამერიკაში სამუშაო ადგილების 30% დაბალანაზღაურებადად ითვლებოდა, ახლა ეს მაჩვენებელი 40%-ს აჭარბებს. მომუშავე ამერიკელების 20% საათში 10,65 დოლარს ან უფრო ნაკლებს გამოიმუშავებს. **ამერიკის ყველა დასაქმებულის ნახევარზე მეტი კვირაში მაქსიმუმ 505 დოლარს იღებს.**

ახალი სახლების მინიმალური გაყიდვების რეკორდი 2009 წელს დამყარდა, შემდეგ 2010 წელს გაუმჯობესდა და, სავარაუდოდ, 2011 წლის შედეგები უარესი იქნება.

**აღწერის ბიუროს მონაცემებით, ფლორიდის შტატის სახლების 18%-ში არავინ ცხოვრობს, ეს 63%-ით აჭარბებს ათი წლის წინანდელ მაჩვენებელს.**

იპოთეკური კრედიტების 4,5% ვერ ანაზღაურდა და გირაო ბანკებს დარჩათ. სულ მცირე, 8 მილიონ ამერიკელს მინიმუმ ერთი თვით აქვს დაგვიანებული იპოთეკის გადასახადი.

კვლევის მონაცემების შედეგად დადგინდა, რომ ამერიკელთა 77%-ს ხელფასიდან ხელფასამდე გააქვს თავი, ეს მაჩვენებელი ოთხი წლის წინ 43%-ს არ აღემატებოდა.

**ყოველი მეექვსე ამერიკელი სიღატაკის ზღვარს ქვემოთაა. 1950 წელს ყოველი პენსიონერის დახმარებას 16 მომუშავე ამერიკელი ანაზღაურებდა. ახლა კერძო სექტორში დასაქმებული ადამიანის მხოლოდ 1,75 სამუშაო დღე ხმარდება თითო პენსიონერს.**

ამერიკის ხელისუფლება აცხადებს, რომ ფონდი „Medicare" შარშან გამოცხადებულზე ხუთი წლით ადრე ამოიწურება. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, აშშ-ის 50 შტატის ერთიანი ბიუჯეტი 3,2 ტრილიონი დოლარით ნაკლებია, ვიდრე პენსიების ანაზღაურებისთვისაა საჭირო.

**1991-2007 წლებში 65-დან 74-წლამდე ასაკის გაკოტრებული ამერიკელების რაოდენობა 178%-ით გაიზარდა.**

გასულ წელს 2,6 მილიონი ამერიკელი გაღატაკდა, ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 1959 წლიდან დღემდე. **2000 წელს ამერიკელთა 11,3% იყო ღარიბი, ახლა მათი რაოდენობა 15,1%-ს აჭარბებს.** ახლა 45 მილიონზე მეტი ამერიკელი სასურსათე ტალონებით სარგებლობს, 2007 წლიდან მათი რიცხვი 74%-ით გაიზარდა.

**20 მილიონზე მეტი ამერიკელი ბავშვი სასკოლო კვების პროგრამაშია ჩართული, რომ არ იშიმშილოს. ნახევარ მილიონამდე ბავშვი უსახლკაროა.**

**ყველაზე მდიდარი ამერიკელები მოსახლეობის 1%-ს შეადგენენ და ისინი მთელი სიმდიდრის მესამედზე მეტს ფლობენ. ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე ღატაკი 50% მთელი სიმდიდრის მხოლოდ 2,5%-ს ფლობს. ამერიკელების 80% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში რეცესიაა.** ფედერალურმა სარეზერვო ფონდმა ფინანსური კრიზისის პერიოდში თავის მეგობრებს 16,1 ტრილიონი საიდუმლო კრედიტი მისცა.

lagoutin.wordpress.com

**20 მილიონზე მეტი ამერიკელი ბავშვი სასკოლო კვების პროგრამაშია ჩართული, რომ არ იშიმშილოს. ნახევარ მილიონამდე ბავშვი უსახლკაროა**

მოკლედ

## ირანი ევროპას ნავთობს შეუწყვეტს

**ირანის პარლამენტში სრულდება მუშაობა კანონპროექტზე, რომელიც ევროკავშირისთვის ნავთობის ექსპორტირების შეწყვეტას ითვალისწინებს.** ამის შესახებ ირანის პარლამენტის ენერგეტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ემად ჰოსენიმ განაცხადა. „იმ შემთხვევაში, თუ გეგმა დამტკიცდება, ქვეყნის მთავრობას ევროკავშირის მიერ სანავთობო ემბარგოს შემოღებამდე ევროპასთან ნავთობით ვაჭრობის შეწყვეტა დაევალება", — განაცხადა ირანელმა დეპუტატმა.



## ტიმოშენკოს ქალიშვილი ბარაკ ობამას შეხვდება

უკრაინის ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს ქალიშვილი ევგენია თებერვალში აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდება. შეხვედრა გაიმართება იულია ტიმოშენკოს დაცვის იმ საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ევგენია ახორციელებს. „დანიის საგარეო საქმეთა მინისტრის მიწვევით, უახლოეს დღეებში კოპენჰაგენში ჩასვლას ვაპირებ, თებერვალში კი აშშ-ის პრეზიდენტს შევხვდები, მოგვიანებით ლონდონში გავემგზავრები და, სავარაუდოდ, პოლონეთშიც", — განაცხადა პოლიტიკოსის ქალიშვილმა.



ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘ ᲡᲐᲕᲡᲔᲑᲘᲗ ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲔᲚᲝᲓᲝᲡ ᲕᲘᲜᲛᲔ ᲒᲐᲛᲭᲕᲘᲠᲕᲐᲚᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲛ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲔᲡᲔᲑᲔᲚᲘ — ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲚᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐᲡ ᲔᲬᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲖᲔ ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲧᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘᲪ ᲙᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ? ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲛᲓᲔ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲐ, ᲗᲣ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲡ ᲘᲙᲐᲕᲔᲑᲔᲜ.

მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიბია: ქაოსი და ოკუპანტების «სამაშველო» მისია

**რა უკეთესია: ყველაზე დაუნდობელი დიქტატურა თუ უმართაობის ქაოსი? — ეს კითხვა დღესაც მწვავე დისკუსიების თემაა ფილოსოფოსთა, პოლიტოლოგთა, სოციოლოგთა და, უბრალოდ, მოაზროვნე ადამიანთა შორის. ამ თემაზე კამათი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ისტორიული გამოცდილება ადასტურებს: გარედან შეიარაღებული ჩარევა ქვეყნის შიდა საქმეებში, რაოდენ ცუდიც არ უნდა იყოს ეს შიდა საქმეები, არასდროს ყოფილა სიკეთის მომტანი. სხვის სახლში წესრიგის დამყარება იარაღით ხელში არაკეთილშობილური საქმეა და ამისთვის არასდროს არავინ ეტყვის მადლობას წესრიგის დამმყარებლებს.**

მალე ლიბიის რევოლუციის დაწყებიდან ერთი წელი შესრულდება. ქვეყნის ეკონომიკის ერთადერთი მიღწევა ახლა ნავთობმოპოვების აღდგენაა — ქვეყანა ნელ-ნელა უახლოვდება რევოლუციამდელ დონეს. როგორც ჩანს, სწორედ ამ მიღწევის დასაცავად ერთ-ერთ უმსხვილეს ტერმინალზე 12 ათასი ამერიკელი ქვეითი გადასვეს.

კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება საკითხი, თუ ვის უნდა ესროლონ ამ ჯარისკაცებმა. ვინაიდან რევოლუციის პერიოდში იარაღს აბსოლუტურად უკონტროლოდ არიგებდნენ, ახლა ნებისმიერი ლიბიელი იარაღით ხელში დასეირნობს. გაერომ ამასთან დაკავშირებით უკვე გამოხატა შეშფოთება, მაგრამ იარაღის ჩაბარებას არავინ აპირებს, მიუხედავად ახალი ხელისუფლების მრავალჯერადი მოწოდებისა.

**უნდა აღინიშნოს, რომ რევოლუციური მთავრობისადმი ნდობა ლიბიაში კრიტიკულ ზღვარზე დაეცა. ახლახან ქალაქ ბენღაზში მასობრივი გამოსვლებით არჩევნების შესახებ ახალ კანონს აპროტესტებდნენ. ყველაფერი დაიწყო გარდამავალი ნაციონალური საბჭოს შტაბის წინ კარვების გაშლით და იმ ყუმბარებით დასრულდა, რომლებიც მომიტინგეებმა უკანასკნელი არგუმენტის სახით წარმოადგინეს.**

ამ ინციდენტის შემდეგ ქალაქის მერი და გარდამავალი ნაციონალური საბჭოს ვიცე-თავმჯდომარე გადადგნენ. ამასთან, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ასე ლიბიის რევოლუციონერი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე იქცევა.

**კანონის წინააღმდეგ პროტესტი სავსებით ლოგიკურია. როგორ უნდა ელოდოს ვინმე გამჭვირვალე არჩევნებს, როდესაც თავად ამ კანონის დამწესებელი — გარდამავალი ნაციონალური საბჭო დიდად გასაიდუმლოებულ მოღვაწეობას ეწევა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე კენჭისყრის შედეგებიც კი ხალხისთვის უცნობი რჩება? უფრო მეტიც, მოსახლეობისთვის ამ დრომდე საიდუმლოა, თუ რამდენი ადგილია საბჭოში და ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც ამ ადგილებს იკავებენ.**

ბედის ირონიაა, რომ სწორედ ბენღაზში დაიწყო გასული წლის თებერვალში ხელისუფლების საწინააღმდეგო პირველი გამოსვლები, სწორედ ამ ქალაქში მოხდა გარდამავალი ნაციონალური საბჭოს ფორმულირება, რომელმაც მაშინ თავი ქვეყანაში მოქმედ ერთადერთ ხელისუფლებად გამოაცხადა და რომელიც ამ დრომდე ცდილობს ლიბიის მართვას.

ოფიციალური ვერსიით, ლიბიის ქალაქ მარსა-ელ-ბრეგაში ჩასული ამერიკელი ჯარისკაცების მისიაა, უზრუნველყონ მოსახლეობის უსაფრთხოება და სტაბილურობა რეგიონში. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ **ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲑᲔᲕᲠᲐᲓ ᲣᲐᲠᲔᲡᲘᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ, ᲓᲐᲔᲪᲕᲐᲗ ᲣᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ „ᲙᲐᲓᲐᲤᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ“.** ამასთან, უახლოეს მომავალში მდგომარეობის გაუმჯობესება მოსალოდნელი არ არის არც ეკონომიკისა და არც ქვეყნის შიდაპოლიტიკური ცხოვრების მიმართულებით.

ლიბიის პრობლემები პირდაპირ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს მთელ რეგიონზე. ეგვიპტისა და ალჟირის სასაზღვრო ჯარები შეშფოთებულნი არიან ნარკოტიკებისა და იარაღის კონტრაბანდის მკვეთრად მომატებით ლიბიის საზღვარზე.

ნიგერიაში ახლახან განხორციელდა სისხლიანი ტერორისტული აქტების მთელი სერია და ფაქტობრივად, ქვეყნიდან არაკონტროლირებადი ლიბიური საზღვრის გავლით დევნილების მთელი ნაკადი დაიძრა. უმეტესობა უმართაობის ქაოსში ჩაძირული ლიბიიდან ევროპაში აპირებს გადასახლებას, რაც უკვე მხოლოდ ლიბიის პრობლემა აღარაა.

ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული რეგიონული უსიამოვნება, რომელიც კადაფის რეჟიმის დამხობას უკავშირდება, ტუარეგების თემთან დაკავშირებული პრობლემების გამწვავება იქნება.

პრობლემა დიდი ხნის წინათ წარმოიშვა და უკავშირდება კოლონიალურ განაწილებას, რომლის დროსაც თემის ტერიტორია რამდენიმე სახელმწიფოს შორის გაიყო. ახლა ტუარეგები კიდევ ერთხელ გამოდიან მოთხოვნით, მისცენ მათ საკუთარი სახელმწიფოს აშენების საშუალება, მათი აზრით, კანონიერ ტერიტორიაზე. ეს ტერიტორია საკმაოდ დიდია და მოიცავს მალისა და ნიგერიის ჩრდილოეთს, ალჟირისა და ლიბიის სამხრეთს.

ტუაგერების თემი, სხვადასხვა მონაცემით, ერთ-ნახევრიდან ხუთ მილიონამდე ადამიანს მოიცავს. ეს მებრძოლების თემია, რომელიც თავის დროზე ფრანგებმა დიდი გაჭირვებით დაამარცხეს. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ მრავალ ქვეყანაში ტუაგერები დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ, რამაც მათი მხრიდან საპასუხო აგრესია წარმოშვა.

კადაფი ამგვარი პრობლემების მოგვარებას მშვენივრად ახერხებდა. ტუაგერები ჯამაჰირიის მეთაურს სამართლიანად თვლიდნენ თავიანთ მცველად და კეთილისმყოფლად. საკმარისია იმის გახსენებაც კი, რომ 1973 წლის კატასტროფული გვალვისას მუამარ კადაფიმ ტუაგერები შიმშილით სიკვდილისაგან იხსნა. თემი უზომოდ მადლიერი იყო მისი და რევოლუციური მოვლენებისას მის მხარეს დადგა.

თავის დროზე კადაფიმ მოახერხა, მშვიდობიანად მოეგვარებინა მრავალი შეტაკება ტუაგერებთან როგორც საკუთარ ქვეყანაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. მაგალითად, მისი დახმარებით დარეგულირდა მრავალი სერიოზული კონფლიქტი ტუაგერებსა და ირნისა თუ მალის ხელისუფლებებს შორის, რომლებიც 1990-იანი წლებიდან ხშირად იმუქრებოდნენ მუდმივ შეიარაღებულ ბრძოლაზე გადასვლით.

**კადაფი საკმაოდ ოსტატურად იყენებდა თემის ნდობას როგორც ქვეყანაში საკუთარი მდგომარეობის გასამყარებლად, ასევე მეზობლებზე ზეწოლისათვის. ის მოხერხებულად აქცევდა ტუაგერების მოძრაობას თავის სასარგებლო და საკმაოდ უსაფრთხო კალაპოტში.** ტუაგერების ახლანდელი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა განათლება ლიბიაში მიიღეს. როგორც ცნობილია, თემის მრავალი წარმომადგენელი კადაფის არმიაში მსახურობდა. ომის შემდეგ ისინი მალსა და ნიგერიაში დაბრუნდნენ, შეიარაღების მარაგები შეივსეს და მზად არიან, საკუთარი ხალხის თავისუფლებისთვის იბრძოლონ. იმ ადამიანის ადგილი, რომელიც მათ ნდობას დაიმსახურებს და კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებას მოახერხებს, დღესდღეობით, სამწუხაროდ, ვაკანტურია.

topwar.ru





# ჯორჯ სოროსი აშშ-ში კლასობრივ ომს წინასწარმეტყველებს

**გამოცემა Newsweek-თან ინტერვიუში ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა წარმოუდგენელი რამ თქვა. თავისი 60-წლიანი კარიერის მანძილზე პირველად კითხვაზე, თუ რაზე ჩამოვა ფსონს მსოფლიო ეკონომიკის ცნობილი მოთამაშე, მან უპასუხა, რომ არ იცის. თუმცა, როგორც გამოცემა აღნიშნავს, მისი ახლობლების თქმით, სოროსი ოქროს ყველაზე დიდ ბუშტს უწოდებს და მასში ფულის დაბანდებას ნაღდი ფულის შენახვას ამჯობინებს.**

წარმოუდგენელია, მაგრამ სოროსი არ თამაშობს ევროს კურსის დაწევაზე და მოუწოდებს ლიდერებს, გადაარჩინონ ეს ვალუტა დ მისი კრახის საფრთხეების თაობაზე აფრთხილებს. გამოცემამ დაასკვნა, რომ მართალია, წარმოუდგენელია, მაგრამ მოკლე გაყიდვების გროსმეისტერი სენტიმენტალური გახდა.

**ინტერვიუში სოროსმა მიანიშნა, რომ მისთვის სიმდიდრის შენარჩუნებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი გადარჩენაა.** მისი აზრით, მსოფლიოს წინ ყველაზე საშინელი პერიოდი ელის: ევროზონაში ქაოსი და კონფლიქტები გარდაუვალია, ამერიკაში კი — ქუჩის აჯანყებები და სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი ზომების მიღება, რაც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების მკვეთრად შეკვეცას განაპირობებს. გლობალური ეკონომიკური სისტემა, შესაძლოა, მთლიანად დაიშალოს.

მიმდინარე სიტუაციას ბევრი საერთო აქვს 1930-იანი წლების დიდ დეპრესიასთან: წინ სტაგნაციის კიდევ 10 წელია, უფრო უარესი თუ არა. „შესაძლო სცენარებიდან საუკეთესო დეფლაციური მდგომრეობაა. ყველაზე უარესი კი შესაძლოა ფინანსური სისტემის კოლაფსი გახდეს,“ — აცხადებს ფინანსისტი.

მას სხვა ისტორიული პარალელებიც მოჰყავს: განვითარებული მსოფლიოს მიმდინარე კრიზისი წინასწარ განუჭვრეტელი აღმოჩნდა, როგორც 80-იან წლებში საბჭოთა სისტემის კოლაფსი. სოროსის აზრით, იმ იდეის კრახი, რომ ბაზრებს თვითრეგულირება შეუძლიათ, მარქსიზმის, როგორც პოლიტიკური სისტემის კრახის თანაბარია. „როგორც გაირკვა, უპირატესი ინტერპრეტაცია მხოლოდ თავგზის ამბნევი გამოდგა. ის გამომდინარეობს იმ თეზისიდან, რომლის მიხედვით თითქოს ჩვენ აბსოლუტურ ცოდნას ვფლობთ, რაც ძალზე შორსაა რეალობისგან. პრობლემებში გასარკვევად შეცდომისადმი მიდრეკილებაზე უნდა გადავერთოთ,“ — ამბობს სოროსი და ეთანხმება იმ აზრს, რომ ფინანსისტები, რომლებმაც ფინანსური კრიზისის პროვოცირება მოახდინეს, არ მხოლოდ შეცდომებს უშვებდნენ, არამედ შეგნებულად ჩადიოდნენ ბოროტებას.

მრავალი ადამიანი მიიჩნევს, რომ მორალისტური ნოტაციების კითხვა სოროსისაგან უკვე ნამეტანია, მაგრამ ეს ადამიანი ახლა თავს სახელმწიფო მოღვაწედ და ფილანტროპად მიიჩნევს. თებერვლის დასაწყისში გამოვა მისი ახალი წიგნი „ფინანსური რყევები ევროპასა და აშშ-ში“.

ინტერვიუში სოროსმა ისიც განაცხადა, რომ ესიმპათიურება მოძრაობა „დაიკავე უოლ-სტრიტი“, მისი აზრით, სამართლიანია იმით აღშფოთება, რომ ბანკების გადარჩენის დანახარჯებს მთლიანად გადასახადების გადამხდელები ანაზღაურებენ. მოძრაობა გაიზრდება, რადგან ის სვამს კითხვებს, რომლებზეც ტრადიციული მემარცხენე ორგანიზაციები, უკვე მეოთხედი საუკუნეა, დუმან.

**სოროსის თქმით, ამერიკის ქალაქებში ქუჩის გამოსვლები გარდაუვალია. ამას მთავრობა დევნის საბაბად გამოიყენებს, რაც რეპრესიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების წინაპირობა გახდება და რაც აშშ-ის მხრიდან საკუთარ ტრადიციებთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ნიშნავს.** ამასთან, სოროსის აზრით, ობამას ხელახლა გაპრეზიდენტების შანსი აქვს.

politonline.ru

არაპოლიტკორექტული სიმართლე

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**...1938 წლის იანვრის პლენუმზე სტალინურმა ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ სცადა, შეეჩერებინა უკანონო რეპრესიები, რომლებიც პირველი მდივნების ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა.**




გროვერ ფერი

# 37 წლის გამოცანა

# ანტისტალინური უნამუსობა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-3 (139-141)

## ის, ვისაც ნიკიტა იმოწმებდა

**ხრუშჩოვი: „ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე გამოვიდნენ ცკ-ის წევრები, რომლებიც, ფაქტობრივად, დაეჭვებულნი იყვნენ „ორპირებთან“ ბრძოლის საბაბით მასობრივი რეპრესიების დასახული კურსის სისწორეში.**

**ყველაზე უფრო ნათლად ეს ეჭვები გამოიხატა ამხ. პოსტიშევის გამოსვლაში. იგი ამბობდა: „მე განვსაჯე: ისეთ უმძიმეს წლებში, როცა პარტიის დამპალი წევრები ტყდებოდნენ ან მტერთან მიდიოდნენ, ჯანსაღნი იბრძოდნენ პარტიის საქმისთვის — ეს არის ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციის წლები. ვერ წარმომედგინა, რომ ამ უმძიმეს პერიოდგავლილი კარპოვი და მისი მსგავსნი მტრის ბანაკში აღმოჩნდებოდნენ (კარპოვი პარტიის უკრაინის ცკ-ის მუშაკია, ვისაც კარგად იცნობდა პოსტიშევი). და აი, ჩვენებების მიხედვით, კარპოვი 1934 წელს თითქოს გადაიბირეს ტროცკისტებმა. მე პირადად ვფიქრობ, რომ 1934 წელს პარტიის ჟანსაღი წევრის, რომელმაც განვლო პარტიის საქმისთვის, სოციალიზმისთვის ბრძოლის ხანგრძლივი გზა, მტრის ბანაკში გადაბარგება წარმოუდგენელია. მე ამისი არ მჯერა... ვერ წარმომიდგენია, პარტიასთან ერთად განვლო მძიმე წლები და შემდეგ, 1934 წელს წახვიდე ტროცკისტებთან. უცნაურია ეს...“ („მოძრაობა დარბაზში“)“.**

1990-იანი წლების შუა ხანს, ბოლოს და ბოლოს, გამოიცა საკ.კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმის სტენოგრამა. და ახლა უკვე ყველა შეიძლება დარწმუნდეს: პოსტიშევის გამოსვლის ციტატა ნამდვილია, ხრუშჩოვის კომენტარი — ცრუ.

*(მკითხველებს ვთხოვ, მიაქციონ ყურადღება, რომ ხრუშჩოვის მტკიცება, თითქოს პლენუმის წევრები ეჭვს გამოთქვამდნენ მასობრივი რეპრესიების დასახული კურსის გამო და თითქოს ეს ეჭვი „ყველაზე უფრო მკაფიოდ პოსტიშევის გამოსვლით“ მტკიცდებოდა, აბსოლუტურად შეუსაბამოა,* ***ანუ დებულება და ფაქტი აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ერთმანეთს.***

*პოსტიშევი წარმოუდგენელსა და გაუგებარს უწოდებს პარტიის წევრის ფერიცვალებას, ტროცკისტების ბანაკში გადაბარგებას მიიჩნევს ალოგიკურად და არა შეუძლებლად. მისთვის გულსატკენია, რომ პარტიის გამოცდილი, ბრძოლებში გამობრძმედილი, „ჯანსაღი წევრი“ აღმოჩნდა შეთქმულთა მხარეს.*

*რაც შეეხება მასობრივი რეპრესიების კურსის წინააღმდეგ გამოსვლას, ამაზე, როგორც დარწმუნდით, ნიკიტას მიერ მოხმობილ ციტატაში საერთოდ არაფერია ნათქვამი. —* ***ა.ს.****).*

უეჭველია, ხრუშჩოვმა იცოდა, რომ მის მიერ ნათქვამი არის ტყუილი... პლენუმზე არც ერთი გამოსვლა არ იყო „მასობრივი რეპრესიების კურსის“ წინააღმდეგ. ხოლო იმავე პოსტიშევმა, ხრუშჩოვის მიერ გამოყენებული ციტატის შემდეგ მოითხოვა კარპოვის და ყველა იმათი გადაცემა სასამართლოსთვის, ვინც, მისი აზრით, მტრებს მიეკედლა.

პოსტიშევმა თავი წარმოაჩინა როგორც ერთ-ერთმა ყველაზე უფრო დაუნდობელმა პარტიულმა ხელმძღვანელმა: 1938 წლის იანვრის პლენუმზე პარტიის წევრთა დიდი რაოდენობით პარტიის რიგებიდან დაუსაბუთებელი გარიცხვის გამო იგი გამოიყვანეს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან. გეტი და ნაუმოვი დაწვრილებით აღწერენ, როგორ დაამუშავეს პოსტიშევი პლენუმზე უზომო რეპრესიების გამო, და აღნიშნავენ, რომ „ზეფხიზელი პოსტიშევი მსხვერპლად შეწირეს, რათა ბოლო მოეღოთ რეპრესიებისთვის პარტიაში“.

**...1938 წლის იანვრის პლენუმზე სტალინურმა ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ სცადა, შეეჩერებინა უკანონო რეპრესიები, რომლებიც პირველი მდივნების ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ პოსტიშევი გააძევეს პოლიტბიუროდან და დააპატიმრეს უდანაშაულო ადამიანების მასობრივი რეპრესიების გამო, გამოქვეყნებულია გეტისა და ნაუმოვის წიგნში.**

ხრუშჩოვი მონაწილეობდა იანვრის (1938 წლის) პლენუმის მუშაობაში და, რა თქმა უნდა, იცოდა, რა ბედიც ეწია პოსტიშევს. ცხადია, ისიც იცოდა, რომ „პარტიის მთელ რიგ წევრებს“ ეჭვი არ შეუტანიათ...“ მასობრივი რეპრესიების კურსის სისწორეში“. უფრო მეტიც, 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმზე **ხრუშჩოვი, რომელმაც დაიკავა პოსტიშევის მიერ გამოთავისუფლებული პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის ადგილი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც გააფთრებით გამოვიდა პოსტიშევის წინააღმდეგ** ***(იხ. Сталинское политбюро в 30-е годы, გვ. 167).***

მაშასადამე, ხრუშჩოვი ტყუოდა. **პოსტიშევი არა მარტო არ „დაეჭვებულა“ რეპრესიული პოლიტიკის სისწორეში, არამედ ამ პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თავგამოდებული გამტარებელი აღმოჩნდა.** სწორედ იგი იყო პირველი, ვინც გაირიცხა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კანდიდატობიდან, შემდეგ — პარტიიდან, დაბოლოს — დააპატიმრეს. ამას ადასტურებს 1938 წლის იანვრის პლენუმის განსაიდუმლოებული სტენოგრამა.

გროვერ ფერი



პოსტიშევმა აღიარა, რომ მონაწილეობდა მემარჯვენეთა შეთქმულებაში, დაასახელა უამრავი მონაწილე, მათ შორის, პირველი მდივნები და ცენტრალური კომიტეტის წევრები.

*(პაველ პოსტიშევის ჭეშმარიტი პორტრეტის წარმოსაჩენად, უწინარესად კი, იმის საჩვენებლად, რომ რეპრესიული პოლიტიკის გამტარებლად იგი 1937 წლის შემდეგ არ ჩამოყალიბებულა, უპრიანი იქნება, წარვუდგინოთ ჩვენს მკითხველს მისი ბიოგრაფიის უკრაინაში მოღვაწეობის პერიოდი, სადაც იგი უმაღლეს პარტიულ თანამდებობებზე მუშაობდა 1923 წლიდან მოყოლებული, 1937 წლამდე).*

**ბიბლიოგრაფიულ ენციკლოპედიურ ლექსიკონში „სტალინის იმპერია“, რომელიც უკომპრომისო ანტისტალინური მიმართულებისაა, პოსტიშევის მოღვაწეობა ასეა აღწერილი:**

„უკრაინის ინტელიგენციის წინააღმდეგ რეპრესიების (1932-1937 წწ) მთავარი ინიციატორი... უკრაინის კომპარტიის „ნაციონალისტური“ კადრების განადგურების ხელმძღვანელი, სამეულის („ტროიკის“) წევრი, რომელსაც გამოჰქონდა სასიკვდილო განაჩენები ფალსიფიცირებული მონაცემების საფუძველზე, რიგ შემთხვევებში კი, მათი სრული უქონლობის პირობებში. სწორედ მისი წყალობით რეპრესიებმა მიიღო არნახული გაქანება, დააპატიმრეს საოლქო კომიტეტების ყველა პირველი მდივანი, რაიონული კომიტეტების მდივნების უმრავლესობა და ა.შ. ამ ყველაფერს თან სდევდა ასიათასობით უბრალო მოქალაქის მოსპობა... *(მიაქციეთ ყურადღება! ეს ხდება 1937 წლის თებერვალ-მარტის პლენუმამდე! ახლა კი გადავაბიჯოთ ამ მიჯნას და განვაგრძოთ. —* ***ა.ს.****).* 1937 წლის 18 მარტს გადაიყვანეს საკ. კპ(ბ) კუიბიშევის ოლქის მდივნად. ოლქში ჩასვლისთანავე სათავეში ჩაუდგა დაპატიმრებების უპრეცედენტო აქციას: მისი „მეფისნაცვლობის“ პერიოდში დააპატიმრეს რაიკომის 110 მდივანი... ხრუშჩოვი იხსენებს, რომ იგი იყო „კეთილი ადამიანი, თუმცა ზოგჯერ იცოდა ხმის აწევა, დაუშვებელი უხეშობა“ (იხ. „Империя Сталина“, გვ. 370-371)

**აი, ამ „კეთილ“ კაცს არ მისცა სტალინის საშუალება, ახალ პოსტზეც გაეგრძელებინა რეპრესიები და 1938 წლის 14 იანვარს ცეკას პლენუმზე გამოიყვანეს პოლიტბიუროდან, იმავე წლის თებერვალში გარიცხეს პარტიიდან, 21 თებერვალს დააპატიმრეს, 26 თებერვალს მიუსაჯეს დახვრეტა. 1956 წელს... რეაბილიტირებულია.**

*ესეც თქვენი „ხრუშჩოვის დათბობის პოლიტიკა“, ანუ ხრუშჩოვის „დახურული მოხსენების“ „სიმართლის საფუძვლები“).*

განსჯის ლოგიკა მოითხოვს, რომ კერძო შემთხვევიდან (პოსტიშევი კერძო შემთხვევაა, თუმც დამახასიათებელი და ტიპიური) გადავიდეთ ზოგად სურათზე, საერთო თვალთახედვით შევხედოთ „სტალინურ რეპრესიებს“. ამისთვის კი დროებით გვერდზე გადავდოთ გროვერ ფერის წიგნი „ანტისტალინური უნამუსობა“ და შევიარაღდეთ იგორ პოხალოვის ნაშრომით **„რისთვის აპატიმრებდნენ სტალინის დროს“.**

„რისთვის აპატიმრებდნენ სტალინის დროს? — კითხულობს ავტორი და იქვე ირონიულად უპასუხებს, — უცნაური შეკითხვაა. რა თქმა უნდა, არაფრისთვის.

„კრემლის ტირანი“, თავისი მანიაკალური სისხლისმსმელობის გამო ისწრაფვოდა, რაც შეიძლება მეტი თანამემამულე გაენადგურებინა, — უკვე მრავალი წელიწადია, დაჟინებით გვარწმუნებს ოფიციალური პროპაგანდა, **— რეპრესიების ყველა მსხვერპლი უდანაშაულო იყო, — დაუღალავად ჩაგვიჩიჩინებს „ერის სინდისი“...**

სინდისი კი სიმართლეს მოითხოვს, რომელიც, როგორც ყოველთვის, დოკუმენტებშია დამარხული. ჩავიხედოთ არქივის მასალებში.

## როგორია რეპრესიების ჭეშმარიტი მასშტაბი?

სტალინის ეპოქის გასაშავებლად „ტოტალიტარიზმის წინააღმდეგობის მებრძოლები“ იძულებულნი არიან, უკიდურესად დაძაბონ ვითარება, მიაწერონ სტალინს შემზარავი ბოროტმოქმედებანი.

ამათ ფონზე რუსი მკვლევარი როინ მედვედევი ზომიერ კრიტიკოსად აღიქმება, ხოლო მის მიერ დასახელებულ რეპრესირებულთა რაოდენობა — შესაძლო სინამდვილედ. „ამრიგად, — წერდა იგი ყოველკვირეულში „არგუმენტი ი ფაქტი“ გამოქვეყნებულ სტატიაში, — სტალინიზმის მსხვერპლთა საერთო რაოდენობა, ჩემი ანგარიშით, დაახლოებით **40 მილიონს აღწევს**“.

რეპრესირებული რევოლუციონერ-ტროცკისტის შვილი ა. ვ. ანტონოვ-ოვსეენკო წიგნში „სტალინი უნიღბოდ“ ორჯერ ზრდის ამ რაოდენობას: „ეს გაანგარიშებანი ფრიად და ფრიად მიახლოებითია, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული ვარ: სტალინის რეჟიმმა სისხლისგან დაცალა ხალხი — **მოსპო და გაანადგურა 80 მილიონზე მეტი ქვეყნის საუკეთესო შვილი“** *(იხ. Сталин без маски, გვ. 506).*

„პროფესიონალი რეაბილიტატორები“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ყოფილი წევრის, ალექსანდრ იაკოვლევის მეთაურობით უკვე **100 მილიონზე ლაპარაკობენ:**

„სარეაბილიტაციო კომისიის ყველაზე უფრო მორიდებული გაანგარიშებით, სტალინური მმართველობის წლებში ჩვენმა ქვეყანამ 100 მილიონამდე ადამიანი დაკარგა. ამ რაოდენობაში იგულისხმება არა მხოლოდ თავად რეპრესირებულები, არამედ სასიკვდილოდ განწირული მათი ოჯახის წევრები, მათ შორის, ბავშვები, რომლებიც შეიძლება დაბადებულიყვნენ, მაგრამ ვერ მოევლინენ ამ ქვეყანას“ *(Н.Михаилова, Кальсоны контрреволюции, გვ. 10).*

აბსოლუტური რეკორდი კი ბორის ნემცოვმა (ყოფილმა გუბერნატორმა და რუსეთის ოპოზიციის ამჟამინდელმა ერთ-ერთმა ლიდერმა) დაამყარა, რომელმაც 2003 წლის 7 ნოემბერს ნტვ-ს პროგრამაში „თავისუფალი სიტყვა“ **150 მილიონი დაღუპული** დაასახელა, რომლებიც რუსეთმა 1917 წლის შემდეგ დაკარგა.

ამგვარ მტკიცებათა აბსურდულობას იგორ პიხალოვი ასე ამტკიცებს: ▶

1937 წლის რეპრესიები



არაპოლიტკორექტული სიმართლე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დოკუმენტურად მტკიცდება, რომ 1942 წლამდე „რეპრესირებულები“ პატიმართა საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე მეტი არ იყვნენ. მათი რიცხვი 1942 წელს იზრდება სამშობლოს გამყიდველ, მოღალატე ვლასოველების, პოლიცაების, მამასახლისებისა და „კომუნისტური ტირანიის წინააღმდეგ“ ფაშისტების მხარეს გადასულთა ხარჯზე.**

**„1959 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერით, საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რაოდენობა 208 827 ათასს შეადგენდა. 1913 წლის ბოლოსთვის იმავე საზღვრებში ცხოვრობდა 159 153 ათას კაცი. იოლია იმის დადგენა, რომ 1914-დან 1959 წლების პერიოდში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი მატება 0,60 პროცენტს შეადგენდა.**

ახლა ვნახოთ, როგორ იზრდებოდა ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის მოსახლეობა, ანუ იმ ქვეყნებისა, რომლებიც ორივე მსოფლიო ომში მონაწილეობდა:

***(იხ. ცხრილი №1)***

ამრიგად, მოსახლეობის ნამატი სტალინის დროინდელ საბჭოთა კავშირში თითქმის ერთ-ნახევარჯერ უფრო მაღალი იყო, ვიდრე მოკავშირე სახელმწიფოებში. რამდენად იყო შესაძლებელი ასეთი რამ იმ ქვეყანაში, სადაც „სისხლიანმა რეჟიმმა“ გაანადგურა 150 მილიონი ადამიანი, თუნდაც — 40 მილიონი? ასეთი რამ შეუძლებელია.

## არქივის დოკუმენტები მეტყველებს

სტალინის დროს რეპრესირებულთა ჭეშმარიტი რაოდენობის გასარკვევად საკმარისია გასაიდუმლოებული დოკუმენტების გაცნობა. ყველასი თუ არა, ერთის მაინც, რომელშიც ყველა მონაცემია თავმოყრილი. ეს არის ცკ მდივნისთვის ნიკიტა ხრუშჩოვისთვის გაგზავნილი ცნობა, რომელსაც ხელს აწერენ იმ დროს სსრ კავშირის გენერალური პროკურორი რომან რუდენკო, შინაგან საქმეთა მინისტრი სერგეი კრუგლოვი, იუსტიციის მინისტრი კონსტანტინ გორშენინი.

ცნობაში ვკითხულობთ:

**„სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული მონაცემებით, 1921 წლიდან დღემდე კონტრრევოლუციურ დანაშაულობათა გამო მსჯავრდებულია გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს (ოგპუ) კოლეგიის, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სამეულების („ტროიკა“), საგანგებო სათათბიროს, სამხედრო კოლეგიის, სასამართლოებისა და სამხედრო ტრიბუნალების მიერ 3 777 380 ადამიანი, მათ შორის:**

**სასჯელის უმაღლესი ზომით — 642 980 ადამიანი,**

**ბანაკებსა და ციხეებში 25 წლითა და ნაკლები ვადით მოსათავსებლად 2 369 220 ადამიანი,**

**გადასახლებით და გასახლებით — 765180 ადამიანი“.**

***(იხ. დოკუმენტი №1).***

მაშასადამე, 1921 წლიდან 1954 წლის დასაწყისამდე პოლიტიკური ბრალდებით **სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა 642 980 კაცს, თავისუფლება აღეკვეთა 2 369 220, გადასახლება მიესაჯა — 765 180 ადამიანს.**

წლების მიხედვით ასეთი სურათი იხატება:

***(იხ. ცხრილი №2)***

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სრული სიზუსტისთვის აუცილებელი იქნება დამატებითი მუშაობა პირველწყაროებზე.

მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ყველა განაჩენი არ აღსრულებულა. მაგალითად, 76 სასიკვდილო განაჩენიდან, რომლებიც ტიუმენის საოლქო სასამართლომ გამოიტანა 1929 წლის პირველ ნახევარში, 1930 წლის იანვრისთვის 46 განაჩენი შეიცვალა ან გაუქმდა ზემდგომი ინსტანციების მიერ, დარჩენილიდან კი **მხოლოდ ცხრა აღსრულდა.**

1939 წლის 15 ივლისიდან 1940 წლის 20 აპრილამდე ბანაკების ცხოვრებისა და წარმოების დეზორგანიზაციის ბრალდებით სასჯელის უმაღლესი ზომა მიესაჯა 201 პატიმარს. მაგრამ შემდეგ მათ ნახევარს სასიკვდილო განაჩენი შეეცვალა 10-დან 15 წლამდე პატიმრობით.

1934 წელს შინსახკომის ბანაკებში იმყოფებოდა 3849 პატიმარი, რომელთაც სასჯელის უმაღლესი ზომა შეცვლილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთით. 1935 წელს ასეთი პატიმარი იყო 5671, 1936 წელს — 7303, 1937 წელს — 6239, 1938 წელს — 5926, 1939 წელს — 3425, 1940 წელს 4037 კაცი.

მას შემდეგ, რაც ჩვენი მკითხველი ამ ციფრებს გაეცნობა, მას უთუოდ ექნება მიზეზი დაფიქსირების, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს ბოლშევიკების მიერ ათობით მილიონი უდანაშაულო ადამიანის დაღუპვის შესახებ.

## გულაგის დაბადება

1917 წლის რევოლუციური მოვლენების შედეგად რუსეთის იმპერიის სახელმწიფო მანქანის მოშლა გვერდს ვერ აუვლიდა პატიმრობის ადგილების სისტემასაც. მეფისდროინდელი საპყრობილეები პრაქტიკულად დაცვის გარეშე დარჩა. 1918 წელს მარტ-აპრილში რსფსრ იუსტიციის სახალხო კომისარი პეტრე სტუჩკა 30 წლის შემდეგ წერდა: „რეჟიმი მაშინ იმდენად არ ვარგოდა, რომ ციხეებიდან არ გარბოდა მხოლოდ ის, ვისაც ეზარებოდა“.

ცხადია, რომ დაუცველ ციხეებში პოლიტიკური მოწინააღმდეგეების ჩასმას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ მეფისდროინდელი საპყრობილეების პარალელურად დაიწყეს საგანგებო კომისიის — ჩეკას — ციხეების ქსელის შექმნა. 1918 წლის შემოდგომაზე ყალიბდება შრომითი საკონცენტრაციო ბანაკები, რომლებიც ჩეკას გამგებლობაში შედის.

**ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკები ბოლშევიკმა კი არა, მათმა მოწინააღმდეგეებმა შექმნეს.** მას შემდეგ, რაც ფინეთში თეთრებმა გაიმარჯვეს, მათ იქ ისეთი მასობრივი ტერორი გააჩაღეს, რომ თქვენი მოწონებული! — 8,3 ათასი კაცი დახვრიტეს, 1918 წლის ზაფხულში მათ საკონცენტრაციო ბანაკებში 12 ათასი ადამიანი დაიღუპა. ასეთია ოფიციალური მონაცემები, რომელთა შესახებ ფინეთის ოფიციალურმა ისტორიკოსმა საჯაროდ განაცხადა. ფაქტობრივად კი თეთრი ტერორის მსხვერპლთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ციხეებისა და ბანაკების ტუსაღთა რიცხვი 90 ათასს აღწევდა. შედარებისთვის: **საომარი ოპერაციების დროს თეთრებმა დაკარგეს 3178 კაცი, წითლებმა — 3463.**

1921 წლის 1 იანვრისთვის იძულებითი სამუშაოების მთავარი სამმართველოს ბანაკებში იმყოფებოდა 51 158 ათასი კაცი (მათ შორის 24 400 სამოქალაქო ომის სამხედრო ტყვე), იუსტიციის სახალხო კომისარიატის ცენტრალური სადამსჯელო განყოფილების დაწესებულებებში — 55 422. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის საპატიმრო ადგილებში 1921 წლის ბოლოსთვის იმყოფებოდა 50 ათასამდე კაცი. მაშასადამე, **სამოქალაქო ომის დამთავრებისთვის თავისუფლების აღკვეთის ყველა დაწესებულებაში პატიმრობის ვადას იხდიდა 150 ათასი ადამიანი, სისხლის სამართლის დამნაშავეების ჩართვით.**

1923 წლის განმავლობაში იძულებითი შრომისა და საკონცენტრაციო ბანაკები გაუქმდა. „რეპრესიების მსხვერპლთა“ იზოლაციის ადგილები კი შემოიფარგლა რამდენიმე საპყრობილეთი ოგეპეუს სისტემაში, აგრეთვე, იძულებითი სამუშაოების სოლოვეცის სამმართველოს ბანაკით.

1923-1928 წლებში ამ ბანაკის ტუსაღების რიცხვი საშუალოდ ასეთი იყო:

***(იხ. ცხრილი №3)***

1926 წლის 1 ოქტომბრიდან 1927 წლის 1 ოქტომბრამდე ამ ბანაკში გარდაიცვალა 728 ადამიანი.

მომდევნო წლების სტატისტიკა კი ასეთ სურათს იძლევა: 1930 წლის 1 იანვრისათვის შრომა-გამასწორებელი ბანაკების პატიმართა რაოდენობა 179 000 ადამიანი იყო, მომდევნო წლის 1 იანვრისათვის — 212 000, 1932 წლის 1 იანვრისათვის — 268 700, 1933 წლის 1 იანვრისათვის — 334 300, 1934 წლის 1 იანვრისათვის — 510 307. ყველა ეს ციფრი აღებულია შინსახკომის — შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის — შიდასაუწყებო ანგარიშებიდან. ამიტომ მიჩნეულია სანდოდ.

სხვა უამრავი რიცხობრივი მონაცემით ჩვენი მკითხველი რომ არ გადავღალოთ, პირდაპირ დასკვნას მოვიდეთ: **სტალინის მმართველობის მთელი პერიოდის განმავლობაში დაპატიმრებულთა საერთო რაოდენობა, რომლებიც ერთდროულად იმყოფებოდნენ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში, არასოდეს აჭარბებდა 2 მილიონ 760 ათასს** (გერმანელი, იაპონელი და სხვა დამარცხებული ქვეყნების სამხედრო ტყვეთა ჩაუთვლელად). მაშასადამე, **„ათეულ მილიონობით“ გულაგის ტუსაღის შესახებ ლაპარაკიც შეუძლებელია.**

მკვლევარი-ისტორიკოსი იგორ პიხალოვი ერთ სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობისაც ადგენს. მისი მონაცემებით, 1941 წლის პირველი იანვრისთვის ტუსაღების საერთო რაოდენობა უდრიდა 2 400 422. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის ზუსტი რაოდენობა იმ პერიოდისთვის ცნობილი არ იყო, მაგრამ მიჩნეულია, რომ 190-195 მილიონის ფარგლებში უნდა ვიანგარიშოთ. აქედან გამომდინარე, ყოველ 100 ათას მოქალაქეზე 1230-დან 1260 პატიმარი უნდა ვივარაუდოთ, რაც სტალინის ხანის მაქსიმალური მაჩვენებელია. 1950 წლის 1 იანვრისთვის პატიმართა რაოდენობა 2 760 095 ადამიანს აღწევდა, რაც სტალინის მმართველობის პერიოდის მაქსიმალური მაჩვენებელია. სსრ კავშირის მოსახლეობა 178 მილიონ 547 ათასს ადამიანს ითვლიდა. 100 ათას მოსახლეზე 1546 პატიმარი გამოდის.

დაბოლოს, ომამდე გულაგი 8 მილიონმა „გაიარა“.

შეცდომაა იმის დაშვებაც კი, რომ მათი უმეტესობა „პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი“ იყვნენ. დოკუმენტურად მტკიცდება, რომ 1942 წლამდე „რეპრესირებულები“ პატიმართა საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე მეტი არ იყო. მათი რიცხვი 1942 წელს იზრდება სამშობლოს გამყიდველ, მოღალატე ვლასოველების, პოლიცაების, მამასახლისებისა და „კომუნისტური ტირანიის წინააღმდეგ“ ფაშისტების მხარეს გადასულთა ხარჯზე.

**გაგრძელება იქნება**

**«რისთვის აპატიმრებდნენ სტალინის დროს? — კითხულობს ავტორი და იქვე ირონიულად უპასუხებს, — უცნაური შეკითხვაა. რა თქმა უნდა, არაფრისთვის»**

**სტალინი, ჩკალოვი და ბელიაკოვი. 1936 წლის 10 აგვისტო**



**დოკუმენტი №1**

Дел. № 27-3 30
Д. № 30
Стр. 30-65

К о п и я
Совершенно секретно
экз. № 2.

СЕКРЕТАРЮ ЦК КПСС

товарищу ХРУЩЕВУ Н.С.

В связи с поступающими в ЦК КПСС сигналами от ряда лиц о незаконном осуждении за контрреволюционные преступления в прошлые годы Коллегией ОГПУ, тройками НКВД, Особым совещанием, Военной Коллегией, судами и военными трибуналами и в соответствии с Вашим указанием о необходимости пересмотреть дела на лиц, осужденных за контрреволюционные преступления и ныне содержащихся в лагерях и тюрьмах, докладываем:

По имеющимся в МВД СССР данным, за период с 1921 года по настоящее время за контрреволюционные преступления было осуждено Коллегией ОГПУ, тройками НКВД, Особым совещанием, Военной Коллегией, судами и военными трибуналами 3.777.380 человек, в том числе:

к ВМН – 642.980 человек,

к содержанию в лагерях и тюрьмах на срок от 25 лет и ниже – 2.369.220 человек,

в ссылку и высылку – 765 180 человек.

Из общего количества арестованных, ориентировочно, осуждено: 2.900.000 человек – Коллегией ОГПУ, тройками НКВД и Особым совещанием и 877.000 человек – судами, военными трибуналами, Спецколлегией и Военной Коллегией.

...

Генеральный прокурор Р. Руденко
Министр внутренних дел С. Круглов
Министр юстиции К. Горшенин

**ცხრილი №1**

| ქვეყნები | 1920 წ. | 1960 წ. | ყოველწლიური (პროცენტებში) |
|---|---|---|---|
| ინგლისი | 43718 ათასი | 52559 ათასი | 0,46 |
| საფრანგეთი | 38750 ათასი | 45684 ათასი | 0,41 |
| გერმანია | 61794 ათასი | 72664 ათასი | 0,41 |

**ცხრილი №2**

| წელი | მისჯილი | წელი | მისჯილი | წელი | მისჯილი |
|---|---|---|---|---|---|
| 1921 | 9 701 | 1932 | 2 728 | 1943 | 12 589 |
| 1922 | 1 962 | 1933 | 1 824 | 1944 | 3 110 |
| 1923 | 414 | 1934 | 2 056 | 1945 | 2 308 |
| 1924 | 2 550 | 1935 | 1 229 | 1946 | 2 273 |
| 1925 | 2 433 | 1936 | 1 118 | 1947 | 898 |
| 1926 | 990 | 1937 | 353 074 | 1948 | – |
| 1927 | 2 363 | 1938 | 328 618 | 1949 | – |
| 1928 | 869 | 1939 | 2 601 | 1950 | 468 |
| 1929 | 2 109 | 1940 | 1 863 | 1951 | 1 602 |
| 1930 | 20 201 | 1941 | 23 786 | 1952 | 1 611 |
| 1931 | 1 481 | 1942 | 26 510 | 1953 | 300 |

**ცხრილი №3**

**სოლოვეცკის ბანაკში პატიმართა რაოდენობა**

| | 1923 | 1924 | 1925 | 1926 | 1927 | 1928 |
|---|---|---|---|---|---|---|
| I კვარტალი | | 3531 | 5872 | 8289 | 10943 | 12909 |
| II კვარტალი | | 3741 | 6369 | 8741 | 11831 | |
| III კვარტალი | | 4145 | 7093 | 9578 | 13326 | |
| IV კვარტალი | 2557 | 5044 | 7727 | 10682 | 14810 | |

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

კომენტარი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ოციანი წლების მეორე ნახევრიდან ოცდაათიანი წლების დასაწყისამდე სტალინს საშუალება არ ჰქონდა, საფუძვლიანად ხელი მოეკიდა საგარეოპოლიტიკური პრობლემებისთვის. მას, უწინარეს ყოვლისა, უნდა განემტკიცებინა საბჭოთა სახელმწიფო და თავიდან აეცილებინა საზოგადოების გახლეჩა.



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-3 (139-141)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

### იტალია – პოლიტიკურ თამაშებში

1922 წელს, იტალიის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, საერთაშორისო ასპარეზზე მუსოლინი შესამჩნევი ფიგურა გახდა. იმ პერიოდში იტალიასთან ურთიერთობის დალაგება კრემლისთვისაც მნიშვნელოვანი ამოცანა იყო... რომი მოსკოვისთვის შეიძლება სასარგებლო საპირწონე გამხდარიყო როგორც პარიზთან და ლონდონთან, ასევე, ბერლინთან ურთიერთობის თვალსაზრისით...

იტალიის საგარეო პოლიტიკა მიმართული იყო როგორც საფრანგეთის წინააღმდეგ (ხმელთაშუა ზღვაზე მეტოქეობის გამო), ასევე გერმანიის წინააღმდეგ (ავსტრიაზე გავლენის მოსაპოვებლად გამართული ბრძოლის გამო). ორივე მიმართულებით მას სჭირდებოდა საბჭოთა კავშირის მხარდაჭერა, ანუ, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა ხელმძღვანელის.

**ოციანი წლების მეორე ნახევრიდან ოცდაათიანი წლების დასაწყისამდე სტალინს საშუალება არ ჰქონდა, საფუძვლიანად ხელი მოეკიდა საგარეოპოლიტიკური პრობლემებისთვის. მას, უწინარეს ყოვლისა, უნდა განემტკიცებინა საბჭოთა სახელმწიფო და თავიდან აეცილებინა საზოგადოების გახლეჩა.** შიდაპარტიულ ბრძოლას, შემდეგ კოლექტივიზაციით გამოწვეულ დაძაბულობას, საშიშროებას სირცოვ-ლომინაძის ოპოზიციის მხრიდან ძალიან დიდი დრო მიჰქონდა. მხოლოდ 1932 წელს მოახერხა, პირადად მოეკიდა ხელი დიპლომატიური საქმიანობისთვის... ქვეყნის შიგნით სტალინის პოზიციის განმტკიცება გახდა ის ფაქტორი, რომელმაც განსაზღვრა მისი გაზრდილი ინტერესი საერთაშორისო ურთიერთობებისადმი. ამ თვალსაზრისით მასა და მუსოლინს გარკვეულწილად მსგავსი ვითარება ჩამოუყალიბდათ.

**მოსკოვისა და რომის დასაახლოებლად ახალი მძლავრი სტიმული გაჩნდა. სტალინს უკიდურესად აშფოთებდა ნაციზმისა და ანტიკომუნიზმის ზრდა გერმანიაში... მუსოლინისაც ფრიად აფიქრებდა გერმანიის გავლენის ზრდა უნგრეთში და, განსაკუთრებით, ავსტრიაში, რადგან ეს ასუსტებდა იტალიის პოზიციებს ამ ქვეყნებში, რომელთაც დუჩე თავისი ინტერესების სივრცედ განიხილავდა.** მას განზრახული ჰქონდა, იტალიის ეგიდით დუნაი-ბალკანეთის კავშირის შექმნა, რაც ამ რეგიონში გერმანიის ექსპანსიის წინააღმდეგ სერიოზულ წინაღობად უნდა აღმართულიყო.

სტალინს ხელს აძლევდა მოვლენათა ამგვარი განვითარება: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ გამწვავდებოდა გერმანია-იტალიის წინააღმდეგობანი — მათი კავშირი შეუძლებელი იქნებოდა. მეორე, გერმანია საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრებიდან ყურადღებას სამხრეთის მიმართულებით გადაიტანდა.

1933 წელს გერმანიის სახელმწიფოს სათავეში ჰიტლერის მოსვლით ნაცისტური აგრესიის საშიშროება მკვეთრად გაიზარდა, სსრ კავშირის მდგომარეობა კი საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვნად გაფუჭდა, ხოლო სსრკ-ს გერმანიასთან თანამშრომლობას გარდაუვალი შეწყვეტის პერსპექტივა დაემუქრა.

ასეთ პირობებში იტალიის როლი სტალინისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა. იგივე ითქმის მუსოლინზეც.

**1933 წლის 2 სექტემბერს რომში საზეიმო ვითარებაში ხელი მოაწერეს „სსრკ-სა და იტალიას შორის მდგომარეობის, თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ ხელშეკრულებას“. ეს იყო სტალინური დიპლომატიის მნიშვნელოვანი მიღწევა: მას ერთბაშად რამდენიმე პოლიტიკური კომბინაციის განხორციელების შესაძლებლობა მიეცა.**

ლონდონმა, რომელსაც სერიოზულად აფიქრებდა იტალიის მიერ უფლების გაცხადება ინგლისის კოლონიებზე, დაუყოვნებლივ გააუმჯობესა ურთიერთობა მოსკოვთან. ჩაიშალა ჰიტლერის მცდელობა — აეწყო გერმანია-იტალიის თანამშრომლობა ანტისაბჭოთა საფუძველზე. უფრო მეტიც, ამგვარი თანამშრომლობის ნაცვლად, გამწვავდა რომისა და ბერლინის ურთიერთობა. ევროპაში ერთიანი ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნა გადავადდა, ხოლო სსრკ-ის პოზიცია ბებერ კონტინენტზე გაძლიერდა.

ეს მოვლენები დაემთხვა საბჭოთა პოზიციების გაძლიერებას აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, რაც, კერძოდ, საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებაშიც გამოიხატა. **მოსკოვისა და ვაშინგტონის დაახლოებამ დამამუხრუჭებელი გავლენა იქონია იაპონიაზე, რომელიც ემზადებოდა საბჭოთა კავშირზე თავდასხმისათვის. სსრ კავშირის ურთიერთობის განმტკიცება იმ დროის კიდევ ერთ მსხვილ სახემწიფოსთან — იტალიასთან — ტოკიოსთვის დამატებითი შემაკავებელი ფაქტორი იყო.**

ამასთან ერთად, სტალინმა შეძლო ეჯობნა მუსოლინისთვის, რომელიც მიისწრაფოდა, ჩაეშალა მოსკოვისა და პარიზის თანამშრომლობა და დაეშანტაჟებინა საბჭოთა მხარე რომისა და ბერლინის დაწყებული დაახლოებით. სტალინმა აიძულა პარიზი, დაეჩქარებინა მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება საბჭოთა კავშირთან, რადგან იტალია საფრანგეთის მთავარი მოწინააღმდეგე იყო ხმელთაშუა ზღვაზე. ამასთან ერთად, საფრანგეთის მთავრობამ გადადგა ზოგიერთი ნაბიჯი იმ მიმართულებით, რომ ხელი შეეშალა იტალიისთვის თავისი გავლენის ზონის გასაფართოებლად რეგიონში, სადაც იგი უმსხვილეს სახელმწიფოდ რჩებოდა.

1934 წლის პირველ ნახევარში დაიწყო საბჭოთა კავშირიტალიის ურთიერთობის გაუარესება. ლიტვინოვის იდეას აღმოსავლეთის პაქტის დადების შესახებ მხარი დაუჭირა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლუი ბარტუმ. იგი იუგოსლავიას (მუსოლინის №1 მტერს) თავის მნიშვნელოვან საყრდენად მიიჩნევდა. დუჩეს ეს ქვეყანა სერიოზულად აღიზიანებდა, რადგან იგი ხელს უშლიდა, სრულად დაემორჩილებინა ალბანეთი და შეექმნა აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ძლიერი პროიტალიური ბლოკი: ავსტრია, უნგრეთი, ბულგარეთი. იუგოსლავია საფრანგეთის გავლენის მთავარი გამტარებელი იყო ხმელთაშუაზღვისპირეთში. მუსოლინის განზრახული ჰქონდა, იტალიის შემადგენლობაში მოექცია იუგოსლავიის ვრცელი ტერიტორიები, მათ შორის, ეკონომიკურად ყველაზე უფრო განვითარებული სლოვენია, როგორც თურქეთსა და საბერძნეთზე თავდასხმის პლაცდარმი.

იტალიის პრემიერ-მინისტრის კიდევ უფრო დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ლიტვინოვის მხარდაჭერით ბარტუს მიერ ბალკანური პაქტის შექმნამ, რომელშიც გაერთიანდა რუმინეთი, იუგოსლავია, საბერძნეთი და თურქეთი. თუ აღმოსავლეთ პაქტს ანტიგერმანული მიმართულება ჰქონდა, ბალკანეთისას — ანტიიტალიური.

მაშ ასე, ურთიერთობამ მოსკოვსა და რომს შორის გაუარესება დაიწყო. ორივე მხრიდან გაჩაღდა საგაზეთო ომი. იტალიის საგარეო და საშინაო პოლიტიკისადმი მიძღვნილი წერილები ობიექტურად აანალიზებდა ფაშიზმის არსს, მაგრამ სპეციალისტები ამასთან ერთად აღნიშნავენ, რომ ილია ერენბურგის, კონსტანტინ ფედინის, მაქსიმ ▶

ჰიტლერი და მუსოლინი ჩადიან მიუნჰენში კონფერენციაზე



**სტალინი უზრუნველყოფდა კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას იტალიასთან, აშშ და იაპონია — ინგლისის ძველისძველი კონკურენტები — მიიჩნევდნენ, რომ ინგლისისა და იტალიის დაპირისპირება მათთვის მომგებიანი იყო.**

# უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ გორკის მრავალრიცხოვანი სტატიები, რომლებიც „იზვესტიაში", „პრავდაში", „ვეჩერნაია მოსკვაში" იბეჭდებოდა, შეიცავდა შეურაცხმყოფელ გამონათქვამებს იტალიის კულტურის, განათლების, ლიტერატურის, მუსიკის, თეატრალური ხელოვნების შესახებ".

არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ საბჭოთა მწერლობის ამგვარი გამონათქვამები სტალინის პოზიციას ასახავდა.

უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში სტალინის შესახებ ავრცელებენ ისეთ შეხედულებას, რომ იგი ყველა დროისა და ყველა ხალხის უდიდესი გენიოსი იყო. ამასთან, ანტიკომუნისტები მას მიიჩნევენ ბოროტ გენიად. ამგვარ „ყოვლისმცოდნეთა" აზრით, იგი თავის ნებაზე მართავდა ყველაფერს, რაც ქვეყანაში ხდებოდა — მითითებებს აძლევდა კულტურისა და მეცნიერების, შინსახკომისა და ოგეპეუს, სამხედროებისა და სამეურნეო სფეროს, ჟურნალისტებისა და პროპაგანდისტების ნებისმიერ წარმომადგენლებს. ამასთან ერთად, ხელმძღვანელობდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას.

მიაწერენ ზეადამიანურ უნარსა და შესაძლებლობას *(რაც მხოლოდ დღევანდელ საქართველოშია შესაძლებელი და ისიც სისულელეების კეთების სარბიელზე. — ა.ს.).*

აი, ერთი მაგალითი. **1929 წელს მოსკოვს ეწვია უკრაინელ მწერალთა ერთი ჯგუფი, რომელიც სტალინს შეხვდა. მათ ერთსულოვნად „ამხილეს" მიხაილ ბულგაკოვი ანტისაბჭოთა გადახრებში, მოითხოვეს მისი პიესების აკრძალვა, სამაგიეროდ კორშონის პიესის დადგმა 26 ბაქოელი კომისრის შესახებ. სტალინი ვერ ახერხებდა მათ გადარწმუნებას და იძულებული გახდა, მოეშველიებინა ახალი და ახალი მოსაზრებანი ბულგაკოვის დასაცავად. თუნდაც ეს ერთი მაგალითი მოწმობს, რომ სტალინი ყველას და ყველაფერს არ აკონტროლებდა, მაგრამ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს თვითონ წყვეტდა.**

რაც შეეხება იტალიის კულტურას, იგი სრულიადაც არ იყო აკრძალული საბჭოთა კავშირში. მაგალითად, ჯოვანიოლის რომანი „სპარტაკი" გიგანტური ტირაჟებით გამოიცემოდა, ვერდის ოპერები საბჭოთა კავშირის ყველა საოპერო თეატრში იდგმებოდა. მაგალითების ჩამოთვლის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება. სტალინი ისწრაფოდა (ყოველთვის წარმატებით არა), რათა რომანული ქვეყნები — საფრანგეთი და იტალია — დაეპირისპირებინა ინგლისურ-საქსონური სამყაროსთვის, გერმანიისთვის. იგი, როგორც ჩანს, დარწმუნებული იყო, რომ სსრკ-იტალიის კონტაქტები აეწყობოდა. სტალინის სჭირდებოდა საბჭოთა მხარდაჭერა კარგი დამოკიდებულების შესანარჩუნებლად თურქეთთან, რომელთანაც მოსკოვს მაშინ მყარი პოზიციები ჰქონდა. ამასთან ერთად, იგი იმედოვნებდა, რომ ამ სიტუაციას ბალკანეთის ბლოკის დასასუსტებლად გამოიყენებდა. მაგრამ ყველაზე მეტად დუჩე დაინტერესებული იყო იაფი საბჭოთა ნედლეულით, უმთავრესად, ნავთობით, რომელიც იტალიას ხელმისაწვდომი და უმოკლესი საზღვაო გზით მიეწოდებოდა...

1934 წლის 15 სექტემბერს, საფრანგეთისა და იტალიის მხარდაჭერით, საბჭოთა კავშირი ერთა ლიგაში შევიდა და როგორც ერთ-ერთმა დიდმა ქვეყანამ დაიკავა ადგილი ლიგის საბჭოში. აეწყო საბჭოთა კავშირ-იტალიის სამხედრო თანამშრომლობა, სამხედროების დელეგაციებს ერთმანეთის მანევრებზე იწვევდნენ. მუსოლინი ირწმუნებოდა, რომ საბჭოთა სამხედროებს იტალიაში აჩვენებდნენ ყველაფერს, რისი ნახვაც მათ სურდათ, იმასაც კი, რაც სხვა უცხოელებისთვის დამალული ჰქონდათ. ბენიტო მუსოლინიმ განაცხადა, რომ ეს კეთდება მხოლოდ იმიტომ, რომ ომი საბჭოთა კავშირსა და იტალიას შორის არ შეიძლება მოხდეს. იგი სტალინს იმ ინფორმაციასაც აწვდიდა, რომელსაც იტალიის დაზვერვა გერმანიაში მოიპოვებდა. მაგალითად, 1934 წლის მარტში გადასცა მასალები, რომლებიც იაპონია-გერმანიის ურთიერთობას და ჰიტლერის მიერ უკრაინის დაპყრობას ეხებოდა, ივლისში კი — დაზვერვის მონაცემები გერმანიის შეიარაღებასა და სამხედრო გეგმების შესახებ.

მუსოლინი, ჰიტლერი, შმიდტი (თარჯიმანი), ჩემბერლენი. მიუნხენი, 1938 წლის 10 ივნისი



**1934 წლის ზაფხულში მოსკოვში გაიმართა კომინტერნის VII კონგრესი, რომელზეც ფაშიზმი შეფასდა როგორც «უკიდურესად რეაქციული, უკიდურესად შოვინისტური, როგორც ფინანსური კაპიტალის ყველაზე უფრო იმპერიალისტური ელემენტების ტერორისტული დიქტატურა»**

## კონფრონტაცია

საერთო ჯამში, 1930-იანი წლების პირველი ნახევარი ორი ქვეყნის ნაყოფიერი თანამშრომლობით იყო გამორჩეული, მაგრამ მეორე ნახევარში სიტუაციამ გაუარესება დაიწყო. მუსოლინი სულ უფრო ამჟღავნებდა აგრესიულ განზრახულობას, რაც ფაშისტური ლიდერებისთვის იყო დამახასიათებელი *(ამაშია ერთ-ერთი პრინციპული განსხვავება სტალინის საგარეო პოლიტიკისგან, რომელიც ორიენტირებული იყო ქვეყნებისა და ხალხთა მშვიდობიან თანაარსებობაზე).*

აბისინიაზე (ამჟამად — ეთიოპიაზე) 1935 წელს იტალიის თავდასხმას სტალინის შეშფოთება არ გამოუწვევია, თუმცა საჯაროდ დაგმო აგრესორი. მას უკიდურესად აღელვებდა ანტისაბჭოთა ნიადაგზე ინგლისისა და გერმანიის დაახლოება. ინგლისის მთავრობის ყურადღება გადართული იყო ხმელთაშუა ზღვის რეგიონზე, სადაც იტალია აძლიერებდა თავის სამხედრო ფლოტს. ამასთან, მისი ჯარები თავს იყრიდა ლიბიაში, ეგვიპტის საზღვრებთან. ინგლისელებს ბრიტანეთის იმპერიის ერთ-ერთი მთავარი ობიექტის — სუეცის არხის უსაფრთხოება ადარდებდა. დიდი ბრიტანეთის საადმირალომ დაიწყო თავისი სამხედრო ხომალდების გადაყვანა ხმელთაშუა და წითელ ზღვებში.

კაპიტალისტური ქვეყნები გავლენის სფეროებისთვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ.

სტალინი უზრუნველყოფდა კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას იტალიასთან, აშშ და იაპონია — ინგლისის ძველისძველი კონკურენტები — მიიჩნევდნენ, რომ ინგლისისა და იტალიის დაპირისპირება მათთვის მომგებიანი იყო.

ისტორიკოსები აღნიშნავენ: „სტალინი პირდაპირ აცხადებდა, რომ ომის საფრთხის ორ ძირითად კერასთან შედარებით — იაპონიის ზონაში და გერმანიის ზონაში — იტალია-აბისინიის ომი მხოლოდ ეპიზოდია"...

ხაზგასმით უნდა ვთქვათ — სტალინი არასოდეს მალავდა, რომ ფაშიზმსა და კომუნიზმს შორის შეურიგებელი იდეური შეურიგებლობა არსებობდა. მდიდარი კაპიტალისტური ქვეყნები მხარს უჭერდნენ, კვებავდნენ ფაშისტურ რეჟიმებს როგორც საერთაშორისო მოძრაობის ალტერნატივას. ამასთან, ინგლისსა და საფრანგეთს ჰქონდათ დასაბუთებული შიში მათ წინააღმდეგ ან მათი სატელიტების წინააღმდეგ ფაშისტების აგრესიის გამოვლენისა. ეს აიძულებდა ეძებნათ გზები საბჭოთა კავშირთან დაახლოებისა, რაც აღნიშნულ აგრესიას წინ აღუდგებოდა.

ასეც მოხდა.

**1934 წლის ზაფხულში მოსკოვში გაიმართა კომინტერნის VII კონგრესი, რომელზეც ფაშიზმი შეფასდა როგორც „უკიდურესად რეაქციული, უკიდურესად შოვინისტური, როგორც ფინანსური კაპიტალის ყველაზე უფრო იმპერიალისტური ელემენტების ტერორისტული დიქტატურა".** წამოაყენეს წინადადება არა მხოლოდ პროლეტარული, არამედ რაც შეიძლება **ფართო ერთიანი „ანტიფაშისტური ფრონტის" შექმნის შესახებ.** ამასთან, **მეორე პლანზე გადაიწია ბურჟუაზიული დემოკრატიების წინააღმდეგ გამოსვლებმა, რომელთაც ჩაენაცვლა ბრძოლა მშვიდობისათვის და ფაშიზმის წინააღმდეგ.**

**უეჭველია, რომ კურსის ასეთი რადიკალური შეცვლა შეთანხმებული იყო სტალინთან, ან მის მიერაც კი იყო შემუშავებული, რაც ნაკარნახევი იყო აღმოსავლეთისკენ მიმართული გერმანული აგრესიის მოსაგერიებლად.** თუმცა სტალინმა ამჯობინა, აქტიური მონაწილეობა არ მიეღო კონგრესის მუშაობაში, რათა არ გამოეწვია ჰიტლერისა და მუსოლინის ძლიერი გაღიზიანება. **იგი გრძნობდა, რომ ახალი მსოფლიო ომი კარს იყო მომდგარი: 1935 წლის მარტში იდენთან შეხვედრის დროს მან თქვა, რომ შექმნილი საერთაშორისო სიტუაცია იყო უარესი, ვიდრე 1918 წელს.** რამდენიმე თვის შემდეგ იტალიის ჯარები აბისინიაში შეიჭრნენ, ცოტა მოგვიანებით კი გერმანიამ რეინის ოლქის ოკუპირება მოახდინა. ინგლისი და საფრანგეთი, საბჭოთა შეთავაზების მიუხედავად, არ გამოვიდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ.

თანამედროვე იტალიელი ისტორიკოსი ჯუზეპე ბოფი ამასთან დაკავშირებით აცხადებს: **„დასავლეთის უდიდესი სახელმწიფოები ამით ხაზს უსვამდნენ, რომ არ სურდათ ხელ-ფეხი შეკვროდათ სსრ კავშირთან ერთობლივი მოქმედების ვალდებულებით იმ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელთაც დაიწყეს აგრესიული აქციების ახალი წყება, მაგრამ გაცილებით სერიოზული მაგალითები ამ სურვილის არქონისა ჯერ კიდევ წინ იყო".** ამასთან, რომი დაინტერესებული არ იყო, მთლიანად გაწყვეტილიყო საბჭოთა კავშირისა და იტალიის ურთიერთობა.

**იტალიის ბეჭდვითი სიტყვის სამინისტრომ გამოსცა ცირკულარი, რომელიც კრძალავდა პრესაში პირადად სტალინის წინააღმდეგ რაიმე გამოხდომის პუბლიკაციას. მართალია, აკრძალვამ რამდენიმე თვეს გასტანა, მაგრამ ნათლად წარმოჩნდა, თუ რა წონა ჰქონდა საბჭოთა ლიდერს მსოფლიო ასპარეზზე.** ამასთან, იტალია დაინტერესებული იყო, რომ გაგრძელებულიყო ეკონომიკური თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან. პარალელურად კი მუსოლინი ჰიტლერთან ერთად მხარს უჭერდა გენერალ ფრანკოს ამბოხს რესპუბლიკური ესპანეთის წინააღმდეგ. სტალინმა კი პირიქით — გაშალა ფართო კამპანია — სამხედრო, სამოქალაქო, იდეოლოგიური — რესპუბლიკის ძალების დასახმარებლად. საფრანგეთი და ინგლისი მოჩვენებით ნეიტრალიტეტს იცავდა.

**1937 წელს განვითარდა მოვლენა, რომელმაც საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობა თითქმის ნულამდე დაიყვანა. ესპანეთში, გვადალახარასთან რესპუბლიკელებმა საბჭოთა სამხედრო მრჩევლების ხელმძღვანელობით გაანადგურეს იტალიელების საექსპედიციო კორპუსი — მუსოლინის არმიის ელიტური შენაერთი.** დუჩე ითმენდა, საბჭოთა ავიაგამანადგურებლები იტალიის თვითმფრინავებს რომ ჩამოაგდებდნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ნერვებმა უმტყუნა. მისმა წყალქვეშა ნავებმა იმ საბჭოთა გემების ჩაძირვა დაიწყეს, რომლებიც რესპუბლიკის პორტებში მიცურავდა. მუსოლინი, რომელიც აქამდე ბალანსირებდა ბერლინსა და მოსკოვს შორის, საბოლოოდ გერმანელების მხარეს დადგა.

იტალიამ დადო შეთანხმება გერმანიასთან გავლენის სფეროების განაწილების თაობაზე და დათანხმდა, ეღიარებინა გერმანელების მიერ მომზადებული ანშლიუსი — ავსტრიის გერმანიასთან შეერთება. სანაცვლოდ ჰიტლერმა აღუთქვა მას, რომ მხარს დაუჭერდა მუსოლინის ოდინდელ ოცნებას — იტალიის ბატონობის დამყარებას ხმელთაშუა ზღვაში.

დუჩეს ოცნება რომის იმპერიის აღდგენის თაობაზე რეალურ კონტურებს იძენდა. ჰიტლერთან კავშირში, „დემოკრატიული" დასავლეთის მიერ ნებაზე მიშვებული, წარმატებას წარმატებაზე აღწევდა. დამთავრდა ეთიოპიის (აბისინიის) დაპყრობა, მისმა ჯარებმა ფრანკისტებთან ერთად სძლიეს ესპანელ რესპუბლიკელებს და 1939 წლის მარტში შევიდნენ მადრიდში. მომდევნო თვეში კი იტალიამ ალბანეთი დაიპყრო. რუმინეთი, უნგრეთი და ბულგარეთი, რომლებიც ბერლინი-რომი-ტოკიოს ღერძს მიემხრნენ, ამჯობინებდნენ, შედარებით სუსტ იტალიაზე ყოფილიყვნენ ორიენტირებულები, ვიდრე აგრესიულ ნაცისტურ გერმანიაზე, რომელიც გიგანტურ ძალას იკრებდა. **სტალინისთვის ეს იყო ორიდან ნაკლები ბოროტება: საბჭოთა კავშირის მეზობელ ქვეყნებში მკვიდრდებოდა მისთვის ნაკლებად საშიში მტერი.**

ვიაჩესლავ მოლოტოვი, იოსებ სტალინი მოსკოვის მოლაპარაკებაზე. 1939 წლის 23 აგვისტო



**გაგრძელება იქნება**

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

კონსპიროლოგია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„2008 წლის 8 აგვისტოს, პარასკევს დილით, ქართულმა ტანკებმა და ქვეითებმა, ისრაელის სამხედრო მრჩეველთა დახმარებით დაიკავეს საქართველოსგან გამოყოფილი სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი ცხინვალი... მაგრამ რუსებმა მკაფიო ზღვარი დაუდეს ებრაელი ნავთობის მაგნატების გეგმას, გადაექაჩათ აზერბაიჯანის ნავთობი და თურქმენეთის გაზი საქართველოსა და თურქეთის გავლით, ნაცვლად მათი რუსეთის მილებისთვის მიერთებისა“.**



### ეროვნებით ებრაელი მწერლისა და მკვლევარის, ლევ გუნინის სკანდალური ნაშრომი:

# კავკასია, როგორც ისრაელის ტერიტორიის ნაწილი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2-3 (140-141)

**ახლა კი ყურადღება:**
**ებრაული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ყველა ქართველ მინისტრს სამგვერდა მეზუზა აჩუქეს (gave each minister a gift of a tree-shaped mezuzah), ვიდრე ჰოლში ხიზილალის საჭმელად და ქართული ღვინის დასაყოლებლად გაემართებოდნენ (სხვათა შორის, ხიზილალა ქაშერი *(ებრაელისთვის ხსნილი საკვები. — რედ.)* არ არის).**
**გაზეთ „ჰა-არეცის“ ტექსტს დავცილდეთ და სხვა წყაროს დავეყრდნოთ (ქართული სამინისტროს ვებგვერდი), რომელშიც ნათქვამია, რომ მეზუზას გარდა, ყველა მინისტრმა „კიპა“ (სალოცავი ქუდი), მენორა და ტალიტა მიიღო.**

(***მეზუზა*** – შესავლელ კართან ჩასმული ფუტლარი, რომელშიც პერგამენტზე დაწერილი თორის ორი ფრაგმენტი ინახება. მორწმუნე ებრაელი სახლიდან გასვლისას და შემოსვლისას მეზუზას ხელით ეხება და შემდეგ ამ ხელს კოცნის. ამ წესის შესრულება ებრაელთა სულიერი ფასეულობების შეხსენებაა. *მენორა* – შვიდსანთლიანი ებრაული შანდალი. მისი აღწერილობა ღმერთმა მოსეს სინას მთაზე გადასცა. მენორა იუდაიზმის ერთ-ერთი უძველესი სიმბოლოა. *ტალიტა* – მართკუთხა შალის ან სელის თეთრი, შავი ან ლურჯზოლიანი ქსოვილი, რომელსაც ლოცვისას მოსასხამის სახით იყენებენ ებრაელები. – რედ.).

**კიდევ ერთხელ ყურადღება!**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხმამაღლა უთხრა შეკრებილებს: **„აწყენინო ისრაელს, ნიშნავს აწყენინო საქართველოს. ერთადერთი ადგილი, სადაც მე თავს სახლში ვგრძნობ, ისრაელია“.**

აშშ-ის ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტთა კონფერენციამდე 3 კვირით ადრე თბილისში სპეცრაზმმა ირანის მოქალაქე დააპატიმრა. ირანული შეიარაღების გაყიდვის მთავარი დილერი, რომელსაც დიპლომატიური ხელშეუხებლობა ჰქონდა და ირანის მთავრობის წარმომადგენელი იყო (განა ეს ამბავი რუსი ბიზნესმენის, ვლადიმირ ბუტის ამბავს არ ჰგავს?). მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების მტკიცებისა, თითქოს ის თბილისში დააპატიმრეს, სინამდვილეში იგი ქართულმა სპეცრაზმმა სომხეთიდან მოიტაცა. მოარული ხმების მიხედვით, სწორედ ამგვარი სამსახური მოთხოვეს სააკაშვილს ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტებმა თბილისში მათი კონფერენციის ჩატარების საფასურად.

ირანის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა, შურისძიებითაც კი იმუქრებოდნენ. ირანის წარმომადგენლებმა საკუთარი ოფიციალური პირის დაკავებას საერთაშორისო ყაჩაღობა, საერთაშორისო სამართლის არნახული დარღვევა უწოდეს და მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება მოითხოვეს. **ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი მანუჩარ მოთაქი თბილისში ჩავიდა სააკაშვილის ხელმეორედ გაპრეზიდენტების ზეიმზე, რათა ირანის მოქალაქის გათავისუფლებისთვის მიეღწია, მაგრამ სააკაშვილი შეუწყნარებელი იყო. საპასუხოდ ირანი დაიმუქრა, რომ ირან-ერაყის საზღვარზე განლაგებული 2 ათას ქართველ სამხედროს საკუთარი უსაფრთხოების იმედი არ უნდა ჰქონოდა. ირანი იმითაც დაიმუქრა, რომ მხარს დაუჭერდა რუსეთის ნებისმიერ სამხედრო ოპერაციას საქართველოს წინააღმდეგ ოსეთსა და აფხაზეთში.**

საბოლოოდ, ირანმა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. არის თუ არა რაიმე ისეთი, რასაც მიშიკო ისრაელისთვის არ გააკეთებს? როგორც ცნობილი გახდა, ირანის მოქალაქე, საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმის დარღვევით, ამერიკელებს გადასცეს და „ამჟამად მისი ადგილსამყოფელი უცნობია“ (თუ, საერთოდ, ცოცხალია). გაცილებით უფრო გვიან გაირკვა, რომ იგი ისრაელს გადასცეს და, როგორც ჩანს, სასიკვდილოდ აწამეს იქაურ ციხეში.

იმავე კონფერენციაზე საქართველოსა და ისრაელის მჭიდრო **სამხედრო** თანამშრომლობაზეც იმსჯელეს.

**ისრაელის გაზეთიც კი არ გაუჩუმდა იმას, რომ სააკაშვილმა ებრაელების წინაშე მუცელზე იხოხა და საქართველო ისრაელის კოლონიალურ დანამატად აქცია, რითაც უხეშად დაარღვია საკუთარი ხალხის ნება და მოსახლეობის უმრავლესობის წინააღმდეგ წავიდა.**

უმკაცრესი ტირანიის პირობებში, როდესაც ყოველი გამოსვლისათვის პრეზიდენტის ჯალათი-მწამებლები ნებისმიერს სიკვდილით ემუქრებიან, თბილისის საუკეთესო სასტუმროს წინ (სადაც აშშ-ს ებრაული ორგანიზაციების პრეზიდენტთა კონფერენცია იმართებოდა), **დაახლოებით 20 ათასი ადამიანი გამოვიდა ამ ღონისძიების თბილისში ჩატარების გასაპროტესტებლად.**

როგორც ებრაული გაზეთებიდან და სხვა წყაროებიდან არის ცნობილი, დემონსტრანტები ამბობდნენ, რომ სააკაშვილს მიუფურთხებია საქართველოს ათასწლოვანი ისტორიისა და ქართველი ხალხისთვის: მას მიაჩნია, რომ საქართველოს ისტორია მისი მოსვლით დაიწყო. მართლაც, კონფერენციაზე სააკაშვილმა საკუთარი თავი ებრაული სახელმწიფოს დამფუძნებელს – დევიდ ბენ-გურიონს და, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე, ჯორჯ ვაშინგტონსაც შეადარა.

2012 წლის 3 იანვარს იმავე ებრაულმა გაზეთმა („ჰაარეც“) გამოაქვეყნა შლომო ავნერის სტატია, რომელშიც ნათქვამია: **„სააკაშვილმა განაცხადა, რომ ისრაელში ხედავს დიადი ადამიანების პატარა ქვეყნის მაგალითს. იგი აცხადებს: – ბენ-გურიონი ჩემი გმირია“!** იმავე სტატიაში ავტორი აღიარებს, რომ სააკაშვილის რეჟიმი, მისი ლიდერების განცხადებებისა და, შესაძლოა, განზრახვების მიუხედავად, „ავტორიტარულია“. და რაც უფრო მნიშვნელოვანია: ამ სტატიაში (ოსეთის კონფლიქტიდან 4 წლის შემდეგ) ხაზგასმულია, რომ **ისრაელი საქართველოს უყურებს როგორც „კავკასიის ისრაელს“ და მას „პალესტინის ისრაელს“ ადარებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „პალესტინის ისრაელს“ საქმე არაბულ გოლიათთან აქვს, ხოლო „კავკასიის ისრაელს“ — რუსულ გოლიათთან.** ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს ჩემი 2008 წლის დაკვირვების მართებულობაში: **საქართველო ებრაელებისთვის ისრაელის ერთგვარ მენტალურ „ეიდოლონად“ იქცა, ხოლო რუსები, ებრაელთა მიერ „ზემოდან“ დანერგილი წარმოდგენით, ისეთივე „ველური ბარბაროსები“ არიან, როგორც არაბები.**

კარგად ინფორმირებული ებრაული წყაროს ცნობით

Re: Tbilisi, Georgia Police Enforce Martial Law (2007) trained by us

August 08, 2008, 04:01:45 PM

(თბილისი, ქართულმა პოლიციამ სამხედრო მდგომარეობა შემოიღო, იგი ჩვენი (ებრაელების) გაწვრთნილია).

forum.prisonplanet.com

კანადაში გაქცეული მოსადის მალალჩინოსნის, ვიქტორ ოსტროვსკის წიგნიდან „სიცრუის გზით“ (იხ. http://www.balandin.net/Gunin/Gunin.htm) ცნობილი ხდება, რომ ისრაელის ჯალათები დედამიწის ყველაზე სისხლიანი და არაადამიანური რეჟიმების სადამსჯელო რაზმებს წვრთნიან.

**არსებობს მტკიცებულებები, რომ საქართველოში ისრაელის ფართო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სამხედრო ინტერვენციაში აქტიურად მონაწილეობდნენ როტშილდებისა და როკფელერების ებრაული კლანები.** ამასთან დაკავშირებით არაერთ ბლოგერს როტშილდების ნათესავის, საძაგელი დევიდ როკფელერის სიტყვები მოჰყავს (მსოფლიო შეთქმულების აღიარება):

**„შეთქმულება სხვებთან ერთად, მთელ მსოფლიოში, რათა აშენდეს უფრო ინტეგრირებული გლობალური პოლიტიკა და ეკონომიკური სტრუქტურა – ერთი მსოფლიო, თუ შენ ამის ნება გაქვს. თუ ასეთია ბრალდება, დაე, მე ვიყო დამნაშავე. მე ამით ვამაყობ (დევიდ როკფელერი)“.**

პოპულარული ინგლისურენოვანი ნონ-კონფორმისტული ჟურნალი „მეოთხე მსოფლიო“ წერს:

**„ისრაელისა და ამერიკელი მწვრთნელებისა და მრჩევლების მხარდაჭერის მქონე ქართველმა სამხედროებმა, გავრცელებული ინფორმაციით, 1400-ზე მეტი ადამიანი მოკლეს სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის გამანადგურებელი შეტევების განხორციელების დროს. ახლა ითქმის, რომ რუსეთი აფეთქებდა ქართულ თვითმფრინავებს ცაში და ძალებს აჯგუფებდა მის საზღვრებთან“.**

„გასული ორი წლის მანძილზე საქართველო ინტენსიურად აგროვებდა იარაღს, ტანკებს, ვერტმფრენებს უკრაინიდან და დასავლეთიდან. ამერიკელი და ებრაელი მრჩევლები წვრთნიდნენ ქართულ ჯარს თვეების მანძილზე, სანამ რუსეთი აფრთხილებდა საქართველოს და აშშ-ს, რათა თავი დაენებებინათ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიისთვის. საქართველო კვლავ თვლის სამხრეთ ოსეთს საქართველოს ტერიტორიად, იქნებ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მიზანია, გაიზარდოს კონტროლი გაზის მილსადენებზე, რომლებიც რეგიონზე გადის. ისრაელი და შეერთებული შტატები ღრმად ჩაერთნენ კონფლიქტში და სრულად უჭერენ მხარს საქართველოს ბრუტალურ დიქტატურას“.

მას შემდეგ, რაც რუსულმა თვითმფრინავებმა საქართველოდან თურქეთის გავლით ისრაელსა და ევროპაში მიმავალი ნავთობის მილის დაბომბვა სცადეს, ისრაელის ჟურნალმა Israel-Times-მა 2008 წლის 9 აგვისტოს გვაცნობა მაღალი დონის შეხვედრის შესახებ ისრაელისა და თურქეთის წარმომადგენლებს შორის. მისი ინფორმაციით, თურქეთი სამმხრივ ურთიერთობაშია ჩაბმული ისრაელსა და აზერბაიჯანთან ერთად მრავალპროფილური მილსადენების დაცვის თვალსაზრისით. ეს ისე უნდა გავიგოთ, რომ თანამშრომლობას სამხედრო სახე აქვს. ტარაკანებმა სირბილი დაიწყეს...

ავტორიტეტულმა კანადელმა საერთაშორისო ჟურნალისტმა, პროფესორმა მიხაილ (მიშელ) ხოსუდოვსკიმ ჯერ კიდევ 2006 წელს, ისრაელის ლიბანზე მორიგი თავდასხმის შემდეგ განაცხადა, რომ საქართველოსა და ისრაელს შორის ხანგრძლივი სამხედრო თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებაა ხელმოწერილი.

Y-Net News, ისრაელის ახალი ამბების არხი, 2011 წელს იტყობინებოდა:

**„ისრაელში საქართველოს ყოფილი ელჩის ინფორმაციით, ორი ქვეყნის ეკონომიკური კავშირები 1 მილიონ დოლარად შეაფასეს. მაშინ, როცა ებრაული სახელმწიფო და კერძო კომპანიები საქართველოს სამხედრო ძალითა და სამხედრო მრჩევლებით ეხმარებოდნენ, ნავთობის მილები მისი ტერიტორიის გავლით ისრაელისთვის განკუთვნილ ნავთობს ატარებდა. შენდება ახალი ნავთობსადენები რუსეთის გვერდის ავლით. ისრაელმა საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა 7 წლის წინ დაიწყო ქართველი ებრაელების თხოვნით, რომლებიც ისრაელში ახალი იმიგრანტები და ბიზნესმენები გახდნენ. რონი მილო კომპანია Elbit Systems მ Military Industries კომერციული დირექტორი იყო“.** შემდეგ ჩამოთვლილია ის შეიარაღება, რომელიც საქართველოს მიჰყიდეს. და შემდეგ: **„გალ გირში ხელმძღვანელობდა ქართული ელიტური სამხედრო დანაყოფების (სპეცრაზმის) ფორმირებას, აგრეთვე, მის გადაიარაღებასა და სამხედრო დაზვერვის კურსის შესწავლას“.**

ისრაელის სამხედრო სიახლეების საიტი DEBKAFile წერდა:

**„2008 წლის 8 აგვისტოს, პარასკევს დილით, ქართულმა ტანკებმა და ქვეითებმა, ისრაელის სამხედრო მრჩეველთა დახმარებით დაიკავეს საქართველოსგან გამოყოფილი სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი ცხინვალი... მაგრამ რუსებმა მკაფიო ზღვარი დაუდეს ებრაელი ნავთობის მაგნატების გეგმას, გადაექაჩათ აზერბაიჯანის ნავთობი და თურქმენეთის გაზი საქართველოსა და თურქეთის გავლით, ნაცვლად მათი რუსეთის მილებისთვის მიერთებისა“.**

„ისრაელი გაცილებით უფრო დაინტერესებულია კასპიის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებით თურქულ პორტში – ჯეიჰანში, ვიდრე რუსული ნავთობსადენებით. ნავთობსადენმა უნდა მიაღწიოს ისრაელის ნავთობსაცავებამდე აშკელონში და წითელ ზღვაზე — ეილატში. იქიდან ნავთობი სუპერტანკერებით ინდოეთის ოკეანის გავლით შორეულ აღმოსავლეთში შეიძლება გადაიზიდოს.“

შემდეგ DEBKAFile გვატყობინებს, რომ სააკაშვილმა ისრაელისგან ათასი სამხედრო სპეციალისტი მიიღო, რომლებიც ქართულ ჯარს შემდეგი მიმართულებებით ამზადებდნენ: სპეცრაზმი, სამხედრო-საჰაერო ბრძოლები, სატანკო ბატალიები, სამხედრო-საზღვაო ბრძოლები, არტილერია. ისინი ასევე ატარებდნენ სწავლებებს სამხედრო დაზვერვასა და ცენტრალური ხელისუფლების დაცვაში (მთავრობის წევრთა და სხვათა დაცვა).

რუსული სააგენტო Interfax New Agency იტყობინებოდა, რომ ფსბ-ს საველე აგენტები ამტკიცებდნენ: **მოსადის ქვედანაყოფები მოუძლვიან ქართველებს და ხელმძღვანელობენ სამხრეთ ოსეთზე თავდასხმას, ამარაგებენ ქართველებს სრული სადაზვერვო ინფორმაციით რუსეთის ჯარების შესახებ. საუკეთესო სამხედრო და ეკონომიკურმა ექსპერტებმა დაადასტურეს, რომ საქართველოს გარედან დახმარების გარეშე ასეთი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო ინტერვენციის შესაძლებლობა არ ჰქონდა.**

(გაგრძელება იქნება)

**ჩვენ ქართველები ვართ. ეს აქსიომაა. აქ ეჭვის შეტანა არაღვთიურია, სატანისეულია. არც არის საჭირო იმ ათასობითი მაგალითის მოტანა, რომლებიც ამას ამტკიცებს... დღეს შეურაცხმყოფელიც კია იმ ენების ეჭვქვეშ დაყენება, რომელთაც სვანები და მეგრელები დედის რძესთან ერთად ითვისებენ და ელოლიავებიან, — ენაა თუ დიალექტი.**

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# როცა აკვანსა და «იავნანას» გიგინებენ...

**ადამიანი „იავნანასთან“ ერთად აკვნიდან ითვისებს მშობლიურ ენას, იგი ხდება მისი ღვიძლი, განუყოფელი, ყველა დიდ განძზე უძვირფასესი. ამიტომაა დედის რძესავით ტკბილი და მარად უნეტარესი, მუდამ შენთანაა, შენი სულის ნაწილია... და როცა მავანნი მას უხეშად ეხებიან, ცოფდები, რასაკვირველია.**
**ძვირფასო მკითხველო, მიმიხვდი, ალბათ, საქმე ეხება სვანური და მეგრული ენებისადმი მორიგ უხეშ, შეურაცხმყოფელ თავდასხმას, რომლის წინააღმდეგ ჭეშმარიტ მეცნიერთა დიდმა ნაწილმა აღშფოთება გამოთქვა, მაგრამ მიკვირს, დღემდე რატომ დუმს ხელისუფლება, როცა მას აქვს გარკვეული ბერკეტები, აღკვეთოს, ანუ წერტილი დაუსვას ამ სამარცხვინო და გაუთავებელ ანარქიას.**

როცა ხელისუფლება გვპირდება სვანეთში ზამთრის კურორტების გახსნას, მესტიის დამშვენებას, სამეგრელოში ახალი ქალაქის აშენებას, რატომ აქვს თვალი დაბრმავებული და სმენა დახშული, როცა „იავნანას“ გვიგინებენ?

ევროსაბჭოს კონვენციიდან გამომდინარე, წერილობით მივმართე პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ბაქრაძეს, თუ რა ღონისძიებების გატარება შეიძლებოდა მეგრული და სვანური ენების პატივმიგებისთვის, მაგრამ პასუხიც არ გაიმეტეს. ამაზე ქვემოთ უფრო კონკრეტულად მოგახსენებთ.

**საღად მოაზროვნე ნებისმიერი ქართველი მიესალმება საქართველოში მოქმედ ყველა სკოლაში (სომხური, აზერბაიჯანული და სხვ.) ეროვნული (ქართული) ენის სწავლების შემოღებას. ავადმოსაგონარ საბჭოეთის დროს ერისთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს გამიზნულად აფერხებდნენ, რათა ენობრივი ბარიერით გაეთიშათ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფი.**

**სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ იგრძნობა ხელისუფლების ზრუნვა არასამწერლობო ენებისადმი (მეგრული და სვანური). სავალალოდ, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ზემოთ ხსენებული არასამწერლობო ენებისადმი ცივილური მიდგომა, ზიანს თუ არა, ჩრდილს მიაყენებს დედაქართულს.**

ეს აბსურდია, რადგან საუკუნეებმა გამოსცადა ურყევი ერთგულება დედაენისადმი — ქართულისადმი. ასე იყო და ასე იქნება მარადის. ქართული დასაცავია უცხოური, ხშირად მიუღებელი გამოთქმა-ტერმინებისგან და არა სვანურისა და მეგრულისგან. თუმცა მავანნი არ ისვენებენ (ფუტკარაძეები და ძმანი მისნი) და არამეცნიერულ, პროვოკაციულ მოსაზრებებს „აფრქვევენ“, თითქოს მეგრული და სვანური, ენები კი არა, დიალექტებია. არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გამართულ შეხვედრებზე გაეცა საკადრისი პასუხი სამეულის ახალ, დემაგოგიურ თეორიას. მას სახელოვანმა მეცნიერებმა „ყოველგვარ ლინგვისტურ საფუძველს მოკლებული, პროვოკაციული და იდეურად საშიში თეორია“ უწოდეს. ამ თემაზე ვრცელი ანალიზი გამოქვეყნდა პრესაში, მათ შორის, გაზეთ „ილორში“ (№146-149, 2011 წ.).

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ამ საქმეში ეკლესიის ჩარევა იკადრეს და სამშობლოს დაცვის სახელით წმინდა მეცნიერულ საკითხში სამღვდელოება ჩარიეს... **„თითქოს გარეშე ძალები ცდილობენ ქართველთა დაქუცმაცებას, დანაწევრებას, ჩვენი ერთიანი ეროვნული სხეულის დაშლას“.** ამ აბსურდზე პროფესორი მიხეილ ქურდიანი აცხადებს: **„თუ ჩემზე მიდგება საქმე, მე მიმაჩნია დიდ ქართველ მეცნიერებთან: ალ. ცაგარელთან, ნ. მართან, ივ. ჯავახიშვილთან, იოს. ყიფშიძესთან, აკ. შანიძესთან, გ. ავალიანთან, არნ. ჩიქობავასთან, ვ. თოფურიასთან, გ. როგავასთან, ქ. ლომთათიძესთან, ტ. გუდავასთან, თ. გამყრელიძესთან, ბ. ჯორბენაძესთან. ავთ. არაბულთან, გ. მაჭავარიანთან და ა. შ. ერთად საქართველოს მტრის იარლიყი მქონდეს მიკერებული, მაგრამ მართალი ვიყო უფლისა და ერის წინაშე, ვიდრე მავანივით პატრიოტის სახელი დავიჩემო და საქმით ვუმტრო საქართველოს“.**

საკუთარი მოსაზრების გამართლებისთვის საჭიროდ ვცანი, მოვუხმო იმ მეცნიერთა მოსაზრებებს, რომლებიც კომპეტენტურები არიან ამ საკითხში.

მეცნიერულად დასაბუთებული აზრი გამოთქვა პროფესორმა გუჩა კვარაცხელიამ: **„მეცნიერთა ერთი ჯგუფი ვარაუდობს, რომ, თუ მეგრულსა და სვანურს დიალექტებად გამოვაცხადებთ, კონსოლიდაცია უფრო ურყევი იქნება. ვფიქრობ, ეს არასწორია. უფრო მეტიც, საზიანო ნაბიჯია: ერთი, რომ მახინჯდება მეცნიერული ფაქტი, და მეორეც, ენის სტატუსი დიალექტამდე „დაქვეითდება“. შესაბამის კუთხეთა წარმომადგენლები ამ ფაქტს შეურაცხმყოფელად და დისკრიმინაციულად აღიქვამენ, გაჩნდება უნდობლობა“.**

დიდი ტკივილით საუბრობდა ამ საკითხებზე მეცნიერი და პოლიტიკოსი, ბატონი ალექსანდრე ჭაჭია 2005 წლის 29 ნოემბერს ქ. ზუგდიდში ჩატარებულ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ IV ყრილობაზე.

**„...ჩემი აზრით, ნებისმიერი ქართველი უნდა ამაყობდეს იმით, რომ არსებობს უდიდესი ფენომენი — ქართველური ენობრივი კულტურა, რომელიც მოიცავს თვით ქართულ, მეგრულ და სვანურ ენობრივ კულტურებს. საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა უმდიდრესი მეგრული და სვანური ფოლკლორი, იწერებოდა და დღესაც იწერება მშვენიერი ლექსები, პატრიოტი და მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები მეგრულს მეცნიერულად იკვლევენ, როგორც უმდიდრესი ლექსიკური მარაგის მქონე ენას.**

რატომ უნდა დაიკარგოს ეს ზოგადქართული, ზოგადეროვნული სიმდიდრე? ვის ინტერესებშია ამ საუნჯის იგნორირება და აბუჩად აგდება?! დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ერის, ჩვენი ეროვნული კულტურის, ქართველთა მომავალი თაობის ინტერესებში ეს არ შეიძლება შედიოდეს. ამიხსენით, ბატონებო: როგორ აპირებთ, ვთქვათ, ბატონებს — გიორგი სიჭინავას, ვახტანგ ხარჩილავას, რინოს კვარაცხელიას და სხვებს აუკრძალოთ მეგრული ლექსების წერა — პარტიულ ორგანოში დაიბარებთ, გადაასახლებთ თუ სულაც ჩეკას სამეულივით სასამართლოს გარეშე დახვრეტთ? **როგორ გინდათ, დაარწმუნოთ მეგრელები და სვანები, რომ ენა, რომელზეც ისინი საუბრობენ, არ არსებობს? ნუთუ გგონიათ, რომ რომელიმე ლაზში სიმპათიას გამოიწვევთ, თუკი მათ ენას კუთხურ კილოკავს უწოდებთ? ხომ არ აჯობებს, ვუთხრათ მათ, რომ ლაზური ენა ქართული ენობრივი ოჯახის განუყოფელი ნაწილია?! და ბოლოს, შევახსენებ ჩემს ოპონენტებს, რომ პოლიტიკოსთა და ვაიმეცნიერთა დაუღალავმა მტკიცებამ, თითქოს არც აფხაზური ენა არსებობს, არც აფხაზური ლიტერატურა და კულტურა, აფხაზეთის სახით ერთი მშობლიური კუთხე უკვე დამაკარგვინა!!!“...**

სავსებით ლოგიკურია ბატონ ალექსანდრეს მოსაზრება. დიდმა ილიამ დაგვმოძღვრა, რომ **„ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი თავისი ცოდვილი ხელით არ უნდა შეეხოსო“.** როცა ამ ღვთიურ განძს მართლაც ბინძურად ეხებიან, არაკეთილმოსურნენი განაქიქებენ, ეს უგუნურობაზე მეტია. ამიტომაც გამოითქვა არაერთი საფუძვლიანი და მართებული მოსაზრება მეგრულისა და სვანურის „დასაცავად“, თუმცა დასაცავი რა სჭირს? მთავარია, ერში არ მოხდეს საერთო ღირებულებების, ეროვნულ-კულტურული და სახელმწიფოებრივი ცნობიერების დარღვევა. ჩვენი ერთობა ათასწლეულების მანძილზე ყალიბდებოდა და ურღვევად შენარჩუნდა. ასე იქნება მარადის.

**ჩვენ ქართველები ვართ. ეს აქსიომაა. აქ ეჭვის შეტანა არაღვთიურია, სატანისეულია. არც არის საჭირო იმ ათასობითი მაგალითის მოტანა, რომლებიც ამას ამტკიცებს.**

**დღეს შეურაცხმყოფელიც კია იმ ენების ეჭვქვეშ დაყენება, რომელთაც სვანები და მეგრელები დედის რძესთან ერთად ითვისებენ და ელოლიავებიან, ენაა თუ დიალექტი. ...რასა იქმს ამ შემთხვევაში ხელისუფლება, რომელიც მშვენივრად ხედავს, რომ უგუნურნი შუღლს თესავენ. ყოველგვარი ბინძური ხერხის გამოყენებით ცდილობენ, თავს მოახვიონ საზოგადოებას საკუთარი ბოროტი მოსაზრებები. გააბაიბურონ საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტი მეცნიერული ღირებულებები. სწორედ ასე შეითითხნა თავის დროზე „მეგრელთა საქმე“, რომელთა მიმდევრები ახლაც არ ისვენებენ.** აქედან გამომდინარე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება პასუხისმგებელია, იფიქროს დღევანდელ მოვლენებზე და იზრუნოს მომავალზე. დანაშაულია იმის დაუნახაობა და განუსჯელობა, რას „კადრულობენ“ მავანნი. თუ იტყვიან, რომ ქვეყანაში სიტყვის თავისუფლებაა და ადამიანებს, რასაც სურთ, იმას ეტყვიან და დაუწერენო, მაშინ გეტყვით, ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად, ენების დაცვის უზრუნველყოფის აუცილებლობის შესახებ მოთხოვნა ვინ უნდა დაიცვას?

ხომ ცხადია, არასამწერლობო ენებისადმი მეტი ზრუნვის აუცილებლობა თავად რეალობამ მოითხოვა. უამრავ შემთხვევაში კახელს, გურულსა თუ იმერელს ყურში „უცხოდ“ ესმის სვანური და მეგრული დიალოგი, ლექსი თუ ანდაზა. აქედან გამომდინარე, დგება აუცილებლობა, დასახელებული ენებისადმი გარდაუვალი ზრუნვა-ყურადღებისა და მათი პატივმიგებისა.

**ვთქვათ, რაა იმაში ცუდი, თუ სკოლაში მოსწავლეს აუხსნიან, რომ მეგრული ენა ყველა კომპონენტით ქართველურ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება და ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში, რომ მეგრელები კოლხების უშუალო მემკვიდრეები არიან და მათ ჰქონდათ დამწერლობა, რომელსაც „კირბები“ ერქვა, რომ საბერძნეთში კუნძულ კრეტაზე ნაპოვნია „ფესტოსის“ დისკო, რომელზეც ოქროდამწერლობით მეგრული საგალობელია ამოტვიფრული. ამით დამტკიცდა, რომ დისკოს ენა ქართულ-კოლხურია.** ერთმანეთთან დაკავშირებულია კრეტელი, ლენმოსელი, სამოთრაკიელი კორიბანტები, და რომელ ენაზეც ისინი ლაპარაკობდნენ, ამ ენაზე მეტყველებდნენ, აგრეთვე, მინოსის კოლხი მეუღლე პასიფაე, მისი ძმა — კოლხეთის მეფე აიეტი, აიეტის ქალიშვილი მედეა, ოდისევსის მომჯადოებელი საყვარელი ჯადოქარი კირჯე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ; გავაცნობთ ცნობილი მკვლევარების ს. ყაუხჩიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. მარისა და სხვათა ნააზრევს ამ თემაზე.

ენა კი არ ვასწავლოთ, ვასწავლოთ ერთი-ორი ლექსი, სიმღერა, ანდაზა, ენობრივი თავისებურებები. დარწმუნებული ვარ, ეს კიდევ უფრო დაახლოებს, კიდევ უფრო შეადუღაბებს საქართველოს კუთხეებს თუ რეგიონებს, შექმნის საოცარ ჰარმონიას, ზოგჯერ რომ აკლია ჩვენს სინამდვილეს.

**როცა შენს ენას არ აფასებენ, უყურადღებობას იჩენენ მისადმი, რასაკვირველია, გიჩნდება სურვილი, დაიცვა იგი. ეს კი მუდმივად ქმნის უკმარისობის შეგრძნებას და ასაზრდოებს სამართლიანი პროტესტის გრძნობას.**

ამ თემაზე რესპუბლიკურ პრესაში უკვე გამოვთქვი მოსაზრება, ჩემი მხარის მცხოვრებლები დამეთანხმნენ, რომ გარკვეული ყურადღება ხელისუფლების მხრიდან აუცილებლად საჭიროა. ამიტომ გავბედე და წერილობითი თხოვნით მივმართე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს, გაეთვალისწინებინათ შექმნილი რეალობა და სასკოლო პროგრამაში შეეტანათ გარკვეული ცვლილებები... სამწუხაროდ, რაიმე პასუხი არ მიმიღია. ჩემი მიმართვა ნასაზრდოები იყო იმით, რომ, როცა პარლამენტი მიიღებდა სწორ გადაწყვეტილებას, წერტილი დაესმებოდა გაუთავებელ და უაზრო დავა-კამათს.

ეტყობა, საკანონმდებლო ორგანოსა და ხელისუფლებას ამგვარ საკითხებზე, სამწუხაროდ, ჯერ პასუხი არა აქვს. ყოველივე სტიქიურობის დონემდეა დასული, ამიტომ წინ გველის მუდმივი დაპირისპირება და უკმაყოფილება.

დიდი ხანია, ყველასთვის ცხადია, რომ სვანურსა და მეგრულში არის ის ნათელი, ის ძლევამოსილება და სიდიადე, რომელიც ასხივოსნებს დედაქართულს.

როდის არის არასამწერლობო ენების მარგალიტების ათვისება ადვილი და შესაძლებელი? რასაკვირველია, ადრეულ ასაკში, ამიტომ სკოლის პროგრამაში ძალიან ფაქიზად, მეცნიერულად მოფიქრებულად უნდა განთავსდეს სათანადო მასალა.

პროფესორმა მამანტი ძაძამიამ ბრძანა: **„მართალია, მეგრული ენა დღეს სამეგრელოსა და აფხაზეთის ერთ ნაწილშია შემორჩენილი, მაგრამ მას იბერიის, კოლხეთისა და ეგრისის სამეფოების ეპოქაში სახელმწიფო ენის სტატუსი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, მეგრულ ენას უნდა ეწოდოს პროტო-ქართული ენა, რომელიც დაედო საფუძვლად თანამედროვე უაღრესად კლასიკურ ქართულ ენას“.** ასე ფიქრობენ ჭეშმარიტი ქართველები.

საინტერესოა პროფ. მ. ჩუხუას მოსაზრება: **„საქართველოს სალიტერატურო, ანუ სამწერლობო ენა ერთი იყო ყოველთვის მეგრელებისთვის და სვანებისთვის. კულტურის, განათლების, ღვთისმსახურების, სახელმწიფო ენა იყო და არის ქართული... განა სვანები და მეგრელები იმიტომ არიან ქართველები, რომ სვანური და მეგრული ენები დიალექტებია? ჩვენი ქვეყნის ძლიერება სხვა ფასეულობასა და ღირებულებაზეა დაფუძნებული და საქართველოს სახელმწიფოებრიობის ყველაზე ერთგული საძირკველი სწორედ სამეგრელოშია... უფრო უარესი არ არის ის, რომ ჩვენსავე ძმებს, მეგრელებსა და სვანებს, ვუთხრათ: ის, რაზეც შენ მეტყველებ, არ არის შენთვის მშობლიურიო“.**

არასამწერლობო ენებზე „თავდასხმა“ მანამ განხორციელდება, ვიდრე ევროსაბჭოს მიერ შემოთავაზებული „რეგიონულ ენათა ქარტია“ არ შევა ძალაში და არ იქნება რატიფიცირებული, მუდამ ექნება მავანს „შხამის“ გადმონთხევის საბაბი.

საკანონმდებლო ორგანომ უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობის სურვილი, რომ მხარეთა შედუღაბების მძლავრი საშუალება ენობრივი დაახლოებაა.

**ბორის დავითაია,**
**ღირსების ორდენოსანი,**
**აკ. წერეთლის სახელობის**
**პრემიის ლაურეატი**
**ქ. სენაკი**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## ველისციხეში ექვსფეხა ბატკანი დაიბადა

**კახეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხეში ექვსფეხა ბატკანი დაიბადა. ცხოველი ერთდროულად დედალიც არის და მამალიც.** როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს მეცხვარემ ალბერტ აბაჯანოვმა განუცხადა, 25 წელია, მას ცხვარი ჰყავს და ასეთი შემთხვევა არ ჰქონია. „სხვა მეცხვარეებსაც ვკითხე, თქვენთან თუ მომხდარა ასეთი რამ-მეთქი და ყველას გაუკვირდა. სამფეხა ბატკანი დაბადებულა, ცალთვალაც, ოთხი რქა რომ ჰქონია ისეთიც, მაგრამ ექვსფეხა და თან ქალა-ბიჭა, პირველი შემთხვევაა. ბატკანი ჩვეულებრივად იკვებება. გადაადგილების დროს აქვს პრობლემა, ცოტა კოჭლობს", — აღნიშნა ალბერტ აბაჯანოვმა.



# ევროპის კლდეზე ნაშენები ქალაქები

**ევროპაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, არის რამდენიმე უჩვეულო და არაორდინალური არქიტექტურული შედევრი, რომელთა ამოცნობა და ბოლომდე გააზრება ძნელია. უფსკრულის პირას, ციცაბო კლდეებზე ნაგები ქალაქები უნიკალურ არქიტექტურულ საოცრებებს ქმნიან.**



## 1. Castellfollit de la Roca (ესპანეთი)

**კასტელფულიტ-დე-ლა-როკა ერთ-ერთ ულამაზეს სოფლად ითვლება კატალონიაში.** სახლები აშენებულია ბაზალტოვანი კლდეების პირას, რომლებიც ლავის შედეგად ჩამოყალიბდა. კლდის სიმაღლე 50 მეტრია, ის ორ მდინარეს შორისაა მოქცეული. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სახლები სადაცაა ჩამოინგრევა, მაგრამ ამ სახლებში დაახლოებით 1 000 ადამიანი მშვიდად ცხოვრობს.







## 2. Rocamadour (საფრანგეთი)

**როკამადური მე-12 საუკუნის პატარა ქალაქია, რომელიც გაშენებულია მდინარე ალზუს ხეობაში.** ქალაქში უამრავი მომლოცველი ჩადის, რათა თაყვანი სცენ წმინდა Amadour-ს, რომელიც მოწმე იყო წმ. პეტრესა და პავლეს დალუპვისა (რომში) და რომელიც შემდგომში სწორედ აქ დასახლდა. მისი ნარჩენები იპოვეს 1166 წელს Chapelle Notre-Dame-ს სამლოცველოსთან, რომელშიც ინახება წმ. მადონას ქანდაკება შავი სახითა და ხელებით. სახლები გაშენებულია 120 მეტრ სიმაღლეზე.





## 3. Bonifacio (კორსიკა)

**ბონიფაჩო მყუდროდაა გადაშლილი კორსიკის სამხრეთით.** ფაქტობრივად, მთელი ქალაქი 70 მეტრ სიმაღლის კლდეზეა. ზღვიდან ქალაქი თეთრად ჩანს, თითქოსდა წყალზე ტივტივებს. ლეგენდის თანახმად, აქ შეჩერებულა ოდისევსი, დღეს კი მის სანაპიროებთან ძვირადღირებულ იახტებს ვხედავთ. ახლა ბონიფაჩოში დაახლოებით 2 700 ადამიანი ცხოვრობს.





## 4. Ronda (ესპანეთი)

**რონდა მდებარეობს პროვინცია მალაგაში. ქალაქი გაშენებულია 760 მეტრ სიმაღლეზე.** შუაში გაედინება მდინარე Guadalevin, რომელიც ელ-ტახოს კანიონს მიუყვება. ხეობაში 100 მეტრ სიმაღლეზე ერთ-ერთი უძველესი ხიდია, რომლის არქიტექტორიც ხიდმა შეიწირა (გადმოვარდა კონსტიტუციის მიღებისას). უძველესი სასახლეები და ახალი მდიდრული ვილები აქ ბლომადაა.







## 5. Positano (იტალია)

**პოზიტანო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტურისტული ცენტრია იტალიაში.** ქალაქი დაარსდა მე-16 საუკუნეში, თუმცა მე-19 საუკუნეში მოსახლეობამ ქალაქიდან მასიური მიგრაცია დაიწყო. გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან პოზიტანო კვლავ შეივსო. მასზე ამბობენ: „ეს არის საოცნებო ადგილი, რომელიც არარეალურია, როდესაც იქ ხარ, და რეალური, როცა არ იმყოფები იქ".







## ცეკვის სამართავი

**თუ თქვენ ცეკვა არ გეხერხებათ ან არ ხართ საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული, ნუ აღელდებით, რადგან გამოჩნდა საშუალება, რომელიც დაგეხმარებათ, დაძლიოთ ეს სირთულე.** ცეკვის სამართავი ხელთათმანი სწორედ თქვენთვისაა შექმნილი. ჩამოიცვით იგი ხელის მტევნებზე და გარკვეული დროის შემდეგ შეიგრძენით საცეკვაო მოძრაობის მშვენიერება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# უცნაური პატენტები

ზოგიერთი უცნაური იდეით შეპყრობილი ადამიანი უცნაური გამოგონების დაპატენტებას ცდილობს და ახერხებს კიდეც. არსებობს ამგვარი პატენტები, რომლებიც ადამიანის ზედმიწევნით უცნაური საგამომგონებლო საქმიანობის შედეგია.

## თავზე შემოსადები საკვებურა «გობი»



**ეს მოწყობილობა დაეხმარება ნატურალისტს ახლო მანძილიდან დაინახოს და უკეთ შეიგრძნოს ის, თუ როგორ კენკავენ ჩიტები საკვებს. ამისათვის საკმარისია ქვესადგამში საკენკის დაყრა, შემდეგ მისი თავზე შემოდება და მოცდა, როცა ფრინველები მოისურვებენ ასეთი ტიპის მოწყობილობიდან საკვების მიღებას.**





## შემტევი ბლოკნოტი



**თუ სადმე ბნელ კუთხეში ხულიგანი შემოგეყარათ, არ დაიბნეთ, თქვენ შეძლებთ მასთან გამკლავებას, თუ თავდამცავ ბლოკნოტს მოიმარჯვებთ.** ამ უჩვეულო ბლოკნოტს სპეციალური ამოჭრილი ადგილი აქვს, სადაც თითები თავსდება. მას გააჩნია ბასრი კიდეები, რათა მოწინააღმდეგეს მაქსიმალური ზიანი მიაყენოთ. ამავე დროს შესაძლებელია მისი დანიშნულებისამებრ გამოყენებაც, ანუ შეგიძლიათ ჩაინიშნოთ თავდასხმის დეტალები ან დააფიქსიროთ მოძალადის სახის განსაკუთრებული ნიშნები.

## გაბრაზებული მაყუჩი

**ეს მოწყობილობა (აღწერილობის თანახმად) იჭერს ყველა ბგერას, რომელსაც კი ადამიანი გამოსცემს.** თუ, მაგალითად, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ფეხზე დაგაბიჯეს, იმის ნაცვლად, რომ უშვერი სიტყვებით გამოლანძღოთ მოუქნელი მგზავრი, თქვენ შეგიძლიათ მოიმარჯვოთ მაყუჩი და ჩასძახოთ, რაც მოგესურვებათ, და არ იფიქროთ შედეგებზე. იდეალური ჩანაფიქრია თავშეუკავებელი ინდივიდებისთვის.

## ძაღლის საყურე

**თუ თქვენ გრძელყურა შინაური ცხოველი გყავთ, უთუოდ განცდილი გექნებათ ერთი სირთულე, რომელიც ოთხფეხა მეგობრის კვების ან გასეირნების დროს იქმნება.** ასეთ დროს ძაღლის გრძელი ყურები გამუდმებით ბინძურდება და ათასგვარი პარაზიტებით ივსება. განსაკუთრებით ეს აქტუალურია პუდელებსა და მეძებარ ძაღლებში, თუმცა უკვე გამოიგონეს ახალი დამცავი საშუალება. საკმარისია, თქვენს ოთხფეხა მეგობარს ყურებზე ჩამოაცვათ განსაკუთრებული მილები და ცხოველის გრძელი სასმენი ორგანო საიმედოდ იქნება დაცული დაბინძურებისაგან.



## შეზლონგი ორსულთათვის

**მოგეხსენებათ, რა სირთულეებს აწყდებიან ქალები ორსულობისას.** მათზე ზრუნვის მიზნით, ერთ-ერთმა გამომგონებელმა მოიფიქრა განსაკუთრებული შეზლონგის დამზადება, რომლის საშუალებითაც მომავალი დედიკო შეძლებს მუცელზე გადატრიალებას და მზის აბაზანების სწორად მიღებას. შეზლონგი შედგება ჩარჩოსაგან, გადასაკრავისაგან და განსაკუთრებული საკეტისაგან, რომელიც მომავალი დედიკოს აღნაგობას შესანიშნავად მოერგება და კომფორტსაც შეუქმნის.






## მექანიკური ძიძა



**ბავშვი გეყოლათ? გილოცავთ. დაივიწყეთ მშვიდი ძილი, ახლა ბავშვის ტირილი იქნება ჩვეული ხმა თქვენს ოჯახში.** ამ მდგომარეობიდან ერთი გამოსავალი არსებობს. საჭიროა, მიენდოთ მეცნიერებას და გამოიყენოთ შესაძლებლობები, რომლებსაც თანამედროვე ტექნოლოგიები გთავაზობთ. ამ თემასთან დაკავშირებით გაცემულია პატენტი ერთ მოწყობილობაზე, რომელიც ჩვილს ზურგზე ეფერება და მას დაძინებაში ეხმარება, შედეგად მშობელიც კმაყოფილია და პატარაც. ეს გამოგონება შედგება ელექტროძრავისაგან და ლილვაკზე დამაგრებული მექანიკური ხელისაგან. კონსტრუქცია ფიქსირდება საწოლის ქიმზე და ელექტროსადენიდან იმართება.

## პამპერსი ჩიტებისთვის

თუთიყუში და იადონი გავრცელებული შინაური ფრინველებია. როგორც ყველა ფრინველი და ცხოველი, ისინი ხშირად უქმნიან უხერხულობას პატრონებსაც და სტუმრებსაც, რადგან, საპირფარეშოს მოხმარების უცოდინრობის გამო, საზოგადოებაში „უზრდელად“ იქცევიან. მათი რეპუტაციის გადასარჩენად მეცნიერებმა გამოიგონეს ე.წ. ჩიტების პამპერსი. ეს მოწყობილობა მაგრდება ფრინველის სხეულზე, არ აღიზიანებს ფრთებს და არ ვარდება ფრენის დროს.

## თავზე მორგებული აფიშა

დაივიწყეთ ჩვეულებრივი მისალოცი ბარათები და პლაკატები — ეს უკვე აღარაა მოდური და თანამედროვე. ახლა მოდაში უჩვეულო მილოცვის საშუალებებია, მაგალითად, თავზე დასამონტაჟებელი მისალოცი ბარათი. წარმოიდგინეთ, რომ სტუმრად მიხვედით და თავს პლაკატი გიმშვენებთ, წარწერაც, თავისთავად, უცნაურ შინაარსს შეიცავს. მაშ, როგორ? ხომ უნდა გაამართლოთ გამომგონებლის ჩანაფიქრი?



## კატა ზურგჩანთაში

**ცხოველის ტრანსპორტირება გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ხშირად ხდება, რომ მგზავრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ შინაური ცხოველის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაყვანის გამო ან პირიქით, გადამეტებულ და შემაწუხებელ ინტერესს იჩენენ ცხოველის მიმართ.**

პატრონიც იძულებულია, ანგარიში გაუწიოს გარშემო მყოფების რეაქციას. ასეთი შემთხვევების ასაცილებლად 2004 წელს გამოიგონეს US 6.701.871 პატენტით დაცული სპეციალური ცხოველების ზურგჩანთა.

**ეს სამგზავრო საშუალება შედგება მყარი კარკასისაგან, რომელსაც შემოკრული აქვს სქელი ნაჭერი. რამდენიმე სასუნთქი და საჭვრეტი სავენტილაციო ხვრელი საშუალებას აძლევს ცხოველს, სიბნელეში თავი „ეულად“ არ იგრძნოს, დაჰყვეს პატრონის გადაადგილების რიტმს, ტრანსპორტის მოჯაყჯაყე მოძრაობასა და მკვეთრ დამუხრუჭებას.**

თუ ეს თვინიერი არსება ზურგჩანთით გადაჭედილ ავტობუსში ამოყოფს თავს, მისი შეგრძნებები კიდევ უფრო გამძაფრდება. საინტერესოა, როგორ დროს გაატარებს ასეთ ზურგჩანთაში თავად გამომგონებელი.

# მისტიური ნახატი

**სიურეალიზმი ხელოვნების საკმაოდ უცნაური მიმდინარეობაა, მაგრამ მის ყველაზე ცნობილ წარმომადგენლებსაც, თუნდაც ისეთებს, როგორიც სალვადორ დალია, არ შეუქმნიათ ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც მნახველებში ამგვარ რეაქციას — ტირილს, უზომო მღელვარებას, შფოთვას გამოიწვევდა. ეს ერთადერთი გამონაკლისია.**



ბილ სტოუნჰემი ის ადამიანია, რომლის წარსულზეც არავინ არაფერი იცის. მის ბიოგრაფიაში მხოლოდ 2-3 წინადადება თუ შეგხვდებათ. ცნობილია მხოლოდ ის, რომ იგი 1947 წელს ბოსტონში დაიბადა, რამდენიმე თვე უპატრონო ბავშვთა სახლში გაატარა, შემდეგ კი იშვილა ოჯახმა, რომელმაც გვარიც მისცა. სამაგიეროდ, მისი ნახატი „The Hands Resist Him“ („ხელები მას ეწინააღმდეგება“) ცნობილი და სახელგანთქმულია. ტილო შექმნილია ფოტოს მიხედვით, რომელზეც 5 წლის ავტორი და მისი უმცროსი და არიან გამოსახულნი.

ამ ნამუშევარს საკმაოდ ბნელი ისტორია აქვს. ავტორის შემდეგ პირველი ადამიანი, ვინც სურათი ნახა, იყო ხელოვნებათმცოდნე და გაზეთ „Los Angeles Times“-ის მფლობელი, რომელიც მალევე გარდაიცვალა. შემდეგ ნახატი გადავიდა მსახიობ ჯონ მარლის მფლობელობაში, რომელიც ასევე მალე გარდაიცვალა.

**ამის შემდეგ ტილო ერთ-ერთ ნაგავსაყრელზე იპოვეს და ოჯახის წევრები, რომლებმაც ის შეინახეს, ამტკიცებდნენ, რომ ნახატზე გამოსახული ბავშვები მოძრაობდნენ. მეტიც, თითქოს ისინი ჩხუბობდნენ ხოლმე ან კარის უკან იმალებოდნენ, თუმცა ამას მხოლოდ ოჯახის ყველაზე პატარა წევრი — 4 წლის გოგონა ხედავდა.**



ოჯახის უფროსმა ოთახში დააყენა ვიდეოკამერა, რომელიც მხოლოდ მოძრაობისას ირთვებოდა და, როგორც შემდეგ გაირკვა, ის არაერთხელ ჩაირთო მაშინ, როცა ოთახში არავინ იყო.

სკანდალი, რომელიც „The Hands Resist Him“-თანაა დაკავშირებული, ერთ-ერთ გამოფენაზე დაიწყო, თუმცა ამ გამოფენის შესახებ ინფორმაცია ისეთივე მწირია, როგორც ნახატის ავტორის ბიოგრაფია. გამოფენაზე ნახატის ნახვისას სუსტი ფსიქიკის მქონე ადამიანებმა ტირილი დაიწყეს, ზოგმა გონებაც კი დაკარგა.

**ნახატმა განსაკუთრებული პოპულარობა მაშინ მოიპოვა, როცა ის ინტერნეტ-აუქციონ eBay-ზე გამოიტანეს გასაყიდად. მისი საწყისი ფასი 199 დოლარს შეადგენდა, მაგრამ 1025 დოლარად გაიყიდა. მისი მფლობელი გახდა ვინმე კიმ სმიტი, რომელსაც შემდეგ დიდხანს სთავაზობდნენ დახმარებას ექსტრასენსები და სხვადასხვა სპეციალისტები პარანორმალურ საკითხებში.**

ნახატზე პროპორციების გასაოცარი დარღვევა იდუმალი საშინელების ეფექტს ქმნის. ქუჩა სიზმარია, სახლი ჩვენი ცხოვრებაა, კარი — ცხადსა და სიზმარს შორის საზღვარი, ხელები — სხვა ცოცხალი ადამიანები. ბიჭს ტუჩები ისე აქვს ერთმანეთზე მიჭერილი, თითქოს რაღაცის შიშს მალავს. გოგო მისი მეგზურია კარს მიღმა სამყაროში, მაგრამ იგი რატომღაც თოჯინაა, რომელსაც თვალები არ აქვს. კარს მიღმა უამრავი ადამიანის ხელი ჩანს. ეს კარი ცხადსა და სიზმარს შორის მყიფე ზღვარია.

მოგვიანებით ავტორმა ნახატის „გაგრძელებაც“ შექმნა, მაგრამ მას მსგავსი რეაქციები მნახველებში არ გამოუწვევია და, რაც მთავარია, მასზე გამოსახული და-ძმა არ მოძრაობდა.

# გორის გამგეობის 24-ათასლარიანი მერსედესი, 13 ათას 500-ლარიანი ჯიპი და 30 თებერვალი კალენდარზე



**2012 წლის 30 იანვარს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლებმა გადაწყვიტეს, რომ თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ვაშლოვანში მცხოვრებ ჯემალ ზაუტაშვილისგან 6-ცილინდრიანი „მერსედესი" ML350 შეიძინონ. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, გასაყიდად წარდგენილი ავტომანქანა 2003 წელს არის გამოშვებული და 24 000 ლარი ჯდება. მანქანას ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღეში ჩამოუყვანენ, მაგრამ სატენდერო ოქმში წერია, რომ სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა 30 თებერვლამდეა ძალაში. ხარვეზით ჩატარებულ ტენდერს ყურადღებას არავინ აქცევს. თუმცა ტენდერის ხარვეზი რა მოსატანია, როცა გორის გამგეობაში ისიც არ იციან, რომ 30 თებერვალი კალენდარზე არარსებული თარიღია.**



თავდაპირველად, პრეტენდენტმა მიუთითა, რომ მანქანის გარბენი 1380000 კმ-ს შეადგენს. გამგებელმა დავით ხმიადაშვილმა ინდმეწარმე ჯემალ ზაუტაშვილს მისწერა, რომ დაეზუსტებინა გარბენის მაჩვენებელი ციფრი, ამის შემდეგ ზაუტაშვილმა წარდგენილ ციფრს ერთი ნული მოაკლო და გამგეობამაც გადაწყვიტა აღნიშნული მანქანის შესყიდვა.

ჯერჯერობით მუნიციპალიტეტის გამგეობა კომენტარს არ აკეთებს ჩამოყვანილი მანქანების შესაძლო განმკარგავებზე. **სამი დღით ადრე კი, 2012 წლის 27 იანვარს, გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ახალი ჯიპი შეიძინა. გორში, ჭანტურიას ქ. №34-ში მცხოვრებმა ვლადიმერ ჭუხულაძემ საკუთარი მანქანა 13500 ლარად მიჰყიდა მუნიციპალიტეტს. 7-ადგილიან და კომფორტულ, წითელი ფერის „ლენდ როვერ დისქავერი"-ს 143000 კმ-ის გარბენი აქვს.**

თუ ვინ ისარგებლებს აღნიშნული მანქანით, ამის გასარკვევად შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის პრესსამსახურს დაუკავშირდა. ნათია ხაჩიური გამოცემას დაჰპირდა იმ ჩინოვნიკის ვინაობის გარკვევას, ვინც აღნიშნული მანქანით ისარგებლებს. მანქანა ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის განმავლობაში გადაეცემა გამგეობას.

**ვიდრე გორის გამგეობა მანქანების შეძენითაა დაკავებული, გორის ზოოპარკს „მგლები" შეესივნენ. სულ ახლახან მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მიერ დათვის შეჭმას ახლა „მგლების" შეჭმული კამერუნული თხებიც დაემატა.**

29 იანვარს, დილით, ახალბაღის ზოოპარკის თანამშრომლებმა ზოოპარკის ეზოში მგლისგან დაგლეჯილი თხები იპოვეს. 3 დაგლეჯილი თხა და მეოთხე თხისგან დარჩენილი 2 ფეხი ზოოპარკის თანამშრომლებმა მდინარე მტკვრის პირას დამარხეს. გორის ზოოპარკის ადმინისტრაციის განცხადებით, კამერუნული (აფრიკული) ჯიშის 6 თხა თბილისის ზოოპარკმა გორის ზოოპარკს დაახლოებით ერთი წლის წინ უსასყიდლოდ გადასცა.

**„29 იანვრის დილას მოვედით და ასეთი ამბავი დაგვხვდა, ეს ერთი მგლის ნამოქმედარი არ არის, მოგეხსენებათ, მგელი მარტო არ დადის, ისინი ჯგუფურად ნადირობენ. როგორც ჩანს, მგლები მტკვარს ჩამოყვებიან და აქამდეც აღწევენ. სულ 6 თხა გვყავდა, მგლებს 3 დაუგლეჯიათ და ერთი მთლიანად შეუჭამიათ, ფეხებიღა იყო დარჩენილი. დახოცილი თხები მდინარის პირას დავმარხეთ. საქმის კურსში ჩავაყენეთ პატრული, კრიმინალური პოლიცია, გარემოს დაცვა და სურსათის ვეტერინარული სამსახური. 4-ვე თხა დედალი იყო. მხოლოდ მამლები გადარჩნენ",** — ამბობს ზოოპარკის ბუღალტერი შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრთან საუბარში.

ზოოპარკის ადმინისტრაციამ ის აქტიც წარმოადგინა, რომელიც თხების შეჭმას ადასტურებს, ოღონდ მგლებისგან. აქტში ვკითხულობთ:

**„აიპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და დასვენების პარკის დირექტორმა ნუგზარ აბალაკმა, დირექტორის მოადგილემ მამუკა დადიანმა, ზოოტექნიკოსმა ილია მთვარელიძემ და ზოოპარკის მეთვალყურემ ნუგზარ დემურიშვილმა შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ 29 იანვარს, გამთენიისას, მინიზოოპარკის ტერიტორიაზე განთავსებულ ვოლიერში, სავარაუდოდ, მგლების მიერ დაგლეჯილია და დახოცილია ოთხი კამერუნული ჯიშის თხა, მათ შორის ერთი მთლიანად შეჭმულია".**

საგულისხმოა, რომ მინიზოოპარკი „ახალბაღის" ტერიტორიაზე, თითქმის ქალაქ გორის ცენტრში მდებარეობს. ვისაც სჯერა, რომ თხები მგლებმა შეჭამეს და არა გორის გამგეობის გაუმაძღარმა თანამშრომლებმა, 30 თებერვალს გამოგვეხმაუროს!


## წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი" | 602602 |
| შპს „ახტელი" | 700818 |
| შპს „მაგთიკომი" | 200320 |
| შპს „ჯეოსელი" | 700305 |
| შპს „ბილაინი" | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის" ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937;
ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით
იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი,
ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736,
მობ.: (599)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru




# «სწრაფი რკინიგზის» უსაფრთხოების მიმართ ეჭვები გაჩნდა

**ჩქაროსნული რკინიგზის ამოქმედება უსაფრთხო არ არის. ამის შესახებ commersant.ge-სთან საუბარში რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა. ნაწილმა კი კონფიდენციალურად დარჩენა ისურვა და საკუთარი შეფასება მხოლოდ ელექტრონული ფოსტის საშუალებით მოგვაწოდა, ღიად კი მოსაზრება გია ხუხაშვილმა დააფიქსირა.**

შეგახსენებთ: საქართველოს რკინიგზის პროექტი „სწრაფი რკინიგზის" პირველი ეტაპი უკვე დასრულდა და რკინიგზის გარკვეულ მონაკვეთებზე მატარებლების სიჩქარემ 120 კმ/საათს მიაღწია. გია ხუხაშვილის თქმით კი, **3 საათში თბილისი-ბათუმის მონაკვეთის დაფარვა, რაც „რკინიგზის" გეგმებში შედის, არარეალურია, ვინაიდან ამის საშუალებას საქართველოს მთიანი რელიეფი არ იძლევა.**

მისივე განცხადებით, სარკინიგზო ხიდებსა და ჯებირებს საუკუნოვანი ისტორია აქვს, და მათი გამოცვლა, რაც რკინიგზის უსაფრთხოებისთვისაა საჭირო, დიდ დროსა და ხარჯებს მოითხოვს, რისთვისაც საქართველოს რკინიგზა მზად არ არის. ხუხაშვილის განმარტებით, **გაზრდილი სიჩქარის პირობებში, ადამიანების მოძრაობამ, ასევე საქონლის გადაადგილებამ შესაძლოა სწრაფად მოძრავ მატარებლებს საფრთხე შეუქმნას.** გია ხუხაშვილის თქმით, **რკინიგზის გარკვეული მონაკვეთი სწრაფი მატარებლების მისაღებად ნამდვილად მზად არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ პროექტის დასრულების შემდეგ თბილსსა და ბათუმს შორის მანძილი 3 საათში დაიფარება.**

„საქართველოს რკინიგზაში" კრიტიკას არ იღებენ და განმარტავენ, რომ ამ დროისთვის 100-კილომეტრიანი ლიანდაგი სრულად განახლებულია და უსაფრთხოების თვალსაზრისით არავითარი პრობლემები არ არის მოსალოდნელი. ჩვენს კითხვაზე, რამდენად მზად არის სარკინიგზო ინფრასტრუქტურა სწრაფი მატარებლების მოძრაობისთვის, საქართველოს რკინიგზაში ასე გვიპასუხეს:

**„პროექტ „სწრაფი რკინიგზის" პირველ ეტაპზე 100-კილომეტრიანი ლიანდაგები სრულად განახლებულია და სწრაფი მატარებლების მისაღებად მზადაა. „სწრაფი რკინიგზა" — ეს არის პროექტი, რომელიც ინფრასტრუქტურის სრულ განახლებას გულისხმობს. პროექტის დასრულება 2013 წლისათვის იგეგმება. ამ დროისთვის კი პროექტის მხოლოდ პირველი ეტაპია დამთავრებული, რომელიც 100 კოლომეტრ სიგრძეზე ლიანდაგების განახლებას, ელექტრიფიკაციას, უსაფრთხოების ყველა სტანდარტის უზრუნველყოფას გულისხმობს".**

„რკინიგზაში" commersant.ge-ს ასევე განუცხადეს, რომ უკვე 2013 წლისათვის მანძილი თბილისსა და ბათუმს შორის სწრაფი მატარებლების მეშვეობით 3 საათში დაიფარება, რაც მგზავრთა გადაადგილების საკითხში საქართველოს რკინიგზას უკონკურენტოს გახდის. საქართველოს რკინიგზაში „სწრაფი რკინიგზის" პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ მგზავრების გააქტიურებასა და მათი მხრიდან მოთხოვნის ზრდაზეც საუბრობენ.


pirweli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net